

ნანა ასლამაზიშვილი

საერთაშორისო ბიზნესის  
სტატისტიკა  
ლექციების კურსი

თბილისი 2020

**ნანა ასლამაზიშვილი. საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა: ლექციების კურსი. -თბილისი. 2020. – 288 გვ.**

წინამდებარე ლექციების კურსის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს იმ მაკროსტატისტიკური კონცეფციების, ცნებების, კატეგორიებისა და მაჩვენებელთა სისტემების არსის გაგებაში, რომელთა ცოდნის გარეშე წარმოდგენელია საერთაშორისო ბიზნესის განვითარების კანონზომიერებებისა და ტენდენციების შეფასება და ანალიზი; ხელი შეუწყოს მათ სხვადასხვა ინფორმაციული ბაზების მოძიებასა და გამოყენების ხერხებისა და მეთოდების უკეთ გაგებაში, იმ უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც აუცილებელია თანამედროვე ინფორმაციული ნაკადების ეფექტიანად გამოყენებისათვის ზოგადად და მათ შორის საერთაშორისო ბიზნესის სფეროში.

## შინაარსი

თემა 1. რას გულისხმობს საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა: კურსის შესავალი .....	6
1.1. საერთაშორისო ბიზნესი და სტატისტიკა .....	8
1.2. მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები, როგორც საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიური საფუძველი .....	12
1.3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პრინციპები .....	16
ინდივიდუალური სამუშაო.....	34
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის.....	35
თემა 2. კლასიფიკაციები, როგორც სტატისტიკის წარმოების უმთავრესი ინსტრუმენტი .....	41
2.1. რეზიდენტობის კონცეფცია.....	41
2.2. ეკონომიკური ერთეულების სექტორიზაცია.....	47
2.3. სხვა სტატისტიკური კლასიფიკაციები.....	51
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის.....	63
თემა 3. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი როლი საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკაში .....	70
3.1. მთლიანი შიდა პროდუქტი.....	70
რა არის მოთხოვნა? .....	71
რას წარმოადგენს მიწოდება? .....	71
ეროვნული ანგარიშების აგრეგატები და გაანგარიშების მეთოდები .....	77
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის.....	83
3.2. საერთაშორისო შედარებები .....	89
3.1. რას გულისხმობს საერთაშორისო შედარებები .....	89
3.2. ვისთვის და რით არის საინტერესო მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი? .....	91
3.3. საერთაშორისო შედარებები: ცოტა რამ ისტორიიდან.....	94
3.4. საერთაშორისო შედარებების პროგრამა: არსი და კოორდინაცია .....	97
3.5. საერთაშორისო შედარებების განხორციელების ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგიური დებულებები.....	100
3.6. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო შედარებების პროგრამაში.....	106
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის .....	108

თემა 4. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი სტატისტიკური ანგარიშები .....	114
4.1. საგადასახდელო ბალანსი .....	116
საერთაშორისო ვაჭრობა .....	117
საგარეო ვაჭრობაში გამოყენებული კლასიფიკაციები .....	124
საქონლით საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის მეთოდები .....	128
საგარეო ვაჭრობის შეფასების მეთოდები .....	132
მიდგომები საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ხარისხის შეფასებისადმი .....	136
საგარეო ვაჭრობის ანალიზი .....	141
ინდივიდუალური სამუშაო .....	147
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის .....	148
4.2. საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა .....	156
კავშირი საგადასახდელო ბალანსთან .....	163
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის .....	167
თემა 5. ინოვაციების როლი თანამედროვე ბიზნესში და სტატისტიკის ამოცანები .....	173
5.1. ინოვაციები თანამედროვე ბიზნესში და მათი სტატისტიკური შესწავლა .....	173
5.2. ინოვაციების სტატისტიკური შესწავლის ევროპული გამოცდილება: მიდგომები და სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემები .....	178
5.3. ფინანსური ინოვაციები: ევროპული გამოცდილება და სტატისტიკის ამოცანები .....	182
დაფინანსების სიმწირე - ბიზნესის განვითარების მთავარი ბარიერი .....	183
2014-2020: ევროკავშირის სამოქმედო პროგრამები და ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები .....	187
მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების სტატისტიკა: სიახლე ეროვნული ბანკის სტატისტიკურ საქმიანობაში .....	196
ინდივიდუალური სამუშაო .....	200
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის .....	201
თემა 6. გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის განვითარების ტენდენციები .....	206
6.1. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიები და მათი როლი სტატისტიკის ახალი მიმართულებების განვითარებაში .....	206
6.2. გლობალიზაციის ინდექსი: არსი და გაანგარიშების მეთოდოლოგია .....	207
6.3. გლობალური ბაზარი და მისი შესწავლის სტატისტიკური მაჩვენებლები .....	210

6.4. გლობალური კონკურენტუნარიანობა: არსი და შესწავლის სტატისტიკური ასპექტები.....	212
6.5. მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი .....	215
6.6. ეკონომიკური თავისუფლება .....	218
6.7. ბიზნესის კეთება .....	223
ინდივიდუალური სამუშაო.....	227
თემა 7. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გლობალური სტატისტიკური სისტემის ჩამოყალიბებაში.....	228
ინდივიდუალური სამუშაო.....	236
თემა 8. მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტები.....	237
8.1. წინაპირობები.....	237
8.2. მონაცემთა გავრცელების სტანდარტების შემოღება .....	238
8.3. მეტაინფორმაციული სისტემა და მისი დანიშნულება .....	240
8.4. მონაცემთა გავრცელების სტანდარტები და მათი მახასიათებლები.....	243
8.5. საქართველოს მონაწილეობა მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებში...	250
8.6. რა უპირატესობა აქვს მონაცემთა გავრცელების სტანდარტებში მონაწილეობას?.....	251
8.7. საერთაშორისო სტატისტიკური გამოცემებისა და წყაროების მიმოხილვა.....	252
ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის.....	259
დანართები.....	266
გამოყენებული ლიტერატურა.....	286

## თემა 1. რას გულისხმობს საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა: კურსის შესავალი

საერთაშორისო ბიზნესი გულისხმობს ბიზნეს-ოპერაციებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს ოპერაციები მოიცავს საქონელს, მომსახურებას, ტექნოლოგიებს, მართვის სტილს, ცოდნასა და გამოცდილებას, კაპიტალს, ექსპორტსა და იმპორტს.

საერთაშორისო ბიზნესი მრავალი თავისებურებით ხასიათდება. მათგან უმთავრესია:

- ოპერაციების დიდი მასშტაბი;
- ბევრი ქვეყნის ეკონომიკების ინტეგრაცია;
- განვითარებული ქვეყნების და მულტინაციონალური კომპანიების უპირატესი როლი;
- მონაწილე ქვეყნების მიერ სარგებლის მიღება;
- მწვავე კონკურენცია;
- მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განსაკუთრებული როლი;
- საერთაშორისო აკრძალვები;
- ფაქიზი ხასიათი.

საერთაშორისო ბიზნესში ყველა ოპერაცია დიდ მასშტაბებთან არის დაკავშირებული. ეს ეხება წარმოებას, მარკეტინგს, საერთაშორისო ვაჭრობას და ა.შ.

*ეკონომიკების ინტეგრაცია* გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნის ერთდროულად მონაწილეობას ბიზნესში, თუმცა, შესაძლოა სხვადასხვა კუთხით. მაგალითად, საერთაშორისო ბიზნესის წარმოებისას გამოიყენება ერთი ქვეყნის ფინანსური რესურსები, მეორის - მუშახელი, მესამის - ინფრასტრუქტურა; პროდუქციის დიზაინი ხორციელდება ერთ ქვეყანაში, სხვადასხვა ქვეყანა აწარმოებს მის სხვადასხვა ნაწილს და საბოლოო პროდუქტის გამოშვება ხდება სხვა ქვეყანაში, ამასთან ის იყიდება მრავალ ქვეყანაში და ა.შ.

საერთაშორისო ბიზნესის წარმოებისას აშკარაა *განვითარებული ქვეყნებისა და მათი მულტინაციონალური კომპანიების უპირატესი როლი*, მათ ხელში არსებული დიდი ფინანსური რესურსისა და სხვა რესურსული უპირატესობების გამო. ცნობილია, რომ დღეისათვის აშშ-ს, ევროპისა და იაპონიის მულტინაციონალური კომპანიები მთლიანად აკონტროლებენ საერთაშორისო ვაჭრობას და საერთაშორისო საქმიანობის სხვა სფეროებს. გარდა ამისა, მათ განკარგულებაშია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, რაც განუზომლად დიდ უპირატესობებს უქმნის მათ. შესაბამისად, მათ შეუძლიათ მაღალი ხარისხის საქონლისა და მომსახურების წარმოება, რაც მათ მსოფლიო ბაზარზე გაბატონებულ მდგომარეობას უქმნის.

საერთაშორისო ბიზნესი მონაწილე ქვეყნებს დიდ *სარგებელს* სთავაზობს. ამასთან, განვითარებული ქვეყნები მეტად მოგებულნი რჩებიან, ვიდრე განვითარებადი ქვეყნები. თუმცა, ეს უკანასკნელნი საერთაშორისო ბიზნესიდან იღებენ კაპიტალს, ტექნოლოგიებს, სამუშაო გამოცდილებას, შრომის კულტურას; ეძლევათ დასაქმების შესაძლებლობა, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ასეთი ეკონომიკების წინსვლას.

საერთაშორისო ბიზნესისათვის დამახასიათებელია *მწვავე კონკურენცია*, რადგანაც ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდებიან განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები. განვითარებული ქვეყნები ბევრ უპირატესობას ფლობენ თავიანთი პროდუქციისა და მომსახურების წარმოებისას; მათი პროდუქცია მაღალი ხარისხისაა, დაბალი თვითღირებულებით, რომლის მიღწევა განვითარებადი ქვეყნებისათვის უაღრესად რთულია.

თანამედროვე ბიზნესი, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე, წარმოუდგენელია *მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების* გამოყენების გარეშე. მოწინავე ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია უპირატესად განვითარებული ქვეყნებისათვის, თუმცა საერთაშორისო ბიზნესში ქვეყნების დიდი რაოდენობის ინტეგრაცია საშუალებას აძლევს განვითარებად ქვეყნებსაც დანერგონ მოწინავე ტექნოლოგიები და განავითარონ მათი გამოყენებისათვის საჭირო წარმოების კულტურა. ამაში მათ ეხმარება ფინანსური სექტორიც, რომელიც სხვადასხვა სახის ფინანსური ინოვაციების შეთავაზების გზით ხელს უწყობს მათ დაძლიონ ფინანსური სიძნელეები და განავითარონ წარმოება.

ამასთან, საერთაშორისო ბიზნესი ოპერირებს გარემოში, სადაც ხშირად არაერთ *აკრძალვას* აწყდება კაპიტალის, ტექნოლოგიებისა თუ პროდუქტების გადაადგილებისას. არის ბევრი სავაჭრო და სატარიფო ბარიერები, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული აკრძალვები და ა.შ. რომლებიც შემოღებულია საერთაშორისო ბიზნესში შედარებით თანაბრად ხელსაყრელი პირობების დასაცავად და სხვადასხვა დისკრიმინაციული ღონისძიებების პრევენციის მიზნით. თუმცა, ასეთი ბარიერები აზარალებს ზოგიერთ ბიზნესებს, რაც გარდუვალია მკაცრი კონკურენციის პირობებში.

საერთაშორისო ბიზნესი *ფაქიზი ბუნებისაა*. ნებისმიერ ცვლილებას ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ გარემოში დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია საერთაშორისო ბიზნესზე. ამიტომაც ამ გავლენების შეფასებას, აკრძალვების ეკონომიკური შედეგების წინასწარ გაანგარიშებას, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის მიზანშეწონილობის დასაბუთებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების ფართოდ გამოყენებითაა შესაძლებელი, ალტერნატივა არა აქვს.

## 1.1. საერთაშორისო ბიზნესი და სტატისტიკა

ამდენად, საერთაშორისო ბიზნესი გულისხმობს ბიზნეს-ოპერაციებს მთელი მსოფლიოს და მამასადამე ეროვნული ეკონომიკების მასშტაბით. ეროვნული ეკონომიკები, როგორც ერთიანი ორგანიზმი, ხასიათდებიან თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით. ეს ძალიან რთული სისტემაა, რომლის მდგომარეობასა და განვითარებაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამ ყველაფერს ერთად და ცალ-ცალკე არაერთი მეცნიერება შეისწავლის. თუმცა, შეუძლებელია ეს მათ შემდონ ისეთი მეცნიერების და ამავე დროს ინსტრუმენტის გარეშე, როგორც სტატისტიკაა.

სტატისტიკა ეხმარება მომხმარებლებს, მთავრობას, ინვესტორებს და ბაზრის სხვა მონაწილეებს მიიღონ უკეთესი გადაწყვეტილებები თავიანთი საქმიანობის წარმართვისა და მომავალი განვითარებისათვის.

მომხმარებელს სჭირდება სტატისტიკა, რათა ჩამოყალიბდეს სად და როდის შეიძინოს მისთვის საჭირო საქონელი ხელსაყრელ ფასად, საიდან ისესხოს ფული, სად გადაცვალოს ვალუტა, სად დაისვენოს და სად მიიღოს უკეთესი მომსახურება.

ბიზნესი იყენებს სტატისტიკას, რათა მიიღოს გადაწყვეტილება რა აწარმოოს, რამდენი, სად გაყიდოს თავისი პროდუქცია, რამდენად გააფართოვოს წარმოება ინვესტიციების გზით და ა.შ.

ინვესტორები სწავლობენ ინვესტიციების ეფექტიანად განხორციელებისათვის საჭირო სფეროებს, მათ დარგობრივ და გეოგრაფიულ განაწილებას და სხვ.

მთავრობამ სტატისტიკის ბაზაზე უნდა განსაზღვროს რა სფეროებიდან მიიღოს გადასახადი და სად დახარჯოს, საიდან მოიზიდოს საჭირო რესურსები და ა.შ.

საერთაშორისო ორგანიზაციებს სჭირდებათ სტატისტიკა არა მარტო გლობალური პროცესების შეფასებისა და პროგნოზირებისთვის, არამედ ცალკეული ქვეყნების მიმართ დახმარების სახეებისა და მასშტაბების განსაზღვრისთვის და მრავალი სხვა გადაწყვეტილების მისაღებად.

აკადემიური წრეების წარმატება კვლევით საქმიანობაში წარმოუდგენელია სტატისტიკის გარეშე. მათ უნდა შეისწავლონ საზოგადოების არა მარტო აწმყო, სხვადასხვა რაკურსით, არამედ განსაზღვრონ მომავალი პერსპექტივები, რასაც დაეფუძნება მთავრობის, და არა მარტო მისი, პოლიტიკა.

ვინ არიან ის მოთამაშეები, რომელთა ერთობლიობა, მათ შორის განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების ჩათვლით, აყალიბებს მაკროეკონომიკურ მთლიანობას?

ეს მოთამაშეები, ანუ მსგავსი ეკონომიკური ფუნქციების მქონე ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობები, შემდეგია:



- არაფინანსური კორპორაციები, ანუ სამეწარმეო სექტორი;
- მთავრობა;
- ფინანსური კორპორაციები;
- შინამეურნეობები;
- შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი, და
- „დანარჩენი სამყარო“ ანუ საგარეო სექტორი.

**არაფინანსური კორპორაციები** ფლობენ მიწას, კაპიტალსა და სამუშაო ძალას, რათა აწარმოონ საქონელი და მომსახურება ბაზარზე გასაყიდად. ამდენად, მათ უწევთ გადაწყვეტილებების მიღება, თუ რა და რამდენი აწარმოონ და რამდენი და რა სახის ინვესტიციები განახორციელონ, რათა მიიღონ მაქსიმალური მოგება.

**მთავრობა** აგროვებს გადასახადებს და საზოგადოებას სთავაზობს საჯარო მომსახურებას, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, თავდაცვა და სხვა.

**ფინანსური კორპორაციები** ფინანსურ შუამავლობას ახორციელებენ უკლებლივ ყველა ეკონომიკური ერთეულისათვის და, შესაბამისად, ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს თუ რა სახის ფინანსური მომსახურება შესთავაზონ მომხმარებელს.

**შინამეურნეობები**, როგორც მწარმოებლები, ფლობენ საწარმოო ფაქტორებს - მიწას, კაპიტალსა და სამუშაო ძალას, რომელსაც იყენებენ წარმოების პროცესში. თუმცა, ამავე დროს ისინი გვევლინებიან როგორც მომხმარებლები, რომლებიც საქონელსა და მომსახურებას იძენენ ბაზარზე. ამდენად, მათ უწევთ გადაწყვეტილებების მიღება, თუ რამდენი მოიხმარონ და რამდენი დაზოგონ, რათა შემდგომში განახორციელონ ინვესტიციები.


**შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები**, მიუხედავად იმისა, რომ არ არიან ორიენტირებული მოგებაზე, ასევე არიან ბაზრის მონაწილეები, რადგანაც ეწევიან მომსახურებას შინამეურნეობებისათვის და ამდენად, მონაწილეობას იღებენ მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში.

და ბოლოს, „**დანარჩენი სამყარო**“, როგორც არარეზიდენტების ერთობლიობა, რომლებიც ჩართულნი არიან ეკონომიკურ ოპერაციებში მოცემული ქვეყნის რეზიდენტებთან. საგარეო სექტორი აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას, რომლის ნაწილსაც აწვდის მოცემულ ქვეყანას, ახორციელებს ინვესტიციებს და პირიქით - ამასვე აკეთებს მოცემული ქვეყანა საზღვარგარეთთან მიმართებაში.

ამდენად, ბაზრის მოთამაშეები, ანუ ეკონომიკური აგენტები (ერთეულები), ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, მუდმივ მოქმედებაში არიან და ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე (იხ. სქემა 1.1). ამგვარად, სახეზეა ეკონომიკური წრებრუნვის მუდმივი და განახლებადი პროცესი, რომელიც მუდმივ დაკვირვებასა და შესწავლას მოითხოვს. უფრო მეტიც: იმ გადაწყვეტილებების მისაღებად, რასაც ახორციელებენ ზემოთ ჩამოთვლილი სექტორები, მათ სჭირდებათ სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაცია, რათა მათი მოქმედებები იყოს გონივრული და დასაბუთებული. სწორედ ამ საქმეს ემსახურება მაკროეკონომიკური სტატისტიკა, რაც

სტატისტიკის ყველა სხვა მიმართულებს, მათ შორის საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის, მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.

**სქემა 1.1. ეკონომიკური წრებრუნვა**



ამდენად, ეკონომიკის მრავალფეროვნება სტატისტიკისაგან მოითხოვს ზედმიწევნით კომპლექსურ და ამავე დროს დეტალურ მაკროეკონომიკურ სურათს, რომელიც სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების გარანტია იქნება. ამის მიღწევა კი მოითხოვს სტატისტიკის როგორც დარგის სპეციალიზაციას ბაზრის ძირითადი მოთამაშეების თავისებურებების გათვალისწინებით.

ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური სამსახურების სპეციალისტთა მიერ შემუშავებულია ოთხი მაკროეკონომიკური სტატისტიკა სისტემა, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ყოვლისმომცველ მეთოდოლოგიურ საფუძველს. ეს მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემებია:


- ეროვნულ ანგარიშთა სისტემა;
- საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა;
- მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა;
- სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა.

თუმცა, ამ სისტემების არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ სტატისტიკის, როგორც მეცნიერების განვითარება მხოლოდ ამ ოთხი მიმართულებითაა შემოსაზღვრული. საზოგადოების

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ჩნდება ახალი ეკონომიკური გამოწვევები, რომლებიც ასევე მოითხოვენ სტატისტიკურ შესწავლასა და ანალიზს. ასეთი გამოწვევების თვალსაჩინო მაგალითია გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან გახშირებულ ფინანსური, საბანკო და სავალუტო კრიზისები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური რყევები, რომელთა მსგავსი მოვლენების თავიდან აცილება დაკავშირებულ პროცესებზე სისტემატურ დაკვირვებასა და ადრეულ სტადიაზე გამოვლენის აუცილებლობას წარმოშობს. სტატისტიკის სპეციალისტთა პასუხი ამ რეალობაზე იყო ის, რომ ჩაისახა და განვითარდა სტატისტიკის ახალი მიმართულება ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების სტატისტიკის სახით, რაც არსებულ მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებთან ერთად უფრო ღრმად და არსებითად სწავლობს ფინანსური სექტორისა და მისი კლიენტი სექტორების (არაფინანსური კორპორაციები, შინამეურნეობები, ფინანსური და კაპიტალის ბაზრები) ფინანსურ სიჯანსაღეს.

ქვემოთ წარმოდგენილი სქემა 1.2 თვალსაჩინოდ აღწერს მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების შესწავლის სფეროებს, როგორც ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით, ისე საზღვარგარეთთან მიმართებაში.

სქემა 1.2. მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები და მათი კვლევების არეალი



ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული თითოეული ზემოთ აღნიშნული მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემის არსი საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის კონტექსტში, მოქმედების არეალი, დანიშნულება, მაჩვენებელთა სისტემა, გამოყენების სფეროები და ერთმანეთთან კავშირურთიერთობები.

## 1.2. მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები, როგორც საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიური საფუძველი

რას მოიცავს მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების შესწავლის სფერო?

რეალურ ეკონომიკაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და მათ მონაწილეებს: ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად მოიხმარენ სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც თვითონ არ ქმნიან; მეორე მხრივ, თითოეულ მათგანს აქვს ცოდნა, გამოცდილება, ჩვევები, ნიჭი და სხვა საწარმოო რესურსები, რომელთა გაყიდვითაც ისინი იღებენ შემოსავალს, რასაც ხარჯავენ მათთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შეძენაზე; ეკონომიკური პროცესების მონაწილეა მთავრობა, რომელსაც თავისი ფუნქციების განსახორციელებლად ესაჭიროება ფინანსური რესურსები, რასაც იღებს გადასახადების სახით. მას აგრეთვე ესაჭიროება საქონელი და მომსახურება სამთავრობო მოხმარებისათვის, რასაც ასევე იძენს მათი მწარმოებლებისაგან, და საწარმოო რესურსები, რასაც იძენს მოსახლეობისაგან (შინამეურნეობებისაგან). აღნიშნული ეკონომიკური პროცესების შემადგენელი ნაწილია ასევე ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან ურთიერთქმედება, ანუ ის ეკონომიკური ოპერაციები, რომლებსაც ადგილი აქვთ რეზიდენტ ეკონომიკურ ერთეულებსა და არარეზიდენტ ეკონომიკურ ერთეულებს შორის საქონლის, მომსახურების, შემოსავლების, კაპიტალის ურთიერთგაცვლის პროცესში.

ამდენად, მაკროეკონომიკური სტატისტიკა შეისწავლის წარმოების პროცესში ეკონომიკურ ერთეულებს შორის გაცვლის ოპერაციების ერთობლიობას და ამ ერთეულთა ეკონომიკურ ქცევას, რომელთა მუდმივად განმეორებადი პროცესის, ანუ წრებრუნვის შედეგია **მთლიანი შიდა პროდუქტი**. იმისათვის, რომ თავი გაართვას ამ ამოცანას, სტატისტიკამ უამრავ კითხვას უნდა უპასუხოს. თუმცა, ამ კითხვების ლოგიკური ოპტიმიზაციით იგი აყალიბებს უნივერსალურ წესს, თუ როგორ მიიღოს საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია არა მარტო მთლიანი შიდა პროდუქტის დასათვლელად, არამედ ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის სრულყოფილი მაკროეკონომიკური სტატისტიკური მოდელის შესაქმნელად.

როგორ ჟღერს ეს უნივერსალური კითხვა?

**ვინ - რას აკეთებს - ვისთან ერთად - რის სანაცვლოდ - რა ხერხით - რა მიზნით - რა ცვლილებების ხარჯზე?**



ამ კითხვის არსის თვალსაჩინოებისთვის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიაში მოცემული მაგალითი გამოვიყენოთ<sup>1</sup>:

ვთქვათ პურის მცხობელი (*ვინ?*) ყიდის პურს (*რას აკეთებს?*). ამ ოპერაციის სრულად დასახასიათებლად გვჭირდება დავადგინოთ, თუ ვისზე (*ვისთან ერთად?*) ყიდის იგი პურს და რას იღებს იგი (მაგალითად, ფულს; შესაძლოა განხორციელებულიყო ბარტერი) მასში (*რის სანაცვლოდ?*).

თუმცა, სანამ პურის მცხობელი პურს გაყიდის, ის აცხობს პურს, იყენებს რა ფქვილს, მოწყობილობებს და ა.შ. ანუ იგი პურს იღებს წარმოების გზით (*რა ხერხით?*). ამ საქმიანობისას მას ამოძრავებს შემოსავლის მიღების სურვილი (*რა მიზნით?*).

პურის გაყიდვის შემდეგ, მცხობელს პურის მარაგი შეუმცირდა (*რა ცვლილებების ხარჯზე?*), მაგრამ გაეზარდა ფულის რაოდენობა.

იგივე მაგალითი შეიძლება განვიხილოთ მყიდველის პოზიციიდან.

პრაქტიკაში ჩვენ გვჭირდება კიდევ მეტი კითხვების დასმა, რათა ამოვწუროთ ინფორმაცია შესასწავლი ობიექტის შესახებ. მაგალითად, როდის განხორციელდა ეს ოპერაცია - *რომელი ვალუტით - რომელ დარგს ან/და ინსტიტუციურ სექტორს მიეკუთვნება ეს კონკრეტული საქმიანობა - რომელია მონაწილე მხარეების რეზიდენტობის ქვეყანა* და ა.შ.

სტატისტიკის თანამედროვე მეთოდოლოგია და პრაქტიკა გვთავაზობს შესასწავლი საკითხებისადმი ასეთ თანმიმდევრულად გააზრებულ მიდგომას, რაც საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ამა თუ იმ მოვლენის შესახებ მივიღოთ უამრავი ინფორმაცია, სისტემატიზებული და სტანდარტიზებული, ამ სფეროში აღიარებული საერთაშორისო ნორმების მიხედვით.

სანამ უშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების შესწავლაზე გადავალთ, საჭიროა გავიგოთ, თუ რატომაა მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობრივი შესწავლა ასე მნიშვნელოვანი, რას ემსახურება მისი ფორმირებისა და გამოყენების რთული პროცესების ესოდენ დეტალური აღწერა და ანალიზი, რომელ ეკონომიკურ ერთეულს რა როლი აქვს მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნასა და გამოყენებაში.

ტერმინი “მთლიანი შიდა პროდუქტი” ერთ-ერთი ხშირად ხმარებადი ტერმინია ახალ ამბებში, ეკონომიკურ ფორუმებზე, მთავრობისა და სხვადასხვა ეკონომიკური უწყებების ანგარიშებში, საქმიან საზოგადოებებში, საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებში. ამის მიზეზი ის არის, რომ იგი ადამიანთა საზოგადოების საქმიანობის საბოლოო შედეგების ყველაზე უფრო განმაზოგადებელი მაჩვენებელია.

---

<sup>1</sup> The System of National Accounts, 2008 (2008 SNA). European Communitities, International Monetary Fund, Organization Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank. 2009. pp.15-17.

მთლიანი შიდა პროდუქტი ამა თუ იმ ეკონომიკის სიდიდის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინდიკატორია, ხოლო მისგან მიღებული მაჩვენებელი - მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე - ფართოდ გამოიყენება ცხოვრების სტანდარტების საერთაშორისო შედარებისათვის.

ამდენად, რადგანაც მთლიანი შიდა პროდუქტი, ერთი მხრივ, ესოდენ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, ხოლო მეორე მხრივ, მისი ფორმირება არაერთი თანმიმდევრული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი მოვლენისა და პროცესის შედეგია, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ფოკუსირებულია სწორედ ამ მოვლენებისა და პროცესების ასევე თანმიმდევრულ და მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთქმედების აღწერასა და რაოდენობრივ შესწავლაზე, სათანადო მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე და ამ გზით მთლიანი შიდა პროდუქტის დეტალურ გაანგარიშებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს გარკვეული ეკონომიკური ანგარიშების ლოგიკურ ერთობლიობას, რომელთა საშუალებითაც ნაბიჯ-ნაბიჯ, დეტალურად ხდება ეკონომიკური წრებრუნვის რაოდენობრივი აღწერა და მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება.

მაკროეკონომიკის ქვაკუთხედია რეალური სექტორი. იგი წარმოადგენს რეალური ეკონომიკური ოპერაციების ერთობლიობას, რომლებიც ხორციელდება ეკონომიკაში და რომელთა შედეგია მთლიანი შიდა პროდუქტი. რეალური სექტორში მიმდინარე ეკონომიკური აქტივობა განსაზღვრავს, თუ რამდენი უნდა მოიხმარონ შინამეურნეობებმა, რა მოცულობის ინვესტიციები უნდა განახორციელონ საწარმოებმა, რა რაოდენობის საქონლისა და მომსახურების წარმოება შეუძლია მთავრობას მიღებული გადასახადების შედეგად, რამდენი საქონლისა და მომსახურების ექსპორტირება შეუძლია ქვეყანას და რამდენის იმპორტირება სჭირდება თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; რეალური სექტორის მდგომარეობა განსაზღვრავს, თუ როგორი ფასები ჩამოყალიბდება ბაზარზე და ა.შ.

რეალური სექტორის მდგომარეობა განსაზღვრავს მთავრობის შემოსავლებსაც. რაც უფრო კარგად ვითარდება რეალური სექტორი, მით მეტი შემოსავლები აქვთ ადამიანებსა და საწარმოებს, ე.ი. გადასახადის გადამხდელებს. აქედან გამომდინარე, მეტი ფინანსები გააჩნია მთავრობას საჯარო საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და შეთავაზებისათვის.

რეალური სექტორის მდგომარეობაზე ბევრადაა დამოკიდებული მონეტარული სექტორი. კერძოდ, იგი განსაზღვრავს ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდეს. და პირიქით: ფულის მიწოდების სიდიდე განსაზღვრავს რეალური სექტორის განვითარების დონეს.

ამდენად, მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების შესწავლის სფეროებია:

1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: ეროვნული ეკონომიკა მთლიანად, რეალური ოპერაციების ნაწილში;

2. საგადასახდელო ბალანსი და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა - საგარეო სექტორი, ანუ ეროვნული ეკონომიკის საგარეო ეკონომიკური ოპერაციები არარეზიდენტებთან და საგარეო აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობა;
3. მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა:
  - მონეტარული სტატისტიკა: ეროვნული ეკონომიკის ფინანსური სექტორის ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები და ნაკადები;
  - ფინანსური სტატისტიკა: ეროვნული ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები და ნაკადები, ანუ ეკონომიკა მთლიანად ფინანსური ოპერაციების ნაწილში;
4. სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა: სამთავრობო (საჯარო) სექტორის ფინანსები, მისი შემოსავლები და ხარჯები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის რაოდენობრივი შესწავლის თვალსაზრისით ოთხივე მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემა მნიშვნელოვანია. თუმცა, მთავართა შორის უმთავრესი ეროვნულ ანგარიშთა სისტემაა, რომელიც ადგენს იმ კონცეფციებს, კლასიფიკაციებს, მიდგომებსა და ხედვებს, რომლებსაც ეფუძნებიან და იყენებენ დანარჩენი მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები ეკონომიკის კონკრეტული სექტორების ფარგლებში ეკონომიკური საქმიანობის დეტალური აღწერისა და შესწავლის პროცესში. *ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში რეალიზებულია ეკონომიკის კომპლექსური ხედვა, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ეკონომიკის ფუნქციონირების საბოლოო პროდუქტი - მთლიანი შიდა პროდუქტი განიხილება, როგორც რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების საქმიანობის საბოლოო შედეგი.* იგი შეისწავლის ეკონომიკის ფუნქციონირების ყველა სფეროს. თუმცა, ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკა იმდენად ღრმა და მრავალწახნაგოვანია, რომ მისი დეტალური შესწავლა ერთი სტატისტიკური დისციპლინის ფარგლებში შეუძლებელია. ამიტომაც მისი სპეციფიკური მიმართულებების სიღრმისეული შესწავლისათვის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ბაზაზე აღმოცენდა დანარჩენი მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემები - საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა, მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა და სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა.

მსოფლიო საზოგადოებრიობამ დიდი ხანია აღიარა, რომ სტატისტიკა არის არსებითი ინსტრუმენტი ეკონომიკების მდგრადი განვითარებისათვის, მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების შეთანხმებულად წარმართვისათვის, გლობალიზაციის პროცესების მონიტორინგისა და დაკავშირებული რისკების სწორი შეფასებისათვის. ამიტომაც საერთაშორისო დონეზე მხარდაჭერილი და აღიარებულია დღეისათვის მოქმედი სტატისტიკური მეთოდოლოგიები, რომელთა მეცნიერულ დასაბუთებულობასა და გამჭვირვალობაზე ზრუნავენ საერთაშორისო ორგანიზაციები. გარდა ამისა, ეს ორგანიზაციები ზრუნავენ აღნიშნული მეთოდოლოგიების მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. პირველ რიგში, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ამ სახელმძღვანელოების თარგმნას საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა სამუშაო ენაზე და ინტერნეტით გავრცელებას. გარდა ამისა, ეწყობა სემინარები, სამუშაო შეხვედრები და სხვა

ფორმატის ღონისძიებები სახელმძღვანელოების პრეზენტაციის მიზნით, გამოიყენება ტექნიკური დახმარების სხვადასხვა ფორმები ბენეფიციარი ქვეყნების სტატისტიკურ პრაქტიკაში მათი დანერგვის ხელშეწყობისათვის. მიუხედავად სტატისტიკური მეთოდოლოგიების სტანდარტიზაციისა და ჰარმონიზაციისა, საერთაშორისო ორგანიზაციები არ აწესებენ სტანდარტულ პრიორიტეტებსა და პროცედურებს მონაცემთა შეგროვების პროცესში გამოსაყენებლად, რამდენადაც თითოეული ქვეყნის ეკონომიკური პირობები, ინსტიტუციური მოწყობა, ინფორმაციის შეგროვების ტრადიციები და ტექნიკა განსხვავებულია. ისინი თვითონ ირჩევენ მონაცემთა მოპოვების ხერხებსა და მეთოდებს სათანადო სტატისტიკური მიმართულებების ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნებისათვის. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციები ყოველთვის მზად არიან ხელმისაწვდომი გახადონ საერთაშორისო დონეზე საუკეთესო სტატისტიკური პრაქტიკის მაგალითები, რათა ქვეყნებმა შეძლონ მათი გაცნობა და ადაპტირება.

მომდევნო თემები სწორედ თითოეული მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემის არსისა და მაჩვენებელთა სისტემის შესწავლას დაეთმობა, რათა გაცნობიერებულ იქნას საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის ძირითადი მიმართულებების რაობა, მეთოდოლოგიური საფუძვლები, მაჩვენებელთა სისტემების შინაარსი და მათი საერთაშორისო შესადარისობის არსი; განხილულ იქნება აგრეთვე სტატისტიკურ მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტები და მათი დაცვის მნიშვნელობა საერთაშორისო ბიზნეს-საქმიანობის კვალიფიციურად წარმართვისათვის.

### 1.3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პრინციპები

სტატისტიკის თანამედროვე მომხმარებელი - ბიზნეს წარმომადგენლები, აკადემიური წრეები, სამთავრობო და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლები, რიგითი მოქალაქეები საკმაოდ მომთხოვნები და კრიტიკულები არიან სტატისტიკური მონაცემების მიმართ. ეს სავსებით გასაგებია: მათ სურთ, რომ მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო გზავნილებს იმის თაობაზე, თუ რამდენად სანდო და ობიექტურია გამოქვეყნებული ინფორმაცია, რამდენად ასახავს იგი რეალობას, რამდენად შესადარისია იგი საერთაშორისო დონეზე. სწორედ ამ პირობების მიღწევისა და დაკმაყოფილების სურვილით ხელმძღვანელობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, როცა თავიანთ საქმიანობაში მნიშვნელოვან ძალისხმევას ხარჯავენ სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპების შემუშავებაზე და რეკომენდაციას აძლევენ მსოფლიო ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებს იხელმძღვანელონ ამ პრინციპებით და მიდგომებით თავიანთ საქმიანობაში. გარდა იმისა, რომ ასეთი პრინციპების დაცვა თითოეული სტატისტიკური სამსახურის ღირსების საქმეა, მისი ცოდნა ეხმარება სტატისტიკის მომხმარებელს მოლოდინების ფორმირებაში ამა თუ იმ სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე, თავისი მოთხოვნების სწორად ჩამოყალიბებაში სტატისტიკური მონაცემების მიმართ, თავისი უფლებების გაცნობიერებაში სტატისტიკურ ინფორმაციაზე წვდომის თვალსაზრისით.



ზემოაღნიშნულის თვალსაჩინო დადასტურებაა 1994 წელს გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ “ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ”<sup>2</sup> დეკლარაციის მიღება, რომელიც იძლევა ძირითად მიმართულებებს ეროვნული სტატისტიკური სისტემების კანონმდებლობისა და შესაბამისი ინსტიტუტების ქცევის წესების თაობაზე. მიუხედავად ამ დოკუმენტის მცირე მოცულობისა, იგი იმდენად ღრმაშინაარსიანი და ყოვლისმომცველია, რომ შეუძლებელია მისი თითოეული პუნქტის ზედმიწევნით შესრულება, მათდამი გააზრებული და შემოქმედებითი მიდგომა არ იყოს მაღალი ხარისხის სტატისტიკის მყარი გარანტია.

## **ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები**

### **პრინციპი 1: მნიშვნელობა, ობიექტურობა და ხელმისაწვდომობა**

„ოფიციალური სტატისტიკა წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ინფორმაციული სისტემის აუცილებელ ელემენტს, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობას, ეკონომიკურ წრეებს და საზოგადოებას ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და ეკოლოგიური მდგომარეობის ამსახველი მონაცემებით. ამ მიზნით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, აქვთ რა პრაქტიკული ღირებულება, იწარმოება და ვრცელდება ობიექტურად სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების მიერ, საზოგადოებრივ ინფორმაციაზე მოქალაქეთა უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით.“

### **პრინციპი 2: პროფესიული სტანდარტები და ეთიკა**

„ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის შენარჩუნების მიზნით სტატისტიკურმა სამსახურებმა, მკაცრი პროფესიული მოსაზრებების შესაბამისად, მეცნიერული პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის ჩათვლით, უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და წარდგენის მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებით.“

### **პრინციპი 3: ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა**

„სტატისტიკური მონაცემების სწორი ინტერპრეტაციის გაადვილების მიზნით სტატისტიკურმა სამსახურებმა ინფორმაცია უნდა წარადგინონ სტატისტიკის სფეროში წყაროების, მეთოდებისა და პროცედურების სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისად.“

### **პრინციპი 4: არასწორი გამოყენების თავიდან აცილება**

„სტატისტიკური სამსახურები უფლებამოსილნი არიან კომენტარი გააკეთონ სტატისტიკური მონაცემების არასწორი ინტერპრეტაციის ან არასწორი გამოყენების შემთხვევაში.“

---

<sup>2</sup> <https://unstats.un.org/unsd/dnss/gp/FP-Rev2013-E.pdf>

### **პრინციპი 5: ოფიციალური სტატისტიკის წყაროები**

„მონაცემები სტატისტიკური მიზნებისათვის შესაძლოა მოპოვებულ იქნეს ყველა წყაროდან, იქნება ეს სტატისტიკური დაკვირვება თუ ადმინისტრაციული ანგარიშგება. სტატისტიკურმა სამსახურებმა ინფორმაციის წყარო უნდა აირჩიონ ხარისხის, დროულობის, რესპონდენტის დანახარჯებისა და დატვირთვის გათვალისწინებით.“

### **პრინციპი 6: კონფიდენციალობა**

„სტატისტიკური ინფორმაციის მომზადების მიზნით სტატისტიკური სამსახურების მიერ მოპოვებული პირადი მონაცემები, მიუხედავად იმისა, ეხება იგი ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, უნდა ატარებდეს მკაცრად კონფიდენციალურ ხასიათს და გამოიყენებოდეს მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის.“

### **პრინციპი 7: კანონმდებლობა**

„კანონები, ნორმები და ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს სტატისტიკური სისტემა, უნდა იყოს საჯარო.“

### **პრინციპი 8: ეროვნული კოორდინაცია**

„სტატისტიკური სისტემის შეთანხმებული და ეფექტური ფუნქციონირების მიზნით აუცილებელია სტატისტიკური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ქვეყნების დონეზე.“

### **პრინციპი 9: საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება**

„თითოეული ქვეყნის სტატისტიკური სამსახურის მიერ საერთაშორისო კონცეფციების, კლასიფიკაციებისა და მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს ყველა ოფიციალურ დონეზე სტატისტიკური სისტემების შესაბამისობასა და ეფექტიანობას.“

### **პრინციპი 10: საერთაშორისო თანამშრომლობა**

„სტატისტიკის სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს ყველა ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკური სისტემის გაუმჯობესებას.“

თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობა სტატისტიკური საქმიანობის გაუმჯობესების მიმართულებით მარტო ამ „პრინციპებით“ არ ამოიწურება. ეკონომიკის, ეკოლოგიისა და სოციალური მდგომარეობის მდგრადი განვითარებისათვის სტატისტიკის უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით და ზემოაღნიშნული „პრინციპების“ დებულებების გათვალისწინებით, გაეროს სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაციის კომიტეტმა 2005 წლის 14 სექტემბრის

შეხვედრაზე მოიწონა მის მიერ შემუშავებული “საერთაშორისო სტატისტიკური აქტივობის სახელმძღვანელო პრინციპები”, რომლებიც მოწოდებულია კიდევ უფრო განამტკიცოს და განავითაროს საერთაშორისო სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში, რომლებიც ქვემოთ არის მოტანილი, გარდა თვით სახელმძღვანელო პრინციპებისა, მოტანილია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, თუ რას ნიშნავს და რაში გამოიხატება კონკრეტული პრინციპის რეალიზება.

## საერთაშორისო სტატისტიკური აქტივობის სახელმძღვანელო პრინციპები

1. მაღალი ხარისხის საერთაშორისო სტატისტიკა, ყველასათვის ხელმისაწვდომი, წარმოადგენს გლობალური ინფორმაციული სისტემის ფუნდამენტურ შემადგენელ ნაწილს

### კარგი პრაქტიკა გულისხმობს:

- რეგულარულ კონსულტაციებს მთავარ მომხმარებლებთან შესაბამისი ორგანიზაციების როგორც შიგნით, ისე გარეთ, რათა გაირკვეს, რამდენად არის მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებული;
- სტატისტიკური პროგრამების პერიოდული გადახედვას, მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- ობიექტურობაზე დაფუძნებული საერთაშორისო სტატისტიკის შედგენას და გავრცელებას;
- სტატისტიკაზე თანაბარი წვდომის შეთავაზებას ყველა მომხმარებლისათვის;
- სტატისტიკის მთავარ მიმართულებებზე თავისუფალი საჯარო წვდომის უზრუნველყოფას.

2. საერთაშორისო სტატისტიკისადმი ნდობის უზრუნველსაყოფად, მისი წარმოება უნდა იყოს ობიექტური და მყარად დაფუძნებული უმაღლეს პროფესიულ სტანდარტებზე

### კარგი პრაქტიკა გულისხმობს:

- მკაცრი პროფესიული მოსაზრებების გამოყენებას მეთოდოლოგიის, ტერმინოლოგიისა და მონაცემთა წარდგენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;
- პროფესიული ქცევის კოდექსის განვითარებასა და გამოყენებას;
- სტატისტიკურ პუბლიკაციებში მკაფიო საზღვრის გავლენას, ერთი მხრივ, სტატისტიკურ და ანალიტიკურ განმარტებებს შორის, და მეორე მხრივ, პოლიტიკურ-დირექტიულ და მხარდამჭერ განმარტებებს შორის.

3. საზოგადოებას უფლება აქვს ინფორმირებული იყოს ორგანიზაციების სტატისტიკური უფლებამოსილების თაობაზე

**კარგი პრაქტიკა გულისხმობს:**

- სტატისტიკური სამუშაოების შესახებ გადაწყვეტილებებზე საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- სტატისტიკური შეხვედრების შესახებ დოკუმენტებისა და ანგარიშების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

4. ცნებები, განმარტებები, კლასიფიკაციები, წყაროები, მეთოდები და პროცედურები, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო სტატისტიკის წარმოებისას შერჩეულია პროფესიული და სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისად და გამჭვირვალეა მომხმარებელთათვის

**კარგი პრაქტიკა გულისხმობს:**

- მუდმივად სწრაფვას მეთოდოლოგიის სრულყოფისა და მართვისა და სტატისტიკის ხარისხისა და გამჭვირვალობის სისტემების გაუმჯობესებისაკენ;
  - თანამშრომელთა პროფესიული დონის ამაღლებას მათი საწვრთნელ კურსებზე დასწრების, ანალიტიკური საქმიანობის, სამეცნიერო ნამუშევრების გამოქვეყნებისა და სემინარებში და კონფერენციებში მონაწილეობის წახალისებით გზით;
  - ცნებების, განმარტებებისა და კლასიფიკაციების, ასევე მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავებისა და ხარისხის შეფასების გამოყენებული პროცედურების დოკუმენტირებას და ამ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობას;
  - მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მეთოდების დოკუმენტირებას, ქვეყნის მონაცემების კორექტირებისათვის გამოყენებული მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით;
  - საერთაშორისო სტატისტიკის გავრცელებისას ორიგინალური წყაროებისათვის პატივის მიგებას და ციტირების შეთანხმებული სტანდარტების გამოყენებას, როდესაც გავრცელებული სტატისტიკა თავდაპირველად სხვების მიერ არის მოპოვებული;
  - ოფიციალურად შეთანხმებული სტანდარტების საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.
5. მონაცემთა შეგროვების წყაროები და მეთოდები შერჩეულია დროულობისა და ხარისხის სხვა ასპექტების, ეკონომიურობისა და მონაცემთა მომწოდებლების საანგარიშგებო ტვირთის მინიმუმების გათვალისწინებით

**კარგი პრაქტიკა გულისხმობს:**

- ქვეყნების მიხედვით მონაცემთა წარდგენის ხელშეწყობას;
- სისტემატურ მუშაობას საერთაშორისო სტატისტიკის დროულობის გაუმჯობესებისათვის;
- სტატისტიკური პროგრამების პერიოდულ გადასინჯვას მონაცემთა მომწოდებლების საანგარიშგებო ტვირთის შემსუბუქების მიზნით;
- მოპოვებული ინფორმაციის გაზიარებას სხვა ორგანიზაციებისათვის და მონაცემთა ერთობლივად შეგროვებას, სადაც ეს შესაძლებელია;

- სტატისტიკური პროგრამების ინტეგრირებული წარდგენის ხელშეწყობას, მონაცემთა შეგროვების გეგმების ჩათვლით, და შესაბამისად, გამოტოვებებისა და დუბლირების მკაფიოდ წარმოჩენას;
- გარანტირებას იმისა, რომ ქვეყანაში მონაცემთა შეგროვებაში ეროვნული სტატისტიკური სამსახური და ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი სხვა ორგანიზაციების სათანადოდ არიან ჩართულები და საქმიანობენ *ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების* შესაბამისად.

6. **ბუნებრივი რესურსებისა და იურიდიული პირების შესახებ მოპოვებული ინდივიდუალური მონაცემები, ან მცირე მონაცემები, რომლებიც ექვემდებარება ეროვნული კონფიდენციალობის წესებით დაცვას, წარმოადგენს მკაცრად კონფიდენციალურად დაცვის საგანს და გამოყენებულ უნდა იქნას ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისათვის, ან კანონმდებლობით უფლებამოსილი მიზნებისათვის**

**კარგი პრაქტიკა გულისხმობს:**

- საფუძვლების შექმნას პირების, შინამეურნეობების, ბიზნესებისა და სხვა ინდივიდუალური რესპონდენტების შესახებ მონაცემთა პირდაპირი ან არაპირდაპირი გახმაურების თავიდან ასაცილებლად;
- მეთოდებისა და პროცედურების აღწერის ჩარჩოს განვითარებას ანონიმური მიკრო-მონაცემების მიწოდების მიზნით ჭეშმარიტი მკვლევარების მიერ შემდგომი ანალიზისათვის, კონფიდენციალობის მოთხოვნების დაცვით.

7. **სტატისტიკის არასწორი ინტერპრეტაცია და დამახინჯება დაუყოვნებლივ უნდა დაექვემდებაროს რეაგირებას**

**კარგი პრაქტიკა გულისხმობს:**

- პასუხის გაცემას სტატისტიკის არასწორ ინტერპრეტაციასა და დამახინჯებაზე;
- სტატისტიკის გამოყენების გაფართოებას მნიშვნელოვან მომხმარებელთა ჯგუფებისათვის საგანმანათლებლო მასალების განვითარების გზით.

8. **სტანდარტები ეროვნული და საერთაშორისო სტატისტიკისათვის უნდა განვითარდეს მტკიცე პროფესიული კრიტერიუმების საფუძველზე, პრაქტიკული გამოყენებადობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით**

**კარგი პრაქტიკა გულისხმობს:**

- ეროვნული სტატისტიკური სამსახურებისა და ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი სხვა ორგანიზაციების სისტემატურ ჩართულობას საერთაშორისო სტატისტიკური პროგრამების განვითარებაში, მეთოდების, სტანდარტებისა და საუკეთესო გამოცდილების განვითარებისა და გავრცელების ჩათვლით;

- უზრუნველყოფას იმისა, რომ ასეთი სტანდარტების შესახებ გადაწყვეტილებები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, და მიჩნეულია, რომ ეს ასე უნდა იყოს;
- რეკომენდაციის გაწევას ქვეყნებისათვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხების დანერგვასთან;
- შეთანხმებული სტანდარტების დანერგვის მონიტორინგს.

9. საერთაშორისო სტატისტიკური პროგრამების კოორდინაცია არსებითია საერთაშორისო სტატისტიკის ხარისხის, ერთიანობისა და ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად და სამუშაოთა დუბლირების თავიდან ასაცილებლად

**კარგი პრაქტიკა გულისხმობს:**

- ერთი ან მეტი სტატისტიკური ქვედანაყოფის გამოყოფას სტატისტიკური პროგრამების დანერგვისათვის, ერთი ქვედანაყოფის ჩათვლით, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ორგანიზაციის სტატისტიკური სამუშაოების კოორდინირებაზე და წარადგენს ორგანიზაციას საერთაშორისო სტატისტიკურ შეხვედრებზე;
- მონაწილეობას საერთაშორისო სტატისტიკურ შეხვედრებზე და ორმხრივ და მრავალმხრივ კონსულტაციებში, საჭიროების შემთხვევაში;
- სისტემატურ მუშაობას ზოგადი ცნებების, კლასიფიკაციების, სტანდარტებისა და მეთოდების შეთანხმებების მიმართულებით;
- სისტემატურ მუშაობას იმ შეთანხმების მიმართულებით, თუ რომელი მწკრივები იქნას მიჩნეული ოფიციალურად სტატისტიკის თითოეული მნიშვნელოვანი მწკრივიდან;
- ტექნიკური თანამშრომლობის საქმიანობის კოორდინირებას ქვეყნებთან დონორებსა და ეროვნული სტატისტიკური სისტემის სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის ძალისხმევის დუბლირების თავიდან ასაცილებლად და ურთიერთშევესებისა და ერთობლივი საქმიანობის წახალისების მიზნით.

10. სტატისტიკაში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს სტატისტიკოსთა პროფესიულ ზრდას და ორგანიზაციებსა და ქვეყანაში სტატისტიკის გაუმჯობესებას

**კარგი პრაქტიკა გულისხმობს:**

თანამშრომლობას და ცოდნის გაზიარებას სტატისტიკურ ორგანიზაციებს შორის და ქვეყნებთან და რეგიონებთან ეროვნული და რეგიონული სტატისტიკური სისტემების შემდგომი განვითარების მიზნით

- მომხმარებელთა მოთხოვნების თაობაზე თანამშრომლობის პროექტების დაფუძნებას, ძირითადი დაინტერესებული მხარეების სრული მონაწილეობის წახალისებას, სტატისტიკის განვითარების ადგილობრივი დონისა და მდგომარეობის გათვალისწინებით;
- მიმღები ეროვნული სტატისტიკური სისტემისა და მთავრობის უფლებამოსილებას ლიდერობის ხელში ასაღებად;

- ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების დანერგვის გარანტიას;
- თანამშრომლობის პროექტების ჩამოყალიბებას ოფიციალური სტატისტიკის ეროვნულ დონეზე განვითარების სტრატეგიული ჩარჩოების გონივრულ ფარგლებში.

ამდენად, როგორც აქ მოტანილი პრინციპებიდან ჩანს, საერთაშორისო ორგანიზაციები ძალისხმევას არ ზოგავენ იმისათვის, რათა ხელი შეუწყონ ქვეყნებს მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოების საქმეში. მათ ამ როლზე ჩვენ შემდგომში კიდევ შევჩერდებით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით და რომელიც ხაზს უსვამს მათ როლს სტატისტიკურ საქმიანობათა ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის სფეროში, არის „სტატისტიკური საქმიანობის კლასიფიკატორი“. მართალია სტატისტიკური კლასიფიკატორების თემას წინამდებარე სახელმძღვანელო შემდგომში ითვალისწინებს, თუმცა ამ კონტექსტში, რაზედაც აქ არის საუბარი, სწორედ უპრიანია „სტატისტიკური საქმიანობის კლასიფიკატორის“ გაცნობა, რომლის მიზანია რეკომენდაცია გაუწიოს ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკურ სამსახურებს სწორად მოახდინონ თავიანთი სტატისტიკური საქმიანობის კლასიფიცირება, რათა ამ საქმიანობის შედეგები იყოს შედარებადი საერთაშორისო დონეზე.

აღნიშნული კლასიფიკატორი შემოღებულ იქნა საერთაშორისო სტატისტიკური საქმიანობის სტანდარტიზაციისა და აღწერისათვის. იგი წარმოადგენს საფუძველს, რის მიხედვითაც ეროვნული და საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციები ახორციელებენ თავიანთ სტატისტიკურ საქმიანობას, აგრეთვე იგი წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემებისა და მეტამონაცემების გაცვლის (SDMX) სახელმძღვანელოსა და სხვა სტატისტიკური ინიციატივების ნაწილს.

აღნიშნული კლასიფიკაცია სამ დონიანია. პირველ დონეს ქმნის 5 ე.წ. დომენი (მიმართულება), რომლებიც ასახავს სტატისტიკური საქმიანობის ფართო არეალს. მე-2 დონე აკონკრეტებს საქმიანობებს თითოეული დომენის შიგნით, ხოლო მე-3 - უფრო დეტალურად აღწერს შესასწავლ სფეროს, თუმცა გამოიყენება აუცილებლობის შემთხვევაში.

1-3 დომენები დაკავშირებულია საქმიანობების კონკრეტულ საგნობრივ სახეობებთან და მეთოდოლოგიურ სამუშაოებთან, ისეთებთან, როგორებიცაა სტანდარტების განვითარება და გადახედვა, ტექნიკურ თანამშრომლობასთან და ტრენინგებთან. ეს საკითხები კონკრეტული სტატისტიკური პროდუქტების გამოშვებასთან ასოცირდება. 4-5 დომენები მოიცავს გამჭოლ საკითხებს, რომლებიც კონკრეტული სტატისტიკური პროდუქტების გამოშვებას კი არ უკავშირდება, არამედ სტატისტიკურ პროცესებზე, ორგანიზაციაზე, კოორდინაციაზე, ინფორმაციულ სისტემებზე და მსგავს თემებზე.

ქვემოთ მოტანილია სტატისტიკური საქმიანობის კლასიფიკაცია (CSA REV.1 – October 2009)<sup>3</sup>.

## **დომენი 1: დემოგრაფია და სოციალური სტატისტიკა**

- 1.1. მოსახლეობა და მიგრაცია
- 1.2. სამუშაო ძალა
- 1.3. განათლება
- 1.4. ჯანმრთელობა
- 1.5. შემოსავლები და მოხმარება
- 1.6. სოციალური დაცვა
- 1.7. დასახლებული პუნქტები და საცხოვრისები
- 1.8. სამართალდაცვა და დანაშაულები
- 1.9. კულტურა
- 1.10. პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობები
- 1.11. დროის გამოყენება

## **დომენი 2: ეკონომიკური სტატისტიკა**

- 2.1. მაკროეკონომიკური სტატისტიკა
- 2.2. ეკონომიკური ანგარიშები
- 2.3. ბიზნეს სტატისტიკა
- 2.4. სექტორული სტატისტიკები
  - 2.4.1. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა
  - 2.4.2. ენერჯია
  - 2.4.3. მოპოვება, წარმოება, მშენებლობა
  - 2.4.4. ტრანსპორტი
  - 2.4.5. ტურიზმი
  - 2.4.6. ბანკები, დაზღვევა, ფინანსური სტატისტიკა
- 2.5. სამთავრობო ფინანსები, ფისკალური და საჯარო სექტორის სტატისტიკა
- 2.6. საერთაშორისო ვაჭრობა და საგადასახდელო ბალანსი
- 2.7. ფასები
- 2.8. შრომის დანახარჯები
- 2.9. მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები

## **დომენი 3: გარემოს და სხვა დარგობრივი სტატისტიკები**

- 3.1. გარემოს დაცვა
- 3.2. რეგიონალური და მცირე სივრცეების სტატისტიკა
- 3.3. მრავალ-დარგობრივი სტატისტიკები და ინდიკატორები

---

<sup>3</sup> [http://ec.europa.eu/eurostat/ramon/other\\_documents/csa/csa\\_rev\\_1\\_october\\_2009.pdf](http://ec.europa.eu/eurostat/ramon/other_documents/csa/csa_rev_1_october_2009.pdf)



- 3.3.1. საარსებო პირობები, სიღარიბე და გამჭოლი სოციალური საკითხები
- 3.3.2. გენდერი და მოსახლეობის სპეციალური ჯგუფები
- 3.3.3. ინფორმაციული საზოგადოება
- 3.3.4. გლობალიზაცია
- 3.3.5. ათასწლეულის განვითარების მიზნების ინდიკატორები
- 3.3.6. მდგრადი განვითარება
- 3.3.7. მეწარმეობა
- 3.4. წელიწდეულები და მსგავსი კრებულები

**დომენი 4: მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, გავრცელებისა და ანალიზის მეთოდოლოგია**

- 4.1. მეტამონაცემები
- 4.2. კლასიფიკაციები
- 4.3. მონაცემთა წყაროები
  - 4.3.1. მოსახლეობისა და საცხოვრისის აღწერები; მოსახლეობის, საცხოვრისებისა და შენობების რეესტრები
  - 4.3.2. ბიზნესისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერები და რეესტრები
  - 4.3.3. შინამეურნეობების კვლევები
  - 4.3.4. ბიზნესისა და სასოფლო-სამეურნეო გამოკვლევები
  - 4.3.5. სხვა ადმინისტრაციული წყაროები
- 4.4. მონაცემთა რედაქტირება და დაკავშირება
- 4.5. გავრცელება, მონაცემთა შენახვა
- 4.6. სტატისტიკური კონფიდენციალობა და ინფორმაციის გამჟღავნების დაცვა
- 4.7. მონაცემთა ანალიზი

**დომენი 5: ოფიციალური სტატისტიკის სტრატეგიული და მმართველობითი საკითხები**

- 5.1. ინსტიტუციური ჩარჩოები და პრინციპები; ოფიციალური სტატისტიკის როლი და ორგანიზაცია
- 5.2. სტატისტიკური პროგრამები; სტატისტიკურ სისტემებს შორის კოორდინაცია
- 5.3. ხარისხის ჩარჩოები და სტატისტიკური სისტემებისა და ოფისების მდგომარეობის შეფასება
- 5.4. ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება
- 5.5. ტექნოლოგიური რესურსების (მონაცემთა ელექტრონული გაცვლისა და გაზიარების სტანდარტების ჩათვლით) მართვა და განვითარება
- 5.6. საერთაშორისო სტატისტიკური სამუშაოების კოორდინაცია
- 5.7. ტექნიკური თანამშრომლობა და შესაძლებლობების ზრდა

სტატისტიკური საქმიანობის კლასიფიკატორი თავდაპირველად საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური საქმიანობის კლასიფიცირების მიზნებისათვის შეიქმნა, თუმცა შემდეგ გაფართოვდა და მოიცვა ტექნიკური დახმარების, სტანდარტების,

მონაცემების და მეტამონაცემების გაცვლის საკითხებიც. იგი, 2005 წლის ოქტომბერში, ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის ბიუროზე იქნა მიღებული, რომელიც მცირე შესწორებების შემდეგ, მის მფლობელობაში გადავიდა 2009 წლის ოქტომბერში (CSA REV. 1)<sup>4</sup>.

კონკრეტულად რა სამუშაოების მოიცავს სტატისტიკური საქმიანობის კლასიფიკატორის თითოეული დონე? ამის შესახებ მოცემულია სპეციალურ განმარტებებში, რომელიც აღნიშნული კლასიფიკატორის დანართშია ასახული.

## 1. დემოგრაფია და სოციალური სტატისტიკა

1.1. **მოსახლეობა და მიგრაცია** - მოიცავს მოსახლეობის და დემოგრაფიულ სტატისტიკას, მოსახლეობის სტრუქტურას და ზრდას, დაბადება-გარდაცვალებას და სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხებს, ოჯახებსა და შინამეურნეობებს, ოჯახების სიდიდეს, ქორწინება-განქორწინებას, მიგრაციას, დევნილებს და თავშესაფრის მაძიებლებს. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს გარდაცვალების მიზეზებს (1.4).

1.2. **სამუშაო ძალა** - მოიცავს სამუშაო ძალის სტატისტიკას, შრომის ბაზარს, დასაქმებას და უმუშევრობას, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, სამუშაო ძალის მდგომარეობას, სამუშაოს ჯანმრთელ და უსაფრთხო გარემოს (უბედურ შემთხვევებს, ტრავმებს და დაავადებებს, სამუშაოსთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის პრობლემებს), სამუშაო დროს და სამუშაო პირობებს, გაფიცვების სტატისტიკას, ვაკანსიებს, სამუშაო ადგილების შექმნის სტატისტიკას. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: მიგრანტ მუშაკებს (1.1), უმუშევრობის დაზღვევას და შემწეობას (1.6), სავაჭრო კავშირის წევრობას (1.10), აუნაზღაურებელ შრომას (1.11), შემოსავლებისა და ხელფასის სტატისტიკას (2.8), შრომით დანახარჯებს (2.8).

1.3. **განათლება** - მოიცავს წიგნიერების საკითხებს, საგანმანათლებლო ინსტიტუტებს და სისტემებს, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს განათლების სისტემაში, სიცოცხლის განმავლობაში სწავლებას, პროფესიულ სწავლებას და მოზრდილთა გადამზადებას, განათლების გავლენას, სტუდენტთა დონის შეფასებას და ა.შ.

1.4. **ჯანმრთელობა** - მოიცავს ჯანმრთელობასა და მოკვდაობასთან დაკავშირებული საქმიანობის სტატისტიკას, საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სიცოცხლის ხანგრძლივობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ჯანდაცვასა და უსაფრთხოებასთან, ჯანმრთელობის განმსაზღვრელ ინდიკატორებთან (ცხოვრების სტილი, კვება, მოწევა, ალკოჰოლზე დამოკიდებულება), ჯანდაცვის რესურსები და ხარჯები, ჯანდაცვის სისტემები, დაავადებები და მოკვდაობა (ბავშვთა მოკვდაობის ჩათვლით), საავადმყოფოები, ავადმყოფობისა და გარდაცვალების მიზეზები, სპეციფიკური დაავადებები (მაგალითად, შიდსი), უნარშეზღუდულობა, ფარმაცევტული საშუალებების მოხმარება და მათი გაყიდვები, ჯანდაცვის პერსონალი, მათი ანაზღაურება, გარემოს სიჯანსაღე, ჯანდაცვის უზარისხოება,

---

<sup>4</sup> Management of the Classification of Statistical Activities. United Nations Economic Commission for Europe. Expert Group meeting on International economic and social classifications. New York, 18-20 May 2011.

<https://unstats.un.org/unsd/class/intercop/expertgroup/2011/AC234-9.PDF>

ჯანდაცვის ანგარიშები. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: სამუშაოებს, დაკავშირებულს ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან (1.2), კრიმინალის მსხვერპლთან (1.8), საგზაო უსაფრთხოებასთან და ტრავმებთან (2.4.4).

- 1.5. **შემოსავლები და მოხმარება** - მოიცავს შინამეურნეობების შემოსავლებსა და ხარჯებს, საკითხებს, დაკავშირებულს შემოსავლების განაწილებასთან, ნატურით მიღებულ შემოსავლებთან, მიღებულ და გადახდილ შემოსავლების ტრანსფერებთან, შემოსავლების არ დანახარჯების საფუძველზე გაანგარიშებულ სიღარიბის მაჩვენებლებთან, მომხმარებელთა დაცვასთან, სამომხმარებლო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელთან, შინამეურნეობების ქონებასა და დავალიანებასთან. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: სხვადასხვა რისკებთან დაკავშირებულ სოციალური დაცვის სქემებს (1.6), საგადასახადო სქემებს (2.5), სიღარიბეს ფართო გაგებით (3.3.1), ცხოვრების პირობებს (3.3.1), სოციალურ ჩართულობას (3.3.1).
- 1.6. **სოციალური დაცვა** - მოიცავს ისეთ სტატისტიკას, რომელიც დაკავშირებულია უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერის, ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობის ან მარჩენალის დაკარგვის გამო არაადეკვატური შემოსავლების მიზეზებით გამოწვეული რისკებისაგან დაცვის ხარისხის შეფასებასთან; მოიცავს პენსიონერების სტატისტიკას, სოციალური დაცვის სქემებს, სოციალური დაცვის დანახარჯების სტატისტიკას და ა.შ. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: სადაზღვევო კომპანიებს, როგორც ეკონომიკურ აგენტებს (2.4.6), საპენსიო ფონდებს, როგორც ფინანსური ბაზრების მონაწილეებს (2.4.6).
- 1.7. **დასახლებული პუნქტები და საცხოვრისები** - მოიცავს სტატისტიკურ საქმიანობას, დაკავშირებულს საცხოვრებელ პირობებთან, საცხოვრისებთან და დასახლებულ პუნქტებთან. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს რენტასთან/იჯარასთან დაკავშირებულ სტატისტიკას.
- 1.8. **სამართალდაცვა და დანაშაულები** - მოიცავს საქმიანობას, დაკავშირებულს კრიმინალთან, მართლმსაჯულებასთან, სამართალდამცავ საქმიანობასთან, უსაფრთხოებასთან, მსხვერპლთან, პატიმრობასთან, ნარკოტიკების უკანონო წარმოებასთან, ტრეფიკინგთან და სხვ.
- 1.9. **კულტურა** - მოიცავს საზოგადოების კულტურული საქმიანობის ამსახველ სტატისტიკას, ისეთებს, როგორებიცაა თეატრების, კინო-თეატრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, მას-მედიის, წიგნის წარმოების, სპორტის და ა.შ. სტატისტიკას; მოიცავს კულტურაზე გაწეულ ხარჯებსა და დაფინანსებას.
- 1.10. **პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობები** - მოიცავს ხმის მიცემის პროცესების სტატისტიკას, პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობასთან, სავაჭრო კავშირებში მონაწილეობასთან, სოციალურ დიალოგებთან, სამოქალაქო საზოგადოებებთან, სოციალურ კაპიტალთან და ა.შ. დაკავშირებულ სტატისტიკებს.
- 1.11. **დროის გამოყენება** - მოიცავს ფიზიკური პირების მიერ დროის გამოყენების სტატისტიკას, აგრეთვე აუნაზღაურებელი შრომის სტატისტიკას. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს სამუშაო დროს (1.2).

## 2. ეკონომიკური სტატისტიკა

- 2.1. **მაკროეკონომიკური სტატისტიკა** - მოიცავს ეროვნული ეკონომიკის მაკრო დონეზე ყველა სახის საქმიანობის სტატისტიკას. ესენია მაკროეკონომიკური მონაცემთა ბაზები, ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია: Main Economic Indicators), ევროპის ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები (ევროსტატი: Principal European Economic Indicators); აქ შედის ბიზნეს-ტენდენციები და მომხმარებელთა აზრის კვლევები, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, ბიზნეს-ციკლის ანალიზის ინდიკატორები და სხვ.
- 2.2. **ეკონომიკური ანგარიშები** - მოიცავს სტატისტიკურ საქმიანობას, დაკავშირებულს ეროვნული ანგარიშების წარმოებასთან როგორც მიმდინარე, ისე მუდმივ ფასებში; აგრეთვე: მთლიანი შიდა პროდუქტის, მთლიანი ეროვნული შემოსავლის, დაუკვირვებადი ეკონომიკის, კაპიტალის, გამოშვება-დანახარჯების ცხრილების, საბალანსო უწყისების და ა.შ. გაანგარიშებებს. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ ანგარიშებს (2.4.1), ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებს (2.4.5), დეტალურ სამთავრობო ანგარიშებს (2.5), ფინანსურ ანგარიშებს (2.5), ფასების სტატისტიკას (2.7), გარემომცველი გარემოს ანგარიშებს (3.1).
- 2.3. **ბიზნეს სტატისტიკა** - მოიცავს სტატისტიკას საწარმოების საქმიანობის შესახებ, მათ ეკონომიკურ აქტივობას, საწარმოთა დემოგრაფიას, ბიზნეს-ინვესტიციებს, ბიზნეს-მომსახურებას, საწარმოო მდგომარეობას, პროდუქციის წარმოებას, მის სტრუქტურას, მომსახურების წარმოებას, აგრეთვე არამომგებიანი ინსტიტუტების საქმიანობას. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: ბიზნეს-ტენდენციების კვლევას (2.1), საერთაშორისო ვაჭრობას (2.6), ფასებს (2.7), შრომით დანახარჯებს (2.8), მეცნიერებასა და ტექნოლოგიებს (2.9), საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (3.3.3), მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობას (3.3.4).
- 2.4. **სექტორული სტატისტიკები** - გულისხმობს თითოეული ცალკე აღებული დარგის საქმიანობის რაოდენობრივ შესწავლას. კერძოდ, ასეთი დარგებია სამთაწარმოო დონის დარგები ზემოთ მოტანილ კლასიფიკაციაში. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: განათლებას (1.3), ჯანმრთელობას (1.4), სოციალურ დაცვას (1.6), კულტურას (1.9), სტატისტიკებს, რომლებიც ჩართულია ბიზნეს-სტატისტიკაში (2.3), სამთავრობო და საჯარო სექტორის სტატისტიკას (2.5), კვლევებსა და განვითარებას (2.9), ტელეკომუნიკაციების სტატისტიკას (3.3.3).
- 2.4.1. **სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა** - მოიცავს სოფლის მეურნეობის, სატყეო და თევზჭერის სტატისტიკებს, ამ დარგების ეკონომიკურ ანგარიშებს, მათ სტრუქტურას, შესაბამისი პროდუქტებით ვაჭრობას, ამ პროდუქტების გამოშვება-გამოყენების ცხრილებს; ტყის რესურსების შეფასებას და ტყის ხანძრებს, ტყის პროდუქტებით ვაჭრობას; მეთევზეობას. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: სასოფლო-სამეურნეო ფასებს (2.7), სასოფლო დასახლებების განვითარებას (3.2).
- 2.4.2. **ენერჯია** - მოიცავს ენერგომომარაგებას, ენერჯიის მოხმარებას, ენერგეტიკულ ბალანსებს, მიწოდების უსაფრთხოებას, ენერჯიის ბაზრებს, ენერჯიით ვაჭრობას, ენერგო ეფექტურობას, ენერჯიის განახლებადი წყაროებს, სახელმწიფოს ხარჯებს ენერჯიასთან დაკავშირებით. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს ენერჯიის ფასებს (2.7).

- 2.4.3. **მოპოვება, წარმოება, მშენებლობა** - მოიცავს კონკრეტული საწარმოო საქმიანობის სტატისტიკას, როგორებიცაა მაგალითად, ფოლადი, გემთმშენებლობა, მშენებლობა, ვაჭრობა ისეთი პროდუქციით, რომლებიც დაკავშირებულია მოპოვებასთან, წარმოებასა და მშენებლობასთან. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: წარმოებული პროდუქტების ფასებს (2.7), მშენებლობის ფასებს (2.7).
- 2.4.4. **ტრანსპორტი** - მოიცავს ყველა სახეობის ტრანსპორტის სტატისტიკას (საჰაერო, სარკინიგზო, საგზაო, შიდა საწყალოსნო, საზღვაო); მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, სატრანსპორტო ნაკადები, პირადი მობილობა, უსაფრთხოება, ენერჯის მოხმარება, სატრანსპორტო საწარმოები, სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტი, სატრანსპორტო სექტორის ტენდენციები, საგზაო შემთხვევები. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს ტრანსპორტის ფასებს (2.7),
- 2.4.5. **ტურიზმი** - მოიცავს ვიზიტორების აქტივობასთან დაკავშირებულ სტატისტიკას (როგორებიცაა შემოსვლა და გასვლა, ერთი ღამით გაჩერება, ხარჯები, ვიზიტის მიზნები და სხვ.), ტურიზმის სახეობების მიხედვით (შემოსვლა, გასვლა, შიდა ტურიზმი), ტურიზმის ინფრასტრუქტურა, დასაქმება და ტურიზმის სატელიტური ანგარიშები. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: ტურისტული მომსახურების ფასებს (2.7), გარემოზე ზემოქმედებას (3.1).
- 2.4.6. **ბანკები, დაზღვევა, ფინანსური სტატისტიკა** - მოიცავს მონეტარულ, საბანკო და ფინანსური ბაზრების სტატისტიკას; ფინანსურ ანგარიშებს, ფულის მიწოდების, საპროცენტო განაკვეთების, გაცვლითი კურსების, საფონდო ბირჟების, ფასიანი ქაღალდების, ბანკების ფინანსური საქმიანობის, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების სტატისტიკებს, აგრეთვე ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორებს. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: კერძო საპენსიო ფონდების ბენეფიციარებს (1.6), სახელმწიფო საპენსიო და სხვა სახელმწიფო სოცდაზღვევის სქემების დაფინანსებას (2.5).
- 2.5. **სამთავრობო ფინანსები, ფისკალური და საჯარო სექტორის სტატისტიკა** - მოიცავს ყველა სახის სტატისტიკას, დაკავშირებულს სახელმწიფო სექტორთან, ვალისა და დეფიციტის, შემოსავლებისა და ხარჯების ჩათვლით; სამთავრობო სექტორის ანგარიშებს, ცენტრალური მთავრობის ანგარიშებს, საგადასახადო განაკვეთებსა და შემოსავლებს, საგადასახადო და საშელავათო სისტემებს, სახელმწიფო საპენსიო და სხვა სახელმწიფო სოცდაზღვევის სქემების დაფინანსებას, დასაქმებას საჯარო სექტორში. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: სახელმწიფო დაფინანსებას კონკრეტულ სფეროებში, როგორებიცაა ჯანდაცვა (1.4), განათლება (1.3), კვლევები და განვითარება (2.9) და სხვ.
- 2.6. **საერთაშორისო ვაჭრობა და საგადასახდელი ბალანსი** - მოიცავს ყველა ოპერაციას არარეზიდენტებთან, რაც აისახება საგადასახდელი ბალანსში, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის, საგარეო პოზიციისა და საგარეო ვალის ჩათვლით, აგრეთვე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ტარიფებს, ბაზრებზე წვდომას, საგარეო დახმარებას. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: 2.4.1 – 2.4.5 პოზიციებში მოხსენიებულ კონკრეტულ საქონელსა და მომსახურებას, მულტინაციონალურ კომპანიებს (3.3.4).

- 2.7. **ფასები** - მოიცავს ფასებთან დაკავშირებულ ნებისმიერ სტატისტიკურ საქმიანობას, მსყიდველუნარიანობის პარიტეტისა და მშპ-ს საერთაშორისო შედარებებს, სამომხმარებლო ფასებს, ინფლაციას, მწარმოებელთა ფასებს, ფასების ინდექსებს კონკრეტულ საქონელსა და მომსახურებაზე. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: საპროცენტო განაკვეთებს (2.4.6), ხელფასებს (2.8).
- 2.8. **შრომის დანახარჯები** - მოიცავს შრომის დანახარჯების, შემოსავლებისა და ხელფასების სტატისტიკას. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს ხელფასებს, როგორც შინამეურნეობების მთლიანი შემოსავლების ნაწილს (1.5).
- 2.9. **მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები** - მოიცავს კვლევებსა და განვითარებას (R&D), ინოვაციებს, პატენტებს, ადამიანურ რესურსებს (მეცნიერებაში, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში), მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიები და ცოდნაზე დაფუძნებული სერვისები, ბიოტექნოლოგიები, R&D-ის და ინოვაციების დაფინანსება. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს ინფორმაციულ და ტელე-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (3.3.3).

### 3. გარემოს და სხვა დარგობრივი სტატისტიკები

3.1. **გარემოს დაცვა** - მოიცავს ისეთ სფეროებს და საკითხებს, როგორებიცაა კლიმატი, კლიმატის ცვლილება (კლიმატის ცვლილების გამოწვევი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების ჩათვლით), ბიომრავალფეროვნება, გარემო და ჯანმრთელობა, ბუნებრივი რესურსები, ნიადაგი, წყალი, ჰაერი, ლანდშაფტი, ნაგავი, გარემოზე დანახარჯები, დანახარჯები გარემოს დაცვაზე, გარემომცველი გარემოს ანგარიშები და ინდიკატორები, გარემოს გავლენა წარმოებაზე, ტრანსპორტსა და ენერჯიაზე, გარემოს მონიტორინგი, გარემოს დაბინძურება, ეკოსისტემები, ნიადაგის გამოყენება, დაცული ტერიტორიები. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს გარემოს, როგორც მდგრადი განვითარების ნაწილს (3.3.6).

3.2. **რეგიონალური და მცირე სივრცეების სტატისტიკა** - მოიცავს რეგიონალურ სტატისტიკას და ადმინისტრაციულ ერთეულებზე დაფუძნებული სუბ-ეროვნული ტერიტორიების სტატისტიკას; ქალაქებისა და სოფლების სტატისტიკას, სოფლების განვითარებას, რეგიონალურ ანგარიშებს, რეგიონალურ ტიპოლოგიებსა და რეგიონალურ განსხვავებებს.

3.3. **მრავალ-დარგობრივი სტატისტიკები და ინდიკატორები** - მოიცავს ზოგიერთი კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური და გარემომცველი გარემოს საკითხების კონცეპტუალურ და ინფორმაციულ მიმართულებებს; კლასიფიკატორის ორთაწრიანი დონე მოიცავს საქმიანობას, რომელსაც არ ითვალისწინებს სამთაწრიანი დონე. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს მრავალდარგობრივ სტატისტიკებს რეგიონალურ დონეზე (3.2), არათემატურ წელიწდეულებთან და ანალოგიურ კრებულებთან დაკავშირებულ საქმიანობას (3.4).

3.3.1. **საარსებო პირობები, სიღარიბე** - მოიცავს მრავალგანზომილებიან მეთოდებს სიღარიბის, ცხოვრების პირობების, სოციალური ჩართულობის, სოციალური ინდიკატორების გაანგარიშებისათვის. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს სიღარიბის მონეტარულ მხარეს (1.5).

3.3.2. **გენდერი და მოსახლეობის სპეციალური ჯგუფები** - მოიცავს გენდერული და მოსახლეობის სხვა სპეციალური ჯგუფების ცხოვრების პირობებს და მათ სოციალურ როლს: შედარებებს ქალებისა და მამაკაცების სოციალურ ინდიკატორებსა და ისეთი სპეციალური ჯგუფების

ინდიკატორებს, როგორებიცაა ბავშვები, მოზარდები, მოხუცები, შეზღუდული უნარების მქონენი, უმცირესობები და ა.შ.

**3.3.3. ინფორმაციული საზოგადოება** - მოიცავს სტატისტიკას, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს იმის შეფასება, თუ როგორ იყენებს საზოგადოებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (წვდომა და გამოყენება), ელექტრონულ კომუნიკაციას, ელექტრონულ მთავრობას, ელექტრონულ კომერციას, ელექტრონულ სწავლებას, საკომუნიკაციო ტარიფებს, ქსელის ინფრასტრუქტურას, ოპერატორების შემოსავლებს, ხარჯებს და ინვესტიციებს, ინტერნეტის ინდიკატორებს, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებით ვაჭრობას.

**3.3.4. გლობალიზაცია** - ახორციელებს მულტინაციონალური კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის შეფასებას, ასევე გლობალიზაციის მასშტაბების შეფასებას სხვადასხვა ინდიკატორებით, სხვადასხვა დარგობრივი სტატისტიკების მონაცემების გამოყენებით.

**3.3.5. ათასწლეულის განვითარების მიზნების ინდიკატორები** - მოიცავს მონაცემების ერთობლიობას, იმისათვის, რომ განახორციელოს გაეროს ათასწლეულის სამიტზე შეთანხმებული ათასწლეულის განვითარების მიზნების შედეგების მონიტორინგი.

**3.3.6. მდგრადი განვითარება** - მიმართულია მდგრადი განვითარების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მსაზღვრელების შეფასებასა და მონიტორინგზე.

**3.3.7. მეწარმეობა** - მოიცავს ადამიანებსა და ორგანიზაციებზე მეწარმეობის გავლენის შემსწავლელ მაჩვენებლებს.

**3.4. წელიწდეულები და მსგავსი კრებულები** - არასპეციფიკური მრავალდარგოვანი სტატისტიკური პუბლიკაციები და სხვა სტატისტიკური პროდუქტები. არ მოიცავს კონკრეტულ და სპეციალური მიმართულების სტატისტიკურ პროდუქტებს, როგორებიცაა მდგრადი განვითარება, ათასწლეულის განვითარების მიზნები და ა.შ. (3.3.1 – 3.3.5).

#### **4. მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, გავრცელებისა და ანალიზის მეთოდოლოგია**

**4.1. მეტამონაცემები** - მოიცავს მეტამონაცემების მოდელების, სტრუქტურებისა და ჩარჩოების განვითარებას, ჰარმონიზებას და სტანდარტიზაციას სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და გავრცელების კონტექსტში, აგრეთვე სტატისტიკური ტერმინოლოგიისა და განმარტებების ჰარმონიზაციას. არ მოიცავს მონაცემთა ელექტრონული გაცვლის სტანდარტებს (5.5).

**4.2. კლასიფიკაციები** - მოიცავს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი კლასიფიკატორების განვითარებას, მართვას, უზრუნველყოფასა და ჰარმონიზებას.

**4.3. მონაცემთა წყაროები** - მოიცავს ეროვნულ დონეზე მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს; მონაცემთა შეგროვების შეგროვების ელექტრონულ მეთოდებს და ინტერნეტ-რეპორტინგს, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული აღწერებთან და გამოკვლევებთან. არ მოიცავს მეთოდებს, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები იყენებენ ეროვნული წყაროებიდან ინფორმაციის შეგროვებისთვის (5.6).

**4.3.1. მოსახლეობისა და საცხოვრისის აღწერები; მოსახლეობის, საცხოვრისებისა და შენობების რეესტრები** - გულისხმობს მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის მეთოდოლოგიასა და ორგანიზაციას, რეგისტრებზე დაფუძნებული აღწერების ჩათვლით, მოსახლეობის, შენობებისა და საცხოვრისების რეგისტრების განვითარება და დანერგვა. სტატისტიკური

საქმიანობის ეს მიმართულება არ მოიცავს ქვეყნის მოსახლეობის აღწერების მასალების გადაცემას საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და საერთაშორისო სტატისტიკის გავრცელება (1.1).

- 4.3.2. **ბიზნესისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერები და რეესტრები** - ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო აღწერების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია; ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის რეესტრების განვითარება და დანერგვა. სტატისტიკური საქმიანობის ეს მიმართულება არ მოიცავს სხვა სტატისტიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ადმინისტრაციულ რესურსებს, რაც არის სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის განკარგულებაში (4.3.5), 4.3.2 საქმიანობის მონაცემების გადაცემას საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და გავრცელებას საერთაშორისო სტატისტიკის ეგიდით (2.3 და სხვა მე-2 დომენიდან).
- 4.3.3. **შინამეურნეობების კვლევები** - მოიცავს შინამეურნეობების შერჩევითი გამოკვლევების მეთოდოლოგიას და ორგანიზაციას, შინამეურნეობებიდან მონაცემების პირდაპირი წესით შეგროვებას საერთაშორისო გამოკვლევებისათვის, როგორებიცაა ცხოვრების სტანდარტების შეფასების კვლევა, ჯანმრთელობის მსოფლიო კვლევა. არ მოიცავს საერთაშორისო სტატისტიკის გავრცელებას საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობიდან პირდაპირ შეგროვებული მასალების საფუძველზე (1 დომენის შესაბამისი).
- 4.3.4. **ბიზნესისა და სასოფლო-სამეურნეო გამოკვლევები** - მოიცავს ამ ტიპის გამოკვლევების მეთოდოლოგიას და ორგანიზაციას, შერჩევების ჩათვლით, აგრეთვე საერთაშორისო კვლევებს ბიზნესებიდან, მონაცემთა პირდაპირი შეგროვების საფუძველზე.
- 4.3.5. **სხვა ადმინისტრაციული წყაროები** - ოფიციალური სტატისტიკისთვის ადმინისტრაციული მისამართები; ადმინისტრაციულ წყაროებზე წვდომის იურიდიული, ორგანიზაციული და კონცეპტუალური საკითხები; რეესტრები და სხვა ადმინისტრაციული წყაროები, აღწერებისაგან განსხვავებული.
- 4.4. **მონაცემთა რედაქტირება და დაკავშირება** - მონაცემთა შეგროვების სტადიაზე, ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული, მეთოდოლოგიური, ორგანიზაციული და ნორმატიული საკითხები, მონაცემთა რედაქტირების ჩათვლით.
- 4.5. **გავრცელება, მონაცემთა შენახვა** - მონაცემთა გავრცელების პოლიტიკა, სტრატეგია, მეთოდოლოგია და ტექნიკა, გამოსაქვეყნებელი მონაცემთა ბაზებისა და სანახების დიზაინი და ორგანიზაცია, მომხმარებელთან უკუკავშირის, მედიასთან კომუნიკაციის, მონაცემებისა და მეტამონაცემების პრეზენტაციის, ინტერნეტით გამოქვეყნების, სტატისტიკის პორტალების ჩათვლით. სტატისტიკური საქმიანობის ეს მიმართულება არ მოიცავს მულტი-დომენურ მონაცემთა ბაზებს.
- 4.6. **სტატისტიკური კონფიდენციალობა და ინფორმაციის გამჟღავნების დაცვა** - მონაცემთა დაცვასა და კონფიდენციალობასთან დაკავშირებული ნორმატიული, ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხები.
- 4.7. **მონაცემთა ანალიზი** - მონაცემთა ანალიზის მეთოდები სტატისტიკური მიზნებისათვის, რომლებიც არ არის დაკავშირებული მონაცემთა რედაქტირებასთან: სხვადასხვა



ინდიკატორების აგების, ექსტრაპოლაციის, სცენარებისა და მოდულების აგების და სხვა მეთოდები.

## 5. ოფიციალური სტატისტიკის სტრატეგიული და მმართველობითი საკითხები

- 5.1. ინსტიტუციური ჩარჩოები და პრინციპები; ოფიციალური სტატისტიკის როლი და ორგანიზაცია
- 5.2. სტატისტიკური პროგრამები; სტატისტიკურ სისტემებს შორის კოორდინაცია
- 5.3. ხარისხის ჩარჩოები და სტატისტიკური სისტემებისა და ოფისების მდგომარეობის შეფასება
- 5.4. ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება - მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის ორგანიზაციას და საერთაშორისო და ეროვნული სტატისტიკური ორგანოების კადრების გადამზადებას.
- 5.5. ტექნოლოგიური რესურსების (მონაცემთა ელექტრონული გაცვლისა და გაზიარების სტანდარტების ჩათვლით) მართვა და განვითარება - მოიცავს მონაცემთა ელექტრონულ დამუშავებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას, მონაცემთა გაცვლის სტანდარტებს (როგორებიცაა EDIFACT/GESMES და SDMX), საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე სტატისტიკის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტრატეგიები. სტატისტიკური საქმიანობის ეს სფერო არ მოიცავს: მეტამონაცემებს (4.1), მონაცემთა ელექტრონულ მიწოდებას (4.3), მონაცემთა რედაქტირებას (4.4), გამომავალ მონაცემთა ბაზებს და მონაცემთა სანახებს (4.5).
- 5.6. საერთაშორისო სტატისტიკური სამუშაოების კოორდინაცია - მოიცავს საქმიანობას, დაკავშირებულს სტატისტიკური სამუშაოების კოორდინაციასთან საერთაშორისო და ეროვნულ სტატისტიკურ ორგანიზაციებს შორის, ისეთი საქმიანობის ჩათვლით, როგორებიცაა მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის მუშაობა, სტატისტიკური კომისიისა და საკოორდინაციო კომიტეტის სტატისტიკური აქტივობა.
- 5.7. ტექნიკური თანამშრომლობა და შესაძლებლობების ზრდა - მოიცავს საქმიანობას, დაკავშირებულს ორმხრივ და მრავალმხრივ ტექნიკურ დახმარებასა და შესაძლებლობების ზრდასთან.

ამდენად, სტატისტიკის წარმოების სახელმძღვანელო პრინციპები, სტატისტიკური საქმიანობის კლასიფიკატორი, საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური სამსახურების პერმანენტული მეთოდოლოგიური, ორგანიზაციული და ტექნიკური მხარდაჭერა ეროვნული სტატისტიკური სისტემების გაძლიერებისათვის და მათი შესაძლებლობების გაზრდისათვის არის სერიოზული საფუძველი იმისათვის, რომ სტატისტიკურმა სამსახურებმა აწარმოონ და გამოაქვეყნონ ობიექტური, დროული, საერთაშორისო მასშტაბით შედარებადი სტატისტიკური ინფორმაცია, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის.



## ინდივიდუალური სამუშაო

დავალეზა 1.

როგორ დავრწმუნდეთ სტატისტიკის საიმედოობაში?

*(რა სახის ცოდნა და ინფორმაცია გვჭირდება ამისათვის, რაში მდგომარეობს ჩვენი უფლებები სასურველი ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით, რა საფუძველი უნდა გაგვაჩნდეს იმისათვის, რომ მოპოვებული ინფორმაცია მივიჩნიოთ საიმედოდ და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად).*

თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე რა სიმნელები შეგხვედრიათ სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებისას; მოახერხეთ თუ არა ამ სიმნელების გადალახვა და როგორ?



## ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის

### ტესტი 1

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ახასიათებს საერთაშორისო ბიზნესს (რამდენიმე პასუხი):

1. ოპერაციების დიდი მასშტაბი;
2. ბევრი ქვეყნის ეკონომიკების ინტეგრაცია;
3. განვითარებული ქვეყნების და მულტინაციონალური კომპანიების უპირატესი როლი;
4. მწვავე კონკურენცია;
5. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განსაკუთრებული როლი.

### ტესტი 2

საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის ამოცანა დაეხმაროს ბიზნეს-წრებს (რამდენიმე პასუხი):

1. გაეცნონ და ანალიზი გაუკეთონ მსოფლიო ბიზნესში მიმდინარე მოვლენებს
2. შეაფასონ მსოფლიო ბიზნესში მიმდინარე მოვლენების მომავალი განვითარების ტენდენციები
3. წინასწარ განჭვრიტონ მოსალოდნელი საფრთხეები, რაც შეიძლება შეექმნას მათ ბიზნესს მსოფლიოში, მათი ინტერესის სფეროში არსებულ ქვეყანასა თუ რეგიონში
4. მხოლოდ 1 და 3

### ტესტი 3

რომელ მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემაშია რეალიზებული ეკონომიკის კომპლექსური ხედვა:

1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში
2. საგადასახდლო ბალნის სტატისტიკაში
3. მონეტარულ და ფინანსურ სტატისტიკაში
4. სამთავრობო ფინანსების სტატისტიკაში

### ტესტი 4

რომელ მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემაშია რეალიზებული ეკონომიკის ყოვლისმომცველი ხედავა:

1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში
2. საგადასახდლო ბალნის სტატისტიკაში
3. მონეტარულ და ფინანსურ სტატისტიკაში
4. სამთავრობო ფინანსების სტატისტიკაში

## ტესტი 5

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია:

1. ეკონომიკის დარგობრივი ხედავა
2. ეკონომიკის ყოვლისმომცველი ხედავა
3. ეკონომიკის კოორდინირებული ხედავა
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

## ტესტი 6

მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში სექტორული სახელმძღვანელოების დანიშნულებაა:

1. ეკონომიკის კონკრეტული სექტორის ფარგლებში ეკონომიკური საქმიანობის დეტალური აღწერა
2. ეკონომიკის ყოვლისმომცველი აღწერა
3. ეკონომიკის კომპლექსური აღწერა
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

## ტესტი 7

მაკროეკონომიკურ სტატისტიკის ფარგლებში რას გულისხმობს საერთაშორისო მეთოდოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ერთზე მეტი პასუხი):

1. საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიების თარგმნა საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა სამუშაო ენაზე და ინტერნეტით გავრცელება
2. სემინარების ორგანიზება საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიების პრეზენტაციისა და გაცნობის მიზნით
3. ტექნიკური დახმარებების სხვადასხვა ფორმების გამოყენება საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით
4. „ხშირად დასმული შეკითხვების“ ინტერნეტით გავრცელება სტატისტიკური მეთოდოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით

## ტესტი 8

მაკროეკონომიკურ სტატისტიკის კონტექსტში ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელს არ გულისხმობს საერთაშორისო მეთოდოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა:

1. საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიების თარგმნა საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა სამუშაო ენაზე და ინტერნეტით გავრცელება
2. სემინარების ორგანიზება საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიების პრეზენტაციისა და გაცნობის მიზნით
3. ტექნიკური დახმარებების სხვადასხვა ფორმების გამოყენება საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით
4. „ხშირად დასმული შეკითხვების“ ინტერნეტით გავრცელება სტატისტიკური მეთოდოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით

### ტესტი 9

"ოფიციალური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპების" მიხედვით რა უფლებამოსილება გააჩნიათ სტატისტიკურ სამსახურებს სტატისტიკური მონაცემების არასწორი ინტერპრეტაციის ან არასწორი გამოყენების შემთხვევაში?

1. გააკეთონ კომენტარი
2. იჩივლონ სასამართლოში
3. შეუზღუდონ სტატისტიკურ მონაცემების გამოყენება
4. შეწყვიტონ ასეთი მონაცემების გამოქვეყნება

### ტესტი 10

საერთაშორისო სტატისტიკაში მაკორდინებელი როლი ეკუთვნის:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკურ კომისიას
2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას
3. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას
4. ევროსტატს

### ტესტი 11

"ოფიციალური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპების" მიხედვით, სტატისტიკურმა სამსახურებმა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი კრიტერიუმის გათვალისწინებით არ უნდა აირჩიონ ინფორმაციის წყარო:

1. მეთოდოლოგიის სიმარტივის
2. ხარისხის
3. დროულობის
4. რესპონდენტის დანახარჯებისა და დატვირთვის

## ტესტი 12

"ოფიციალური სტატისტიკის წარმოების ფუნდამენტური პრინციპების" მიხედვით, სტატისტიკური სამსახურების მიერ ფიზიკური და/ან იურიდიული პირების შესახებ მოპოვებული პირადი მონაცემები უნდა გამოიყენებოდეს:

1. მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის
2. ნებისმიერი მიზნისათვის
3. მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისათვის
4. მხოლოდ საგადასახადო მიზნებისათვის

## ტესტი 13

გაეროს რომელი ორგანოს მიერ იქნა შემუშავებული „საერთაშორისო სტატისტიკური აქტივობის სახელმძღვანელო პრინციპები“

1. გაეროს სტატისტიკური აქტივობის კოორდინაციის კომიტეტის მიერ
2. გაეროს სტატისტიკური აქტივობის კოორდინაციის საბჭოს მიერ
3. გაეროს სტატისტიკის კოორდინაციის კომისიის მიერ
4. გაეროსა და მსოფლიო ბანკის სტატისტიკური სამსახურების მიერ ერთობლივად

## ტესტი 14

გაეროს „საერთაშორისო სტატისტიკური აქტივობის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით როგორ მიიღწევა საერთაშორისო სტატისტიკისადმი საზოგადოების ნდობა

1. მხოლოდ პოლიტიკურ მოსაზრებებზე დაფუძნებული სტატისტიკის წარმოებით
2. ობიექტური და უმაღლეს პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული სტატისტიკის წარმოებით
3. ეროვნულ პრინციპებზე დაფუძნებული სტატისტიკის წარმოებით
4. 1 და 2 პასუხების სწორი

## ტესტი 15

გაეროს „საერთაშორისო სტატისტიკური აქტივობის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით რამდენად უფლებამოსილია საზოგადოება ინფორმირებული იყოს სტატისტიკური ორგანიზაციების სტატისტიკური საქმიანობის შესახებ

1. საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს მხოლოდ სტატისტიკურ მეთოდოლოგიებზე
2. საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს მხოლოდ სტატისტიკურ კლასიფიკატორებზე
3. საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს სტატისტიკური სამუშაოების შესახებ გადაწყვეტილებებზე და სტატისტიკური შეხვედრების შესახებ დოკუმენტებსა და ანგარიშებზე
4. საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს მხოლოდ სტატისტიკურ ინფორმაციაზე

## ტესტი 16

გაეროს „საერთაშორისო სტატისტიკური აქტივობის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით როგორია რეაგირება სტატისტიკის არასწორი ინტერპრეტაციის ან დამახინჯების შემთხვევაში

1. ასეთი შემთხვევა ექვემდებარება დაუყოვნებლივ რეაგირებას სტატისტიკის შესაბამისი სამსახურის მხრიდან
2. ასეთი შემთხვევა არ საჭიროებს რეაგირებას
3. ასეთი შემთხვევა რეაგირებას საჭიროებს მხოლოდ აკადემიური წრეების მხრიდან
4. ასეთი შემთხვევა რეაგირებას საჭიროებს მხოლოდ მთავრობის წარმომადგენელთა მხრიდან

## ტესტი 17

გაეროს „საერთაშორისო სტატისტიკური აქტივობის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით რისთვისაა საჭირო საერთაშორისო სტატისტიკური პროგრამების კოორდინაცია

1. საერთაშორისო სტატისტიკური პროგრამების კოორდინაციის საჭიროება არ არსებობს
2. სტატისტიკური პროგრამები ხორციელდება მხოლოდ ეროვნული სტატისტიკური სამსახურების დონეზე
3. სტატისტიკურ სამუშაოთა დუბლირების თავიდან ასაცილებლად
4. ხარჯების თავიდან ასაცილებლად

## ტესტი 18

გაეროს „საერთაშორისო სტატისტიკური აქტივობის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით რას ემსახურება სტატისტიკაში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა

1. სტატისტიკის წარმოებაზე ხარჯების შემცირებას
2. სტატისტიკოსთა პროფესიულ ზრდას და ორგანიზაციებსა და ქვეყნებში სტატისტიკის გაუმჯობესებას
3. სტატისტიკურ სამუშაოთა დუბლირების თავიდან აცილებას
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

## ტესტი 19

გაეროს „საერთაშორისო სტატისტიკური აქტივობის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით რას გულისხმობს ბუნებრივი რესურსებისა და იურიდიული პირების შესახებ მოპოვებული ინდივიდუალური მონაცემები მიმართ კონფიდენციალობის წესების დაცვა

1. ასეთი მონაცემები გამოყენებულ უნდა იქნას ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისათვის, ან კანონმდებლობით უფლებამოსილი მიზნებისათვის
2. ასეთი მონაცემების გამოყენება აკრძალულია საერთაშორისო კანონმდებლობით

3. ასეთი მონაცემების მოპოვება აკრძალულია საერთაშორისო კანონმდებლობით
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

### ტესტი 20

რომელ წელს და ვის მიერ იქნა მიღებული დეკლარაცია „ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ“

1. 1994 წელს გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ
2. 1994 წელს გაეროს სტატისტიკური აქტივობის კოორდინაციის კომიტეტის მიერ
3. 2005 წელს გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ
4. 2005 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ

### ტესტი 21

საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რომელი ინსტრუმენტია შემოღებული საერთაშორისო სტატისტიკური საქმიანობის სტანდარტიზაციისა და აღწერისათვის

1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა
2. მაკროეკონომიკური სტატისტიკა
3. სტატისტიკური საქმიანობის კლასიფიკატორი
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

### ტესტი 22

რომელი სტატისტიკური სტრუქტურის მფლობელობაშია და რომელი წლიდან „სტატისტიკური საქმიანობის კლასიფიკატორი“, რომელიც ემსახურება საერთაშორისო სტატისტიკური საქმიანობის სტანდარტიზაციას და აღწერას

1. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის ბიუროს მფლობელობაში 2009 წლიდან
2. ევროსტატის მფლობელობაში 2009 წლიდან
3. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის ბიუროს მფლობელობაში 2005 წლიდან
4. გაეროს მფლობელობაში 2005 წლიდან



## თემა 2. კლასიფიკაციები, როგორც სტატისტიკის წარმოების უმთავრესი ინსტრუმენტი

კლასიფიკაციები სტატისტიკის წარმოების უმთავრესი ინსტრუმენტი. სტატისტიკას მუდმივად კავშირი აქვს დაკვირვებასთან და მაშასადამე - დაკვირვების ერთეულებთან. ეს ერთეულები მრავალგვარია და მათ სჭირდებათ კლასიფიცირება გარკვეული ნიშნების მიხედვით, რათა ადეკვატურად იყვნენ შესწავლილი სტატისტიკის მიერ. კლასიფიკაციები სწორედ ერთობლიობის ერთეულთა იერარქიული წყობაა გარკვეული ნიშნ(ებ)ის მიხედვით. სტატისტიკური კლასიფიკაციების ცოდნა არა მარტო სტატისტიკის მწარმოებელთათვის არის საჭირო, მათ საქმიანობაში გამოსაყენებლად, არამედ სტატისტიკის მომხმარებელთათვისაც აუცილებელია, რადგანაც მათი თუნდაც ძირითადი ნაწილის ცოდნის გარეშე სტატისტიკური მონაცემების სწორი ინტერპრეტაცია შეუძლებელია. არის კლასიფიკაციები, რომელთაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე სტატისტიკის წარმოებასა და გამოყენებაში. ასეთებს მიეკუთვნება ეკონომიკური ერთეულების კლასიფიკაცია რეზიდენტობისა და ინსტიტუციური სექტორების მიხედვით.

### 2.1. რეზიდენტობის კონცეფცია

თანამედროვე სტატისტიკის წარმოების პრინციპული თავისებურებაა ეროვნული ეკონომიკის ცნების დამკვიდრება და მისი ერთ მთლიანობაში წარმოდგენა. ამ პრინციპის რეალიზაცია დაკავშირებულია რეზიდენტობის ცნების, როგორც მაკროეკონომიკური სტატისტიკის ფუნდამენტური კატეგორიის აღიარებასთან.

რატომ არის რეზიდენტობა მაკროეკონომიკური სტატისტიკის ფუნდამენტური კატეგორია?

ეს თუ ის ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობას. თუმცა, ყველა ეკონომიკური ერთეული არ წარმოადგენს კონკრეტული ეროვნული ეკონომიკის ნაწილს, რომელთა საქმიანობის შედეგები კონკრეტული ეკონომიკის საბოლოო პროდუქტში აისახება. გლობალიზაციის არნახული ტემპებისა და მასშტაბების პირობებში ასევე სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს ადამიანების, კაპიტალისა და საქონლის გადაადგილება და მათ ურთიერთქმედებასთან დაკავშირებული ოპერაციები. ასეთ რეალობაში სულ უფრო რთულდება სტატისტიკის ამოცანა სწორად განსაზღვროს რომელი ოპერაციები რომელ ანგარიშებში ასახოს, ან ასახოს თუ არა საერთოდ. ამ პრობლემის დაძლევის გზაა რეზიდენტობის ცნების შემოღება.

რეზიდენტობის კონცეფცია მოიცავს მაკროეკონომიკური სტატისტიკის ყველა სფეროს - ეროვნულ ანგარიშებს, საგარეო სექტორის სტატისტიკას, მონეტარულ და ფინანსურ სტატისტიკას და სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკას. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების ჰარმონიზაციის თვალსაზრისით.

*თითოეული ეკონომიკური ერთეულის რეზიდენტობას განსაზღვრავს ის ეკონომიკური ტერიტორია, რომელთანაც მას აკავშირებს უპირატესი ეკონომიკური ინტერესი. აქედან გამომდინარე, ყოველი ეკონომიკური ერთეული შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტი.*

ეკონომიკური ერთეულის კავშირი კონკრეტულ ეკონომიკურ ტერიტორიასთან გულისხმობს მის ფიზიკურად ყოფნას ან იურიდიულ დაქვემდებარებაში ყოფნას მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე.

ეკონომიკური ერთეული ითვლება მოცემული ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტად, თუ მას ამ ტერიტორიაზე გააჩნია საცხოვრისი, საწარმოო ფართი, ან სხვა ადგილი, სადაც ეს ერთეული იმყოფება, საქმიანობს ან ურთიერთქმედებს და განზრახული აქვს შეინარჩუნოს ეს მდგომარეობა განუსაზღვრელი ვადით, ან განსაზღვრული, მაგრამ ხანგრძლივი ვადით და მნიშვნელოვანი მასშტაბით.

### **რას გულისხმობს ეკონომიკური ტერიტორია?**

ეკონომიკური ტერიტორიის ყველაზე გავრცელებული კონცეფციაა ტერიტორია, რომელიც იმყოფება ერთი კონკრეტული მთავრობის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ. იგი მოიცავს:

- მიწას;
- საჰაერო სივრცეს;
- ტერიტორიულ წყლებს, იმ სივრცეების ჩათვლით, რომლებზედაც ვრცელდება მოცემული მთავრობის იურისდიქცია თევზჭერის განხორციელების, საწვავისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებების თვალსაზრისით;
- საზღვაო ტერიტორიებსა და კუნძულებს, რომლებიც ეკუთვნის მოცემულ ტერიტორიას;
- ტერიტორიულ ანკლავებს საზღვარგარეთ, ანუ მკაფოდ შემოსაზღვრულ ტერიტორიებს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებსაც ფლობს ან ქირაობს მოცემული ქვეყნის მთავრობა და იყენებს დიპლომატიური, სამხედრო, სამეცნიერო ან სხვა მიზნებისათვის, შესაბამის მთავრობებთან გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე.

ეკონომიკური ტერიტორიისა და რეზიდენტობის ცნებები შემოღებულია, რათა მკაფიოდ განისაზღვროს, რომ თითოეული ინსტიტუციური ერთეული მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ერთ ეკონომიკურ ტერიტორიას.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაკავებული ტერიტორიული ანკლავი ცალკე ეკონომიკური ტერიტორიაა, რომელზედაც ვრცელდება მოცემული ორგანიზაციის იურისდიქცია; ეს ტერიტორიაც ასევე მკაფიოდ შემოსაზღვრულია და მას ფლობს ან ქირაობს ორგანიზაცია, შესაბამის მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობის შემთხვევაში, ასეთი ზონები ყოველთვის უნდა ჩაირთოს მოცემული ეკონომიკური ტერიტორიის შემადგენლობაში, ერთიანი ეკონომიკური ხედვის თვალსაზრისით.

*რას ნიშნავს უპირატესი ეკონომიკური ინტერესი/ინტერესის ცენტრი?* ეს არის მოცემული ეკონომიკის შიგნით ადგილსამყოფელის, საცხოვრისის, წარმოების ადგილის ან სხვა უძრავი ქონების არსებობა, რომელიც დაკავებული აქვს ეკონომიკურ ერთეულს და აპირებს კვლავაც დაიკავოს იგი განუსაზღვრელი ან განსაზღვრული, მაგრამ ხანგრძლივი ვადით, მნიშვნელოვანი მასშტაბის ეკონომიკური საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელების მიზნით. საერთაშორისო შესადარისობის მიზნით, მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელების ხანგრძლივ პერიოდად 1 ან მეტი წლის ვადის დათქმა პირობითია და გაურკვეველობის თავიდან აცილებას ემსახურება.

ამდენად, რეზიდენტობის კონცეფციის შემოღება ემსახურება ეკონომიკური საზღვრების დადგენას მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების მაჩვენებელთა გაანგარიშებისათვის, აგრეთვე მთელი რიგი ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიცირებას საგარეო და საშინაო კატეგორიებად.

თვალსაჩინოებისათვის განსაკუთრებით კარგი მაგალითია ის, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი იზომება, როგორც რეზიდენტი მწარმოებლების მიერ წარმოებული საბოლოო პროდუქტი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რეზიდენტი მწარმოებლები პროდუქციას ქმნიან მხოლოდ ეკონომიკური ტერიტორიის გეოგრაფიული საზღვრების შიგნით. მათ ეს შეიძლება განახორციელონ საზღვარგარეთაც. ამდენად, რეზიდენტობის კონცეფციის სწორად გაგებას და გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მაკროეკონომიკური გაანგარიშებების ადეკვატურად განხორციელებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური ერთეულების რეზიდენტობის განსაზღვრა არ უკავშირდება მის მოქალაქეობას, ეროვნებას ან სამართლებრივ კრიტერიუმებს.

ჩვენ უკვე გავეცანით ეკონომიკური ერთეულების ორ ტიპს - შინამეურნეობებს და საწარმოებს. ამ ორი კატეგორიის ერთეულების რეზიდენტობის განსაზღვრას ახასიათებს სპეციფიკურობა, თუმცა, მოცემული ეკონომიკური ტერიტორიისადმი უპირატესი ეკონომიკური ინტერესის ცენტრის ქონა, როგორც რეზიდენტობის განსაზღვრის აუცილებელი პირობა, ძალაში რჩება.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (*SNA 2008*), ისევე როგორც საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სახელმძღვანელოს მე-6 გამოცემა დეტალურად განმარტავს ეკონომიკური ერთეულების რეზიდენტობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ შემთხვევებს. კერძოდ:

ფიზიკური პირების რეზიდენტობა განისაზღვრება იმ შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისის ადგილმდებარეობის მიხედვით, რომლის წევრიც არის მოცემული ფიზიკური პირი და არა მისი სამუშაო ადგილის მიხედვით. ერთი შინამეურნეობის ყველა წევრი ერთი და იგივე ეკონომიკის რეზიდენტი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი კვეთენ საზღვარს სამუშაოსთან დაკავშირებით ან გარკვეული პერიოდის საზღვარგარეთ გატარების მიზნით. თუ მათი საზღვარგარეთ მუშაობის და ყოფნის ხანგრძლივობა იძლევა მათ მიერ უცხოეთში უპირატესი ეკონომიკური ინტერესის შექმნის საფუძველს, მაშინ ისინი წყვეტენ მათი წარმოშობის შინამეურნეობის წევრობას.

ზოგიერთი შინამეურნეობის წევრები სხვადასხვა ზომით დაკავშირებულნი არიან სხვადასხვა ეკონომიკებთან დასაქმების, აქტივების ფლობის, მოქალაქეობის, მიგრაციის სტატუსის, შემოსავლების, საშემოსავლო გადასახადის, ხარჯების, ბიზნეს-ინტერესების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ასეთი წევრებისაგან შემდგარი შინამეურნეობა წარმოადგენს იმ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტს, რომელზედაც ისინი ინარჩუნებენ ან განზრახული აქვთ შეინარჩუნონ ძირითადი საცხოვრისი. მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ყოფნა ერთი წლის და მეტი პერიოდის განმავლობაში, ან ასეთის განზრახვა, საკმარისი პირობაა იმისათვის, რათა შინამეურნეობის საცხოვრისს მიეცეს ამ ეკონომიკურ ტერიტორიაზე მოცემული შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისის კვალიფიკაცია.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წინა გამოცემა (1993) არ ითვალისწინებდა შინამეურნეობების რეზიდენტობის განსაზღვრის ასეთ დეტალიზაციას. თუმცა, თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, როცა ეკონომიკურ ერთეულთა არცთუ მცირე ნაწილის საქმიანობა ასოცირდება ერთზე მეტ ეკონომიკასთან, ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს და 2008 წლიდან მოქმედებაში შესული ეს სახელმძღვანელო ამ პრობლემას თავს ნამდვილად ართმევს.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ის შემთხვევაც, თუ შინამეურნეობის რომელიმე წევრი წყვეტს იმ ეკონომიკური ტერიტორიაზე ყოფნას (ცხოვრებას), რომლის რეზიდენტიც არის მისი შინამეურნეობა. ასეთ შემთხვევაში ეს ფიზიკური პირი აღარ ითვლება მოცემული შინამეურნეობის წევრად და მაშასადამე – რეზიდენტად.

თუმცა, არსებობს გამონაკლისები რეზიდენტობის განსაზღვრის აღნიშნული ზოგადი პრინციპებიდან. კერძოდ, არსებობს ადამიანთა კატეგორიები, რომლებიც ინარჩუნებენ მოცემული ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტობას, მიუხედავად ამ ტერიტორიაზე ხანგრძლივი დროით არყოფნის შემთხვევებისა. ასეთ კატეგორიებს მიეკუთვნებიან:

- სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ საზღვარგარეთ, რჩებიან იმ ქვეყნების რეზიდენტებად, რომელი ქვეყნის რეზიდენტებიც იყვნენ მანამდე;
- პაციენტები, რომლებიც მკურნალობენ საზღვარგარეთ ხანგრძლივი დროის (1 წელზე მეტი ხნის) განმავლობაში, რჩებიან იმ ქვეყნების რეზიდენტებად, რომელი ქვეყნის რეზიდენტებიც იყვნენ მანამდე;
- ეკიპაჟები (საზღვაო და საჰაერო ხომალდების, კოსმოსური სადგურების, ნავთობის ჭაბურღილების და მსგავსი ნაგებობების), რომლებიც ოპერირებენ იმ ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, რომელ ტერიტორიაზეც ამ ეკიპაჟების წევრები ატარებენ უმეტეს დროს;
- დიპლომატური და სამხედრო პერსონალი, რომელიც მსახურობს სამთავრობო ანკლავებში განლაგებულ შესაბამის წარმომადგენლობებში, რჩებიან იმ ქვეყნის რეზიდენტებად, რომელ ქვეყნებშიც აქვთ მათ ძირითადი საცხოვრებელი ადგილი;
- საერთაშორისო ორგანიზაციების კადრები, ისევე როგორც მათი ოჯახის წევრები, რჩებიან იმ ქვეყნის რეზიდენტებად, რომელ ქვეყნებშიც აქვთ მათ ძირითადი საცხოვრებელი ადგილი;

- ტრანსსასაზღვრო დასაქმებულები, ითვლებიან იმ ტერიტორიის რეზიდენტებად, რომელ ტერიტორიაზეც აქვთ მათ ძირითადი საცხოვრისი, ან განზრახული აქვთ, რომ ჰქონდეთ ასეთი;
- მაღალი მობილობის პერსონები, რომელთა შემთხვევებშიც რეზიდენტობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელ ტერიტორიას თვლიან ისინი თავიანთ ძირითად საცხოვრებელ ადგილად (ტერიტორიად);
- ლტოლვილების რეზიდენტობა განისაზღვრება იმ ეკონომიკური ტერიტორიით, სადაც მათ აქვთ თავშესაფარი, თუ ისინი ამ ადგილზე რჩებიან, ან განზრახული აქვთ რომ დარჩნენ ერთი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, არის ეს ადგილი მათთვის მისაღები, დროებითი, თუ საერთოდ გაურკვეველია დარჩებიან ისინი ამ ადგილზე, თუ არა.

შინამეურნეობებისაგან განსხვავებით, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყვნენ ერთ ან მეტ ეკონომიკასთან, საწარმოები ყოველთვის (ან თითქმის ყოველთვის) ერთ ეკონომიკასთან ასოცირდებიან. აქ უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ საწარმოები წარმოადგენენ იურიდიულ ერთეულებს, ხოლო იურიდიული ერთეულები ითვლებიან იმ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტებად, რომლის კანონმდებლობითაც არიან ისინი დაფუძნებული და დარეგისტრირებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე არიან დაფუძნებული და განლაგებული მათი სათაო ორგანიზაციები.

საწარმოების რეზიდენტობის განსაზღვრისას, შესაძლოა გაუგებრობა გამოიწვიოს იმან, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, საწარმო დარეგისტრირებულია ერთ ეკონომიკურ ტერიტორიაზე, თუმცა მისი მფლობელი, აქტივების ადგილმდებარეობა, მენეჯმენტის ან ადმინისტრაციის ადგილმდებარეობა არის სხვა ტერიტორიაზე ან სულაც გაურკვეველი. ასეთ და მსგავს შემთხვევებში, რეზიდენტობის კრიტერიუმად რჩება საწარმოს იურიდიული რეგისტრაციის ადგილი, მიუხედავად იმისა, თუ სად მდებარეობენ ან იმყოფებიან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტები ან სუბიექტები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო ორგანიზაციების რეზიდენტობის განსაზღვრის საკითხი.

საერთაშორისო ორგანიზაციები ხასიათდებიან გარკვეული თავისებურებებით. კერძოდ:

- საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები არიან სახელმწიფოები ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა წევრები არიან ასევე სახელმწიფოები. აქედან გამომდინარე, ისინი იღებენ უფლებამოსილებას ან პირდაპირ წევრი სახელმწიფოებისაგან, ან არაპირდაპირ - სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი სახელმწიფოებისაგან;
- საერთაშორისო ორგანიზაციები დაფუძნებულია წევრი სახელმწიფოების ფორმალური შეთანხმების საფუძველზე; მათი არსებობა აღიარებულია წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით;
- რამდენადაც საერთაშორისო ორგანიზაციები დაფუძნებულია საერთაშორისო შეთანხმებით, მათ აქვთ სუვერენული სტატუსი და არ ექვემდებარებიან თავიანთი ადგილმდებარეობის ქვეყნის წესებსა და კანონებს;

- საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის მიზანი სხვადასხვაა, კერძოდ არიან ფინანსური ინსტიტუტები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი და სხვა), ან მათი მიზანია არასაბაზრო კოლექტიური მომსახურების მიწოდება წევრი სახელმწიფოებისათვის, როგორებიცაა მშვიდობის დაცვა, ჯანდაცვა, ინტეგრაციული პროცესები და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

- საერთაშორისო ორგანიზაციები არ წარმოადგენენ არცერთი ეროვნული ეკონომიკის რეზიდენტებს, იმ ეკონომიკის ჩათვლით, სადაც ისინი არიან განლაგებული და საქმიანობენ;
- ამ ორგანიზაციებში მომუშავე პერსონალი მიეკუთვნებიან იმ შინამეურნეობებს, რომლებიც ცხოვრობენ იმ ქვეყნებში, სადაც ფიზიკურად მდებარეობს ეს ორგანიზაციები.

მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე თავისებურება მისი გახსნილობაა. ასეთ პირობებში, თუ ეკონომიკურ ერთეულთა უმეტესი ნაწილი ასოცირდება ერთ კონკრეტულ ეკონომიკასთან, გარკვეული ეკონომიკური ერთეულების ინტერესი რამდენიმე ეკონომიკასთან არის დაკავშირებული. მეტიც: ბევრი საწარმო, ასოცირებული კონკრეტულ ეკონომიკასთან, დაკავშირებულია სხვა საწარმოსთან საკუთრების ერთობლივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფლობის, ან/და საერთო მმართველობის სტრუქტურის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს საწარმოთა ასეთი ჯგუფის ერთ საწარმოდ განხილვა და მათი ანგარიშების კონსოლიდაცია.

ამდენად, მაკროეკონომიკური სტატისტიკის მწარმოებელთათვის მნიშვნელოვანია რეზიდენტობის კონცეფციის სწორად გაგება, რამდენადაც ეკონომიკური ოპერაციების რეგისტრაციისას პირველი საკითხი, რაც მათი მხრიდან მოითხოვს გარკვევას, ეს არის ოპერაციის მონაწილე მხარეების რეზიდენტობის დადგენა.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების კვალობაზე, მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტებს (მაგ., ფინანსურ ინსტიტუტებს, საჯარო და სამოქალაქო რეესტრის სამსახურებს, საგადასახადო უწყებას და ა.შ.) უხდებათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან მუდმივი ურთიერთობა და შესაბამისად მათი ამა თუ იმ სტატუსის განსაზღვრა. ამ უკანასკნელთაგან ერთ–ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემატური სწორედ ეკონომიკური ერთეულების რეზიდენტობის დადგენაა, რომლის სწორად განსაზღვრაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც პირველადი აღრიცხვის, ისე სტატისტიკური ანგარიშგების ხარისხი. თუმცა, ეკონომიკური ერთეულის რეზიდენტობის განსაზღვრის ეროვნული ანგარიშობის მიერ აღიარებულ მიდგომებში გაუთვითცნობიერება სერიოზული დაბრკოლებაა სწორი პირველადი აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების წარმოების რთულ გზაზე. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ფინანსური თუ ადმინისტრაციული ორგანოები რეზიდენტობის განსაზღვრის კრიტერიუმად ფიზიკური პირების შემთხვევაში მოქალაქეობას მიიჩნევენ, რაც პრინციპულად არასწორია და სერიოზულ ზიანს აყენებს სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხს. დღისათვის მსოფლიოში აღიარებული სტატისტიკური მეთოდოლოგიები

ცალსახად მიუთითებს, რომ რეზიდენტობის განსაზღვრა მოქალაქეობის მიხედვით დაუშვებელია. ალბათ აღნიშნული ორგანოები უნდა მიეჩვიონ იმას, რომ ასეთი საკითხების გადაწყვეტისას კონსულტაციები გაიარონ კომპეტენტურ ორგანოებთან (რეზიდენტობის შემთხვევაში, მაგალითად, საქსტატთან). ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, ცოდნაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების საჭიროების იგნორირებაზე მიუთითებს.

პრაქტიკაში გვხვდება ქვეყნები, სადაც საგადასახადო მიზნებისათვის გამოიყენება რეზიდენტის განსხვავებული განმარტება, ვიდრე ეს ეროვნულ ანგარიშთა სისტემით არის განსაზღვრული. ასეა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაშიც, თუმცა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აქ შემოთავაზებული რეზიდენტის ცნების განმარტება. კოდექსის მე-2 თავის, მე-8 მუხლის, მე-20 პუნქტში ვკითხულობთ, რომ რეზიდენტი არის „რეზიდენტი ფიზიკური პირი ან რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს საწარმო ან საქართველოს ორგანიზაცია)“.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთ წინა რედაქციაში, ჩვენი აზრით სრულიად მიზანშეწონილად, აღნიშნული იყო, რომ „ამ კოდექსის ტერმინები და ცნებები, რომლებსაც აქვთ საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროს ტერმინებისა და ცნებებისაგან განსხვავებული მნიშვნელობა, გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო ურთიერთობების რეგულირებისას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. თუმცა, ეს ჩანაწერი ახლა ამოღებულია, რაც ქმნის სტატისტიკის პრაქტიკაში რეზიდენტის ცნების ამ კოდექსში არსებული განმარტების სავალდებულობის შთაბეჭდილებას, და, სამწუხაროდ, ხშირად რეზიდენტობის ცნების განმარტების საჭიროებისას ეყრდნობიან სწორედ კოდექსის განმარტებას და არა იმას, რასაც მოითხოვს ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და მამასადამე ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია.

## 2.2. ეკონომიკური ერთეულების სექტორიზაცია

სტატისტიკის წარმოებისას უმნიშვნელოვანეს კლასიფიკაციას წარმოადგენს ეკონომიკური ერთეულების სექტორიზაცია.

რეალურ ეკონომიკურ ოპერაციებს ეკონომიკური აგენტები (ეკონომიკური ერთეულები, ინსტიტუციური ერთეულები) ახორციელებენ. ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს, თუ რამდენის დახარჯვა შეუძლიათ შინამეურნეობებს, რამდენის ინვესტირება შეუძლიათ საწარმოებს, რამდენი და რა მომსახურების შემოთავაზება შეუძლიათ მთავრობას, რა და რამდენი უნდა შეიძინოს ქვეყანამ უცხოეთიდან, როგორ უნდა იცვლებოდეს ფასები და ა.შ. სწორედ ამ გარემოში უწევს ბიზნესს ოპერირება და ამდენად, სტატისტიკა, რომელიც რაოდენობრივად ასახავს ყველა ამ პროცესს, არის ბიზნესის განვითარების მთავარი ინსტრუმენტი, დასაყრდენი და მამოძრავებელი ელემენტი.

ვინ არიან ის მთავარი მოთამაშეები, რომლებიც რეალურ ეკონომიკურ ოპერაციებს ახორციელებენ? ესენი არიან ეკონომიკური ერთეულები (ინსტიტუციური ერთეულები, ეკონომიკური აგენტები).

ინსტიტუციური ერთეული მიიჩნევა ასეთად, თუ მას აქვს უფლებამოსილება:

- ფლობდეს თავის განკარგულებაში საქონელს ან აქტივებს და გადასცეს იგი საკუთრებაში სხვა ინსტიტუციურ ერთეულს ოპერაციის გზით;
- მიიღოს ეკონომიკური გადაწყვეტილება, დაკავდეს ეკონომიკური საქმიანობით და აიღოს ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობით;
- აიღოს ვალდებულებები თავისი სახელით და დადოს კონტრაქტები;
- ფლობდეს (უნდა) ანგარიშგების სრულ ჩამონათვალს, აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის ჩათვლით, ან უნდა შეემლოს შეადგინოს ანგარიშგება სრული მოცულობით, თუ ასეთი მოთხოვნა იქნება.

ამასთან, ინსტიტუციური ერთეულების მრავალფეროვნებისა და განსხვავებული თავისებურებების გამო ერთიანი მიდგომით მათი საქმიანობის გაზომვა შეუძლებელია. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ახდენს ეკონომიკური ერთეულების კლასიფიკაციას *ინსტიტუციურ სექტორებად* ეკონომიკაში მათი პრინციპული ფუნქციების, ქცევისა და მიზნების მიხედვით.

თუმცა, სანამ ეკონომიკური ერთეულების სექტორიზაციის საკითხის განხილვამდე, შევხვით მაკროეკონომიკური სტატისტიკის მიერ ეკონომიკური ერთეულების საბაზრო მწარმოებელ და არასაბაზრო მწარმოებელ ერთეულებად გამოიჯვნის საკითხს, რაც მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა და ეკონომიკური ერთეულების სექტორიზაციის საკითხთან მჭიდრო კავშირშია.

**საბაზრო მწარმოებლად მიჩნეულია ეკონომიკური ერთეული, თუ იგი მისი გამოშვების მთელ მოცულობას, ან მის უმეტეს ნაწილს აწვდის ბაზარს (სხვებს) ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფასად.**

ეკონომიკური ერთეული არასაბაზრო მწარმოებელია, თუ იგი მისი გამოშვების მთელ მოცულობას, ან მის უმეტეს ნაწილს აწვდის სხვებს უფასოდ, ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასად.

**რას წარმოადგენს ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასი?**

ეკონომიკურად მნიშვნელოვანია ის ფასი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შეთავაზების იმ მოცულობაზე, რომელიც სურს მწარმოებელს, რომ განახორციელოს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოცულობას, რომელიც მყიდველს სურს რომ შეიძინოს.

სხვა სიტყვებით, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასი ყალიბდება მაშინ, როცა მწარმოებელი მზადაა გრძელვადიან პერიოდში მოგების მიღების, ან კაპიტალისა და სხვა ხარჯების მინიმუმის დაფარვის მიზნით, მოახდინოს მიწოდების კორექტირება, ხოლო მომხმარებელს აქვს თავისუფლება შეიძინოს, ან არ შეიძინოს საქონელი, ანუ თავისუფალია გააკეთოს არჩევანი ფასიდან გამომდინარე.



როგორც წესი, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ფასი არის ისეთი ფასი, რომელიც ფარავს ხარჯების 50 პროცენტზე მეტს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. სხვა სიტყვებით, ფასი არის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი, თუ გაყიდვები მნიშვნელოვანწილად ფარავს მწარმოებლის ფასს და მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს იყიდოს, თუ არა, ან რამდენი იყიდოს ამ ფასად.

ამდენად, ეკონომიკური ერთეულები, ეკონომიკაში მათ მიერ განხორციელებული პრინციპული ფუნქციების, ქცევისა და მიზნების, ასევე მათი ძირითადი რესურსების წყაროების ერთგვაროვნების მიხედვით, იყოფა ხუთ სექტორად.

ეს სექტორებია:

- არაფინანსური კორპორაციები;
- ფინანსური კორპორაციები;
- მთავრობა;
- შინამეურნეობები, და
- შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები (შიმკაო).

რაში მდგომარეობს თითოეული მათგანის პრინციპული ფუნქცია და საიდან მომდინარეობს მათი რესურსები?

**არაფინანსური კორპორაციების სექტორი:** ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც დაკავებულნი არიან საბაზრო საქონლის წარმოებითა და არაფინანსური მომსახურებით.

- **ფუნქცია:** საქონლისა და არაფინანსური საბაზრო მომსახურების წარმოება.
- **რესურსები:** საქონლისა და არასაფინანსო საბაზრო მომსახურების გაყიდვიდან ამონაგები.

**ფინანსური კორპორაციების სექტორი:** ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც დაკავებულნი არიან ფინანსური შუამავლობით ან დამხმარე ფინანსური საქმიანობით.

- **ფუნქცია:** ფინანსური რესურსების მობილიზება და განაწილება.
- **რესურსები:** მიღებული ფინანსური ვალდებულებები, პროცენტები.

**სამთავრობო სექტორი:** ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც, პოლიტიკური პასუხისმგებლობების შესრულების გარდა, დაკავებულნი არიან არასაბაზრო მომსახურებით ინდივიდუალური ან კოლექტიური მოხმარებისათვის და შემოსავლებისა და ქონების გადანაწილებით.

- **ფუნქცია:** არასაბაზრო მომსახურება კოლექტიური მოხმარებისათვის.
- **რესურსები:** სხვა სექტორებიდან მიღებული სავალდებულო გადასახადები.

**შინამეურნეობების სექტორი:** ყველა ფიზიკური პირი (ცალკეული პირები თუ პირების ჯგუფი), რომელთა პრინციპული ფუნქციებია ეკონომიკის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა,

საბოლოო მოხმარება და მეწარმეობა - საბაზრო საქონლისა და არაფინანსური (შესაძლოა ფინანსურიც) მომსახურება.

**შინამეურნეობები, როგორც მომხმარებლები:**

**ფუნქცია:** მოხმარება.

**რესურსები:** ხელფასი, საკუთრებიდან შემოსავალი და სხვა სექტორებიდან მიღებული ტრანსფერები.

**შინამეურნეობები, როგორც მწარმოებლები:**

**ფუნქცია:** საქონლისა და არაფინანსური საბაზრო მომსახურების წარმოება.

**რესურსები:** საქონლისა და არაფინანსური საბაზრო მომსახურების გაყიდვიდან ამონაგები.

**შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი:** ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც დაკავებულნი არიან შინამეურნეობებისათვის არასაბაზრო მომსახურების გაწევით, და რომელთა რესურსები იქმნება შინამეურნეობების ნებაყოფილობითი შენატანებისაგან.

**ფუნქცია:** არასაბაზრო მომსახურება ცალკეული შინამეურნეობის მოხმარებისათვის.


**რესურსები:** ნებაყოფილობითი შენატანები და საკუთრებიდან შემოსავალი.

თუმცა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგია ითვალისწინებს აგრეთვე ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაციას მფლობელობის მიხედვითაც. ინსტიტუციური ერთეულების ასეთი დაყოფა ითვალისწინებს მათ დაჯგუფებას:

- საჯარო სექტორის
- კერძო სექტორის, და
- საგარეო კონტროლის ქვეშ მყოფი კორპორაციების სექტორად.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში წარმოდგენილია ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია სექტორებისა და ამავე დროს მფლობელობის ჭრილში:

სქემა 2.1. ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიკაცია სექტორებისა და მფლობელთა კატეგორიების ჭრილში



არაფინანსური, ისევე როგორც ფინანსური კორპორაციები კლასიფიცირდება როგორც საჯარო, თუ მათ კაპიტალში სახელმწიფოს წილი ნახევარზე მეტია და კონტროლდება სახელმწიფო დაწესებულების ან სხვა საჯარო კორპორაციის მიერ. სახელმწიფო კონტროლი ასევე სპეციალური კანონმდებლობით შეიძლება ხორციელდებოდეს. კორპორაციების მფლობელობა კერძო და საგარეო კონტროლის ქვეშ მყოფ კორპორაციებში ასევე კაპიტალში ნახევარზე მეტი წილის ფლობის კრიტერიუმით განისაზღვრება.

2.3. სხვა სტატისტიკური კლასიფიკაციები

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, წარმოადგენს რა ამა თუ იმ ეკონომიკის მაკროეკონომიკურ-სტატისტიკურ მოდელს, აღწერს მას და, აქედან გამომდინარე, მთელი საზოგადოების ეკონომიკურ ქცევას. ამ უკანასკნელის ადეკვატურად ასახვის მიზნით აუცილებელია მოვლენათა ერთობლიობის ისეთი დანაწილება, რომელიც შეესაბამება მისი სტრუქტურის თითოეულ ელემენტს. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელია ეკონომიკური სუბიექტების, მათ მიერ განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციებისა და ეკონომიკურ წრებრუნვაში მონაწილე ნაკადების კლასიფიკაცია და ისეთი კლასიფიკატორების სისტემის შექმნა, რომელიც მოგვცემს

ეროვნული ეკონომიკის თითოეული ელემენტის ეკონომიკური ქცევის არსისა და კანონზომიერების დადგენის შესაძლებლობას.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის მიზანია დაეხმაროს ბიზნეს-მოთამაშეებს რეალური ეკონომიკური ოპერაციების ანალიზში, როგორც ცალკეული ქვეყნის, ისე კონკრეტული რეგიონის და მსოფლიო ეკონომიკის დონეზე. საერთაშორისო ბიზნესის წარმოება შეუძლებელია, თუ მოთამაშეებს არ ექნებათ პასუხები კითხვებზე, თუ რამდენს და რას აწარმოებს ესა თუ ის ეკონომიკა, როგორია ეკონომიკის ზრდის ტენდენციები, რა განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას, რა და რატომ ემართებათ ფასებს, როგორია ინფლაცია და მრავალი სხვა.

ესა თუ ის სტატისტიკური კვლევა დაკვირვების ერთეულების შესახებ სასურველი ინფორმაციის მოპოვებას გულისხმობს. თუმცა, დაკვირვების ერთეულის შინაარსი, მისი ბუნება უნდა შეესაბამებოდეს კვლევის მიზანს. ამდენად, დაკვირვების ერთეულის თავისებურებების დასადგენად მიმართავენ სტატისტიკურ კლასიფიკატორებს.

კლასიფიკატორები წარმოადგენს ამა თუ იმ ერთობლიობის ერთეულთა იერარქიულ წყობას. ისინი მრავალგვარი არსებობს. თუმცა, სტატისტიკური თვალთახედვით, არსებული და შესაძლო კლასიფიკაციები ზოგადად შეიძლება დავაჯგუფოთ “სტატისტიკურ” და “სხვა” კლასიფიკაციებად (იხ.სქემა 2.2). კლასიფიკაციების დანიშნულებაა დავალაგოთ შესასწავლი ერთობლიობა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ერთგვაროვან ჯგუფებად, კლასებად ან სხვა დონეებად, რათა შემდეგ მის საფუძველზე მოვახდინოთ სათანადო ინფორმაციული მასალის სისტემატიზაცია ანალიტიკური და სხვა მიზნებისათვის.

სტატისტიკური კლასიფიკაციები ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მათ გარეშე შეუძლებელია სტატისტიკური კვლევის განხორციელება. კერძოდ, ისინი აუცილებელია სტატისტიკური დაკვირვების ჩატარებისა და შედეგების სისტემატიზაციისათვის.

## სქემა 2.2. კლასიფიკაციების ზოგადი სტრუქტურა



ეკონომიკურ სტატისტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებულ კლასიფიკაციებს მიეკუთვნება ისეთი კლასიფიკაციები, როგორებიცაა საქმიანობის სახეების, პროდუქციის, ძირითადი ფონდების, რეგიონების კლასიფიკაციები. თუმცა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წარმოებისათვის აუცილებელია სხვა სტატისტიკური კლასიფიკატორების არსებობაც. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყენებულ კლასიფიკატორებს მიეკუთვნება:

- ინსტიტუციონალური სექტორების კლასიფიკატორი;
- ეკონომიკური ოპერაციებისა და სხვა ნაკადების კლასიფიკატორი;
- დამაბალანსებელი მუხლების კლასიფიკატორი;
- აქტივების კლასიფიკატორი;
- დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორი;
- სამთავრობო ფუნქციების კლასიფიკატორი;
- შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების დანიშნულების (მიზნების) კლასიფიკატორი;
- მწარმოებელთა დანახარჯების კლასიფიკატორი დანიშნულების მიხედვით.

კლასიფიკაციების სისტემის ჰარმონიზაციის მიზნით აუცილებელია თითოეული ჩამოთვლილი კლასიფიკაციის მიმართ გამოიყენებოდეს მხოლოდ ერთი სტანდარტული კლასიფიკაცია. ამასთან, ამა თუ იმ კლასიფიკაციისადმი სტანდარტული მიდგომა არ გამოირცხავს ე.წ. წარმოებული კლასიფიკაციების არსებობას, რომელიც აკონკრეტებს სტანდარტულ კლასიფიკაციას ეროვნული თავისებურებებიდან გამომდინარე. წარმოებული კლასიფიკაციები არ უნდა არღვევდეს საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციებისადმი ერთიან მიდგომას. ყოველივე ეს, ერთი მხრივ, ეროვნული ანგარიშების სრულყოფილად წარმოების წინაპირობაა, ხოლო მეორე მხრივ, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საერთაშორისო შესადარისობას უზრუნველყოფს.

ამდენად, სტატისტიკურ კლასიფიკაციებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების განვითარებისა და გაღრმავების ფონზე, სტატისტიკური ინფორმაციის საერთაშორისო დონეზე შესადარისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე სტატისტიკურ მაჩვენებელთა ჰარმონიზაციის უნივერსალურ სისტემას, ამდენად კლასიფიკატორები წარმოადგენს ეროვნული ანგარიშების წარმოების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. კლასიფიკატორების აღნიშნული როლიდან გამომდინარე, მათ მოქმედებას საფუძვლად უდევს:

- ქვეყნებს შორის შეთანხმებული საერთო მეთოდოლოგიური პრინციპები;
- უნიფიკაცია და ჰარმონიზაცია;
- პერიოდული გადასინჯვის აუცილებლობა.

სტატისტიკაში გამოყენებული კლასიფიკაციების ჰარმონიზაციის პრობლემაზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკურმა კომისიამ, რომელმაც მიზნად დაისახა, ერთი მხრივ, შესაბამისობაში მოეყვანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლასიფიკაციები, ხოლო მეორე მხრივ, შეეთანხმებინა ეს კლასიფიკაციები სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაციებთან. ამასთან, ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება შეიმუშაოს და მოქმედებაში შემოიღოს ეროვნული კლასიფიკატორები, რომლებიც ასევე შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო კლასიფიკატორებთან ([http://geostat.ge/?action=page&p\\_id=976&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=976&lang=geo)). ამგვარად ჩამოყალიბდა საერთაშორისო კლასიფიკაციების სისტემა მსოფლიო დონეზე, რომელიც მოიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ეროვნულ კლასიფიკატორებს.

სქემა 2.3. კლასიფიკაციების საერთაშორისო სისტემა

კლასიფიკატორის ტიპი	გაეროს	ევროგაერთიანების	ეროვნული
<i>საქმიანობის სახეობების</i>	<b>ISIC</b> - ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკატორი (International Standart Industrial Classification of all Economic activities)	<b>NACE</b> - ევროგაერთიანების ეკონომიკური საქმიანობის მთავარი ნომენკლატურა (Nomenclature generale des activites economiques dansles Communautés Europeennes)	დამტკიცებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2016 წ. 28 ივლისის # 10 დადგენილებით საქართველოს კანონის "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" მე-13 მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად
<i>პროდუქციის</i>	<b>CPC</b> – პროდუქციის ცენტრალური კლასიფიკაცია (Central Product Classi-fication)	<b>CPA</b> - ევროგაერთიანების პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით (Classification of Products by Activities)	დამტკიცებულია და შემოღებულია სამოქმედოდ საქსტანდარტის 1999 წლის 17 მაისის №79 ბრძანებით
		<b>PRODCOM</b> - პროდუქტების ნუსხა წარმოების ევროპული სტატისტიკისათვის	
<i>საგარეო ვაჭრობის</i>		<b>HS</b> - საქონლის აღნიშვნისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა (Harmonized System)	არაოფიციალური თარგმანი
		<b>CN</b> - კომბინირებული ნომენკლატურა (Combined Nomenclature)	

<i>მოხმარების</i>	<b>COICOP-</b> ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორი დანიშნულების მიხედვით (Classification of individual consumption by purpose)		
<i>ფუნქციების</i>	<b>COFOG-</b> მთავრობის ფუნქციების კლასიფიკატორი (Classification of the Functions of the Government)		
<i>დანიშნულების (მიზნების)</i>	<b>COPNI-</b> შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების დანიშნულების (მიზნების) კლასიფიკატორი (Classification of the purposes of the non-profit institutions serving households)		
<i>დანახარჯების</i>	<b>COPP</b> - მწარმოებელთა დანახარჯების დანიშნულების კლასიფიკატორი (Classification of outlays of producers by purposes)		

საერთაშორისო დონეზე ქვეყნების განვითარების დონისა და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების შესასწავლად და შესადარებლად დიდი გამოყენება აქვს ქვეყნების კლასიფიკატორს.

ქვეყნების კლასიფიკატორის ელემენტებია:

- ქვეყნის მოკლე დასახელება;
- ქვეყნის სრული დასახელება;
- ქვეყნის დასახელება ინგლისურ ენაზე (თუ კლასიფიკატორი ქართულ ენაზეა);
- ქვეყნის ასოითი კოდი;
- ქვეყნის რიცხვითი კოდი.

ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულია ქვეყნების კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნის მიხედვით. პირველი ეს არის



ქვეყნების ყველაზე ფართო კლასიფიკაცია *განვითარებული, გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკების* მიხედვით. ქვეყნების ამგვარი დაყოფა მიზნად ისახავს ეკონომიკების საბაზო მდგომარეობის მიხედვით იდენტიფიკაციას.

განვითარებადი ქვეყნების გეოგრაფიული განაწილება შემდეგ ჯგუფებს გულისხმობს:

- აფრიკა;
- აღმოსავლეთი აზია;
- სამხრეთი აზია;
- დასავლეთი აზია;
- ლათინური ამერიკა და კარიბები.

ასევე ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნებისთვის გათვალისწინებულია გამიჯვნა *საწვავის ექსპორტიორ და საწვავის იმპორტიორ* ქვეყნებად.

ქვეყანა კლასიფიცირდება როგორც საწვავის ექსპორტიორი, თუ საწვავის ექსპორტი აღემატება მისი საქონლის მთლიანი ექსპორტის 20 პროცენტს და მინიმუმ 20 პროცენტით მეტია მის მიერვე განხორციელებულ საწვავის იმპორტზე. ამ კრიტერიუმის შემუშავება ეყრდნობა საქონლით მსოფლიო ვაჭრობაში საწვავის ექსპორტის ხვედრით წილს. ცნობისათვის: საწვავი მოიცავს ქვანახშირს, ნავთობს და ბუნებრივ აირს (ცხრილი დ).

ანალიზის გარკვეული მიმართულების მიზნებისათვის, ქვეყნები კლასიფიცირებულია აგრეთვე მათი *განვითარების დონის* მიხედვით, რაც გაიანგარიშება ერთ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავლის (მეშ) მიხედვით. ამ კრიტერიუმის შესაბამისად ქვეყნები კლასიფიცირებულია როგორც: *მაღალ-შემოსავლიანი, საშუალოზე მაღალ-შემოსავლიანი, საშუალოზე დაბალ-შემოსავლიანი და დაბალ-შემოსავლიანი* (ცხრილი ე).

ერთ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავლის ამოსავალ დონედ მიჩნეულია მსოფლიო ბანკის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ქვეყნების კლასიფიკაციის კრიტერიუმები შემდეგნაირია:

- დაბალ-შემოსავლიანი ქვეყნები - მეშ 1 025 აშშ დოლარზე ნაკლები;
- საშუალოზე დაბალ-შემოსავლიანი ქვეყნები - მეშ 1026 - 3995 აშშ დოლარი;
- საშუალოზე მაღალ-შემოსავლიანი ქვეყნები - მეშ 3996 - 12375 აშშ დოლარი;
- მაღალ-შემოსავლიანი ქვეყნები - მეშ 12376 აშშ დოლარზე მეტი.

## ცხრილი 2.1: განვითარებული ქვეყნები

ევროპა		
--------	--	--

ევროპის გაერთიანება (EU)	EU-ს ახალი წევრები	დანარჩენი ევროპა	სხვა ქვეყნები	უპირატესად განვითარებული ქვეყნები (G7)
EU-15	ბულგარეთი	ისლანდია	ავსტრალია	კანადა
ავსტრია	ხორვატია	ნორვეგია	კანადა	იაპონია
ბელგია	კვიპროსი	შვეიცარია	იაპონია	საფრანგეთი
დანია	ჩეხეთი		ახალი ზელანდია	გერმანია
ფინეთი	ესტონეთი		აშშ	იტალია
საფრანგეთი	უნგრეთი			გაერთ.სამეფო
გერმანია	ლატვია			აშშ
საბერძნეთი	ლიტვა			
ირლანდია	მალტა			
იტალია	პოლონეთი			
ლუქსემბურგი	რუმინეთი			
ნიდერლანდები	სლოვაკეთი			
პორტუგალია	სლოვენია			
ესპანეთი				
შვედეთი				
გაერთ.სამეფო				

## ცხრილი 2.2: გარდამავალი ქვეყნები

სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა	დამოუკიდებელი თანამეგობრობის ქვეყნები და საქართველო	
ალბანეთი	სომხეთი	მოლდოვა
ბოსნია და ჰერცეგოვინა	აზერბაიჯანი	რუსეთი
მონტენეგრო	ბელარუსი	ტაჯიკეთი
სერბეთი	საქართველო*	თურქმენეთი
მაკედონია	ყაზახეთი	უკრაინა
	ყირგიზეთი	უზბეკეთი

\* საქართველო დამოუკიდებელ თანამეგობრობას ოფიციალურად გამოეყო 2009 წლის 18 აგვისტოს, თუმცა გეოგრაფიული სიახლოვის და ეკონომიკური განვითარების დონის მსგავსებით იგი რჩება ამ ჯგუფში.

## ცხრილი 2.3: განვითარებადი ქვეყნები რეგიონების მიხედვით

აფრიკა		აზია	ლათინური ამერიკა და კარიბები
ჩრდილოეთი აფრიკა	სამხრეთი აფრიკა	აღმოსავლეთი აზია	კარიბები
ალჟირი	ანგოლა	ბრუნეი დარუსალამი	ბარბადოსი
ეგვიპტე	ბოტსვანა	ჩინეთი	კუბა
ლიბია	ლესოტო	ჰონგ-კონგი	დომინიკის რესპ.
მავრიტანია	მალავი	ინდონეზია	გაიანა
მოროკო	მავრიკი	მალაიზია	ჰაიტი
სუდანი	მოზამბიკი	მიანმარი	იამაიკა
ტუნისი	ნამიბია	პაპუა ახალი გვინეა	ტრინიდადი და ტობაგო
<b>ცენტრალური აფრიკა</b>	სამხრეთ აფრიკა	ფილიპინები	<b>მექსიკა და ცენტრალური ამერიკა</b>
კამერუნი	ზამბია	კორეა	კოსტა რიკა
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	ზიმბაბვე	სინგაპური	ელ სალვადორი
ჩადი	<b>დასავლეთი აფრიკა</b>	ტაივანი	გვატემალა
კონგო	ბენინი	ტაილანდი	ჰონდურასი
ეკვატორიული გვინეა	ბურკინა ფასო	ვიეტნამი	მექსიკა
გაბონი	კაბო ვერდე	<b>სამხრეთი აზია</b>	ნიკარაგუა
საუტომა-პრენსიპა	კოტდივუარი	ბანგლადეში	პანამა
<b>აღმოსავლეთი აფრიკა</b>	გამბია	ინდოეთი	<b>სამხრეთი ამერიკა</b>
ბურუნდი	განა	ირანი	არგენტინა
კომორები	გვინეა	ნეპალი	ბოლივია
კონგოს დემოკ.რესპ.	გვინეა ბისაუ	პაკისტანი	ბრაზილია
ჯიბუტი	ლიბერია	შრი-ლანკა	ჩილე
ერიტრეა	მალი	<b>დასავლეთი აზია</b>	კოლუმბია
ეთიოპია	ნიგერი	ბაჰრეინი	ეკვადორი
კენია	ნიგერია	ერაყი	პარაგვაი
მადაგასკარი	სენეგალი	ისრაელი	პერუ
რუანდა	სიერა ლეონე	იორდანია	ურუგვაი
სომალი	ტოგო	კუვეიტი	ვენესუელა
უგანდა		ლიბანი	
ტანზანია		ომანი	
		ყატარი	
		საუდის არაბეთი	
		სირიის არაბთა რესპ.	
		თურქეთი	
		არაბთა გაერთ. საამიროები	

		იემენი	
--	--	--------	--

**ცხრილი 2.4: საწვავის ექსპორტიორი ქვეყნები**


გარდამავალი ქვეყნები	განვითარებადი ქვეყნები				
	ლათინური ამერიკა და კარიბები	აფრიკა	აღმოსავლეთი აზია	სამხრეთი აზია	დასავლეთი აზია
აზერბაიჯანი	ბოლივია	ალჟირი	ბრუნეი დარუსალამი	ირანი	ბაჰრეინი
ყაზახეთი	კოლუმბია	ანგოლა	ინდონეზია		ერაყი
რუსეთი	ეკვადორი	კამერუნი	ვიეტნამი		კუვეიტი
თურქმენეთი	ტრინიდადი	ჩადი			ომანი
უზბეკეთი	ვენესუელა	კონგო			ყატარი
		კოტდ'ივუარი			საუდის არაბეთი
		ეგვიპტე			არაბთა გაერთ. ემირატები
		ეკვატორიალური გვინეა			იემენი
		გაბონი			
		ლიბია			
		ნიგერია			
		სუდანი			

**ცხრილი 2.5: ქვეყნები ერთ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავლის მიხედვით (2019 წელი)**

მაღალ-შემოსავლიანი \$12376 და მეტი (80)		საშუალოზე მაღალ- შემოსავლიანი \$3996 - \$12375 (60)		საშუალოზე დაბალ- შემოსავლიანი \$1026 - \$3995 (47)	დაბალ- შემოსავლიანი < \$1025 (31)
ანდორა	ლატვია	ალბანეთი	ყაზახეთი	ანგოლა	ავღანეთი
ანტიგუა და ბარბუდა	ლიხტენშტეინი	ალჟირი	კოსოვო	ბანგლადეში	ბენინი
არუბა	ლიტვა	ამერიკის სამოა	ლიბანი	ბუტანი	ბურკინა ფასო
ავსტრალია	ლუქსემბურგი	არგენტინა	ლიბია	ბოლივია	ბურუნდი
ავსტრია	მაკაო	სომხეთი	მალაიზია	კაბო ვერდე	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა
ბაჰამები	მალტა	აზერბაიჯანი	მალდივები	კამბოჯა	ჩადი

ბაჰრეინი	მონაკო	ბელარუსი	მარშალის კ- ბი	კამერუნი	კონგოს დემოკ.რესპ.
ბარბადოსი	ნიდერლანდები	ბელიზი	მავრიკი	კომორები	ერიტრია
ბელგია	ახალი კალედონია	ბოსნია და ჰერცეგოვინა	მექსიკა	კონგო	ეთიოპია
ბერმუდა	ახალი ზელანდია	ბოტსვანა	მონტენეგრო	კოტდივუარი	გამბია
ბრიტანეთის ვირჯინიის კ-ბი	ჩრდ. მარიანას კ- ბი	ბრაზილია	ნამიბია	ჯიბუტი	გვინეა
ბრუნეი დარუსალამი	ნორვეგია	ბულგარეთი	ნაურუ	ევვიპტე	გვინეა-ბისაუ
კანადა	ომანი	ჩინეთი	ჩრდ. მაკედონია	ელ სალვადორი	ჰაიტი
კაიმანის კ-ბი	პალაუ	კოლუმბია	პარაგვაი	ესვატინი	კორეის სახ. დემ. რესპ
ნორმანდიის კუნძულები	პანამა	კოსტა რიკა	პერუ	განა	ლიბერია
ჩილე	პოლონეთი	კუბა	რუმინეთი	ჰონდურასი	მადაგასკარი
ხორვატია	პორტუგალია	დომინიკა	რუსეთი	ინდოეთი	მალავი
კურაციო	პუერტო რიკო	დომინიკას რესპუბლიკა	სამოა	ინდონეზია	მალი
კვიპროსი	ყატარი	ეკვატორიალური გვინეა	სერბეთი	კენია	მოზამბიკი
ჩეხეთი	სან მარინო	ეკვადორი	შრი-ლანკა	კირიბატი	ნეპალი
დანია	საუდის არაბეთი	ფიჯი	სამხრეთ აფრიკა	ყირგიზეთი	ნიგერი
ესტონეთი	სეიშელები	გაბონი	სენტ ლუსია	ლაოსი	რუანდა
ფერარის კ-ბი	სინგაპური	<b>საქართველო</b>	სენტ- ვინსენტი და გრენადინები	ლესოტო	სიერრა ლეონე
ფინეთი	სინტ მარტინი (ნიდერლანდები)	გრენადა	სურინამი	მავრიტანია	სომალი
საფრანგეთი	სლოვაკეთი	გვატემალა	ტაილანდი	მიკრონეზია	სამხრეთი სუდან
საფრანგეთის პოლინეზია	სლოვენია	გვინეა	ტონგა	მოდოვა	სირიის არაბთა რესპ.
გერმანია	ესპანეთი	ირანის ისლამური რესპ.	თურქეთი	მონღოლეთი	ტაჯიკეთი
გიბრალტარი	სანტ კიტსი და ნევისი	ერაყი	თურქმენეთი	მოროკო	ტანზანია
საბერძნეთი	სენ მარტინი (საფრანგეთი)	იამაიკა	ტუვალუ	მიანმარი	ტოგო

გრენლანდია	შვედეთი	იორდანია	ვენესუელა	ნიკარაგუა	უგანდა
გუამი				ნეგერია	იემენი
ჰონგ-კონგი	შვეიცარია			პაკისტანი	
უნგრეთი	ტაივანი			პაპუა ახალი გვინეა	
ისლანდია	ტრინიდადი და ტობაგო			ფილიპინები	
ირლანდია	ტურქსი და კაიკოსის კ-ბი			საუტომა- პრენსიპა	
მენის კ-ბი	არაბთა გაერთ. სამიროები			სენეგალი	
ისრაელი	გაერთ.სამეფო			სოლომონის კ-ბი	
იტალია	აშშ			სუდანი	
იაპონია	ურუგვაი			ტიმორ ლესტე	
კორეის რესპ.	ვირჯინიის კ-ბი (აშშ)			ტუნისი	
				უკრაინა	
				უზბეკეთი	
				ვანუატუ	
				ვიეტნამი	
				დას.სანაპირო და გაზა	
				ზამბია	
				ზიმბაბვე	



## ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის

### ტესტი 1

რას წარმოადგენს კლასიფიკატორი:

1. მონაცემებს მონაცემების შესახებ
2. ამა თუ იმ ერთობლიობის ერთეულთა იერარქიულ წყობას
3. ინფორმაციას ინფორმაციის შესახებ
4. შერჩევითი ერთობლიობის ელემენტებს ამა თუ იმ გენერალური ერთობლიობიდან

### ტესტი 2

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეესაბამება კლასიფიკატორების მოქმედების პრინციპებს საერთაშორისო მასშტაბით:

1. გლობალიზაციის პროცესებში ინტეგრაციის პრინციპი
2. ქვეყნებს შორის შეთანხმებული საერთო მეთოდოლოგიური პრინციპები
3. უნიფიკაციისა და ჰარმონიზაციის პრინციპი
4. პერიოდული გადასინჯვის აუცილებლობის პრინციპი

### ტესტი 3

რა უპირატესობა გააჩნია გეონომენკლატურაში ქვეყნების ციფრულ კოდებს ასოით კოდებთან შედარებით:

1. გეონომენკლატურაში გამოყენებული როგორც ციფრული, ისე ასოითი კოდები ასოცირდება ქვეყნების შემოკლებულ დასახელებებთან
2. ციფრულ კოდებზე არ მოქმედებს ქვეყნების დასახელებების ცვლილებები
3. გეონომენკლატურაში ციფრული კოდები არ გამოიყენება
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

### ტესტი 4

საერთაშორისო კლასიფიკატორების სისტემა მოიცავს:

1. საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკატორებს
2. გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ეროვნულ კლასიფიკატორებს
3. გაეროსა და ეროვნულ კლასიფიკატორებს

#### 4. არცერთი პასუხი არაა სრული

### ტესტი 5

ეკონომიკური ერთეულების რეზიდენტობის განსაზღვრის კრიტერიუმია:

1. მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიასთან მისი მყარი უპირატესი ეკონომიკური ინტერესების არსებობა
2. მოცემული ქვეყნის გეოგრაფიულ ტერიტორიასთან მისი მყარი უპირატესი ეკონომიკური ინტერესების არსებობა
3. მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიასთან მისი ეკონომიკური ურთიერთობების არსებობა
4. არცერთი დებულება არ შეესაბამება რეზიდენტობის განსაზღვრის კრიტერიუმს.

### ტესტი 6

რას ნიშნავს გამოთქმა „მყარი ეკონომიკური ინტერესი“ ეკონომიკური ერთეულის რეზიდენტობის განსაზღვრის კონტექსტში:

1. მოცემულ ქვეყანაში შიგნით ადგილსამყოფელის არსებობას, რომელიც აძლევს მას საშუალებას შეუფერხებლად გადაადგილდეს ქვეყნის ტერიტორიაზე
2. მოცემული ეროვნული ეკონომიკის შიგნით ადგილსამყოფელის, საცხოვრისის, წარმოების ადგილის ან სხვა უძრავი ქონების არსებობას, რომელიც დაკავებული აქვს ეკონომიკურ ერთეულს და აპირებს კვლავაც დაიკავოს იგი განუსაზღვრელი ან განსაზღვრული, მაგრამ ხანგრძლივი ვადით, მნიშვნელოვანი მასშტაბის ეკონომიკური საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელების მიზნით
3. მოცემული ეროვნული ეკონომიკის შიგნით სწავლის, მკურნალობის და სხვა პირადი საქმიანობის განხორციელების უფლებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში
4. არცერთი დებულება არ შეესაბამება რეზიდენტობის განმარტებას.

### ტესტი 7

ფიზიკური პირის რეზიდენტობა განისაზღვრება:

1. მისი სამუშაო ადგილის ადგილმდებარეობის მიხედვით
2. იმ შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისის ადგილმდებარეობის მიხედვით, რომლის წევრიც არის მოცემული ფიზიკური პირი
3. მისი მოქალაქეობის მიხედვით
4. მისი დაბადების ადგილის მიხედვით

### ტესტი 8

იურიდიული პირი ითვლება იმ ქვეყნის რეზიდენტად:

1. რომლის მოქალაქეც არის მისი დამფუძნებელი
2. რომლის რეზიდენტიც არის მისი დამფუძნებელი



3. რომლის ტერიტორიაზეც არის დაფუძნებული და განლაგებული მისი სათაო ორგანიზაცია
4. რომლის ტერიტორიაზეც არის კანონიერად დაფუძნებული და დარეგისტრირებული და აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი

### ტესტი 9

თუ შინამეურნეობის რომელიმე წევრი შეწყვეტს იმ ეკონომიკური ტერიტორიაზე ყოფნას (ცხოვრებას), რომლის რეზიდენტიც არის მისი შინამეურნეობა ასეთ შემთხვევაში როგორ განისაზღვრება მისი რეზიდენტობა:

1. ეს ფიზიკური პირი მაინც ითვლება მოცემული შინამეურნეობის წევრად და შესაბამისად ამ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტად
2. ეს ფიზიკური პირი რჩება მოცემული შინამეურნეობის წევრად ერთი წლის განმავლობაში და შესაბამისად ამ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტად
3. ეს ფიზიკური პირი აღარ ითვლება მოცემული შინამეურნეობის წევრად და შესაბამისად არც ამ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტად
4. ეს ფიზიკური პირი აღარ ითვლება მოცემული შინამეურნეობის წევრად, თუმცა რჩება მოცემული ქვეყნის რეზიდენტად

### ტესტი 10

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ განსაზღვრავს შინამეურნეობის რეზიდენტობას:

1. ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობა
2. ამა თუ იმ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ცხოვრების ხანგრძლივობა
3. ოჯახის საცხოვრებელი ადგილი
4. ამა თუ იმ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ცხოვრების ხანგრძლივობა

### ტესტი 11

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი თავისებურება განსაზღვრავს ერთმნიშვნელოვნად ეკონომიკური ერთეულების კუთვნილებას ეროვნული ეკონომიკისადმი და დანარჩენი სამყაროსადმი

1. რეზიდენტობა
2. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა
3. საგარეო სავაჭრო საქმიანობა
4. ხომალდის ეკიპაჟის საქმიანობა

## ტესტი 12

ესა თუ ის ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობას. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი წინადადება შეესაბამება მთლიანი ეკონომიკის განმარტებას

1. ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობა, რომლებიც ფლობენ აქტივებს მოცემულ ეკონომიკაში
2. ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობა, რომლებიც წარმოადგენენ მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტებს
3. ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობა, რომლებსაც გააჩნიათ საბალანსო უწყისის შედგენის ვალდებულება
4. ინსტიტუციური ერთეულების ერთობლიობა, რომლებიც მონაწილეობენ ეკონომიკურ ურთიერთობებში არარეზიდენტებთან

## ტესტი 13

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორს

1. საავადმყოფო, რომელიც პაციენტებს ემსახურება უფასოდ და ფინანსირდება შინამეურნეობების შემოწირულობებს ხარჯზე
2. საავადმყოფო, რომელიც პაციენტებს ემსახურება საბაზრო ფასებით
3. საავადმყოფო, რომელიც დაფუძნებულია ეკლესიის მიერ და პაციენტებს ემსახურება საბაზრო ფასებით
4. არცერთი

## ტესტი 14

ეროვნული ეკონომიკის სექტორებად დაყოფას საფუძვლად უდევს:

1. ეკონომიკის ერთ მთლიანობაში წარმოდგენის პრინციპი
2. ინსტიტუციური ერთეულების მიერ ეკონომიკაში განხორციელებული ფუნქციები და ძირითადი რესურსების წყაროების ერთგვაროვნება
3. ანგარიშებზე ორმაგი ჩაწერის პრინციპი
4. ზემოთ აღნიშნულთაგან არცერთი

## ტესტი 15

ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკის სექტორებიდან რომლის პრინციპული ფუნქციაა არასაბაზრო მომსახურების გაწევა კოლექტიური მოხმარებისათვის:

1. არაფინანსური კორპორაციები
2. ფინანსური კორპორაციები
3. მთავრობა
4. შინამეურნეობები

## 5. შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები

### ტესტი 16

ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკის სექტორებიდან რომლის პრინციპული ფუნქციაა საქონლისა და არასაფინანსო მომსახურების გაწევა:

1. არაფინანსური კორპორაციები
2. ფინანსური კორპორაციები
3. მთავრობა
4. შინამეურნეობები
5. შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები

### ტესტი 17

ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკის სექტორებიდან რომლის პრინციპული ფუნქციაა ფინანსური რესურსების მობილიზაცია და განაწილება:

1. არაფინანსური კორპორაციები
2. ფინანსური კორპორაციები
3. მთავრობა
4. შინამეურნეობები
5. შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები

### ტესტი 18

ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკის სექტორებიდან რომლის პრინციპული ფუნქციაა არასაბაზრო მომსახურების გაწევა ცალკეული შინამეურნეობის მოხმარებისათვის:

1. არაფინანსური კორპორაციები
2. ფინანსური კორპორაციები
3. მთავრობა
4. შინამეურნეობები
5. შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები

### ტესტი 19

ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკის სექტორებიდან რომლის პრინციპული ფუნქციაა მოხმარება:

1. არაფინანსური კორპორაციები
2. ფინანსური კორპორაციები
3. მთავრობა

4. შინამეურნეობები
5. შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები

### **ტესტი 20**

ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკის სექტორებიდან რომლის რესურსების წყაროა ნებაყოფილობითი შენატანები და საკუთრებიდან შემოსავალი:

1. არაფინანსური კორპორაციები
2. ფინანსური კორპორაციები
3. მთავრობა
4. შინამეურნეობები
5. შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები

### **ტესტი 21**

ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკის სექტორებიდან რომლის რესურსების წყაროა ხელფასი, საკუთრებიდან შემოსავალი და სხვა სექტორებიდან მიღებული ტრანსფერები:

1. არაფინანსური კორპორაციები
2. ფინანსური კორპორაციები
3. მთავრობა
4. შინამეურნეობები
5. შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები

### **ტესტი 22**

ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკის სექტორებიდან რომლის რესურსების წყაროა სხვა სექტორებიდან მიღებული აუცილებელი გადასახადები:

1. არაფინანსური კორპორაციები
2. ფინანსური კორპორაციები
3. მთავრობა
4. შინამეურნეობები
5. შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები

### **ტესტი 23**

ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკის სექტორებიდან რომლის რესურსების წყაროა საპროცენტო შემოსავლები:

1. არაფინანსური კორპორაციები
2. ფინანსური კორპორაციები
3. მთავრობა

4. შინამეურნეობები
5. შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები

## თემა 3. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი როლი საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკაში

### 3.1. მთლიანი შიდა პროდუქტი

ზემოთ ზოგადად უკვე ვისაუბრეთ მთლიან შიდა პროდუქტზე, როგორც ეკონომიკის საზომზე და ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებულ მაჩვენებელზე. რატომაა იგი ასეთი მნიშვნელოვანი?

პირველ რიგში, მთლიანი შიდა პროდუქტი გვიჩვენებს, თუ რამდენად ჯანსაღია ეკონომიკა. თუ დავაკვირდებით მის სტრუქტურას, განვითარების დინამიკას და ა.შ. იგი დაგვანახებს, თუ რა რესურსები აქვს ქვეყანას განვითარებისათვის, სად უნდა ვეძებოთ მისი მიმზიდველი უპირატესობები და რაში მდგომარეობს ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას.

მთლიანი შიდა პროდუქტი ინვესტორებს აძლევს მიმართულებას, თუ როგორი საინვესტიციო გადაწყვეტილებები მიიღონ. თუ ეკონომიკა სუსტია, ეს ნიშნავს დაბალ შემოსავლებს და აქციების დაბალ ფასებს, და შესაბამისად ასეთი ეკონომიკა ინვესტორებისათვის მიმზიდველი არ არის.

თუმცა, სტატისტიკის გათვითცნობიერებული მომხმარებელი - ინვესტორი, მთავრობა, თუ მკვლევარები, მართო ერთი მთლიანი შიდა პროდუქტის გაცნობით არ კმაყოფილდება. მათ იციან, რომ საჭიროა ამ ფენომენის სიღრმისეული გაგება, რათა შეძლონ ეკონომიკის განვითარების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში გარკვევა და სწორი დასკვნების გაკეთება.

მთლიანი შიდა პროდუქტი სამი მეთოდით გაიანგარიშება. ეს მეთოდებია:

- დანახარჯების მეთოდი;
- შემოსავლების მეთოდი და
- დამატებული ღირებულების, ანუ წარმოების მეთოდი.

ამ თითოეული მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი განსხვავებული სტრუქტურით ხასიათდება და მრავალმხრივი ანალიზის საშუალებას იძლევა. თუმცა, მიღებული შედეგები ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს<sup>5</sup>.

მთლიანი შიდა პროდუქტი ემსახურება საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

---

<sup>5</sup> ბუნებრივია, მშპ-ს სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშება ნიშნავს იმას, რომ სათანადო გამოთვლებისთვის სხვადასხვა ინფორმაციის წყაროები გამოიყენება (როგორც მეთოდების დასახელებიდან ჩანს). აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მიღებული შედეგები ზუსტად ემთხვეოდეს ერთმანეთს. შესაბამისად, განსხვავება მათ შორის დასაშვებია, თუმცა მცირე ზომით. მონაცემთა დასაბალანსებლად გამოიყენება სპეციალური მუხლი „სტატისტიკური განსხვავება“.

### რა არის მოთხოვნა?

მოთხოვნა წარმოსდგება მომხმარებლისაგან, რაც დაკავშირებულია პირად და მთავრობის მოხმარებასთან, ინვესტირებასა და დაგროვებასთან, ასევე ექსპორტთან. უფრო ზუსტად:

$$\begin{aligned} \text{მოთხოვნა} &= \text{შუალედური მოხმარება} + \text{საბოლოო მოხმარება} + & (1) \\ &+ \text{კაპიტალის მთლიანი ფორმირება} + \text{ექსპორტი} \end{aligned}$$

მოთხოვნა თავისი ბუნებით განსაზღვრავს მიწოდებას და მათ შორის დგინდება ტოლობა:

$$\text{მოთხოვნა} = \text{მიწოდება} \quad (2)$$

თუმცა, იმისათვის, რომ ეს ტოლობა შედგეს, საჭიროა ფული. ინდივიდუალურ მოთხოვნათა ჯამი განსაზღვრავს, თუ რამდენი ფულია საჭირო ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი პროდუქციის წარმოებისათვის, ან/და იმპორტისათვის, თუ საკუთარი წარმოება ამისათვის საკმარისი არ არის.

### რას წარმოადგენს მიწოდება?

ეს არის მთლიანი გამოშვებისა და იმპორტის ჯამი.

შესაბამისად, აღნიშნული და ზემოთ მოტანილი (1) და (2) ტოლობები საშუალებას გვაძლევს მოთხოვნა-მიწოდებას შორის დამოკიდებულება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

$$\begin{aligned} \text{გამოშვება} + \text{იმპორტი} &= \text{შუალედური მოხმარება} + \text{საბოლოო მოხმარება} + & (3) \\ &+ \text{კაპიტალის მთლიანი ფორმირება} + \text{ექსპორტი} \end{aligned}$$

საბოლოო მოხმარება გულისხმობს საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებას, მაშინ, როცა შუალედური მოხმარება მოიცავს წარმოების პროცესში მოხმარებულ საქონელსა და მომსახურებას. რადგანაც ეს უკანასკნელი გამოშვების პროცესს უკავშირდება, თუ გადავადგილებთ (3) ტოლობის კომპონენტებს მივიღებთ ახლად შექმნილ, ანუ მთლიან დამატებულ ღირებულებას: იდენტიფიცირდება, როგორც გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობა. ანუ, ერთი მხრივ:

$$\begin{aligned} \text{გამოშვება} - \text{შუალედური მოხმარება} &= \text{საბოლოო მოხმარება} + & (4) \\ &+ \text{კაპიტალის მთლიანი ფორმირება} + \text{ექსპორტი} - \text{იმპორტი} \end{aligned}$$

მეორე მხრივ:

$$\text{მთლიანი დამატებული ღირებულება} = \text{საბოლოო მოხმარება} + \text{კაპიტალის} \quad (5)$$

$$\text{მთლიანი ფორმირება} + \text{ექსპორტი} - \text{იმპორტი}$$

თუმცა, (5) ტოლობის მარჯვენა მხარე ასახავს მომხმარებლის, ანუ მყიდველის ხარჯებს და, აქედან გამომდინარე, იგი მოიცავს გადასახადებს და სუბსიდიებს საქონელსა და მომსახურებაზე. როცა პროდუქტებზე გადასახადები იზრდება, სუბსიდიები ამცირებს მომხმარებლის მიერ გადასახდელ ფასს. მეორე მხრივ, მწარმოებლის მხრიდან შეფასებულ გამოშვებაში არ მონაწილეობს გადასახადები, ხოლო სუბსიდიები მასში ჩართულია. ამდენად, თუ აღნიშნულის გათვალისწინებით მივუდგებით, (5) ტოლობა, როგორც „მიწოდება-გამოყენების“ ამსახველი დამოკიდებულება, მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\text{გამოშვება} + \text{გადასახადები} - \text{სუბსიდიები} - \text{შუალედური მოხმარება} = \quad (6)$$

$$\text{საბოლოო მოხმარება} + \text{კაპიტალის მთლიანი ფორმირება} + \text{ექსპორტი} - \text{იმპორტი}$$

ამდენად, (6) იგივეობის მარცხენა მხარე ასახავს ახლად შექმნილ პროდუქტს, ანუ *მთლიან შიდა პროდუქტს*, რომელიც ტოლია საბოლოო მოხმარებისა და ინვესტიციების ჯამს დამატებული წმინდა ექსპორტი.

თუ (6) ტოლობას სიმბოლოებით გამოვსახავთ, რაც შემდგომში ბევრჯერ გამოგვადგება, მივიღებთ მაკროეკონომიკურ სტატისტიკაში ძალიან ცნობილ იგივეობას:


$$\text{GDP} = \text{C} + \text{I} + \text{X} - \text{M} \quad (7)$$

სადაც C არის საბოლოო მოხმარება, I - ინვესტიციები, X - ექსპორტი და M - იმპორტი.

ზემოაღნიშნულს სქემატურად კარგად ასახავს ქვემოთ მოტანილი სქემა:



სქემა 3.1. მოთხოვნა და მიწოდება



თუმცა, მთლიანი შიდა პროდუქტი არ არის წლის განმავლობაში შექმნილი ის მთლიანი დოვლათი, რაც საზოგადოების განკარგულებაში აღმოჩნდება. ამ დოვლათის ფორმირებაში მონაწილეობს აგრეთვე არარეზიდენტებისაგან მიღებული წმინდა შემოსავლები და ტრანსფერები, რომლებიც მთლიან შიდა პროდუქტთან ერთად ქმნიან **მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალს**. აღნიშნული დებულების ფორმალიზების მიზნით, თუ ბოლო იგივეობის ორივე მხარეს დავუმატებთ არარეზიდენტებისაგან მიღებულ წმინდა შემოსავლებს და ტრანსფერებს, მივიღებთ იგივეობას, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს კავშირს რეალურ სექტორსა და დანარჩენ სამყაროს შორის, ანუ ეროვნულ ანგარიშებსა და საგარეო სექტორის ანგარიშებს შორის:

$$GDP + PIB + SIB = G + C + I + (X - M) + PIB + SIB, \text{ ანუ}$$

$$GNDI = G + C + I + CAB.$$

სადაც:

PIB არის წმინდა პირველადი შემოსავლები საზღვარგარეთიდან (საგადასახდელი ბალანსის პირველადი შემოსავლების ბალანსი),

GDP + PIB - მთლიანი ეროვნული პროდუქტი (GNI),

SIB - წმინდა მეორადი შემოსავლები საზღვარგარეთიდან (საგადასახდელი ბალანსის მეორადი შემოსავლების ბალანსი),

CAB - მიმდინარე ანგარიში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თეორიულად მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავლისა და მოხმარების სხვაობა წარმოადგენს დანაზოგს (S), მაშინ:

$$\text{GNDI} - \text{G} + \text{C} = \text{I} + \text{CAB}, \text{ ანუ}$$

$$\text{S} = \text{I} + \text{CAB}.$$

აქედან გამომდინარე -

$$\text{S} - \text{I} = \text{CAB}.$$

ამდენად, ამა თუ იმ ეროვნული ეკონომიკის დანაზოგებსა და განხორციელებულ ინვესტიციებს შორის სხვაობა (ეროვნული ანგარიშების მიხედვით) შეიძლება განისაზღვროს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობით (საგარეო სექტორის ანგარიშებიდან), და პირიქით.

თუ, უფრო მეტი ანალიზისთვის, ბოლო იგივეობას განვიხილავთ ეროვნულ ეკონომიკაში დანაზოგებისა და ინვესტიციების განმახორციელებელი მსხვილი ინსტიტუციების - მთავრობისა და კერძო სექტორის ჭრილში, გამოიკვეთება კავშირი მთავრობასთანაც. კერძოდ:

$$(\text{Sg} + \text{Sp}) - (\text{Ig} + \text{Ip}) = \text{CAB}, \text{ ანუ}$$

$$(\text{Sg} - \text{Ig}) + (\text{Sp} - \text{Ip}) = \text{CAB},$$

რაც ნიშნავს, რომ საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა დამოკიდებულია ერთი მხრივ, მთავრობის, ხოლო მეორე მხრივ, კერძო სექტორის დანაზოგები-ინვესტიციების ბალანსზე.

თუ უფრო დეტალურად მივუდგებით ამ დამოკიდებულების შესწავლას, შეგვიძლია განვიხილოთ მისი წონასწორობის დარღვევის შესაძლო შემთხვევები. კერძოდ:

- |                                |                             |   |
|--------------------------------|-----------------------------|---|
| 1. $\text{Sp} - \text{Ip} > 0$ | $\text{Sg} - \text{Ig} < 0$ | $\text{CAB} < 0$ , თუ $ \text{Sg} - \text{Ig}  >  \text{Sp} - \text{Ip} $ |
| 2. $\text{Sp} - \text{Ip} < 0$ | $\text{Sg} - \text{Ig} < 0$ | $\text{CAB} < 0$  |
| 3. $\text{Sp} - \text{Ip} < 0$ | $\text{Sg} - \text{Ig} > 0$ | $\text{CAB} < 0$ , თუ $ \text{Sg} - \text{Ig}  <  \text{Sp} - \text{Ip} $ |

**შემთხვევა 1:** სახეზეა ფისკალური დეფიციტი. ამასთან, თუ ამ უკანასკნელის აბსოლუტური მნიშვნელობა მეტია კერძო სექტორის დანაზოგები-ინვესტიციების ბალანსზე, მაშინ მიმდინარე ანგარიში უარყოფითია. ასეთ ვითარებაში დგება დილემა: ან უნდა გამკაცრდეს ფისკალური პოლიტიკა და მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება, ან კერძო სექტორში უნდა შემცირდეს ინვესტიციები.

**შემთხვევა 2:** მთელს ეკონომიკაში რესურსული დეფიციტია. შესაბამისად, მისი დაძლევა კომპლექსურ ღონისძიებებს მოითხოვს, რაც ადვილი არ არის და სხვადასხვა სცენარების განხილვას მოითხოვს.

**შემთხვევა 3:** ფისკალური მდგომარეობა ნორმალურია, თუმცა კერძო სექტორში სახეზეა ინვესტიციური ბუმი; აუცილებელია საჭიროებების გადახედვა, შეფასება და საბაზრო ინსტრუმენტებით (შესაბამისი რეგულაციები, გადასახადები, საბაჟო ტარიფები და ა.შ.) მდგომარეობის ნორმალიზება.

ამდენად, ზემოაღნიშნული (6) და (7) იგივეობები გვიჩვენებს, თუ როგორ გაიანგარიშება მთლიანი შიდა პროდუქტი ე.წ. დანახარჯების მეთოდით. თუმცა, საკითხს თუ რეალურად შევხედავთ, ბუნებრივია გაჩნდება უამრავი კითხვა: როგორ გავიანგარიშოთ აღნიშნული იგივეობების კომპონენტები? საიდან და რა გზით მოვიპოვოთ საჭირო ინფორმაცია? როგორ მოვახდინოთ ინფორმაციის წყაროების კლასიფიცირება საჭირო ნიშნების მიხედვით? ღირებულებითი შეფასების რა პარამეტრებით ვიხელმძღვანელოთ ეკონომიკურ აქტივებზე ფასების მუდმივი ცვალებადობის პირობებში? როგორ მივალწიოთ ჩვენს მიერ გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის საერთაშორისო შესადარისობას? ბაზრის მონაწილეებს, აკადემიურ და ბიზნეს-წრეებს, ინვესტორებს, დონორებს და სხვა მრავალ მომხმარებელს სტატისტიკისაგან სჭირდება დასაბუთებული, გამჭვირვალე, ობიექტური პასუხი ამ და მრავალ სხვა კითხვაზე თავიანთი საქმიანობის წარმართვისათვის.

მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების, ასევე შემოსავლების ფორმირებისა და მისი გამოყენების, დაგროვებისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას, ამ მაჩვენებლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და მათი ეკონომიკურ-სტატისტიკურ ანალიზისა და პროგნოზირების მიზნებისათვის გამოყენების ინფორმაციულ მხარდაჭერას ემსახურება მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებს შორის უმთავრესი - ეროვნულ ანგარიშთა სისტემა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მრავალმხრივი დანიშნულების სისტემაა. იგი შექმნილია ეკონომიკური ანალიზის, გადაწყვეტილებების მიღებისა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების მიზნებისათვის.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს შემდგენელი ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ მოდელს და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი ეროვნული ეკონომიკის სტატისტიკური შესწავლისა და მისი მომავალი განვითარების პროგნოზირების უნივერსალურ საშუალებას, საერთაშორისო დონეზე იგი გამოიყენება არაერთი გადაწყვეტილების მიღებისა და იმის შესაფასებლად, თუ რამდენად სერიოზულად უდგებიან ქვეყნები სტატისტიკის განვითარების საკითხებს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებლები, პირველ რიგში, გამოიყენება საერთაშორისო ორგანიზაციებში წარსადგენად, რაც დასტურია მოცემული ქვეყნების მიერ სტატისტიკის სფეროში საერთაშორისო დონეზე მიღებული მეთოდოლოგიების, სტანდარტებისა და კლასიფიკაციების აღიარებისა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საბოლოო შედეგები და განმაზოგადებელი მაჩვენებლები ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო შედარებებისათვის და აგრეთვე მთელი რიგი ისეთი

მაჩვენებლების შეფარდებითი დონეების განსაზღვრისათვის, როგორებიცაა ინვესტიციები, გადასახადები, სამთავრობო ხარჯები, ექსპორტი, იმპორტი, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და სხვა მაჩვენებლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში.

მთლიანი შიდა პროდუქტის, ან მთლიანი ეროვნული შემოსავლის საერთო დონე, ან ერთ მოსახლეზე მათი მოცულობა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოიყენება ამა თუ იმ ქვეყნისათვის გამოსაყოფი სესხის, დახმარებების ან სხვა ფონდების მოცულობის განსაზღვრისათვის. ამისათვის ეროვნულ ვალუტაში მოცემული მაჩვენებლები კონვერტირდება ზოგად ვალუტაში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გამოყენებით (რომელსაც მომდევნო თავში განვიხილავთ). გარდა ამისა, მთლიანი შიდა პროდუქტის, ან ერთ მოსახლეზე მისი დონის მიხედვით განისაზღვრება წევრი ქვეყნების შენატანების მოცულობა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მართლაც უნიკალური მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემაა. იგი წარმოადგენს არა მარტო ყოვლისმომცველ მეთოდოლოგიურ საფუძველს ეკონომიკური სტატისტიკის წარმოებისათვის, არამედ მომხმარებელს აწვდის ყოვლისმომცველ ინფორმაციას ეკონომიკისა და მისი მთავარი მოთამაშეების საქმიანობის შედეგების შესახებ, აღწერს ეკონომიკურ ოპერაციებსა და პროცესებს, რომლებიც განაპირობებენ ამ ოპერაციებს, უზრუნველყოფს ცნებებისა და კატეგორიების შესაბამისობას მაკროეკონომიკურ სტატისტიკურ სისტემებს შორის. ამ მიზეზთა გამო ეროვნული ანგარიშების სისტემა განიხილავენ, როგორც უნივერსალურ, გამჭვირვალე, ჰარმონიზებულ და მოქნილ სტატისტიკურ სისტემას. კერძოდ:


- მისი უნივერსალობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენება ერთნაირი წარმატებით შეიძლება განსხვავებული ეკონომიკების შესაფასებლად;
- გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელოების, გზამკვლევების, პრაქტიკული მაგალითების ერთნაირად ხელმისაწვდომობით ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
- ჰარმონიზებულობა გულისხმობს ცნებებისა და კატეგორიების ერთიანობას ყველა მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემისა (საგადასახდელო ბალანსი, მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა, სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა) და სტატისტიკის სფეროსათვის;
- მოქნილობა მდგომარეობს იმაში, რომ ამა თუ იმ მოვლენისა თუ პროცესის ეროვნულ ანგარიშებში ასახვის მიზნით შესაძლებელია მას დაემატოს ე.წ. სატელიტური ანგარიშები (მაგალითად, გარემოსდაცვითი, ტურიზმის და ა.შ.), რაც არ ცვლის სისტემის ცენტრალურ სტრუქტურას.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებლებს ჩვენ ქვემოთ კიდევ შევხებით ცხოვრების დონის შეფასებისა და საერთაშორისო შედარებების კონტექსტში.

## ეროვნული ანგარიშების აგრეგატები და გაანგარიშების მეთოდები

ამდენად, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების საფუძველია ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებულ ეკონომიკურ ანგარიშებს. თითოეული ანგარიში შედგება კონკრეტულ მაჩვენებელთა ერთობლიობისაგან, რომელთაგან ერთი ნაწილი ასახავს მოცემული ეროვნული ეკონომიკისათვის რესურსებს (ანგარიშის მარჯვენა მხარე), ხოლო მეორე ნაწილი - მათ გამოყენებას (ანგარიშის მარცხენა მხარე). მათ შორის სხვაობა წარმოადგენს მოცემული ანგარიშის დამაბალანსებელ მუხლს, რომელიც კონკრეტულ ეკონომიკურ კატეგორიას ახასიათებს და კონკრეტული ანალიტიკური მნიშვნელობა გააჩნია.

სქემა 3.2. ეროვნული ანგარიშების შემოკლებული სქემა, დამაბალანსებელი მუხლების მითითებით



ამრიგად, ეროვნული ანგარიშები თანმიმდევრულად ასახავს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის დამახასიათებელ მაჩვენებლებს დამაბალანსებელი მუხლების მეშვეობით, დამატებული ღირებულების შექმნიდან წმინდა ქონების/აქტივების წმინდა ღირებულების ფორმირებამდე.

დამატებული ღირებულების/მშპ-ს არსი ეფუძნება წარმოების კონცეფციას, ანუ დამატებული ღირებულება იქმნება საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში და მისი გაანგარიშების მეთოდი წარმოების მეთოდის სახელწოდებითაა ცნობილი.

საქონლისა და მომსახურების ანგარიში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისეა აგებული, რომ იგი ასახავს, ერთი მხრივ, ეკონომიკისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას, გამოშვებისა და იმპორტის სახით, ხოლო მეორე მხრივ, ამ საქონლისა და მომსახურების გამოყენებას, შუალედური მოხმარების, საბოლოო მოხმარების, კაპიტალი ფორმირებისა და ექსპორტის სახით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქონლისა და მომსახურების ანგარიში ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასებას საბოლოო გამოყენების/დანახარჯების მხრიდან. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ეს მეთოდი ცნობილია დანახარჯების მეთოდის სახელწოდებით.

თუმცა, ეროვნული ანგარიშების სტრუქტურა საშუალებას იძლევა ასევე მთლიან შიდა პროდუქტს შევხედოთ შემოსავლების მხრიდანაც, ანუ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ნაწილდება ახლად შექმნილი პროდუქტი შემოსავლებზე. ამ მიდგომას მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების შემოსავლების მეთოდი ეწოდება. ქვემოთ მოტანილი ცხრილი, ერთი მხრივ, თვალნათლივ უჩვენებს მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების აღნიშნული სამი მეთოდის არსს, ხოლო მეორე მხრივ - ეროვნული ანგარიშების ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების წესებს.

**ცხრილი 3.1. ეროვნული ანგარიშების ძირითადი მაჩვენებლები**

წარმოების მეთოდი	დანახარჯების მეთოდი	შემოსავლების მეთოდი
+ ყველა პროდუქტის მიხედვით დამატებული ღირებულების ჯამი, საბაზისო ფასებში + გადასახადები პროდუქტებზე - სუბსიდიები პროდუქტებზე	+საბოლოო მოხმარების ხარჯები +ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება +მარაგების ცვლილება +საქონლისა და მომსახურების ექსპორტი -საქონლისა და მომსახურების იმპორტი	+დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება +გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე -სუბსიდიები წარმოებაზე +საოპერაციო მოგება/შერეული მოგება
<b>=მთლიანი შიდა პროდუქტი</b> (მშპ) საბაზრო ფასებში -ძირითადი კაპიტალის მოხმარება =წმინდა შიდა პროდუქტი		
+პირველადი შემოსავლები, მისაღები უცხოეთიდან -პირველადი შემოსავლები, გადასახადელი უცხოეთისათვის		
<b>=მთლიანი ეროვნული შემოსავალი</b> საბაზრო ფასებში		შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს აგრეთვე როგორც ყველა ინსტიტუციური

-ძირითადი კაპიტალის მოხმარება =წმინდა ეროვნული შემოსავალი საბაზრო ფასებში		სექტორის პირველადი შემოსავლების ბალანსების ჯამი
+მიმდინარე ტრანსფერები, მისაღები უცხოეთიდან -მიმდინარე ტრანსფერები, გადასახდელი უცხოეთისათვის		
<b>=მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი</b> -ძირითადი კაპიტალის მოხმარება =წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი საბაზრო ფასებში		შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს აგრეთვე როგორც ყველა ინსტიტუციური სექტორის განკარგვადი შემოსავლების ჯამი

ამდენად, თუ ზემოთ წარმოდგენილ ცხრილს კარგად დავაკვირდებით, ადვილად გასაგები გახდება, რომ მშპ-ს გაანგარიშება წარმოების მეთოდით ემყარება წარმოების ანგარიშს და მისი ძირითადი იგივეობებია:

*მთლიანი დამატებული* = გამოშვება  
*ღირებულება*

- შუალედური მოხმარება

*მშპ საბაზრო ფასებში* = მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში

- + გადასახადები პროდუქტებზე
- სუბსიდიები პროდუქტებზე

მშპ-ს გაანგარიშებას დანახარჯების მეთოდით საფუძვლად უდევს საქონლისა და მომსახურების ანგარიში და მისი ძირითადი იგივეობა:

*მშპ საბაზრო ფასებში* = საბოლოო მოხმარების ხარჯები (შინამეურნეობების, შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების (შიმკაო) და მთავრობის)



- + კაპიტალის მთლიანი ფორმირება (კაპიტალის მთლიანი ფორმირება და მარაგების ცვლილება)
- + საქონლისა და მომსახურების ექსპორტი
- საქონლისა და მომსახურების იმპორტი

მშპ-ს გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ხდება მწარმოებლების (დარგების ან ინსტიტუციური სექტორების) შემოსავლების ფორმირების ანგარიშის საფუძველზე და გულისხმობს წარმოებული დამატებული ღირებულების შემადგენელი კომპონენტების მიხედვით ჩაშლას. შესაბამისად, ძირითადი იგივეობა გამოიხატება როგორც:

- მშპ საბაზრო ფასებში* = დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება
- + გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
  - სუბსიდიები იმპორტზე
  - + ოპერაციული მოგება/შერეული მოგება.

ამდენად, მშპ-ს გაანგარიშების სამი მეთოდი წარმოადგენს ეროვნული ანგარიშიანობის საფუძველს. ამავე დროს, ასეთი მიდგომა მშპ-ს ალტერნატიული მეთოდებით შეფასების საშუალებას იძლევა. საქმე ის არის, რომ მშპ-ს გაანგარიშების აბსოლუტურად სრულყოფილი წყაროების არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ქვეყნები თვითონ წყვეტენ, რომელი მეთოდის შესაბამისი წყაროები აქვთ უფრო სრულყოფილი და რომელი მეთოდით გაანგარიშებული მშპ არის მათთვის ადეკვატური. სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებულ მშპ-ს მაჩვენებლებს შორის განსხვავების სიდიდე იმის მაჩვენებელია, თუ ინფორმაციის რომელი წყაროები მოითხოვს სრულყოფას.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, როგორც მაკროეკონომიკური სტატისტიკური სისტემების შემადგენელი ნაწილი, არის, ხატოვნად რომ ვთქვათ, „მთავართა შორის მთავარი“ სისტემა, რომელიც ადგენს ძირითად პრინციპებსა და მიდგომებს, თუ როგორ უნდა ვაწარმოთ სტატისტიკა, როგორ უნდა დავაკავშიროთ ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის სხვადასხვა მიმართულებები საზოგადოების განვითარების ყოვლისმომცველი სურათის დასადგენად. თუმცა, დანარჩენი სპეციალიზებული მაკროეკონომიკური სისტემების გარეშე, ეკონომიკის განვითარების სურათი სრულყოფილი ვერ იქნებოდა. ყველა მათგანი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე საშუალებას გვაძლევს მივიღოთ პასუხები მრავალრიცხოვან კითხვებზე:

- როგორ ვითარდება ეკონომიკა;
- როგორია საზოგადოების ცხოვრების ხარისხი;

- რა ცვლილებებია საზოგადოების მოხმარებაში, დაგროვებისა და ინვესტიციების ტენდენციებში;
- როგორია ეკონომიკისა და მისი ცალკეული სექტორის დავალიანების დონე, გადახდისუნარიანობის დონე, ან ქონების დაგროვების პოტენციალი;
- როგორი იქნება ეკონომიკის მომავალი განვითარების ტენდენციები და ა.შ.



## ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის

### ტესტი 1

ცნობილია, რომ მოთხოვნა წარმოსდგება მომხმარებლისაგან. რისგან შესდგება მოთხოვნა

1. მოხმარების, ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტისაგან
2. კერძო მოხმარების, მთავრობის მოხმარების, ინვესტიციების, ექსპორტისა და იმპორტისაგან (მინუს ნიშნით)
3. 1 და 2
4. არცერთი არ შეესაბამება კითხვას

### ტესტი 2

ცნობილია, რომ მოთხოვნა უდრის მიწოდებას. რას წარმოადგენს მიწოდება

1. გამოშვება + წმინდა ექსპორტი
2. გამოშვება + იმპორტი
3. გამოშვება + ექსპორტი
4. გამოშვება + საგარეო სავაჭრო ბრუნვა

### ტესტი 3

რისგან შესდგება მოთხოვნა

1. მოხმარების, ინვესტიციებისა და ექსპორტისაგან
2. კერძო მოხმარების, მთავრობის მოხმარების, ინვესტიციების, ექსპორტისა და იმპორტისაგან (მინუს ნიშნით)
3. მოხმარების, ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტისაგან
4. არცერთი არ შეესაბამება კითხვას

## ტესტი 4

ქვემოთ მოტანილი ტექსტებიდან, რომელია მართებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან (ეას) მიმართებაში (ერთზე მეტი პასუხი):

1. ეას-ის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ეკონომიკის კომპლექსური ხედვა
2. ეას-ი წარმოადგენს გარკვეული ეკონომიკური ანგარიშების ერთობლიობას
3. ეას-ი წარმოადგენს სტატისტიკის წარმოების საფუძველს მხოლოდ საერთაშორისო დონეზე
4. არცერთი დებულება არ არის სწორი

## ტესტი 5

რას გულისხმობს პოტენციური გამოშვება:

1. გამოშვების მაქსიმუმს, რაც შეუძლია ეკონომიკას აწარმოოს
2. გამოშვების მაქსიმუმს, რაც კი ისტორიულად უწარმოებია ეკონომიკას
3. გამოშვების იმ დონეს, რაც შეუძლია აწარმოოს ეკონომიკამ რესურსების გამოყენების ნორმალური (ბუნებრივი) დონის პირობებში
4. გამოშვების იმ დონეს, რისი წარმოების უნარიც ექნება ეკონომიკას ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

## ტესტი 6

ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული:

1. მთლიანი შიდა პროდუქტი = მთლიანი დამატებული ღირებულება + გადასახადები - სუბსიდიები
2. მთლიანი შიდა პროდუქტი = მთლიანი დამატებული ღირებულება + გადასახადები + სუბსიდიები
3. მთლიანი შიდა პროდუქტი = წმინდა დამატებული ღირებულება + გადასახადები - სუბსიდიები
4. მთლიანი შიდა პროდუქტი = წმინდა დამატებული ღირებულება + გადასახადები + სუბსიდიები

## ტესტი 7

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ერთ-ერთი მეთოდი გულისხმობს მის გაანგარიშებას შემოსავლების მიხედვით. მშპ-ს განსაზღვრის ქვემოთ მოტანილი იგივეობებიდან რომელი შეესაბამება ამ მეთოდს

1. მშპ = დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება + გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე - სუბსიდიები იმპორტზე + ოპერაციული მოგება (შერეული მოგება)
2. მშპ = დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება - გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე - სუბსიდიები იმპორტზე - ოპერაციული მოგება (შერეული მოგება)

3. მშპ = დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება + დამატებული ღირებულება
4. არცერთი

### ტესტი 8

ცნობილია მშპ-ს გაანგარიშების შემდეგი იგივეობა:

მთლიანი შიდა პროდუქტი = მთლიანი გამოშვება - შუალედური მოხმარება + გადასახადები - სუბსიდიები

მშპ-ს გაანგარიშების მეთოდებიდან რომელს შეესაბამება ეს იგივეობა

1. საბოლოო მოხმარების მეთოდს
2. წარმოების მეთოდს
3. შემოსავლების მეთოდს
4. დანახარჯების მეთოდს

### ტესტი 9

მთლიანი ეროვნული განკარგავდი შემოსავალი უდრის (ერთზე მეტი პასუხი):

1. მშპ+პირველადი შემოსავლების ბალანსი+მეორადი შემოსავლების ბალანსი
2. მშპ+მიმდინარე ანგარიშის ბალანსი
3. მეპ+პირველადი შემოსავლების ბალანსი+მეორადი შემოსავლების ბალანსი
4. აბსორბცია+მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

### ტესტი 10

ჩამოთვლილთაგან რომელი მათგანი გამოიყენება, როგორც მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი სხვა ქვეყნებთან მიმართებაში

1. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე
2. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი
3. ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი
4. მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში

### ტესტი 11

რამდენად სწორია შემდეგი დებულება: მთლიანი შიდა პროდუქტი მოიცავს საბოლოო მოხმარებას

1. სწორია
2. არასწორია

## ტესტი 12

რამდენად სწორია შემდეგი დებულება: რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი უკეთ აფასებს ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს, ვიდრე ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი

1. სწორია
2. არასწორია

## ტესტი 13

დავუშვათ ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ბალანსი უდრის -400-ს. ქვემოთ მოცემული დებულებებიდან რომელია სწორი? (ერთზე მეტი პასუხი)

1. ქვეყანას უფრო მეტი საქონელი და მომსახურება შემოაქვს, ვიდრე გააქვს
2. ქვეყანაში აბსორბცია (C+I) ჭარბობს მთლიან შიდა პროდუქტს
3. დაზოგვისა (S) და ინვესტიციების (I) ბალანსი უარყოფითია
4. მთლიანი ეროვნული განკარგავადი შემოსავალი (GNDI) მეტია ვიდრე აბსორბცია (C+I)

## ტესტი 14

ვთქვათ გვაქვს მცირე ზომის ეკონომიკა, რომლისთვისაც მშპ=100, ექსპორტი=15, იმპორტი=15, მთავრობის მოხმარებისა და ინვესტიციების ჯამი=25. რას უდრის კერძო სექტორის მოხმარებისა და ინვესტიციების ჯამი?

1. 25-ს
2. 45-ს
3. 75-ს
4. ინფორმაცია საკმარისი არ არის ამის გასაგებად

## ტესტი 15

ვთქვათ გვაქვს მცირე ზომის ეკონომიკა, რომლისთვისაც მშპ=100-ს, პირველადი შემოსავლების ბალანსი = -10-ს, მეორადი შემოსავლების ბალანსი = 5-ს. საბოლოო მოხმარება = 75. გაიანგარიშეთ შემდეგი მაჩვენებლები მოცემული ეკონომიკისათვის:

		პასუხები
1	რას უდრის მთლიანი ეროვნული განკარგავადი შემოსავალი?	
2	მთლიანი ეროვნული შემოსავალი	
3	მთლიანი დანაზოგი	

## ტესტი 16

მოცემულია შემდეგი მონაცემები:

მოხმარება (C) = 800

ინვესტიციები (I) = 300

ექსპორტი (X) = 150

იმპორტი (M) = 250

პირველადი შემოსავლები უცხოეთიდან = 130

პირველადი გასავლები უცხოეთში = 50

ტრანსფერტები უცხოეთიდან = 120

ტრანსფერტები უცხოეთში = 0

### გაიანგარიშეთ:

მთლიანი შიდა პროდუქტი =

პირველადი შემოსავლების ბალანსი =

მთლიანი ეროვნული შემოსავალი =

მეორადი შემოსავლების ბალანსი =

მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი =

აბსორბცია =

დაზოგვა =

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი =

## ტესტი 16

რამდენად სწორია შემდეგი დებულება: მთლიანი შიდა პროდუქტი მოიცავს შუალედურ მოხმარებას

3. სწორია
4. არასწორია

## ტესტი 17

რამდენად სწორია შემდეგი დებულება: ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი უკეთ აფასებს ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს, ვიდრე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი

3. სწორია
4. არასწორია

## ტესტი 18

ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული:

1. მთლიანი შიდა პროდუქტი = მთავრობის მოხმარება + კერძო მოხმარება + კაპიტალის მთლიანი ფორმირება + ექსპორტი + იმპორტი

2. მთლიანი შიდა პროდუქტი = მთავრობის მოხმარება + კერძო მოხმარება - კაპიტალის მთლიანი ფორმირება + ექსპორტი - იმპორტი
3. მთლიანი შიდა პროდუქტი = მთავრობის მოხმარება + კერძო მოხმარება + კაპიტალის მთლიანი ფორმირება - (ექსპორტი - იმპორტი)
4. მთლიანი შიდა პროდუქტი = მთავრობის მოხმარება + კერძო მოხმარება + კაპიტალის მთლიანი ფორმირება + ექსპორტი - იმპორტი

### ტესტი 19

ჩამოთვლილთაგან რომელი იგივეობა არ შეესაბამება მთლიანი შიდა პროდუქტის განმარტებას:

1. მშპ = გამოშვება + შუალედური მოხმარება
2. მშპ = გამოშვება + გადასახადები - სუბსიდიები - შუალედური მოხმარება
3. მშპ = საბოლოო მოხმარება + კაპიტალის მთლიანი ფორმირება + ექსპორტი - იმპორტი
4. მშპ = საბოლოო მოხმარება + კაპიტალის მთლიანი ფორმირება + (ექსპორტი - იმპორტი)

### ტესტი 20

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ჩამოთვლილი იგივეობებიდან რომელი შეესაბამება მისი გაანგარიშების დანახარჯების მეთოდს

1. მშპ = გამოშვება - შუალედური მოხმარება + გადასახადები - სუბსიდიები
2. მშპ = საბოლოო მოხმარება + კაპიტალის მთლიანი ფორმირება + ექსპორტი - იმპორტი
3. მშპ = დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება + გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე - სუბსიდიები იმპორტზე + ოპერაციული მოგება (შერეული მოგება)
4. მშპ = დამატებული ღირებულება + გადასახადები - სუბსიდიები

### ტესტი 21

რას ზომავს მთლიანი შიდა პროდუქტი?

1. ქვეყნის შიგნით გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულებას
2. ეკონომიკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებას
3. მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ოპერაციებს „დანარჩენ სამყაროსთან“
4. ეკონომიკურ ოპერაციებს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის

### ტესტი 22

როგორც წესი, ერთობლივი მოთხოვნის რომელი კომპონენტია ყველაზე დიდი:

1. ინვესტიციები
2. პირადი მოხმარება
3. სახელმწიფო მოხმარება
4. წმინდა ექსპორტი



## 3.2. საერთაშორისო შედარებები

### 3.1. რას გულისხმობს საერთაშორისო შედარებები

ჩვენი გამორჩეულია გლობალიზაციის მასშტაბების, საერთაშორისო ბაზრების ინტეგრაციული პროცესებისა და საზოგადოების სოციალური საკითხებისადმი ინტერესის ზრდითა და გაფართოებით. ყველაფერმა ამან განსაკუთრებით გაზარდა საერთაშორისო სტატისტიკის საჭიროება, მოთხოვნილება სტაბილური ცოდნისადმი, რაც აუცილებელია პოლიტიკური და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის სიღარიბესთან ბრძოლისა და მთელი რიგი სხვა სოციალური საკითხების დარეგულირების სფეროებში.

აღნიშნულ ვითარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საერთაშორისო შედარებები. მისი მიზანია ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის დონეების შედარება, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის შეფასება, ქვეყნების ფინანსური შესაძლებლობებისა და საერთაშორისო ბაზრების კონიუნქტურის ანალიზი, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის შესწავლა და სხვ.

საერთაშორისო შედარებების ძირითადი ამოცანაა სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული ანგარიშების სხვა განმაზოგადებელი მაჩვენებლების (საბოლოო მოხმარება, ძირითადი კაპიტალის ფორმირება, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დანახარჯები) გადაანგარიშება ერთიან ვალუტაში მათი ურთიერთშედარების მიზნით. ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი – სტატისტიკური კატეგორია, რომელიც წარმოადგენს ტექნიკურ ინსტრუმენტს მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების საერთაშორისო შესადარისობის მისაღწევად. ამ ინსტრუმენტის გამოყენება საერთაშორისო შედარებებში საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ ნებისმიერი ქვეყანა, მიუხედავად მათი ეკონომიკის მასშტაბებისა.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი გვიჩვენებს მოცემული ქვეყნის ფულადი ერთეულის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა იგივე რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რისი ყიდვაც შეიძლება აშშ-ში 1 დოლარად. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი მარტო ცალკეული პროდუქტებისათვის არ გამოითვლება. იგი გამოითვლება საქონელთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის, სადაც მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი წარმოადგენს ჯგუფის შიგნით სხვადასხვა პროდუქტის შედარებითი ფასების საშუალო გეომეტრიულს. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი გამორიცხავს ფასთა სხვაობას ქვეყნებს შორის, რაც შეუძლებელია იგივე მიზნებით გაცვლითი კურსების გამოყენებისას. გაცვლითი კურსი, როგორც უცხოური ვალუტის ფასი, უპრიანია გამოსაყენებლად საიმპორტო და საექსპორტო ოპერაციებთან მიმართებაში და არა ქვეყნის შიგნით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი კი, გამორიცხავს რა სხვადასხვა ქვეყანაში ფასების

დონეებს შორის სხვაობას, საშუალებას იძლევა გაანგარიშებულ იქნას შესადარი მთლიანი შიდა პროდუქტი. ეს მეთოდი მთლიანი შიდა პროდუქტის საბაზისო წლის ფასებში გაანგარიშების ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ თუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის დროში განსაზღვრულობასთან, პირველ შემთხვევაში ეს განსაზღვრულობა განიხილება სივრცეში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეორე შემთხვევაში გამორიცხულია ფასების დონეებს შორის სხვაობა დროში, პირველ შემთხვევაში კი - სივრცეში, ანუ ქვეყნებს შორის.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი ეს არის გაცვლითი კურსის ერთგვარი ფორმა, დაფუძნებული ქვეყნებს შორის ფასების შედარებაზე. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მარტივი მაგალითია ფართოდ ცნობილი ბიგ მაკის ინდექსი, რომელიც ემყარება ერთი სამომხმარებლო საქონლის ფასის შედარებას ამა თუ იმ ქვეყანას და აშშ-ს შორის. მაგალითად, ბიგ მაკის (შემწვარი კარტოფილით და საშუალო სასმელით) ფასს ფილიპინებზე, რაც შეადგენს 107 პესოს, უდარებენ მის ფასს აშშ-ში – 3.99 დოლარს და ეს შეფარდება წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის საბაზო მაგალითს. ეს შეფარდება – 26.82 ნიშნავს, რომ 26.82 პესოს აქვს იგივე მსყიდველობითი უნარი ფილიპინებზე, რაც ერთ აშშ დოლარს - ამერიკაში.

თუ გვინდა ფილიპინებისა და აშშ-ს ეკონომიკების შედარება, პირველი, რასაც ვაკეთებთ ფილიპინების მთლიანი შიდა პროდუქტი გადაგვყავს აშშ დოლარებში. თუ ამისათვის გამოვიყენებთ გაცვლით კურსს, ფილიპინების მთლიანი შიდა პროდუქტი უნდა გავყოთ 55.6-ზე. ეს არის უმარტივესი გზა ორი სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის შედარებისათვის. თუ გამოვიყენებთ ბიგ მაკის ინდექსზე დაფუძნებულ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს, მაშინ იგივე მაჩვენებელი უნდა გავყოთ 26.82-ზე. შედეგი თითქმის ორჯერ იქნება განსხვავებული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გაცვლითი კურსი ადეკვატურად არ ასახავს ადგილობრივი ვალუტის მსყიდველობით უნარს საკუთარ ბაზარზე, რადგანაც იგი არ ასახავს ფასთა განსხვავებას ქვეყნებს შორის. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის კონცეფცია გაჩნდა სწორედ მთლიანი შიდა პროდუქტის კონვერსიის ალტერნატიული მეთოდის შემუშავების აუცილებლობიდან გამომდინარე.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი არის შედარებითი ფასები საქონელისა და მომსახურების კალათაზე, რადგანაც ფასების დონე სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე განსხვავებულია. თითოეული ქვეყანა, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო შედარებების პროგრამაში, წარადგენს საშუალო ეროვნულ ფასებს დაახლოებით 1000 სპეციფიკურ, მსგავს საქონელსა და მომსახურებაზე, შედარებების განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ფასები გროვდება, დაახლოებით, წელიწადში 4-ჯერ, ქალაქად და სოფლად, ფორმალურ და არაფორმალურ ბაზრებსა და სავაჭრო ობიექტებზე. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი გამოითვლება ქვეყნების მიხედვით, შესადარი საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასებზე დაყრდნობით.

სწორედ ამ მიდგომას იყენებს მსოფლიო ბანკი ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშებისას, როგორებიცაა სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე. ამ მაჩვენებლებს მნიშვნელოვანი ოპერატიული და

ანალიტიკური დატვირთვა აქვთ. მათი მეშვეობით ხდება დებიტორი ქვეყნების რანჟირება მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის მიხედვით, სესხების პირობების განსაზღვრის მიზნით. იგივე მაჩვენებელი გამოიყენება ქვეყნების კლასიფიცირებისათვის ქვეჯგუფებად ანალიტიკური მიზნებისათვის. ასეთი ოთხი ჯგუფია: დაბალშემოსავლიანი, საშუალოზე დაბალშემოსავლიანი, საშუალოზე მაღალშემოსავლიანი და მაღალშემოსავლიანი ქვეყნები. ამ და სხვა მსგავს მაჩვენებლებს დიდი გამოყენება აქვს მსოფლიოში სიღარიბის შემცირების პოლიტიკის შემუშავებასა და მისი ცხოვრებაში გატარების მიზნებისათვის (იხ. დანართები 1-3).

### 3.2. ვისთვის და რით არის საინტერესო მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი?

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შეფასებული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვით შესაძლებლობას იძლევა შევაფასოთ თითოეული ქვეყნის ეკონომიკა და ეკონომიკური კეთილდღეობის დონე დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში. საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება ამა თუ იმ ქვეყანას გამოსახოს თავისი ქვეყნის მაკროეკონომიკური აგრეგატები მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის კონტექსტში და ამ გზით განსაზღვროს რამდენად კონკურენტუნარიანია მოცემული ქვეყანა სხვა ქვეყნებთან შედარებით, ანუ:

- რამდენად ძვირია მოცემული ქვეყანა სხვა ქვეყნებთან შედარებით;
- როგორია მოცემული ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე სხვა ქვეყნებთან მიმართებაში;
- რამდენად მწვავეა სიღარიბის დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით;
- რამდენად განსხვავებულია ეკონომიკის სტრუქტურა სხვა ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებლებისაგან.

ეს კითხვები მეტად აქტუალურია ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკის გამთარებელთათვის ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიების ფორმირებისა და რეალიზაციის პროცესში.

საერთაშორისო შედარებების პროგრამის და, შესაბამისად, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მონაცემებს კონკრეტული დანიშნულება აქვთ რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე ქვეყნების განვითარების დონის განსაზღვრისა და სიღარიბის მონიტორინგის თვალსაზრისით. მსოფლიო ბანკი, განსაზღვრავს რა სიღარიბის ზღვარს დღეში 1.90 აშშ დოლარის<sup>6</sup> მოხმარების მიხედვით, ამისათვის იყენებს სწორედ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით გაანგარიშებულ მთლიან შიდა პროდუქტს.

---

<sup>6</sup> მსოფლიო ბანკი პერიოდულად ახორციელებს სიღარიბის ზღვარის განახლებას მსოფლიოში ცხოვრების ღირებულების ცვლილების შესაბამისად. ასეთ მაჩვენებლად 1.90 აშშ დოლარი დადგინდა 2015 წლიდან. მანამდე - 2008 წლიდან ეს მაჩვენებელი 1.25 აშშ დოლარით განისაზღვრებოდა.

**იგოდით, რომ...**

უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის ხვედრითი წილი 2010-2015 წლებში 16 პროცენტთან 10 პროცენტამდე შემცირდა, როცა 1990 წელს ეს მაჩვენებელი 36 პროცენტს შეადგენდა. ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ 2030 წლისთვის მსოფლიოში უკიდურესი სიღარიბე 6 პროცენტამდე შემცირდება.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მონაცემებით უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, ანუ დღეში 1.90 აშშ დოლარზე ნაკლებს მოიხმარდა, არა მარტო უმუშევარი, არამედ დასაქმებული მოსახლეობის 8 პროცენტიც.

სიმდიდრისა და სიღარიბის შეფასების რამდენიმე გზა არსებობს. ყველაზე უფრო გავრცელებულია სამი მიდგომა. კერძოდ, საზოგადოების კეთილდღეობის შეფასება შემოსავლების დონის (იხ. დანართი 4-5), აქტივების (სიმდიდრე ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და უძრავი ქონების სახით) მოცულობისა და სოციალურ-ეკონომიკური განზომილებების (ჯანდაცვისა და კვების ხარისხი, ბავშვთა მოკვდაობის დონე, სანიტარული პირობები და საზოგადოების კეთილდღეობის სხვა ასპექტები) მიხედვით.

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის შეფასებით, დღეისათვის მსოფლიოში დაახლოებით 4.5 მლნ ადამიანის (მსოფლიო მოსახლეობის 1 პროცენტზე ნაკლების) შემოსავალი დღეში შეადგენს საშუალოდ 290 აშშ დოლარს, როცა უღარიბესი 3.4 მლრდ ადამიანის (მოსახლეობის 50 პროცენტის) შემოსავალი დღეში საშუალოდ 7 აშშ დოლარს არ აღემატება.

წყარო: <https://unstats.un.org/sdgs/report/2019/goal-01/>;

[https://stats.unstats.org/Dgff2016/people/goal1/index.html#ref\\_Oecd\\_2014](https://stats.unstats.org/Dgff2016/people/goal1/index.html#ref_Oecd_2014)

საარსებო მინიმუმის გაანგარიშებასაც, მსოფლიო ბანკის მიერ, ასევე საფუძვლად უდევს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტზე დაფუძნებული სხვადასხვა ქვეყნებში შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები 1 მოსახლეზე.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ეროვნული ეკონომიკების ზომისა და ზრდის მაჩვენებლების გაანგარიშებაც. ეკონომიკის ზრდის პოტენციალის შეფასების ძირითადი საზომია ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, რომელიც მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის საფუძველზეა გაანგარიშებული.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშება სექტორების მიხედვით შესაძლებელს ხდის ფასების დონის შედარება განხორციელდეს მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტების მიხედვით. ეს საშუალებას აძლევს, მაგალითად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და გაეროს განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაციას შეაფასონ ქვეყნების მდგომარეობა ჯანდაცვასა და განათლებაზე გაწეული დანახარჯების მიხედვით, რაც ადამიანური კაპიტალის შეფასების მნიშვნელოვანი რაოდენობრივი მახასიათებელია.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი არანაკლებ საჭირო და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კერძო სექტორის ხელშიც. კერძო მეწარმეობას მუდმივად სჭირდება თვალყური ადევნოს, თუ რამდენად კონკურენტუნარიან ფასებს აწესებს იგი სხვებთან შედარებით, რამდენად არის

შესაბამისობაში მისი ოპერაციული ხარჯები სხვა ქვეყნების მსგავსი ფირმების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. ამ კითხვებზე პასუხს მხოლოდ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი იძლევა.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მონაცემებისადმი ინტერესი იზრდება გლობალიზაციისა და მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების გაფართოების კვალობაზე. დღითიდღე იზრდება მულტიეროვნული კორპორაციების მოთხოვნილება საიმედო და დროულ ინფორმაციაზე ბაზრების მოცულობის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის, წარმოების ხარჯების და მსოფლიო ფინანსურ და კაპიტალის ბაზრებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ.

საერთაშორისო შედარებების პროგრამის შედეგები და ინფორმაცია მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის შესახებ ტურისტების, საქმიანი ადამიანების, დამსაქმებლების, კომერსანტების ცხოველი ინტერესის საგანია, რამდენადაც იგი იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რამდენად ძვირი ან იაფია ის ქვეყანა, რომელსაც სტუმრობს ტურისტი, რა ღირს საქონელი და მომსახურება იმ ქვეყანაში, რომელშიც აპირებს ბიზმესმენი თავისი საქონლის გაყიდვას (ან საქონლის ყიდვას თავის ქვეყანაში იმპორტირების მიზნით). არაერთი სამეცნიერო კვლევა ეძღვნება საერთაშორისო ფასების, ეკონომიკური ზრდის, სიღარიბის და სხვა საკითხებს, რომლებიც სწორედ საერთაშორისო შედარებების შედეგებს ეფუძნება.

უფრო გლობალურ კონტექსტში, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს დიდი მნიშვნელობა აქვს:

- მსოფლიო ბანკისათვის (WB) – მსოფლიოში სიღარიბის დონის მონიტორინგისა და შეფასებისათვის;
- გაეროს განვითარების პროგრამისათვის (UNDP) – ადამიანური განვითარების ინდექსის აგებისათვის;
- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის (WHO) – 1 მოსახლეზე გადაანგარიშებით ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების შესადარებლად;
- გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციისათვის (UNESCO) – 1 მოსახლეზე გადაანგარიშებით განათლებაზე გაწეული ხარჯების შესადარებლად;
- გაეროს ბავშვთა ფონდისათვის (UNICEF) – ბავშვთა კეთილდღეობის მონიტორინგისათვის;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისათვის (OECD) – სხვადასხვა ეკონომიკების შედარებითი ზომის შესაფასებლად და რეგიონალური ზრდის ტემპების დასადგენად.
- გარდა ზემოაღნიშნული მომხმარებლებისა, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი ფართოდ გამოიყენება ე.წ. “მეოთხე ხელისუფლების” – მედიის მიერ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კომენტირებისათვის.

### 3.3. საერთაშორისო შედარებები: ცოტა რამ ისტორიიდან

თანამედროვე საერთაშორისო შედარებების პროგრამას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით განხორციელდა პირველი ასეთი შედარებები. ამას მოჰყვა შედარებები:

- 1959 წელს - ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ფარგლებში;
- 60-იანი წლების დასაწყისში – ლათინოამერიკულ რეგიონში;
- 60-იან წლებში - ცენტრალიზებული გეგმიანი მეურნეობის ეკონომიკისა და საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის ეგიდით.

ზემოაღნიშნულმა ადრეულმა კვლევებმა უზარმაზარი წვლილი შეიტანა საერთაშორისო შედარებების პროგრამის მეთოდოლოგიების შექმნასა და სრულყოფაში. გარდა ამისა, ამ შედარებებმა ცხადყო, რომ ასეთი სამუშაოები განხორციელებადია და აუცილებელიც.

ასეთი, შედარებით მცირემასშტაბიანი, შედარებებიდან ფართომასშტაბიან შედარებებზე გადასვლის იდეა დაიბადა 1965 წელს გაეროს სტატისტიკური კომისიის მე-13 სესიაზე, რომელმაც მიიღო რეკომენდაცია შეესწავლათ საერთაშორისო შედარებების საკითხებში იმ დრომდე დაგროვილი გამოცდილება და საერთაშორისო, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე მონაცემთა მოპოვების პრაქტიკა, ამ სფეროში მომავალი საქმიანობის სტრატეგიის შემუშავების მიზნით. აღნიშნული რეკომენდაციის რეალიზება და ხორციელება განხორციელდა 1967 წელს და შესაბამისი მოხსენება „წარმოების, შემოსავლებისა და ხარჯების ნაერთი მაჩვენებლების საერთაშორისო შედარებები“ წარედგინა სტატისტიკურ კომისიას, მის მე-15 სესიაზე 1968 წელს. მოხსენებაში ჩამოყალიბებული იყო, შერჩეული ქვეყნების მიხედვით, საერთაშორისო შედარებების ჩატარების გეგმის პროექტი, რომელიც გათვალისწინებული იყო 1968-1971 წლებისათვის, და შესაბამისი მეთოდების აღწერა. განსახორციელებელი სამუშაოების პროექტი იმდენად რესურსტევადი აღმოჩნდა, რომ კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და წევრი ქვეყნების დახმარების ჩართვა, მოსალოდნელი ღონისძიებების განხორციელების სათანადო რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით.

საერთაშორისო შედარებების პროექტის განხორციელება დაიწყო 1968 წელს, როცა გაეროსა და მსოფლიო ბანკის პატრონაჟით დაარსდა საერთაშორისო შედარებების ქვედანაყოფი. მას სათავეში ჩაუდგა პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ირვინგ კრავისი. პროექტის პერსონალი ორ ჯგუფად გაიყო: ერთი მათგანი განთავსდა გაეროს ცენტრალურ ოფისში, ხოლო მეორე – ფილადელფიაში – პენსილვანიის უნივერსიტეტში. ამ უკანასკნელი ჯგუფის მხარდასაჭერად ფორდის ფონდმა გასცა მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო სახსრები. სერიოზული ფინანსური სახსრები გამოყო მსოფლიო ბანკმა და, აგრეთვე, მონაწილე ქვეყნების სტატისტიკურმა სამსახურებმა. პროგრამის პირველი ფაზა (1970 წ.) მოიცავდა 10 ქვეყანას.

პირველი მოხსენება ამ პროგრამის შედეგების შესახებ გამოქვეყნდა 1975 წელს, სახელწოდებით „მთლიანი პროდუქტის საერთაშორისო შედარებების სისტემა და მსყიდველობითუნარიანობა“ (კრავისი, კენესი, ჰესტონი, სამმერსი). მასში დეტალურად იყო აღწერილი ათი ქვეყნის მონაცემთა შედარების ანალიზი. ეს ქვეყნები იყო: აშშ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ინდოეთი, იტალია, კენია, კოლუმბია, საფრანგეთი და უნგრეთი. ამდენად, ქვეყნების ამ ჩამონათვალთან ჩანს, რომ მისი შემადგენლობა მოიცავდა, ეკონომიკური განვითარების მიხედვით, ყველა კატეგორიის ქვეყანას. მეორე მხრივ, ამ ქვეყნების შედარებისას გამოყენებული იყო მრავალმხრივი შედარებების მეთოდოლოგია. ეს კი შესაძლებელს ხდიდა გაფართოებულიყო საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილე ქვეყნების ჩამონათვალი.

### *იცივით, რომ ...*

საერთაშორისო შედარებების პროგრამის დაფინანსებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფორდის ფონდს.

ედსელ ფორდმა, ცნობილი გამომგონებლისა და კომპანია “ფორდ მოტორსის” დამაარსებლის – ჰენრი ფორდის ვაჟიშვილმა, 1936 წლის 15 იანვარს დააარსა “ფორდის ფონდი”, შეიტანა რა მასში პირველადი 25 ათასი აშშ დოლარი. ფონდის მამოძრავებელი ძალაა “...სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მიზნები საზოგადოების კეთილდღეობისათვის”.

2018 წელს, ფორდის მონაცემებით, კომპანია ყველაზე ინოვაციურ კომპანიათა სიაში 24-ე იყო; იგი საშუალოდ წელიწადში 2000-მდე პროექტს აფინანსებს, რისთვისაც წელიწადში დაახლოებით 15 მილიონ აშშ დოლარს ხარჯავს.

*მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:* [https://en.wikipedia.org/wiki/Ford\\_Foundation](https://en.wikipedia.org/wiki/Ford_Foundation)

საერთაშორისო შედარებების პროექტის განხორციელების მე-2 ეტაპზე (1973 წ.) მოხდა 16 ქვეყნის მონაცემთა შედარება 1970-1973 წლების მონაცემების მიხედვით, რომლის შედეგები გამოქვეყნდა 1978 წელს (კრავისი, ჰესტონი, სამმერსი).

საერთაშორისო შედარებების მე-3 ეტაპის (1975წ.) შედეგები გამოქვეყნდა 1982 წელს (კრავისი, ჰესტონი, სამმერსი). ამ ეტაპის შემდეგ მოხდა საერთაშორისო შედარებების პროგრამის რეგიონალიზაცია, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ სხვადასხვა რეგიონები პასუხისმგებელი გახდნენ შედარებების განხორციელებაზე შესაბამისი რეგიონების მასშტაბით. ხოლო გლობალური შედარებები დაეყრდნობოდა სწორედ რეგიონალურ შედარებებს.

საერთაშორისო შედარებების პროგრამის მე-3 ეტაპიდან (1975წ.) საერთაშორისო შედარებები ხორციელდებოდა 5 წლის ინტერვალით და მონაწილე ქვეყნების რიცხვი გაიზარდა 34-დან (1975 წელს) 64-მდე (1985 წელს). 1985 წლიდან პროექტს საერთაშორისო შედარებების პროგრამა ეწოდა. 1990 წელს განხორციელდა შედარებების ევროპული პროგრამის (შეპ) რაუნდი 40 ქვეყნის



მონაწილეობით. 1993 წელს საერთაშორისო შედარებების პროგრამაში უკვე 117 ქვეყანა მონაწილეობდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საერთაშორისო შედარებებში მსოფლიოს ყველა რეგიონი მონაწილეობდა, თუმცა გლობალური შედარებები არ განხორციელებულა. ამ ფონზე, გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ მიიღო საერთაშორისო შედარებების პროგრამის გადასინჯვისა და მისი გაუმჯობესების გადაწყვეტილება. შედეგად, 2005 წელს წარმატებით განხორციელდა საერთაშორისო შედარებების 2005 წლის რაუნდი მსოფლიოს 16 ქვეყნის მონაწილეობით, რის შემდეგაც გაეროს სტატისტიკური კომისიის 39-ე სესიაზე 2009 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საერთაშორისო შედარებების გლობალურ ოფისს სათავეში ჩადგომოდა მსოფლიო ბანკი და კოორდინაცია გაეწია საერთაშორისო შედარებების მორიგი 2011 წლის რაუნდისათვის.

საერთაშორისო შედარებების 2011 წლის რაუნდამდე საერთაშორისო შედარებების პროგრამა კიდევ უფრო გაფართოვდა და დამსახურებულად შეიძინა გლობალური პროგრამის სტატუსი. მასში მონაწილე ქვეყნების რიცხვი 10 ქვეყნიდან (1970 წელს) 2011 წლისათვის 199 ქვეყნამდე გაიზარდა და მოიცვა მსოფლიოს ყველა რეგიონი.

**ცხრილი 3.2. საერთაშორისო შედარებების 2011 წლის რაუნდში მონაწილე ეკონომიკების რაოდენობა რეგიონების მიხედვით<sup>7</sup>**

რეგიონები	ეკონომიკების რაოდენობა
აფრიკა	50
აზია/წყნარი ოკეანე	23
დსთ	9
ევროსტატი/ეგთო	47
ლათინური ამერიკა	17
კარიბის ზღვის კუნძულები	22
დასავლეთი აზია	12
წყნარი ოკეანის კუნძულები	21
ცალკე მონაწილე ქვეყნები <sup>8</sup>	2
სულ	199

გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ 2016 წლის მარტში, თავის 47-ე სესიაზე მიიღო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო შედარებების პროგრამა უნდა გახდეს გლობალური სტატისტიკური პროგრამის ნაწილი და მისი ინტერვალები უნდა იყოს უფრო ხშირი. კერძოდ, შედარებების მომდევნო წლად განისაზღვრა 2017 წელი და შესაბამისი მონაცემების

<sup>7</sup> Purchasing Power Parities and the Real Size of World Economies: A Comprehensive Report of the 2011 International Comparison Program. World Bank Group. 2015.  
<http://pubdocs.worldbank.org/en/711001503680105564/ICP2011-Global-Report.pdf>

<sup>8</sup> საქართველო და ირანის ისლამური რესპუბლიკა.



გამოქვეყნების წლად 2019 წელი. მომდევნო შედარებები და გამოქვეყნებები განხორციელდება შემდეგი ინტერვალებით: 2020 და 2022, 2023 და 2025 წლები.

პროგრამის უმთავრესი ამოცანად კვლავ რჩება საზოგადოების ინფორმირება ბაზრების შეფარდებითი მოცულობების, ეკონომიკების სიდიდისა და სტრუქტურის, აგრეთვე ვალუტების მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის შესახებ.

### 3.4. საერთაშორისო შედარებების პროგრამა: არსი და კოორდინაცია

საერთაშორისო შედარებების პროგრამა (სშპ) წარმოადგენს გლობალურ სტატისტიკურ ინიციატივას, რომელშიც ჩართულია ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციები. იგი შემუშავებულ იქნა მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და მისი მიზანი იყო ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითადი მაჩვენებლების შესადარ ვალუტაში გამოსახვა, ვიდრე ეს ვალუტების ოფიციალური გაცვლითი კურსების მეშვეობით იყო შესაძლებელი. საერთაშორისო შედარებების პროგრამასთან არის დაკავშირებული ისეთი ცნობილი მეცნიერების სახელები, როგორებიც არიან: რ.სტოუნი, ს.კუზნეცი, რ.რაგლსი, ვ.ბეკკერმანი, რომლებიც საკონსულტაციო ბიუროში შედიოდნენ. აღნიშნულ პროგრამას ხანგრძლივი დროის (1968-1982წწ.) განმავლობაში ხელმძღვანელობდა საერთაშორისო შედარებების ცნობილი სპეციალისტი ი.კრავისი.

თავდაპირველად საერთაშორისო შედარებების პროექტი (ასე ეწოდებოდა ამ პროგრამას 1985 წლამდე) ხორციელდებოდა გაეროს სტატისტიკური ბიუროსა და მსოფლიო ბანკის ეგიდით, ხოლო სამუშაოთა სამეცნიერო უზრუნველყოფა ხორციელდებოდა პენსილვანიის უნივერსიტეტში (აშშ) ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფის მიერ. შემდგომში გაეროს სტატისტიკურ ბიუროს პასუხისმგებლობა საერთაშორისო შედარებების პროექტის განხორციელებაში განისაზღვრა შესაბამისი სამუშაოების საერთო მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობით და რეგიონალური შედარებების შედეგების ურთიერთდაკავშირებით მსოფლიო მასშტაბით (გლობალურ) შედარებებში. კონკრეტული შედარებების განხორციელება კი გადავიდა გაეროს რეგიონალური ეკონომიკური ოფისების პასუხისმგებლობაში. ესენია აფრიკის, აზიისა და წყნარი ოკეანის, დასავლეთი აზიის, დსთ-სა და ლათინური ამერიკის რეგიონალური ოფისები.

დღეისათვის საერთაშორისო შედარებების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საერთაშორისო შედარებების პროგრამის განმკარგულებელი საბჭო, რომელიც შედგება 16 სტატისტიკოსის, ეკონომისტისა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირისაგან („პოლისიმიეკერისაგან“) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. საერთაშორისო შედარებების პროგრამის მმართველობა მოიცავს აგრეთვე:

- გლობალურ ოფისს, რომელიც განლაგებულია მსოფლიო ბანკში და რომელიც კოორდინაციას უწევს პროგრამას ყველა რეგიონის და ქვეყნის დონეზე, გარდა

ევროსტატი-ეთგოს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის პროგრამაში შემავალი ქვეყნებისა და რეგიონებისა;

- რეგიონალურ მაკოორდინებელ ოფისებს აფრიკაში, აზიისა და წყნარი ოკეანის, დასავლეთი აზიის, დსთ-ს და ლათინური ამერიკის რეგიონებში, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ შესაბამისი ქვეყნების ეროვნულ კოორდინატორებთან მონაცემთა შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, რეგიონალურ მაკოორდინებელ ოფისებთან შექმნილია შესაბამისი სათათბირო საბჭოები;
- ტექნიკურ მრჩეველთა ჯგუფს, რომლის დანიშნულებაც მეთოდოლოგიური და ტექნიკური საკითხების დამუშავება. ამ სტრუქტურაში აქტიურად არიან ჩართული ეროვნული სტატისტიკური სამსახურები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ამდენად, საერთაშორისო შედარებების პროგრამა ხორციელდება რეგიონალურ საფუძველზე. ხუთი რეგიონიდან (აფრიკა, აზია და წყნარი ოკეანე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, სამხრეთი ამერიკა და დასავლეთი აზია) თითოეულ რეგიონალურ მაკოორდინებელ სააგენტოს აქვს პასუხისმგებლობა ხელმძღვანელობა გაუწიოს პროგრამის მიმდინარეობას და უზრუნველყოს კოორდინაციის მექანიზმის სწორად განხორციელება. რეგიონალური მაკოორდინებელი სააგენტოების მიერ შექმნილია საერთაშორისო შედარებების პროგრამის რეგიონალური ოფისები, სათანადო ადამიანური და სხვა რესურსებით, პროგრამის დანერგვისა და მონიტორინგის მიზნებისათვის რეგიონალურ დონეზე.

**იგოდით, რომ ...**

ირვინგ კრავისი (1916-1992), ეკონომიკის დოქტორი, პენსილვანიის უნივერსიტეტის ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი 1955-1958 და 1962-1967 წლებში, ფინანსებისა და ვაჭრობის ვარტონის სკოლის ასოცირებული დეკანი 1958-1960 წლებში, 37 წლის განმავლობაში ეწეოდა საუნივერსიტეტო საქმიანობას.

ი.კრავისმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ეკონომიკის არაერთ სფეროში, მათ შორის არის ვაჭრობის როლის შეფასება ეკონომიკის განვითარებაში, ექსპორტ-იმპორტის მსოფლიო ფასების ინდექსები, ტრანსეროვნული კორპორაციების როლი მსოფლიო ვაჭრობაში. თუმცა, მის ძირითად სპეციალიზაციას წარმოადგენდა ფასებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის საერთაშორისო შედარებები. თავისი იდეების რეალიზაცია თავდაპირველად (1950-იანი წლების დასაწყისში) განხორციელდა დასავლეთ ევროპაში, შემდეგ კი – გლობალური მასშტაბით. სწორედ ი.კრავისი ხელმძღვანელობდა გაეროს საერთაშორისო შედარებების პროგრამას 1968-1982 წლებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის იმ მეთოდების შემუშავებაში, რომლებითაც დღესაც ხელმძღვანელობენ საერთაშორისო შედარებების განხორციელებისას.

საერთაშორისო შედარებების პროგრამის რეგიონალური მაკოორდინებელი ოფისებია:

- აფრიკის რეგიონში – აფრიკის განვითარების ბანკი (AFDB);

- აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში – აზიის განვითარების ბანკი (ADB);
- დსთ-ს რეგიონში – რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის ფედერალური სახელმწიფო სამსახური (ROSSTAT); დსთ-ს სახელმწიფოთაშორისი სტატისტიკური კომიტეტი (CISSTAT); რუსეთის ეკონომიკური ანალიზის ბიურო;
- ლათინური ამერიკის რეგიონში – გაეროს ეკონომიკური კომისია ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონისათვის (UN ECLAC); კანადის სტატისტიკა;
- დასავლეთ აზიის რეგიონში – გაეროს ეკონომიკური და სოციალური კომისია დასავლეთი აზიისათვის (UN ESCWA).

აგრეთვე,

- ევროსტატი-ეთგო-ს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის პროგრამა – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო); ევროსტატი.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და ევროსტატის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის პროგრამისა და საერთაშორისო შედარებების პროგრამის თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის გლობალური პარტნიორობის შესანიშნავი მაგალითია. ეს ორი პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო შედარებების მეთოდოლოგიების სრულყოფისა და ჰარმონიზაციის თვალსაზრისით.

ევროსტატი-ეთგო მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის პროგრამა დაარსდა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირისა და ეთგო-ს ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის შედარების მიზნით, რეგულარულ საფუძველზე. ეს მიზანი კვლავ ძალაში რჩება, თუმცა გაფართოვდა, მასში იმ ქვეყნების ჩართვით, რომლებმაც გადაწყვიტეს ევროკავშირში შესვლა და რომლებთანაც ევროსტატსა და ეთგო-ს აქვს სტატისტიკის სფეროში ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა.

ამჟამად ევროსტატი და ეთგო, საერთაშორისო შედარებების პროგრამის რეგიონალური კოორდინატორების რანგში, აერთიანებენ 43 ქვეყანას. ორივე მათგანი წარმოდგენილია საერთაშორისო შედარებების პროგრამის როგორც აღმასრულებელ საბჭოში, ისე ტექნიკურ მრჩეველთა ჯგუფში და გლობალურ ოფისთან თანამშრომლობენ როგორც მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში.

საერთაშორისო შედარებების პროგრამა უნიკალურია თავისი შინაარსითა და მიზნებით. აქ იგულისხმება, პირველ რიგში, ის, რომ იგი მოითხოვს ყველა ქვეყნის სტატისტიკურ სამსახურს, რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის პასუხისმგებლობების მკაცრ განაწილებას ფასებისა და შინამეურნეობების დანახარჯების შესახებ მონაცემთა მოპოვებისა და დამუშავების თვალსაზრისით. მისი უნიკალურობა ვლინდება იმაშიც, რომ ერთი რომელიმე ქვეყნის მიხედვით საერთაშორისო შედარებების პროგრამის შედეგები დამოკიდებულია არა მარტო ამ ქვეყნის მონაცემთა ხარისხზე, არამედ შედარებებში მონაწილე ყველა ქვეყნის მონაცემთა ხარისხზე. ეს კი მოითხოვს შესაბამის სამუშაოთა მკაცრ კოორდინაციას და მჭიდრო

თანამშრომლობას. გარდა ამისა, იგი შესაძლებლობას აძლევს ქვეყნებს უკეთ შეაფასონ თავიანთი სტატისტიკური სისტემების ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პრობლემები და მოიყვანონ ისინი ერთმანეთთან შესაბამისობაში.

### 3.5. საერთაშორისო შედარებების განხორციელების ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგიური დებულებები


გლობალური საერთაშორისო შედარებების განხორციელება, როგორც მეთოდოლოგიის, ისე ტექნოლოგიის თვალსაზრისით, სტატისტიკურ სამუშაოთა შორის ერთ-ერთი ურთულესია. ჩვენი მიზანი არ არის აღნიშნული სამუშაოს მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა. ამას მრავალტომეული კვლევა დასჭირდებოდა. ჩვენი მიზანია სტატისტიკის მომხმარებელს ამ ურთულესი სამუშაოს ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგიური მიდგომები გავაცნოთ, რათა უკეთ შეაფასოს საერთაშორისო შედარებების მნიშვნელობა და ეროვნული სტატისტიკური სამსახურების პასუხისმგებლობა ამ უაღრესად სერიოზული სტატისტიკური ინიციატივისადმი.

დაწყებული პირველი შედარებების განხორციელებიდან, საერთაშორისო შედარებების მეთოდოლოგია და ორგანიზაციული მექანიზმი სისტემატურ სრულყოფას განიცდიდა. შედარებების 2005 წლის რაუნდი ამ მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა ანალოგიური რაუნდებისაგან.

საერთაშორისო შედარებების პროგრამის რეგიონალიზაციამდე (1980-1985წწ.), ინფორმაცია ფასების შესახებ გროვდებოდა ყველა რეგიონისათვის პროდუქტებისა და მომსახურების ერთიანი ჩამონათვალის მიხედვით, რის შემდეგაც გლობალური მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი გამოითვლებოდა ყველა მონაწილე ქვეყნის ფასების აგრეგაციის საფუძველზე. 1980 წლიდან მოხდა მონაწილე ქვეყნების რეგიონებად დაყოფა და გლობალური შედარებების განხორციელება დაიწყო ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, რეგიონალურ დონეზე ხდებოდა ინფორმაციის მოპოვება რეგიონისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურ სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ფასებზე და რეგიონალური მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი გამოითვლებოდა რეგიონალური საშუალო ფასების საფუძველზე. რეგიონალური მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი რეგიონალურ ფასებში იყო გამოსახული. შედარებების მეორე ეტაპზე ხდებოდა რეგიონალური შედეგების დაკავშირება გლობალური მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მისაღებად და საერთაშორისო ვალუტაში, როგორც წესი, აშშ დოლარში გამოსახატავად.

საერთაშორისო შედარებების შემდგომი (1993-1996) რაუნდი იყენებდა ე.წ. წყვილად შედარებებს, გლობალურ შედარებებზე გადასასვლელად. მაგალითად, საქართველო, რომელიც საერთაშორისო შედარებებში ჩაერთო 1993 წლიდან, შევიდა მე-2 ევროპულ ჯგუფში, რომელიც თავის მხრივ 4 ქვეჯგუფისაგან შედგებოდა (იხ. ჩანართი 4.5.1).

სქემა 3.3. შედარებების ევროპული პროგრამა



თითოეულ ჯგუფში შემავალი ქვეყნის საერთაშორისო შედარებებში მონაწილეობა ხორციელდებოდა ე.წ. „ქვეყანა-ცენტრის“ მეშვეობით. საქართველო შედიოდა ჯგუფში, სადაც ასეთი ცენტრალური ქვეყნის როლში წარმოდგენილი იყო თურქეთი (თურქეთის ჯგუფი), რომელიც, თავის მხრივ, მონაწილეობდა პირველ ევროპულ ჯგუფში და ამ გზით ხდებოდა თურქეთის ჯგუფის ქვეყნების ჯაჭვური შედარება სხვა ქვეყნებთან.

თუმცა, წყვილადი შედარებების მეთოდი დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2005 წლის რაუნდში მრავალმხრივი შედარებების ანუ “წრიული შედარებების” გამოყენების შესახებ.

“წრიული შედარებები” გულისხმობს ახალ მიდგომას ფასებისა და მოცულობების საერთაშორისო შედარების განხორციელებისას. ამ მიზნით რეგიონებიდან შეირჩევა გარკვეული ქვეყნების ერთობლიობა. ამ შერჩევის კრიტერიუმები შემდეგია:

- შესაძლებლობა იმისა, რომ შერჩეულ იქნას რაც შეიძლება ფართო ჩამონათვალი საქონლისა და მომსახურებისა სხვა რეგიონების “წრიულ ქვეყნებში”;
- მონაწილეობა მთლიანი შიდა პროდუქტის სრულ შედარებებში;
- შესაძლებლობა ფასებისა და დანახარჯების წონების შესახებ მაღალი ხარისხის მონაცემების მოპოვებისა;
- წრიული და ეროვნული საშუალო ფასების დადგენის შესაძლებლობა;
- „წრიული ქვეყნის“ რანგში საქმიანობის სურვილი.

სქემა 3.4. საერთაშორისო შედარებების 2005 წლის რაუნდის „წრიული ქვეყნები“ რეგიონების მიხედვით

<p><b>ევროსტატი და ეთგო</b></p> <p>ესტონეთი იაპონია სლოვენია გაერთიანებული სამეფო</p>	<p><b>აფრიკა</b></p> <p>კამერუნი ეგვიპტე კენია სენეგალი სამხრეთი აფრიკა</p>	<p><b>აზია</b></p> <p>ჰონგ კონგი მალაიზია ფილიპინები შრი ლანკა</p>
<p><b>დსთ</b></p> <p>რუსეთი ყაზახეთი</p>	<p><b>ლათინური ამერიკა</b></p> <p>ჩილე ბრაზილია</p>	<p><b>დასავლეთი აზია</b></p> <p>იორდანია ომანი</p>

ამდენად, ზემოაღნიშნული მიდგომის საფუძველზე, 2005 წლის რაუნდისათვის შეირჩა 19 “წრიული ქვეყანა” მსოფლიოს 5 რეგიონიდან და ევროსტატი/ეთგოს ქვეყნებიდან. ამ ქვეყნებმა აიღეს პასუხისმგებლობა შეეგროვებინათ ფასებზე დეტალური ინფორმაცია საქონლისა და მომსახურების 155 ძირითადი კატეგორიის მიხედვით საქონლისა და მომსახურების საერთო სიიდან. “წრიული” შედარებებისათვის შერჩეული პროდუქტების ჩამონათვალი არ ემთხვევა არცერთი რეგიონის პროდუქტების სიას. იგი არის პროდუქტების გლობალური ჩამონათვალი 1000-მდე დასახელებით, რომელიც სპეციალურადაა შერჩეული იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მისი თითოეული პუნქტი, დიდი ალბათობით, მოძიებულ იქნას ქვეყნების უმეტესობის

სიებში. ამდენად, პროდუქტებისა და მომსახურების აღნიშნული გლობალური სია დამახასიათებელია არა მხოლოდ ცალკეული რეგიონისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. თუმცა, რეგიონალური შედარებებისაგან განსხვავებით, “წრიული შედარებებისას” ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვება უფრო ფართომასშტაბიანია და მოიცავს როგორც ქალაქის, ისე ქალაქგარე და სოფელ ადგილებს.

“წრიული ქვეყნების” ინფორმაცია ფასების შესახებ გამოიყენება რეგიონების დასაკავშირებლად.

ამდენად, საერთაშორისო შედარებების განხორციელებას საფუძვლად უდევს ფასებისა და შინამეურნეობების დანახარჯების სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშება.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშება ხდება, ერთი მხრივ, სტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასების შესახებ ინფორმაციისა და, მეორე მხრივ, შინამეურნეობების დანახარჯების შესახებ მონაცემების საფუძველზე, რომელიც აუცილებელია კალათის თითოეული კომპონენტის წონის განსაზღვრისათვის.

გლობალური შედარებები ხორციელდება რამდენიმე ეტეპად.

საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილე ქვეყნები ჯგუფდება რეგიონების მიხედვით. თითოეული რეგიონი დამოუკიდებლად აფასებს შესაბამისი რეგიონის ყოველი ქვეყნის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მნიშვნელობას. რეგიონალური მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტები ეფუძნება მოცემული რეგიონისათვის დამახასიათებელ სამომხმარებლო კალათას, რომელიც ასახავს რეგიონის ქვეყნების დანახარჯების სტრუქტურას. 6 რეგიონის მიხედვით გაანგარიშებული მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტების აგრეგაციის შედეგად მიიღება გლობალური მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი, გამოსახული მსოფლიოში აღიარებულ ვალუტაში – აშშ დოლარებში.

რაში მდგომარეობს რეგიონის შიგნით მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის განსაზღვრის მეთოდი? ეს მეთოდი შეიმუშავა პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ სამმერსმა 1973 წელს და იგი ცნობილია “ქვეყანა-პროდუქტი-ფაქტორის” (Country-Product-Dummy; CPD) მეთოდის სახელწოდებით.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის განსაზღვრის “ქვეყანა-პროდუქტი-ფაქტორი” მეთოდით, მოცემული, მაგალითად “ახალი ხილის” კატეგორიაში შემავალი პროდუქტებისათვის, მიჩნეულია, რომ მოცემულ პროდუქტზე, მაგალითად ბანანზე საშუალო ფასი ბრაზილიისათვის (ლათინური ამერიკის რეგიონის შედარებებისათვის) დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: ქვეყნის კოეფიციენტზე და პროდუქტის კოეფიციენტზე. ქვეყნის ფაქტორი (კოეფიციენტი) წარმოადგენს ბრაზილიის ფასების დონის შეფარდებას საბაზო ქვეყნის, მაგალითად, არგენტინის ფასების დონესთან. ეს უდრის ფასების პარიტეტს მოცემული პროდუქტის ჯგუფისათვის, გაანგარიშებულს როგორც ბრაზილიის ეროვნული ფასების არგენტინის, ანუ საბაზო ქვეყნის ფასებთან შეფარდების საშუალო გეომეტრიული (არა შეწონილი).

*იგოდით, რომ ...*

რობერტ სამმერსი (გვარის შეცვლამდე - სამუელსონი), მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტების ოჯახის წარმომადგენელია. მისი ძმა (მამის ხაზით) პაულ სამუელსონი და ასევე ცოლისძმა – კენეტ ერროუ ცნობილი ეკონომისტები და ნობელის პრემიის ლაურეატები არიან; მეუღლე – ანიტა სამმერსი, ასევე ეკონომისტი და პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო შვილი ლაურენს (ლარი) სამმერსი – ცნობილი ეკონომისტი და აკადემიკოსი, ჰარვარდის უნივერსიტეტის 27-ე პრეზიდენტი იყო 2001-2006 წლებში.

პროდუქტის კოეფიციენტი ტოლია საბაზო ქვეყნის ვალუტაში გამოსახული საშუალო რეგიონალური ფასისა, მაგალითად, ბანანზე. ამდენად, ბანანის ფასი ბრაზილიაში შეიძლება შევადაროთ როგორც ბრაზილიის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტისა და საშუალორეგიონალური ფასის წარმოებულს. ამასთან, წინასწარ არ არის ცნობილი არც ბრაზილიის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი და არც საშუალო ფასები. მათი გამოთვლა ხდება ან რეგრესიის მეთოდით, ან წრფივ განტოლებათა სისტემის მეშვეობით.

ამდენად, განიხილავენ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის ჩამოყალიბების შემდეგ ეტაპებს:

- თითოეული რეგიონისათვის განისაზღვრება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი დანახარჯების 155 კატეგორიისათვის;
- “წრიული ქვეყნები” თითოეულ რეგიონში აგროვებენ ფასებს პროდუქტების სპეციალურად შერჩეული “მსოფლიო სიის” მიხედვით, რომლებიც გადაიცემა გლობალურ ოფისში შემდგომი დამუშავებისათვის;
- თითოეული “წრიული ქვეყნის” პროდუქტებზე ფასები, რეგიონის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მეშვეობით, გარდაიქმნება რეგიონის საბაზო ვალუტის ერთეულად;
- გლობალურ ოფისში ხდება ექვსი რეგიონთაშორისი მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაიანგარიშება;
- შიდარეგიონალური და რეგიონთაშორისი მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტების საფუძველზე გაიანგარიშება საბოლოო მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი ყველა შედარებებში მონაწილე ქვეყნისათვის.

ამდენად, ასე შეიძლება აღიწეროს მოკლედ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშების ეს ურთულესი პროცესი.

გარდა მეთოდოლოგიური ხასიათის სიახლეებისა, საერთაშორისო შედარებების 2005 წლის რაუნდი არაერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციული თავისებურებით გამოირჩევა წინამორბედი ანალოგიური სამუშაოებისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია რაუნდის მმართველობის



სტრუქტურის სრულყოფა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო სტატისტიკურ სამსახურებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, გამართულ კოორდინაციას და ურთიერთთანამშრომლობას აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის.

მონაცემთა შეტანის, კონტროლისა და ინდექსების გამოთვლის მრავალმხრივი საშუალებებით აღჭურვილი ტექნოლოგიური უზრუნველყოფა ICP Tool Pack არაერთ ქვეყანაში იქნა დანერგილი და გამოყენებული შედარებების 2005 წლის რაუნდის მიმდინარეობისას. ამ ტექნოლოგიის მიზანია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის მოპოვების, კონტროლის, დამუშავების, დაარქივების, ანალიზისა და გავრცელების ავტომატიზაცია თანამედროვე მოთხოვნების დონეზე.

ICP Tool Pack მოიცავს ორ დამოუკიდებელ მოდულს: ფასების შეგროვების მოდულს (Price Collection Module; PKC) და ფასების ანალიზისა და ადმინისტრირების მოდულს (Price Analysis and Administration Module; PAM). მათი დანერგვა დაეხმარება ეროვნულ სტატისტიკურ სამსახურებს ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდების უნიფიცირებასა და სტანდარტიზაციაში.

საერთაშორისო შედარებების მომდევნო 2011 წლის რაუნდში არაერთი გამოცდილება იქნა გაზიარებული 2005 წლის რაუნდის პრაქტიკიდან. ეს რაუნდი გამორჩეულია საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი პრაქტიკით. აქ იგულისხმება ის, რომ განსაკუთრებით მოწინავე გამოცდილების მქონე სტატისტიკური ინსტიტუტები აქტიურად იყვნენ ჩართული რეგიონალური საერთაშორისო შედარებების პროგრამების განხორციელებაში. კერძოდ, კანადის სტატისტიკური სამმართველო, თავისი საყოველთაოდ აღიარებული უდიდესი გამოცდილებით, აქტიურად იყო ჩართული ლათინოამერიკული რეგიონის საერთაშორისო შედარებების სამუშაოებში; ავსტრალიის სტატისტიკურმა ბიურომ მნიშვნელოვანი ტექნიკური მხარდაჭერა აღმოუჩინა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს; გაერთიანებული სამეფოს ეროვნული სტატისტიკური სამმართველო და საფრანგეთის სტატისტიკური სამსახური ჩართული იყვნენ აფრიკის რეგიონის საერთაშორისო შედარებების ტექნიკური მხარდაჭერის ღონისძიებებში. საერთაშორისო შედარებების პროგრამის 2005 წლის რაუნდი აღსანიშნავი იყო იმიტაც, რომ მან უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული სტატისტიკური სამსახურების საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში, ერთი მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, ხოლო მეორე მხრივ, ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების სისტემების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საერთაშორისო შედარებების 2011 წლის რაუნდის მთავარი თავისებურებაა ეროვნული ანგარიშების 2008 წლის გამოცემაში განხორციელებული ცვლილებების ასახვა და გამოყენება საერთაშორისო შედარებებში.

**ცხრილი 3.3. მსოფლიო მშპ-ში უდიდესი წილის მქონე 20 ქვეყანა, 2018**

	ქვეყანა	წილი მსოფლიო მშპ-ში (მსოფლიო=100; PPP-ს მიხედვით)
1	ჩინეთი	18.70
2	აშშ	15.20
3	ინდოეთი	6.69
4	იაპონია	4.16
5	გერმანია	3.24
6	რუსეთი	3.09
7	ინდონეზია	2.59
8	ბრაზილია	2.49
9	გაერთიანებული სამეფო	2.24
10	საფრანგეთი	2.20
11	მექსიკა	1.90
12	იტალია	1.77
13	თურქეთი	1.71
14	კორეა	1.58
15	ესპანეთი	1.38
16	საუდის არაბეთი	1.37
17	კანადა	1.37
18	ირანის ისლამური რესპუბლიკა	1.22
19	ტაილანდი	0.978
20	ავსტრალია	0.975

**3.6. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო შედარებების პროგრამაში**

საერთაშორისო შედარებების პროგრამაში საქართველო 1993 წლიდან ჩაერთო. იგი შევიდა მე-2 ევროპულ ჯგუფში, რომელიც თავის მხრივ 4 ქვეჯგუფისაგან შედგებოდა (იხ. სქემა 4.1). შემდგომ რაუნდში (2005) საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო შედარებებში განხორციელდა დსთ-ს სტატისტიკური კომიტეტის მეშვეობით, რაც ეფუძნებოდა თანამეგობრობის სტატისტიკური სამსახურების ხელმძღვანელთა საბჭოს გადაწყვეტილებას (“გაეროს მთლიანი შიდა პროდუქტის საერთაშორისო შედარებების პროგრამაში თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ეროვნული

სტატისტიკური სამსახურების მონაწილეობის შესახებ“ საბჭოს სხდომის ოქმი N 5, პუნქტი 4; 25-26 ივნისი, 1998წ.).

საერთაშორისო შედარებების 2011 წლის რაუნდში საქართველო მონაწილეობდა ცალკე (ჯგუფის გარეშე), ამიტომ მისი მონაწილეობა საერთაშორისო შედარებებში განხორციელდა საქართველოსა და სომხეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ორმხრივი შედარებების გზით<sup>9</sup>. ამგვარად საქართველო დაუკავშირდა დსთ-ს რეგიონალურ ჯგუფს და ამ გზით ჩაერთო გლობალურ შედარებებში. რაც შეეხება საერთაშორისო შედარებების 2017 წლის რაუნდს, საქართველომ მასში მონაწილეობა მიიღო სტუმარი-მონაწილის სტატუსით ევროსტატი-ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის შედარებებში.

---

<sup>9</sup> 2011 წლის საერთაშორისო შედარებებში, საქართველოს მსგავსად, ასევე ცალკე ქვეყნად მონაწილეობდა ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომელიც თურქეთთან ორმხრივი შედარებების გზით ჩაერთო ევროსტატი/ეგთო ჯგუფში. Purchasing Power Parities and the Real Size of World Economies: A Comprehensive Report of the 2011 International Comparison Program. World Bank Group. 2015. p.10. <http://pubdocs.worldbank.org/en/711001503680105564/ICP2011-Global-Report.pdf>

<sup>10</sup> საქართველოსა და სომხეთის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის შედარება.

[http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/GEO-ARM%20Bilateral%20Comparison%20-%20Georgian.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/GEO-ARM%20Bilateral%20Comparison%20-%20Georgian.pdf)



## ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის

### ტესტი 1

ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საერთაშორისო შედარებების მიზანი:

1. ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონეების შედარება
2. ქვეყნების ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის შეფასება
3. ქვეყნების ფინანსური შესაძლებლობების შესაწავლა
4. ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და შედარება

### ტესტი 2

ჩამოთვლილთაგან რომელია საერთაშორისო შედარებების ძირითადი ამოცანა:

1. სხვადასხვა ქვეყნისთვის ფინანსური დახმარების გაწევა
2. სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული ანგარიშების სხვა განმაზოგადებელი მაჩვენებლების გადაანგარიშება ერთიან ვალუტაში მათი ურთიერთშედარების მიზნით
3. სხვადასხვა ქვეყნის საწარმოო პოტენციალის შესწავლა
4. არცერთი

### ტესტი 3

რას წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი:

1. ეს არის გაცვლითი კურსის ერთგვარი ფორმა, დაფუძნებული ქვეყნებს შორის ფასების შედარებაზე
2. იგივეა რაც გაცვლითი კურსი
3. იგივეა რაც რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი
4. არცერთი ჩამოთვლილთაგან არ შეესაბამება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის განმარტებას

### ტესტი 4

რას წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი:

1. იგივეა რაც რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი
2. იგივეა რაც ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი
3. ეს არის შედარებითი ფასი საქონლისა და მომსახურების კალათაზე სხვადასხვა ქვეყანაში
4. არცერთი ჩამოთვლილთაგან არ შეესაბამება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის განმარტებას

## ტესტი 5

რაში მდგომარეობს გაცვლითი კურსის ნაკლი მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტთან შედარებით საერთაშორისო შედარებებისას:

1. გაცვლითი კურსი ადეკვატურად არ ასახავს ადგილობრივი ვალუტის მსყიდველობით უნარს საკუთარ ბაზარზე, რადგანაც იგი არ ასახავს ფასებს შორის განსხვავებას ქვეყნებს შორის
2. გაცვლითი კურსი და მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი იდენტური ეკონომიკური კატეგორიებია
3. გაცვლით კურსს უპირატესობა აქვს საერთაშორისო შედარებებისას, რადგანაც იგი ყოველდღიურად დგინდება
4. გაცვლითი კურსის ნაკლი არის ის, რომ ბევრ ქვეყანას არ აქვს თავისი საკუთარი ვალუტა, რასაც საერთაშორისო შედარებებისას გამოიყენებდა

## ტესტი 6

რას წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი:

1. მოცემული ქვეყნის ფულადი ერთეულის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა იგივე რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რისი ყიდვაც შეიძლება აშშ-ში 1 დილარად
2. იგივეა რაც რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი
3. იგივეა რაც ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი
4. არცერთი ჩამოთვლილთაგან არ შეესაბამება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის განმარტებას

## ტესტი 7

რაში მდგომარეობს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის უპირატესობა გაცვლითი კურსთან შედარებით საერთაშორისო შედარებებისას:

1. მისი გაანგარიშების ოპერატიულობა
2. გაცვლითი კურსი და მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი იდენტური ეკონომიკური კატეგორიებია
3. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი გამორიცხავს ფასებს შორის განსხვავებას ქვეყნებს შორის, რაც შეუძლებელია იგივე მიზნით გაცვლითი კურსის გამოყენებისას

4. ძნელია მათ შორის უპირატესობის გამოკვეთა, რადგანაც მეტ-ნაკლებად ორივე ერთ მიზანს ემსახურება

## ტესტი 8

რას წარმოადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი:

1. იგივეა რაც რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი
2. იგივეა რაც ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი
3. ეს არის სტატისტიკური კატეგორია, რომელიც წარმოადგენს ტექნიკურ ინსტრუმენტს მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების საერთაშორისო შესადარისობის მისაღწევად
4. არცერთი ჩამოთვლილთაგან არ შეესაბამება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის არსს

## ტესტი 9

საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება ქვეყნებს შეისწავლონ (ერთზე მეტი პასუხი):

1. რამდენად ძვირია მოცემული ქვეყანა სხვა ქვეყნებთან შედარებით
2. როგორია მოცემული ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით
3. რამდენად მწვავეა სიღარიბის დონე მოცემულ ქვეყანაში სხვა ქვეყნებთან მიმართებაში
4. რამდენად განსხვავებულია მოცემული ეკონომიკის სტრუქტურა სხვა ქვეყნებისაგან

## ტესტი 10

საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება ქვეყნებს შეისწავლონ:

1. რამდენად განსხვავებულია მოცემული ეკონომიკის სტრუქტურა სხვა ქვეყნებისაგან
2. რამდენად ხელსაყრელია სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა
3. რამდენად მდგრადია სხვა ქვეყნების ეკონომიკები
4. რამდენად სტაბილურია მოცემული ქვეყნის ფინანსური სექტორი სხვა ქვეყნებთან შედარებით

## ტესტი 11

საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება ქვეყნებს შეისწავლონ:

1. საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა აქტუალური არ არის, ამიტომ მასში ქვეყნების მინიმალური რაოდენობა მონაწილეობს
2. რამდენად მწვავეა სიღარიბის დონე მოცემულ ქვეყანაში სხვა ქვეყნებთან მიმართებაში
3. რამდენად სტაბილურია მოცემული ქვეყნის არაფინანსური კორპორაციების სექტორი სხვა ქვეყნებთან შედარებით

4. რა რაოდენობის ფულადი გზავნილებაა ქვეყანაში ინვესტიციების მხარდასაჭერად

## ტესტი 12

საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა ეხმარება ქვეყნებს შეისწავლონ:

1. როგორია მოცემული ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით
2. ინვესტიციების საჭიროებები თავიანთ ქვეყნებში
3. საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებში ჩართულობის აუცილებლობის სიმწვავე
4. საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობა აქტუალური არ არის, ამიტომ მასში ქვეყნების მინიმალური რაოდენობა მონაწილეობს

## ტესტი 13

ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ამა თუ იმ ქვეყანაში სიმდიდრის/სიღარიბის შესწავლის კრიტერიუმი:

1. საზოგადოების შემოსავლების დონე
2. აქტივების (სიმდიდრე ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და უძრავი ქონების სახით) მოცულობა
3. ქვეყანაში სპორტის განვითარების დონე
4. სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების (ჯანდაცვისა და კვების ხარისხი, ბავშვთა მოკვდაობის დონე, სანიტარული პირობები და სხვ.) დონე

## ტესტი 14

რამდენად საჭიროა მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი კერძო სექტორისათვის:

1. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი აქტუალურია მხოლოდ სახელმწიფო სექტორისათვის
2. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი აქტუალურია მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის
3. კერძო სექტორს მუდმივად სჭირდება თვალყური ადევნოს, თუ რამდენად კონკურენტუნარიან ფასებს აწესებს იგი სხვა ქვეყნების ანალოგიური პროფილის ფირმებთან შედარებით და ამდენად მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი მისთვის აქტუალურია
4. კერძო სექტორისათვის საკმარისია ინფორმაცია გაცვლითი კურსების შესახებ, რათა მოახდინოს თავისი საქმიანობის შედეგების საერთაშორისო შედარებები

## ტესტი 15

რამდენად საჭიროა მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი შინამეურნეობების სექტორისათვის:

1. შინამეურნეობები იყენებენ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს შინამოსამსახურეების დასაქირავებლად
2. ესაჭიროებათ თვითდასაქმების სწორად ორგანიზებისათვის
3. ესაჭიროებათ იმის დასადგენად, თუ რამდენად ძვირი ან იაფია ის ქვეყანა, სადაც ისინი მოგზაურობას აპირებენ
4. ეხმარებათ თავიანთი ბიუჯეტის დაგეგმვაში

## ტესტი 16

რამდენად საჭიროა მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი საქმიანი ადამიანებისთვის:

1. ესაჭიროებათ იმის დასადგენად, თუ რანდენად ძვირი ან იაფი საქონელი და მომსახურება იმ ქვეყანაში, სადაც ისინი აპირებენ თავიანთი საქონლის ან მომსახურების გაყიდვას
2. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი აქტუალურია მხოლოდ სახელმწიფო სექტორისათვის
3. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი აქტუალურია მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის
4. საქმიანი ადამიანებისათვის მოსახერხებელია გაცვლითი კურსების გამოყენება, რადგანაც ეს უფრო ოპერატიულია

## ტესტი 17

საერთაშორისო შედარებების პროგრამის ისტორია იწყება:

1. მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან
2. მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან
3. 21-ე საუკუნის დასაწყისიდან
4. უძველესი დროიდან

## ტესტი 18

საერთაშორისო შედარებების პროექტის ყველაზე მსხვილი დამფინანსებელი იყო:

1. საერთაშორისო სავალუტო ფონდი
2. ფორდის ფონდი
3. მსოფლიო ბანკი
4. პროექტში მონაწილე ქვეყნების სტატისტიკური სამსახურები



## ტესტი 19

რომელი წლიდან მონაწილეობს საქართველო საერთაშორისო შედარებების პროექტში:

1. 1990 წლიდან
2. 1993 წლიდან
3. 2000 წლიდან
4. არ მონაწილეობს

## ტესტი 20

ვინ ხელმძღვანელობდა საერთაშორისო შედარებების პროგრამას ყველაზე დიდხანს - 1968-1982 წლებში:

1. რიჩარდ სტოუნი
2. რობერტ სამმერსი
3. ლაურენს სამმერსი
4. ირვინგ კრავისი

## ტესტი 21

საერთაშორისო შედარებების განხორციელებას საფუძვლად უდევს:

1. სტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასებისა და შინამეურნეობების დანახარჯების სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და და მდვიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშება
2. მხოლოდ სტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვება
3. ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის გადაანგარიშება ერთიან ვალუტაში გაცვლითი კურსის მეშვეობით
4. ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების გადაანგარიშება ერთიან ვალუტაში გაცვლითი კურსის მეშვეობით

## ტესტი 22

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გაანგარიშებისას, სტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასების გარდა, გამოიყენება:

1. შინამეურნეობების შემოსავლების სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა კალათის თითოეული კომპონენტის წონის განსაზღვრისათვის
2. შინამეურნეობების დანახარჯების სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა კალათის თითოეული კომპონენტის წონის განსაზღვრისათვის
3. არასტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასებიც
4. მწარმოებელთა ფასებიც

## თემა 4. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი სტატისტიკური ანგარიშები

ამა თუ იმ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები გულისხმობს მოცემული ქვეყნის ეკონომიკური აგენტების ეკონომიკურ ურთიერთობებს არარეზიდენტებთან, ანუ „დანარჩენ სამყაროსთან“. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ მრავალფეროვანი და მასშტაბური შეიძლება იყოს აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთობები და მათთან დაკავშირებული ფინანსური მოთხოვნები და ვალდებულებები. ყოველივე აღნიშნულის შესასწავლად საგარეო სექტორის ანგარიშები გამოიყენება. ეს ანგარიშები საშუალებას იძლევა ვუპასუხოთ კითხვებს, თუ რამდენის მოხმარება შეუძლია ქვეყანას და რამდენის - ინვესტირება; რამდენის შესახება შეუძლია „დანარჩენი სამყაროდან“ და რამდენის - გასესხება. მეორე მხრივ, საგარეო სექტორის ანგარიშები საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ქვეყანაში მოხმარებისა და ინვესტირებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების წყაროების პრიორიტეტები: ვაწარმოოთ ისინი თავად, თუ იმპორტს მივანიჭოთ უპირატესობა.

ამდენად, საგარეო სექტორის ანგარიშები, რომლებიც მოწოდებულია უპასუხოს ყველა ამ შეკითხვას, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პოლიტიკის გამტარებელთა ხელში, რათა მათ სწორად განსაზღვრონ ქვეყნის, არა მარტო საგარეო ეკონომიკური, არამედ მთლიანი ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები.

რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის ურთიერთობების შესასწავლად შემდეგი სტატისტიკური ანგარიშები გამოიყენება:

- საგადასახდელი ბალანსი;
- საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი;
- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სხვა ცვლილებების ანგარიშები, როგორებიცაა ღირებულების ცვლილებები და სხვა ნაკადები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ოპერაციებთან და რომლებსაც შესაბამისობაში მოჰყავს ერთმანეთთან საგადასახდელი ბალანსი და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი.

საგარეო სექტორის ანგარიშები ჰარმონიზებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან, იყენებს რა იგივე ცნებებსა და კონცეფციებს, რასაც ეს უკანასკნელი.

ქვემოთ მოტანილია საგარეო სექტორის ანგარიშების ზოგადი სტრუქტურა. მომდევნო თავებში ჩვენ თანმიმდევრულად შევისწავლით თითოეულის წარმოების პრინციპებს, მათ შორის ურთიერთკავშირებს და ანალიზის ძირითად მიმართულებებს.

**ცხრილი 4.1. საგარეო სექტორის ანგარიშების ზოგადი სტრუქტურა**

საგადასახდლო ბალანსი	კრედიტი	დებეტი	ბალანსი
მიმდინარე ანგარიში			
საქონელი და მომსახურება			
საქონელი			
მომსახურება			
პირველადი შემოსავლები			
დასაქმებულთა შრომის ანაზრაურება			
პროცენტი			
კორპორაციების განაწილებული შემოსავალი			
რეინვესტირებული შემოსავალი			
რენტა			
მეორადი შემოსავალი			
<i>მიმდინარე ანგარიშის ბალანსი</i>			
კაპიტალის ანგარიში			
არაწარმოებული, არაფინანსური აქტივების შეძენა/გასხვისება			
კაპიტალური ტრანსფერები			
<i>კაპიტალის ანგარიშის ბალანსი</i>			
<i>წმინდა გასესხება (+)/სესხება (-)</i> (მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშების ბალანსი)			
ფინანსური ანგარიში	<b>ფინანსური აქტივების წმინდა შეძენა</b>	<b>ფინანსური ვალდებულებების წმინდა წარმოქმნა</b>	<b>ბალანსი</b>
პირდაპირი ინვესტიციები			
პორტფელის ინვესტიციები			
ფინანსური წარმოებულები			
სხვა ინვესტიციები			
სარეზერვო აქტივები			
აქტივებისა და ვალდებულებების მთლიანი ცვლილება			
<i>წმინდა გასესხება (+)/სესხება (-)</i> (ფინანსური ანგარიშიდან)			
<i>წმინდა შეცდომები და გამოტოვებები</i>			

**ცხრილი 4.1. საგარეო სექტორის ანგარიშების ზოგადი სტრუქტურა (გავრცელება)**

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი	საწყისი ბალანსი	ოპერაციები	სხვა ცვლილებები	გადაფასება	საბოლოო ბალანსი
აქტივები					
პირდაპირი ინვესტიციები					
პორტფელის ინვესტიციები					
ფინანსური წარმოებულები					
სხვა ინვესტიციები					
სარეზერვო აქტივები					
ვალდებულებები					
პირდაპირი ინვესტიციები					
პორტფელის ინვესტიციები					
ფინანსური წარმოებულები					
სხვა ინვესტიციები					
წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა					

2007 წლიდან საქართველოში საგარეო სექტორის სტატისტიკის წარმოებასა და გავრცელებაზე პასუხისმგებელი ორგანო არის საქართველოს ეროვნული ბანკი. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის - „ეროვნული ბანკის ამოცანები და ფუნქციები“ - მე-3 პუნქტის თ) ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნქციაა „საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა“.

1993 წლიდან 2007 წლამდე საგარეო სექტორის ანგარიშებს აწარმოებდა სტატისტიკის ეროვნული სამსახური<sup>11</sup> (ასლმა ზიშვილ, საერთაშორისო სტატისტიკა, 2009).

**4.1. საგადასახდელი ბალანსი**


საგადასახდელი ბალანსი და მიმდინარე ანგარიში, მთლიან შიდა პროდუქტთან ერთად, ერთ-ერთი ხშირად მოხსენიებადი ეკონომიკური კატეგორიებია ეკონომიკურ და პოლიტიკურ წრეებში, მედიასა და ტელევიზიაში. იგი ასახვს მოცემული ქვეყნის რეზიდენტების ეკონომიკურ

<sup>11</sup> www.geostat.ge

ოპერაციებს არარეზიდენტებთან, დროის გარკვეული პერიოდის (თვის, კვარტლის, წლის) განმავლობაში.

საგარეო ეკონომიკური ოპერაციები იყოფა რეალურ და ფინანსურ ოპერაციებად:

#### სქემა 4.1. ოპერაციები მიმდინარე ანგარიშში



რეალური ოპერაციები აისახება საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშსა და კაპიტალის ანგარიშში, ხოლო ფინანსური ოპერაციები - ფინანსურ ანგარიშში.

საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში შედგება სამი ანგარიშისაგან. ესენია:

- საქონლისა და მომსახურების ანგარიში;
- პირველადი შემოსავლების ანგარიში;
- მეორადი შემოსავლების ანგარიში.

საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული ოპერაციები, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა. ესენია საქონლის ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული ოპერაციები და მომსახურების ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული ოპერაციები.

#### საერთაშორისო ვაჭრობა

საგარეო ვაჭრობა ნებისმიერი ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. რატომ ვაჭრობენ სახელმწიფოები?

საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს წარმოშობა და განვითარება არაერთი ობიექტური გარემოების არსებობას უკავშირდება. ჯერ ერთი, ეს არის საწარმოო ძალების განვითარება, წარმოების მასშტაბების გაფართოება და სატრანსპორტო საშუალებების შესაძლებლობების ზრდა; მეორე, სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების განვითარების არათანაბარი დონე, რაც იწვევს მეტად განვითარებული დარგების პროდუქციის შიდა ბაზარზე მიწოდების გადაჭარბებას მოთხოვნაზე და საერთაშორისო ბაზარზე მისი გატანის აუცილებლობას; მესამე, მინერალური ნედლეულის არათანაბარი განლაგება გეოგრაფიული თვალსაზრისით, რაც იწვევს რიგი ქვეყნებისათვის ნედლეულის იმპორტის აუცილებლობას, ხოლო სხვებისათვის - ექსპორტის შესაძლებლობას; მეოთხე, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, რაც განაპირობებს ტურისტული, სატრანზიტო და სხვა ბუნებრივი პოტენციალის არსებობას და ამის საფუძველზე სავალუტო შემოსავლების მიღების შესაძლებლობას; მეხუთე, ინტელექტუალური პოტენციალის არსებობა, რაც წარმოშობს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და ტექნიკური გამოცდილების სფეროში მომსახურების ექსპორტის შესაძლებლობას.

საქონლის ცნება, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში, გულისხმობს ნებისმიერ გადაადგილებად ღირებულებას, ანუ მოძრავ ქონებას, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის, ან სხვა ფორმით გასხვისების საგანს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ ერთეულებს შორის. იგი მოიცავს:

- საქონლის ექსპორტს და იმპორტს;
- პორტებსა და აეროპორტებში სატრანსპორტო საშუალებების მიერ შეძენილ საქონელს;
- განსაკუთრებული სახის საქონელს, როგორცაა ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯია;
- არამონეტარულ ოქროს.

საქონლის ექსპორტი/იმპორტი წარმოადგენს საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის ოპერაციას რეზიდენტის/არარეზიდენტის მიერ არარეზიდენტისათვის/რეზიდენტისათვის (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა). საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის ოპერაცია კი, თავის მხრივ, გულისხმობს საქონელთან დაკავშირებულ ნებისმიერ – კომერციულ, ან არაკომერციულ ოპერაციას რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის, რომლის დროსაც ხდება საქონლის გადაადგილება და მასზე მფლობელობის შეცვლა.

პრაქტიკაში საქონლის ექსპორტი/იმპორტი ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, რასაც განსაზღვრავს ე.წ. ოპერაციის ხასიათი, ანუ ის თავისებურება, რითაც ერთი ოპერაცია განსხვავდება მეორისაგან. საქონლის ექსპორტის/იმპორტის მიზანი შეიძლება იყოს მისი ყიდვა-გაყიდვა, ანუ საგარეო ვაჭრობა, აგრეთვე ჩუქება, პირდაპირი ინვესტირება, იჯარა, კონტრაბანდა და სხვა.

საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა შეიძლება იყოს, ან არ იყოს დაკავშირებული ამ საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთასთან, ისევე, როგორც ეს უკანასკნელი ყოველთვის არ არის კავშირში საქონელზე საკუთრების უფლების ცვლილებასთან. მაგალითად, მოცემული ქვეყნიდან ტვირთის გაგზავნა სხვა ქვეყანაში საკუთარი დიპლომატური წარმომადგენლობისათვის

დაკავშირებულია ამ ტვირთის მიერ საზღვრის გადაკვეთასთან, მაგრამ რეზიდენტობის თვალსაზრისით ეს ტვირთი მფლობელს არ იცვლის. შესაბამისად, ეს ოპერაცია არ წარმოადგენს საგარეო სავაჭრო ოპერაციას, ანუ სავაჭრო ოპერაციას რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის და არ ექვემდებარება საგადასახდელი ბალანსში ასახვას. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა ტვირთმა არ გადაკვეთოს ქვეყნის საზღვარი, თუმცა ოპერაცია განხორციელდეს რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის (მაგალითად, მოცემული ქვეყნის თევზსაჭერი გემიდან, რომელიც საქმიანობს საერთაშორისო წყლებში, თევზის გაყიდვა არარეზიდენტებზე). ასეთი ოპერაცია, ცხადია ექვემდებარება საგადასახდელი ბალანსში ასახვას.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროა სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

**ჩანართი 2. სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია**

*საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში სტატისტიკური დაკვირვების ფორმას წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, რომლის გარეშეც ქვეყნის საზღვარზე საქონლის გადაადგილება დაუშვებელია. საგარეო სავაჭრო ოპერაციებზე სტატისტიკური დაკვირვების ეს ფორმა, როგორც საბაჟო, ისე საგადასახდლო და სტატისტიკური მიზნებისათვის, გამოიყენება მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობაში და ცნობილია ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტის (Single administrative document - SAD) სახელწოდებით. როგორც წესი, საქონლის დეკლარირება ხდება დეკლარანტის, ანუ საქონლის გამგზავნის, ან მიმღების მიერ. ასევე ეს პროცედურა შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული იურიდიული, ან ფიზიკური პირის მიერ, რომელსაც საბაჟოსთან სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე აქვთ ნებართვა საქონლის დეკლარირების თაობაზე.*

*სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის კომპლექტი შედგება 4 აკინძული ფურცლისაგან. იგი ივსება საქონლის, ან ქონების ყოველ პარტიაზე, რომელიც შედგება ერთი დასახელების საქონლისაგან. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის პარტია მოიცავს რამდენიმე დასახელების საქონელს, მაშინ გამოიყენება დამატებითი ფურცლები, რომელთაგანაც თითოეული მათგანი იძლევა დამატებით 3 დასახელების საქონლის დეკლარირების შესაძლებლობას.*

*სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის კომპლექტის თითოეულ ფურცელს თავისი კონკრეტული ადრესატი ჰყავს განსაზღვრული (სხვადასხვა ქვეყანაში ასეთი ადრესატების ვინაობა შეიძლება ერთნაირი არ იყოს). საქართველოში სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების ეგზემპლარები შემდეგნაირად ნაწილდება:*

- პირველი ეგზემპლარი რჩება საბაჟოში;*
- მეორე – იგზავნება საბაჟო დეპარტამენტში;*
- მესამე – ეგზავნება იმ პირს, რომელიც აწარმოებს საბაჟო გადასახადებით ანგარიშსწორებას;*
- მეოთხე – თან ერთვის საქონელს და რჩება საზღვრის გადაკვეთის ადგილზე – საბაჟო საგუშაგოში ან საბაჟოში.*

*სატვირთო საბაჟო დეკლარაციის მონაცემების ჩაწერა ხდება სპეციალურ ველებში, რომელთა რიცხვი 54-ია. აქედან გამომდინარე, დეკლარაციაში მოცემული ინფორმაცია საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, მასში შეიძლება ძირითადი ინფორმაციული ჯგუფების გამოყოფა. ეს ჯგუფები შემდეგია:*



**ჩანართი 2. სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია (გაგრძელება).**

ზოგადი ინფორმაცია - ველები: 1-6, 14, 54;  
 უპირატესად საბაჟო დანიშნულების ზოგადი მონაცემები - ველები 27 და 30;  
 მონაცემები საქონლის წარმომშობის, გაგზავნისა და დანიშნულების ქვეყნების შესახებ -  
 ველები: 15-17, 34, 44;  
 ნორმატიული მონაცემები - ველი 37;  
 საქონლის ტიპი - ველები 31-33;  
 მონაცემები საქონლის რაოდენობის, ფასისა და ბაჟის შესახებ - ველები: 20, 22-24, 35, 38,  
 41-42, 46;  
 მონაცემები ტრანსპორტის სახეობების შესახებ - ველები: 18-19, 21, 25-26;  
 საბაჟო დანიშნულების სპეციალური მონაცემები - ველები: 36, 39-40, 47-53;  
 თავისუფალი ველები: 9-13, 28-29, 43, 45;  
 ველი 7 - მომხმარებლებისათვის.

შინაარსის მიხედვით სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მონაცემები შემდეგი სახის ინფორმაციას მოიცავს:

<p>მონაცემები გამგზავნის შესახებ</p>	<p>ექსპორტის შემთხვევაში: რეზიდენტი იურიდიული (ან ფიზიკური) პირის დასახელება, მისამართი და საიდენტიფიკაციო კოდი.                  იმპორტის შემთხვევაში: არარეზიდენტი იურიდიული (ან ფიზიკური) დასახელება და მისამართი.</p>
<p>მონაცემები მიმღების შესახებ</p>	<p>ექსპორტის შემთხვევაში: არარეზიდენტი იურიდიული (ან ფიზიკური) პირის დასახელება და მისამართი.                  იმპორტის შემთხვევაში: რეზიდენტი იურიდიული (ან ფიზიკური) პირის დასახელება, მისამართი და საიდენტიფიკაციო კოდი.</p>
<p>მონაცემები დეკლარანტის შესახებ</p>	<p>იურიდიული (ან ფიზიკური) პირის საიდენტიფიკაციო კოდი, თუ დეკლარანტია საქონლის გამგზავნი, ან მიმღები.                  დასახელება, მისამართი და მონაცემები ლიცენზიის შესახებ, თუ საქონლის დეკლარირება ხდება საბაჟო ბროკერის მიერ საქონლის გამგზავნის, ან მიმღების დავალებით.</p>



**ჩანართი 2. სატვირთო-სამაგო დეკლარაცია (გაგრძელება).**

<p>მონაცემები გარიგების შესახებ</p>	<p>ექსპორტის შემთხვევაში: დანიშნულების ქვეყანა; კონტრაქტის ნომერი და თარიღი; ლოჯენშიის, ან ნებართვის (თუ ასეთი აუცილებელია) ნომერი, გაკეობის თარიღი და მოქმედების ვადა; გარიგების სახეობა; მიწოდების პირობები; საექსპორტო ამონაგების მიღების, ან საქონლის შემშვედრი მიწოდების ვადები; ანგარიშსწორების ფორმა; ცნობები იმ მანკის შესახებ, სადაც უნდა იყნოს მღებულ საექსპორტო ამონაგები; გარიგებით გათვალისწინებული ვალუტა; გარიგების მასპორტის ნომერი.</p> <p>იმპორტის შემთხვევაში: გამგ. შავნი ქვეყანა და საქონლის წარმოშობის ქვეყანა; გარიგების სახეობა; მიწოდების პირობები; ცნობები იმ მანკის შესახებ, რომლის შემდგომითაც ხდება ანგარიშსწორება; გარიგებით გათვალისწინებული ვალუტა; პრეფერენციები სამაგო გადასახდელულის გადახდის შემთხვევაში.</p>
<p>მონაცემები სატრანსპორტო საშუალებების შესახებ</p>	<p>ცნობები იმ სატრანსპორტო საშუალებების შესახებ (სახეობა, რაოდენობა, ბორტის და სარეგისტრაციო ნომრები და ა.შ.), რომელთა შემდგომითაც ტვირთი კვეთს საქართველოს სამაგო საზღვარს, აგრეთვე რომლითაც ეს ტვირთი მოაღწევს გამშვებ პუნქტამდე, ან გამშვები პუნქტიდან იმ სამაგო ორგანომდე, რომელიც ახორციელებს სამაგო გაფორმებას.</p>
<p>მონაცემები საქონლის შესახებ</p>	<p>საქონლის დასახელება და ტექნიკური დახასიათება (მოდელოს ნომერი, ტიპი, ზომები და სხვა მახასიათებლები); სატვირთო ადგილების სახეობები და რაოდენობა. ნეტო და ბრუტო წონები. დეკლარირებული პარტიის ღირებულება ფაქტურის მიხედვით, ბელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალუტაში; სამაგო და სტატისტიკური ღირებულება.</p>
<p>მონაცემები სამაგო კონტროლის შესახებ</p>	<p>საზღვარზე გაშვების პუნქტისა და საქონლის დათვალიერების ადგილის დასახელება.</p>
<p>მონაცემები სამაგო გადასახდელის შესახებ</p>	<p>ცნობები სამაგო მოსაკრებლების, გადასახდელისა და მაგის შესახებ. სამაგო გადასახდელულის გადახდის გადავადების შემთხვევაში მოუთითებს გადახდის ბოლო ვადა.</p>

მეტე ინფორმაციისათვის იხილიეთ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1353040>

ამდენად, იქიდან გამომდინარე, რომ ტვირთის მოცულობა, რომელიც გადაკვეთს საზღვარს და რომელზედაც შეივსება სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, შესაძლოა მოიცავდეს ტვირთს, რომელიც არ წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის საგანს, და მეორე მხრივ, ობიექტური (ან სუბიექტური) მიზეზების გამო არ მოიცავდეს ტვირთს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის საგანს, აუცილებელია დადგინდეს სრული სია იმ ტვირთებისა, რომელიც ასოცირდება საერთაშორისო ვაჭრობასთან და რომელიც უნდა აისახოს საგადასახდელი ბალანსში.

ამდენად, საქონლით საერთაშორისო ვაჭრობა მოიცავს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების საფუძველზე ფორმირებულ საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებს, კორექტირებულს იმ ნაკადებით, რომლებიც არ არის დაფიქსირებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებში და ასევე იმ ნაკადებით, რომლებიც დაფიქსირებულია სატვირთო საბაჟო დეკლარაციებში, მაგრამ თავისი ხასიათის გამო არ მიეკუთვნება საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის კატეგორიას და სხვაგვარად კლასიფიცირდება. ანუ, სხვა სიტყვებით, საქონლის კატეგორია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში, მოიცავს თითქმის ყველა გადაადგილებად საქონელს, რომელზედაც ხდება საკუთრების უფლების შეცვლა რეზიდენტიდან არარეზიდენტის სასარგებლოდ, ან პირიქით.

ამასთან, არის ზოგიერთი საქონელი, რომელიც სხვაგვარად კლასიფიცირდება და საგადასახდელი ბალანსში აღირიცხება არა საქონლის კატეგორიაში, არამედ - შესაბამისად. მათ მიეკუთვნება:

- საქონელი, რომლის შექმნაც ხდება მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ტურისტების, ან არარეზიდენტი მომსახურე პერსონალისა და დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლობების თანამშრომელთა და ოფიციალურ პირთა პირადი მოხმარებისათვის. პირველ შემთხვევაში საქონელი კლასიფიცირდება როგორც “ტურისტული მომსახურება”, ხოლო მეორე შემთხვევაში - როგორც “სამთავრობო მომსახურება”;
- გაზეთები და პერიოდული გამოცემები, რომლებსაც იღებენ უშუალოდ და პირდაპირ ხელმომწერები, კლასიფიცირდება როგორც “სატელეკომუნიკაციო, ინფორმაციული და კომპიუტერული მომსახურება”
- ქაღალდის ფული და მონეტები, რომლებიც იმყოფება მიმოქცევაში, აგრეთვე ფასიანი ქაღალდები, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური და არა როგორც სასაქონლო ოპერაცია. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება მონეტარული ოქროს გადაადგილება.

საქონლის კატეგორიაში არ აღირიცხება:

- ტრანზიტული ტვირთი. ეს ისეთი სახის ტვირთია, რომელიც განსაკუთრებული საბაჟო რეჟიმი აძლევს უფლებას გადაკვეთოს მოცემული ქვეყნის ტერიტორია, თუმცა ეს ტვირთი განკუთვნილია სხვა ქვეყნის რეზიდენტებისათვის.
- მოგზაუნების პირადი ნივთები. მათ მიეკუთვნება პირად საკუთრებაში არსებული ნივთები, რომლებიც თან ახლავს ადამიანებს, რომლებიც იცვლიან რეზიდენტობას.

- საელჩოებისათვის, სამხედრო ბაზებისა და მსგავსი ერთეულებისათვის განკუთვნილი საქონელი საკუთარი ადმინისტრაციებისაგან.
- საწარმოების საგარეო ოპერაციების შესასრულებლად საჭირო საქონელი, თუ ასეთ საწარმოთა საქმიანობა საზღვარგარეთ არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ იგი ჩაითვალოს ფილიალად.
- დროებით ექსპორტირებული და დროებით იმპორტირებული საქონელი, რომელიც არ იცვლის მფლობელს. ასეთი საქონლის მაგალითია, გამოფენებისა და წარმოდგენებისთვის (მაგ. საცირკო) დროებით გატანილი ან შემოტანილი საქონელი
- ფინანსური ლიზინგის ქვეშ შექმნილი საქონელი.
- საქონელი, რომელსაც არ აქვს პოზიტიური ღირებულება. ასეთი შეიძლება იყოს სიცოცხლისთვის საშიში საქონელი, რომელიც განკუთვნილია გასანადგურებლად ან შესანახად. თუმცა, ნარჩენები და ჯართი, რასაც აქვს პოზიტიური ღირებულება შედის საგარეო ვაჭრობაში.
- უკან დაბრუნებული საქონელი. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა საქონელი არ იქნა მიღებული კონტრაგენტის მიერ, ან თუნდაც შეიცვალა მფლობელი, თუმცა მხარეები მოგვიანებით შეთანხმდნენ, რომ გააუქმებენ მფლობელის შეცვლას. სასურველია, რომ უკან დაბრუნებული საქონლით კორექტირება მოხდეს იმავე პერიოდში, როცა საქონელი თავდაპირველად აღირიცხა, თუმცა, თუ ეს შეუძლებელია, ექსპორტში და იმპორტში ასეთი ანულირება უნდა მოხდეს, როცა საქონელი დაბრუნდა.
- ნიმუშები, რომელთაც არა აქვთ კომერციული ღირებულება.
- თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში და რეზიდენტებს შორის საქონლით ვაჭრობა.
- ნებისმიერი საქონელი, რომლის აღრიცხვაც მოხდა მონაცემთა ბაზებში, მაგრამ აშკარაა, რომ მასზე არ მომხდარა საკუთრების უფლების ცვლილება რეზიდენტობის თვალსაზრისით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებისა, არსებობს განსაკუთრებული სახის საქონელი, რომელიც განსაკუთრებულ საბაჟო რეჟიმს ექვემდებარება თავისი სპეციფიკურობის გამო, თუმცა კლასიფიცირდება, როგორც საქონელი. საქონლის ასეთი კატეგორიებია:

- სასაქონლო (არამონეტარული) ოქრო, ვერცხლის ზოდები, აღმასები და სხვა ძვირფასი ლითონები და ქვები;
- ქაღალდის ფული და მონეტები, რომლებიც არ არის მიმოქცევაში (ნუმიზმატიკური დანიშნულების), აგრეთვე ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც ჯერ-ჯერობით არა აქვს კანონიერი ძალა; ამ აქტივების შეფასება ხდება არა ნომინალური ღირებულების მიხედვით, არამედ როგორც საქონლის;
- ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი. ამ კატეგორიის საქონელი ქვეყნის საზღვარს კვეთს არა საბაჟოს გავლით, თუმცა აუცილებლად უნდა აღირიცხოს როგორც ექსპორტი/იმპორტი;
- შინაური საქონელი, რომელიც საზღვარზე გადაიდენება;
- საფოსტო ამანათები;

- სამთავრობო ორგანოების მიერ განხორციელებული საქონლის ექსპორტი და იმპორტი, ოფიციალური ტრანსფერტებისა და კრედიტებით შეძენილი საქონლის ჩათვლით;
- კონტრაბანდა, მათ შორის საბაჟო ორგანოების მიერ გამოვლენილი;
- სხვა არარეგისტრირებული საქონელი, მათ შორის საჩუქრები, აგრეთვე საქონელი, რომლის ღირებულება ნაკლებია დადგენილ მინიმალურ დონეზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო ვაჭრობის კონტექსტში საქონლის კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე პორტებსა და აეროპორტებში სატრანსპორტო საშუალებების მიერ შეძენილი საქონელი ბორტზე მოხმარების მიზნით, რასაც რეზიდენტი სატრანსპორტო საშუალებები იძენენ უცხოეთში, ან არარეზიდენტები - მოცემულ ქვეყანაში (საწვავი, სურსათი, მატერიალური მარაგები).

საგადასახდელო ბალანსში როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი აღირიცხება FOB ფასებში (იხ. საგარეო ვაჭრობის შეფასების მეთოდები).

### საგარეო ვაჭრობაში გამოყენებული კლასიფიკაციები

საგარეო ვაჭრობაში კლასიფიკაციები გამოიყენება როგორც საგადასახადო, ისე სტატისტიკური მიზნებისათვის. მათ გარეშე შეუძლებელია ამ სფეროში სტატისტიკური კვლევების განხორციელება. კერძოდ, ისინი აუცილებელია სტატისტიკური დაკვირვების ჩატარებისა და შედეგების სისტემატიზაციისათვის, საგარეო სავაჭრო ნაკადების გეოგრაფიული, სასაქონლო სტრუქტურის და სხვა ნიშნების მიხედვით კლასიფიცირებისა და შესწავლისათვის.

საგარეო ვაჭრობაში ყველაზე მრავალმხრივი გამოყენების კლასიფიკატორებს მიეკუთვნება სასაქონლო ნომენკლატურები, რომელთა დანიშნულებაა საქონლის დეტალური კლასიფიკაცია დაბეგვრის, საბაჟო პროცედურების განხორციელებისა და სტატისტიკური მიზნებისათვის.

1987 წლამდე ევროპის ქვეყნები საქონლის აღწერისა და კოდირებისათვის გამოიყენებდნენ საერთაშორისო საბაჟო კავშირის კლასიფიკატორს, ანუ ე.წ. “ბრიუსელის ნომენკლატურას”. ეს კლასიფიკატორი დაახლოებით 1100 სასაქონლო დასახელებას მოიცავდა. თუმცა, ამავე დროს მთელი რიგი სხვა ქვეყნები, მათ შორის აშშ, სხვა ნომენკლატურას იყენებდნენ, რაც უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნებს შორის სასაქონლო ნაკადების მოძრაობის შესწავლაზე. ამ ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით, 1988 წლის 1 იანვრიდან მოქმედებაში შევიდა საქონლის აღწერისა და კოდირების ე.წ. ჰარმონიზებული ნომენკლატურა (HS), რომელიც შემუშავებულ იქნა საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ნომენკლატურის (CCCN) და საერთაშორისო სტანდარტული სავაჭრო კლასიფიკაციის (SITC rev.2) ბაზაზე. იგი მოიცავს დაახლოებით 5 ათასამდე დასახელების სასაქონლო ჯგუფს და იდენტიფიცირებულია ოთხთანრიგიანი (პოზიცია) და ექვსთანრიგიანი (ქვეპოზიცია) კოდებით; მოიცავს 21 განყოფილებას და 96 ჯგუფს.

ჰარმონიზებულმა ნომენკლატურამ დიდი გამოყენება ჰპოვა მთელს მსოფლიოში. მას დღეს 120-ზე მეტი ქვეყანა იყენებს. მის მოქმედებას სისტემატურად აკონტროლებს საერთაშორისო საბაჟო კავშირის სპეციალური კომიტეტი.

საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა (HS) და ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი კომბინირებული სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურა (KN) დაედო საფუძვლად საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შექმნას, რომელიც შემუშავებულ იქნა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის და შევიდა მოქმედებაში 1991 წლის 1 იანვრიდან, ხოლო 1992 წლის 1 მაისიდან რუსეთის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა აღნიშნული ნომენკლატურის ახალი რედაქცია. ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებიდან გამომდინარე, საბაჟო სამსახურის, აგრეთვე საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ფორმირების პირველი დღიდან (1992-1993 წწ.) საქონლის აღწერისა და კოდირების სწორედ ეს სისტემა გამოიყენებოდა.

“საქართველოს საბაჟო კოდექსის” 153-ე მუხლი განმარტავს, რომ ქვეყანაში საბაჟო ორგანოები საქონლის კოდირებისა და კლასიფიკაციისათვის იყენებენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას, რომელიც შემუშავებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე და შესულია საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნულ სისტემაში. ამ კლასიფიკატორის ზოგადი სტრუქტურა შემდეგნაირია:

საქონლის კოდი	საქონლის აღწერა	დამატებითი ზომის ერთეული
---------------	-----------------	--------------------------

ჰარმონიზებულ სისტემაში (HS) საქონელი კლასიფიცირდება ექვსი დონის მიხედვით. ეს დონეებია: განაყოფი, ჯგუფი, ქვეჯგუფი, სასაქონლო პოზიცია, სუბპოზიცია და ქვეპოზიცია.

ამდენად, ჰარმონიზებული სისტემის (HS) კლასიფიკაციის უმაღლესი დონეა განაყოფები, რომლებიც ამ სისტემაში 21-ია. ამ დონის მიხედვით საქონლის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს, ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთთან კავშირში არ მყოფი ნიშნების ერთობლიობა, რომელთაგან ძირითადია: საქონლის წარმოშობა (I, II, V განაყოფები), დანიშნულება (IV, XI, XII, XVII-XXI განაყოფები), ქიმიური შემადგენლობა (III, VI, VII განაყოფები), მასალის სახეობა, რომლისაგანაც არის დამზადებული საქონელი (VIII-X, XIII-XV განაყოფები).

ჯგუფების განსაზღვრას, რომლებიც სისტემაში 96-ია, საფუძვლად უდევს საქონლის დამუშავების პრინციპი - ნედლეულიდან და ნახევარფაბრიკატიდან მზა ნაწარმამდე და საქონლის შემდეგი ძირითადი 4 ნიშანი: დამუშავების ხარისხი, დანიშნულება, მასალის სახეობა და საქონლის დანიშნულება მსოფლიო ბაზარზე.

ანალოგიურად ხდება საქონლის კლასიფიკაცია შემდგომ, უფრო დაბალ დონეებზე.

ამასთან, ჰარმონიზებული სისტემის (HS) შინაარსი და ფორმა გულისხმობს მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის ნომენკლატურის უფრო მეტ დეტალიზაციას და ამით ქმნის შესაძლებლობას მის ბაზაზე ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურების შექმნისა. ე.ი. ქვეყნებს

შესაძლებლობა ეძლევათ, საერთაშორისო ნორმების დარღვევის გარეშე, თავიანთი წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე, ნომენკლატურაში ასახონ მოცემული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ნაწარმი და შექმნან საქონლის აღწერისა და კლასიფიკაციის ეროვნული კლასიფიკატორები. სწორედ ამ შესაძლებლობებსა და პრინციპებს ემყარება საქართველოში საქონლის აღწერისა და კლასიფიკაციის ეროვნული კლასიფიკატორის შექმნის იდეა და მისი განხორციელების ღონისძიებები.

საქონლის აღწერისა და კოდირების კომბინირებული ნომენკლატურა (KN) წარმოადგენს ჰარმონიზებული სისტემის (HS) გაფართოებულ ვარიანტს, რომელიც შემუშავებულია საერთო საბაჟო ტარიფისა (CCT) და ევროპული სტატისტიკის ნომენკლატურის (NIMEXE) ბაზაზე. კომბინირებული ნომენკლატურა მოიცავს 10 ათასამდე დასახელების საქონელს, რომლებიც იდენტიფიცირებულია ოთხთანრიგანი (პოზიცია) და რვათანრიგანი (ქვეპოზიცია) კოდებით და კლასიფიცირებულია 21 განყოფილებადა და 98 ჯგუფად. იგი მოქმედებაში შევიდა 1988 წლის 1 იანვრიდან და ფართოდ გამოიყენება ევროპის ქვეყნების მიერ.

კომბინირებული ნომენკლატურის ზოგადი სტრუქტურა შემდეგნაირია:

კოდი	საქონლის აღწერა	გადასახადების განაკვეთები	დამატებითი ზომის ერთეული
------	-----------------	---------------------------	--------------------------

მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნები იყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სტანდარტულ სავაჭრო კლასიფიკატორს (SITC), რომელიც ზოგადად შემდეგი სახისაა:

კოდი	საქონლის აღწერა
------	-----------------

სხვადასხვა ქვეყნების მიერ საქონლის აღწერისა და კოდირების სხვადასხვა კლასიფიკატორების გამოყენებისას სასაქონლო ნაკადების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემუშავებულია და გამოყენებულია ე.წ. შესადარი ცხრილები, რომლებიც საშუალებას იძლევა ერთი მოცემული ნომენკლატურის მიხედვით კლასიფიცირებული სასაქონლო ნაკადები (ექსპორტი ან იმპორტი) გადაიყვანოს სასურველ მეორე ნომენკლატურაში.

საგარეო სავაჭრო ნაკადების რაოდენობრივი დახასიათების მიზნით, როგორც წესი, გამოიყენება ნატურალური ზომის ერთეულები, ჩვეულებრივ, საქონლის წმინდა წონის მაჩვენებელი, გამოსახული კილოგრამებში. თუმცა, რიგ შემთხვევებში, საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო და აუცილებელია მისი რაოდენობის გაზომვა კილოგრამისაგან განსხვავებულ დამატებით ნატურალურ ერთეულებში, მაგალითად, კვადრატულ, ან კუბურ მეტრებში, ცალეებში, წყვილებში, ლიტრებში და ა.შ. ეს დამატებითი ზომის ერთეულები განსაზღვრულია სპეციალურ კლასიფიკატორში, რომელიც ცნობილია დამატებითი ზომის ერთეულების კლასიფიკატორის

სახელწოდებით და გამოიყენება საქონლის აღწერისა და კოდირების სასაქონლო ნომენკლატურებთან ერთად. მისი ზოგადი სტრუქტურა შემდეგნაირია:

ზომის ერთეულის დასახელება	პირობითი აღნიშვნა	ზომის ერთეულის კოდი
---------------------------	-------------------	---------------------

გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით საგარეო სავაჭრო ნაკადების კლასიფიცირების მიზნით გამოიყენება ე.წ. გეონომენკლატურა, ანუ მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკატორი, რომელიც აწესებს ქვეყნების დასახელებათა ასოით და ციფრულ აღნიშვნებს კოდირებულ ფორმაში ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და გაცვლის სხვადასხვა სისტემებისათვის. აღნიშნული კლასიფიკაციის ობიექტებს წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოები ან სხვა ტერიტორიები, რომლებსაც გააჩნიათ პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული ან ისტორიული თავისებურებები და რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ინფორმაციული ბაზების შექმნის, დამუშავების, გაცვლისა და შენახვისათვის საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური, მეცნიერული, კულტურული და სხვა ამოცანების გადაჭრის დროს. მოცემულ კლასიფიკატორში ქვეყნები კლასიფიცირებულია ორასოიანი და სამასოიანი კოდებით, რომლებიც შემუშავებულია ლათინური ანბანის საფუძველზე და უმეტეს შემთხვევაში ასოცირდება ქვეყნების შემოკლებულ დასახელებებთან, და სამნიშნა ციფრული კოდით. ორასოიანი კოდები გამოიყენება ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლისათვის, ციფრული კოდები გამოიყენება ანალოგიური დანიშნულებით, აგრეთვე ინფორმაციული ბაზების დამუშავების საჭიროებისათვის; მისი უპირატესობა ასოით კოდთან შედარებით ის არის, რომ მასზე არ მოქმედებს ქვეყნების დასახელების ცვლილებები. სამასოიანი კოდები გამოიყენება განსაკუთრებული საჭიროებისათვის, რასაც განსაზღვრავენ სპეციალური ორგანოები. ქვეყნების დასახელებები და მათი ასოითი კოდები დალაგებულია ანბანის მიხედვით<sup>12</sup>. ხშირად, გეონომენკლატურასთან კომბინაციაში გამოიყენება ვალუტების კლასიფიკატორიც, რომელიც საგარეო სავაჭრო ნაკადების შესწავლისა და სისტემატიზაციის აუცილებელი ინსტრუმენტი<sup>13</sup>.

საგარეო ვაჭრობაში გამოყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასიფიკატორია, აგრეთვე, ტრანსპორტის სახეების კლასიფიკატორი, რომლის საშუალებითაც ხდება საგარეო ვაჭრობის მონაცემთა შესწავლა ტრანსპორტის სახეობების მიხედვით და ამა თუ იმ ტრანსპორტის სახეობის მნიშვნელობის შეფასება საგარეო ვაჭრობის განვითარებაში.

სტატისტიკურ კლასიფიკაციებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების განვითარებისა და გაღრმავების ფონზე სტატისტიკური ინფორმაციის საერთაშორისო დონეზე შესადარისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სწორედ ამ მოსაზრებით, კლასიფიკატორების მოქმედებას საფუძვლად უდევს:

- ქვეყნებს შორის შეთანხმებული საერთო მეთოდოლოგიური პრინციპები;
- უნიფიკაცია და ჰარმონიზაცია;

<sup>12</sup> [http://geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/methodology/klasifikacia/sek%20003-2003.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/klasifikacia/sek%20003-2003.pdf)

<sup>13</sup> [http://geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/methodology/klasifikacia/sek%20004-2004.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/klasifikacia/sek%20004-2004.pdf)



- პერიოდული გადასინჯვის აუცილებლობა.

სტატისტიკაში გამოყენებული კლასიფიკაციების ჰარმონიზაციის პრობლემაზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება 70-იანი წლების დასაწყისში. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკურმა კომისიამ, რომელმაც მიზნად დაისახა, ერთი მხრივ, შესაბამისობაში მოეყვანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლასიფიკაციები, ხოლო მეორე მხრივ, შეეთანხმებინა ეს კლასიფიკაციები სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაციებთან. ამასთან, ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება შეიმუშაოს და მოქმედებაში შემოიღოს ეროვნული კლასიფიკატორი, რომელიც ასევე შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო კლასიფიკატორებთან. ამდენად, ჩამოყალიბდა საერთაშორისო კლასიფიკაციების სისტემა მსოფლიო დონეზე, რომელიც მოიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ეროვნულ კლასიფიკატორებს.

### საქონლით საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის მეთოდები

სასაქონლო ნაკადები, რომლებიც მოძრაობს ექსპორტიორიდან იმპორტიორამდე, ხშირად გარკვეული ვადით და მიზნით ექვემდებარება საბაჟო სათავსოებში შენახვას. საბაჟო სათავსოებში განთავსებული საქონელი მოგვიანებით ხვდება იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და განიხილება, როგორც იმპორტი საბაჟო სათავსოებიდან (როცა საქონელი იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შემდეგ შენახული იყო ამ ქვეყნის საბაჟო სათავსოებში), ექსპორტი საბაჟო სათავსოებიდან (როცა საექსპორტო საქონელი განთავსებული იყო ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო სათავსოებში მანამ, სანამ იგი დატოვებდა ექსპორტიორი ქვეყნის ტერიტორიას), ან რექსპორტი (როცა ქვეყანაში იმპორტი განხორციელდა მისი შემდგომი ექსპორტის მიზნით და ამდენად საქონელი დროებით განთავსდა საბაჟო სათავსოებში). ამდენად, იმისდა მიხედვით, თუ რა პროცედურებს გაივლის საქონელი ექსპორტიორიდან იმპორტიორამდე მოცემული ქვეყნის გეოგრაფიული (საბაჟო) ტერიტორიის ფარგლებში და როდის აღირიცხება ეს საქონელი როგორც ექსპორტი, ან იმპორტი, განასხვავებენ ზოგად და სპეციალურ ვაჭრობას.

ზოგადი და სპეციალური ვაჭრობა გულისხმობს იმ მეთოდების ერთობლიობას, რომელთა მიხედვითაც ხდება საგარეო სავაჭრო სასაქონლო ნაკადების რეგისტრაცია და, მათსადამე, აღრიცხვა.

ზოგადი ვაჭრობის მეთოდის გამოყენებისას საგარეო სავაჭრო სასაქონლო ნაკადები აღირიცხება მათ მიერ საზღვრის გადაკვეთის მომენტში, მიუხედავად იმისა, დაუყოვნებლივ მოხვდა ეს საქონელი უშუალო იმპორტიორთან (იმპორტის შემთხვევაში), თუ ამავე მომენტში დატოვა ამ საქონელმა ექსპორტიორი ეკონომიკური ერთეულის საწყობი (ექსპორტის შემთხვევაში).

ამდენად, ზოგადი ვაჭრობა მოიცავს ყველა შემოტანილ და გატანილ საქონელს (ტრანზიტისა და დიპლომატიური ტვირტის გარდა), რომელიც რეგისტრირდება მოცემული ქვეყნის საბაჟო



საზღვარზე ამ საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთის მომენტში. ეროვნულ ანგარიშთა სისტემასა და საგადასახდლო ბალანსში გამოყენებულია სწორედ ზოგადი ვაჭრობის კონცეფცია. თუმცა, ეკონომიკური ანალიზის თვალსაზრისით, კერძოდ კი წარმოებისა და მოხმარების შესწავლისას, უპირატესობა ენიჭება სპეციალური ვაჭრობის პროცესში განხორციელებული საქონლის ნაკადების მოძრაობას.

სპეციალური ვაჭრობის მეთოდის გამოყენებისას საქონლის ექსპორტი რეგისტრირდება მაშინ, როდესაც იგი დატოვებს ექსპორტიორი ეკონომიკური ერთეულის საწყობს, მიუხედავად იმისა, ამ საქონელმა მაშინვე გადაკვეთა ქვეყნის საბაჟო საზღვარი, თუ იგი დროებით განთავსდა საბაჟო საწყობში.

საქონლის იმპორტს სპეციალური ვაჭრობის მეთოდის გამოყენებისას, ანუ სპეციალურ იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქონელი უშუალოდ გადადის იმპორტიორი ეკონომიკური ერთეულის განკარგულებაში, საქონლის მიერ იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისთანავე, ან საბაჟო სათავსოდან, რომელშიც იგი განთავსებული იყო მანამდე, იმპორტიორი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის შემდეგ. ამასთან, აღნიშნული საქონლის მიერ იმპორტიორი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის დრო და უშუალო იმპორტიორი ეკონომიკური ერთეულის განკარგულებაში მისი გადასვლის დრო ერთმანეთისაგან განსხვავებულია ამ საქონლის საბაჟო სათავსოში ყოფნის დროით.

ამდენად, ზოგადი ვაჭრობა და სპეციალური ვაჭრობა საგარეო სავაჭრო სასაქონლო ნაკადების აღრიცხვის პრინციპულად განსხვავებულ მეთოდებს გულისხმობს. ესა თუ ის ქვეყანა თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს საკითხს იმის თაობაზე, თუ საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის რომელი მეთოდი გამოიყენოს. თუმცა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ მოხდეს ამ მეთოდების აღრევა, რაც საგარეო ვაჭრობის მონაცემთა დამახინჯებას გამოიწვევს.


საქონლის ექსპორტ-იმპორტის ზოგად და სპეციალურ ვაჭრობად კლასიფიცირების პრინციპები სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:

სქემა 4.2. საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის მეთოდები: ზოგადი და სპეციალური ვაჭრობა



- ა - პირდაპირი შემოტანა;
- გ - შემოტანა საბაჟო სათავსოებში;
- ე - შემოტანა საბაჟო სათავსოებიდან;
- ბ - პირდაპირი გატანა;
- დ - გატანა საბაჟო სათავსოებიდან;
- ვ - გატანა საბაჟო სათავსოებში.

ზემოაღნიშნული ოპერაციები “ზოგად” და “სპეციალურ” ვაჭრობად შემდეგნაირად კლასიფიცირდება:



ამდენად, “ზოგადი ვაჭრობა”, უკავშირდება საქონლის მიერ ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთას, მაშინ, როდესაც “სპეციალური ვაჭრობის” დროს საქონელი შეიძლება მოთავსებულ იქნეს საბაჟო სათავსოში გარკვეული ხნით მოცემული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე.

სპეციალური იმპორტი წარმოადგენს როგორც იმპორტირებული, ისე საბაჟო სათავსოებიდან მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ერთობლიობას, რომელიც განკუთვნილია უშუალო მოხმარებისათვის (მიმოქცევაში გასაშვებად) იმპორტიორი ქვეყნის ტერიტორიაზე.

სპეციალური ექსპორტი მოიცავს ადგილობრივი წარმოშობის საქონელს, აგრეთვე იმ საქონელს, რომელიც ადრე შემოტანილი იყო როგორც სპეციალური იმპორტი და ახლა ხდება მისი რეექსპორტირება.

ზოგადი იმპორტი წარმოადგენს იმპორტირებული საქონლის ერთობლიობას, რომელიც განკუთვნილია, როგორც უშუალო მოხმარებისათვის (მიმოქცევაში გასაშვებად) ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე საბაჟო სათავსოებში შესანახად.

ზოგადი ექსპორტი მოიცავს ადგილობრივი წარმოშობის საქონელს და რეექსპორტს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოიცავს სპეციალური იმპორტის გზით შემოტანილ და ასევე საბაჟო სათავსოებიდან ამოღებულ საქონელს.

აღრიცხვის თვალსაზრისით, ზოგადი ვაჭრობა უფრო ადვილად ექვემდებარება დაკვირვებას, ვიდრე სპეციალური ვაჭრობა. ამ უკანასკნელის შემთხვევაში გაძნელებულია საქონლის ნაკადების შესწავლა მიმართულებებისა და დანიშნულების მიხედვით, ე.ი. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ნაკადები ექვემდებარება მიმოქცევაში გაშვებას და რომელი - საბაჟო საწყობებში განთავსებას. თუმცა, ეკონომიკური თვალსაზრისით, სპეციალური ვაჭრობის მონაცემებს უფრო მეტი ანალიზური დატვირთვა აქვს. კერძოდ, სრულიად ბუნებრივია, რომ ქვეყნის ეკონომიკურ ციკლში მონაწილეობას ღებულობს საქონლის ის მასა, რომელიც თავისუფალ მიმოქცევაში გაიშვება, ე.ი. ხდება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე მოხმარებისათვის. საქონლის ამ ნაკადს კი აღრიცხავს სწორედ სპეციალური ვაჭრობა. აღრიცხვის ზოგადი ვაჭრობის მეთოდის გამოყენებისას კი, ფაქტიურად, ხელოვნურად ირღვევა თანაფარდობა რეალურ რესურსებსა და მოხმარებას შორის, რაც გარკვეულ ცდომილებებს იწვევს ეკონომიკური ანალიზისას. სწორედ ამ მოვლენას აქვს ადგილი ჩვენი ქვეყნის სტატისტიკურ პრაქტიკაში, რადგანაც გამოიყენება საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი მეთოდი, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია ეკონომიკური მოვლენების შეფასებისას, ერთი მხრივ, და პარტნიორი ქვეყნების მონაცემებთან ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მონაცემთა შესადარისობის დადგენისას, მეორე მხრივ.

## საგარეო ვაჭრობის შეფასების მეთოდები

საქონლის ექსპორტი და იმპორტი საგადასახდელო ბალანსში აისახება FOB-ფასებში, ანუ ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ღირებულების გარეშე. თუმცა ზოგადად, საქონლით საგარეო ვაჭრობაში საქონლის საბაზრო ფასი ყალიბდება ე.წ. მიწოდების საბაზისო პირობებიდან გამომდინარე.

საგარეო ვაჭრობაში მონაწილე მხარეებს შორის ხშირად უცნობია მათი პარტნიორების ქვეყნებში მოქმედი საგარეო სავაჭრო პრაქტიკის შესახებ. ამასთან, საგარეო ვაჭრობისას გამოიყენება მთელი რიგი ეკონომიკური ტერმინები, რომლებიც ადვილი შესაძლებელია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად განიმარტებოდეს. ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში ხშირია, რაც იწვევს დავებს პარტნიორებს შორის და სასამართლოს ჩარევის აუცილებლობას მათ გადასაწყვეტად.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პრაქტიკაში, კონტრაგენტების უფლებებისა და მოვალეობების, აგრეთვე ამ ურთიერთობების განმსაზღვრელი ცნებების უნიფიცირების მიზნით, საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ, ჯერ კიდევ 1936 წელს შემუშავებულ და გამოქვეყნებულ იქნა სავაჭრო ტერმინების განსაზღვრისა და გამოყენების სპეციალური წესები, ე.წ. “ინკოტერმსი” (ინგლისურიდან - International Commercial Terms - Incoterms). ამ წესების ერთობლიობა ქმნის ე.წ. მიწოდების საბაზისო პირობებს, რომელთა დაცვა და გამოყენება რეკომენდებულია საგარეო სავაჭრო შეთანხმებებში. შემდგომში, შესაბამისად, 1953, 1967, 1976, 1980, 1990, 2000 და 2010 წლებში ამ წესების მიმდინარე საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, “ინკოტერმსმა” განიცადა გარკვეული ცვლილებები და დამატებები.

სავაჭრო ტერმინების ერთგვაროვანი გაგებისა და გამოყენების მიზნით, “ინკოტერმსი” ითვალისწინებს მათ ოთხ კატეგორიად, ანუ ჯგუფად დაყოფას. ესენია E, F, C და D ჯგუფები. E ჯგუფი აერთიანებს შემთხვევებს, როცა გამყიდველი მყიდველს თავის საქონელს უშუალოდ საწარმოს საწყობიდან აწვდის; F ჯგუფის შემთხვევაში გამყიდველი იღებს ვალდებულებას, რომ საქონელი განკარგულებაში გადასცეს გადამზიდველს; C ჯგუფში გაერთიანებულია ის შემთხვევები, როდესაც გამყიდველი იღებს ვალდებულებას დადოს გადაზიდვის ხელშეკრულება, მაგრამ ტვირთის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკს თავის თავზე არ იღებს; D ჯგუფში გაერთიანებულია შემთხვევები, როდესაც გამყიდველი კისრულობს ყველა ხარჯსა და რისკს საქონლის დანიშნულების ქვეყანაში მიწოდებისათვის.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული საქონლის მიწოდების ძირითადი პირობები და შესაბამისი პირობითი აღნიშვნები მოცემულია ქვემოთ:

ინკოტერმსი-2010

ჯგუფი	პირობითი აღნიშვნები	მიწოდების პირობები
-------	---------------------	--------------------

ჯგუფი E	EXW	მიწოდება ქარხნიდან
ჯგუფი F	FCA	ფრანკო-გადამზიდველი
	FAS	თავისუფლად ხომალდის ბორტთან
	FOB	თავისუფლად ხომალდის გემბანზე
ჯგუფი C	CFR	ღირებულება და ფრახტი
	CIF	ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი
	CPT	გადაზიდვა ანაზღაურებულია ...-მდე
	CIP	გადაზიდვა და დაზღვევა ანაზღაურებულია ...-მდე
ჯგუფი D	DAF	მიწოდება საზღვარზე
	DES	მიწოდება ხომალდიდან
	DEQ	მიწოდება მისადგომიდან
	DDU	მიწოდება ბაჟის გადახდის გარეშე
	DDP	მიწოდება ბაჟის გადახდით

“მიწოდება ქარხნიდან” (Ex works) ნიშნავს გამყიდველის ვალდებულებას - მიაწოდოს მყიდველს საქონელი უშუალოდ ქარხნის საწყობიდან და მყიდველის ვალდებულებას - თავის თავზე აიღოს ყველა ხარჯი და რისკი, დაკავშირებული საწყობიდან დანიშნულების ადგილამდე საქონლის გადაადგილებასთან.

“ფრანკო გადამზიდველი” (FCA – Franco Carrier) გულისხმობს ექსპორტიორის ვალდებულებას - შეთანხმებულ პუნქტში საქონლის გადამზიდავი ორგანიზაციისათვის გადაცემაზე, რომელსაც ასახელებს მყიდველი და რომელიც პასუხისმგებელია ამ ტვირთის ტრანსპორტირებაზე. იმპორტიორი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება გადამზიდავ ორგანიზაციასთან და გადაიხადოს ტვირთის საბოლოო პუნქტამდე ტრანსპორტირების ხარჯები.

“თავისუფლად ხომალდის გემბანის გასწვრივ”<sup>14</sup> (FAS - Free Along side Ship) ითვალისწინებს ექსპორტიორის ვალდებულებას - უზრუნველყოს მყიდველის მიერ დაფრახტული ხომალდის გემბანამდე ტვირთის მიტანა და დაფაროს გემის მისადგომამდე ტვირთის გადაზიდვის ხარჯები, ხოლო გემის დაფრახტვის, ტვირთის დაზღვევისა და დატვირთვის ხარჯების გადახდას იმპორტიორი კისრულობს.

“თავისუფლად ხომალდის გემბანზე”<sup>15</sup> (FOB - Free on Board) ითვალისწინებს ექსპორტიორის ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით და დროულად მიაწოდოს საქონელი იმპორტიორის მიერ

<sup>14</sup> გადატვირთვის პორტის მითითებით.

<sup>15</sup> გადატვირთვის პორტის მითითებით.

დაფრახტულ გემზე კონტრაქტით გათვალისწინებულ პორტში და გადასცეს მას კონოსამენტი. ტვირთის დაზღვევა იმპორტიორის ვალდებულებაა.

“ღირებულება და ფრახტი”<sup>16</sup> (CFR-Cost and Freight), გამოიყენება საზღვაო გადაზიდვებში და ითვალისწინებს ექსპორტიორის ვალდებულებას - გადაიტანოს საქონელი კონტრაქტით გათვალისწინებულ პორტამდე, დაფრახტოს გემი და დაფაროს გემზე დატვირთვისთან დაკავშირებული ხარჯები. იმპორტიორის ვალდებულებაა მიიღოს საქონელი შეთანხმებულ პორტში და გადაიხადოს მის გადმოტვირთვისთან და დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები.

“ღირებულება, დაზღვევა, და ფრახტი”<sup>17</sup> (CIF- Cost, Insurance and Freight) ითვალისწინებს პირობებს, რომელთა თანახმადაც ექსპორტიორი ვალდებულია დაფრახტოს გემი, გადაიხადოს გადაზიდვის ღირებულება, სადაზღვევო ხარჯები და თავის თავზე აიღოს საქონლის დაკარგვის ან დაზიანების რისკი ტვირთის მიერ გემის ბორტის გადაკვეთამდე და გადასცეს მყიდველს კონოსამენტი და საქონლის დაზღვევის პოლისი. მყიდველის ვალდებულებაა თავის თავზე აიღოს საქონლის დაკარგვის ან დაზიანების რისკი ტვირთის მიერ გემის ბორტის გადაკვეთის შემდეგ.

“გადაზიდვა გადახდილია ... -მდე”<sup>18</sup> (CPT – carriage paid to ...) გულისხმობს მიმწოდებლის ვალდებულებას გადაიხადოს საქონლის გადაზიდვისა და ფრახტის ხარჯები. საქონლის დაზიანებისა და განადგურების რისკი მიმწოდებლიდან მყიდველზე გადადის მას შემდეგ, რაც საქონელი გადაეცემა გადამზიდველს.

“გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია ... -მდე (CIP – carriage and insurance paid to ...) გულისხმობს მიმწოდებლის იგივე ვალდებულებას, რაც CPT-ის დროს; ამასთან მიმწოდებელი დამატებით უზრუნველყოფს საქონლის დაზღვევას გადაზიდვის დროს.

“მიწოდება საზღვრამდე”<sup>19</sup> (DAF - Delivered At Frontier) ითვალისწინებს ექსპორტიორის ვალდებულებას საქონლის სასაზღვრო პუნქტამდე მიტანისა და მყიდველისათვის მისი გადაცემის მომენტამდე საჭირო ხარჯებისა და შესაძლო რისკის საკუთარ თავზე აღების თაობაზე. იგი ასევე ვალდებულია საზღვარზე გადაიხადოს ბაჟი. იმპორტიორი ვალდებულია ჩაიბაროს ტვირთი სასაზღვრო პუნქტში და გასწიოს მის შემდგომ გადაადგილებასთან დაკავშირებული ხარჯები.

“მიწოდება ხომალდიდან”<sup>20</sup> (DES – Delivered Ex Ship) ითვალისწინებს ექსპორტიორის ვალდებულებას მყიდველისათვის დანიშნულების პორტში საქონლის მიწოდების თაობაზე. მყიდველის ვალდებულებაა დაფაროს გადმოტვირთვისა და საბაჟო გადასახადის ხარჯები.

---

<sup>16</sup> დანიშნულების პორტის მითითებით.

<sup>17</sup> დანიშნულების პორტის მითითებით.

<sup>18</sup> დანიშნულების ადგილის მითითებით.

<sup>19</sup> სასაზღვრო პუნქტის მითითებით.

<sup>20</sup> დანიშნულების პორტის მითითებით.

“მიწოდება მისადგომიდან”<sup>21</sup> (DEQ - Delivered Ex Quay) გულისხმობს გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის გადაცემას დანიშნულების პორტში მისადგომზე. ამასთან, პრაქტიკაში გამოიყენება ამ პირობის ორი ვარიანტი: ერთ შემთხვევაში საბაჟო გადასახადს იხდის გამყიდველი, მეორე შემთხვევაში - მყიდველი.

“მიწოდება ბაჟის გადახდის გარეშე” (DDU - Delivered Duty Unpaid) გულისხმობს, რომ მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი მიაწოდოს მყიდველს ხელშეკრულებაში მითითებულ ადგილას იმპორტიორის ქვეყანაში. მიმწოდებელს ეკისრება საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და ხარჯი, გარდა ოფიციალური საბაჟო გადასახადისა და სხვა მოსაკრებლებისა.

“მიწოდება ბაჟის გადახდით”<sup>22</sup> (DDP - Delivered Duty Paid) გულისხმობს ექსპორტიორის ვალდებულებათა მაქსიმუმს და იმპორტიორის ვალდებულებათა მინიმუმს. ექსპორტიორს ეკისრება ყველა დანახარჯის გადახდა და რისკის აღება დანიშნულების პუნქტამდე. მყიდველი ვალდებულია მიიღოს ტვირთი კონტრაქტით გათვალისწინებულ პუნქტში და დაფაროს შემდგომი დანახარჯები.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში ადგილი აქვს ზემოთ ჩამოთვლილი მიწოდების საბაზისო პირობების მრავალგვარ მოდიფიკაციასაც, რომლებსაც იყენებენ კონტრაგენტები საქონლის ურთიერთხელსაყრელი მიწოდების განხორციელების მიზნით.

ამდენად, მიწოდების საბაზისო პირობებიდან გამომდინარე ყალიბდება საქონლის საბაზრო ფასი და მისი სტრუქტურა. საბაზრო ფასი სხვადასხვაა გაცვლის თითოეული კონკრეტული აქტის შემთხვევაში. მიჩნეულია, რომ საგარეო ვაჭრობისას ფასი, რომლითაც ხდება სასაქონლო ნაკადის შეფასება, წარმოადგენს საბაზრო ფასს ე.წ. ერთგვაროვანი შეფასების ადგილზე. ასეთ ადგილს წარმოადგენს ქვეყნის საბაჟო საზღვარი, სადაც ხდება საქონლის “ნორმალური ფასის”, ანუ სტატისტიკური ღირებულების განსაზღვრა.

საქონლის სტატისტიკური ღირებულება არის საქონლის ნორმალური ფასი საზღვარზე, რომელიც განსხვავდება საკონტრაქტო ღირებულებისაგან მიწოდების საბაზისო პირობებით განსაზღვრული თანხით.


ზემოთ ჩამოთვლილი საბაზისო პირობებიდან გამომდინარე, პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებულია FOB-ფასი და CIF-ფასი პირობები. ჩვეულებრივ, ექსპორტიორი ქვეყანა თავის ექსპორტს აღრიცხავს FOB-ის საფუძველზე, ე.ი. ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯების გარეშე, ხოლო იმპორტიორი ქვეყანა - CIF-ის საფუძველზე, ე.ი. ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯების ჩათვლით (იხ.სქემა).

---

<sup>21</sup> დანიშნულების პორტის მითითებით

<sup>22</sup> იმპორტიორ ქვეყანაში დანიშნულების პუნქტის მითითებით.

**სქემა 4.3. ფასების ზოგადი სტრუქტურა საგარეო ვაჭრობის საქონელზე**



თუმცა, პარტნიორი ქვეყნების ერთმანეთთან საგარეო ვაჭრობის მონაცემთა შედარებისას და მონაცემთა ხარისხის შეფასებისას, სხვა გარემოებებთან ერთად, აუცილებლად გასათვალისწინებელია ამა თუ იმ ქვეყნის მიერ ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვისადმი გამოყენებული მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მიდგომები.

საგადასახდელი ბალანსში საქონლის როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის გატარება ხდება FOB ფასებში, ხოლო ტვირთის საერთაშორისო ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯები აღირიცხება როგორც მომსახურება.


**მიდგომები საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ხარისხის შეფასებისადმი**

საგარეო ვაჭრობა ისეთ ეკონომიკური ფენომენია, რომელიც თავისი მასშტაბით სცილდება ერთი ქვეყნის ფარგლებს. მისი მასშტაბებისა და მიმართულებების შესწავლით ერთნაირად არის დაინტერესებული ყველა მხარე, ვინც მონაწილეობს საგარეო ვაჭრობაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორ ქვეყნებს შორის გადაადგილდება ერთი და იგივე საქონელი, მისი შეფასების შედეგები ძალიან ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. სწორედ ამის გამო, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემები არც თუ იშვიათად სერიოზული კრიტიკის საგანია სხვადასხვა მომხმარებლის მხრიდან.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ხარისხის ამაღლების მიზნით სტატისტიკაში რეკომენდირებულია პარტნიორი ქვეყნების მონაცემთა შედარების, ანუ “სარკისებური სტატისტიკის” მეთოდის გამოყენება. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი



გამოყენებისას ხდება პარტნიორი ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის მონაცემების შედარება (ე.ი. ერთი ქვეყნის მეორეში ექსპორტის მონაცემთა შედარება მეორე ქვეყნის მიერ მოცემული ქვეყნიდან იმპორტის მონაცემებთან). თეორიულად, ეს მონაცემები ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს. თუმცა, პრაქტიკაში ეს ასე არ ხდება.



ჯერ-ერთი, მნიშვნელოვან განსხვავებებს პარტნიორი ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის მონაცემებში იწვევს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვაში მეთოდოლოგიური ხასიათის განსხვავებების არსებობა.

სხვადასხვა ქვეყანაში საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდს იყენებენ. ეს მეთოდებია აღრიცხვა “ზოგადი ვაჭრობის” და “სპეციალური ვაჭრობის” ბაზაზე. კერძოდ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თუ ზოგადი ვაჭრობის დროს ექსპორტ-იმპორტის ასახვის კრიტერიუმია საქონლის მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთა, სპეციალური ვაჭრობის მეთოდოლოგიის მიხედვით ასეთ კრიტერიუმად მიჩნეულია საქონლის გაგზავნა უშუალოდ ექსპორტიორის მიერ (ექსპორტის შემთხვევაში) და საქონლის მიღება ასევე უშუალოდ იმპორტიორი ეკონომიკური სუბიექტის მიერ (იმპორტის შემთხვევაში). აღრიცხვის “სპეციალური” და “ზოგადი” ვაჭრობის მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენების თავისებურებები დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყანაში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ინფორმაციული წყაროების თავისებურებებზე. კერძოდ, იმაზე პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში გამოიყენება საგარეო ვაჭრობაში მონაწილე ეკონომიკური სუბიექტებისაგან ინფორმაციის მოპოვების პირდაპირი სტატისტიკური ანგარიშების სისტემა, თუ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემები. პირდაპირი სტატისტიკური ანგარიშების სისტემის გამოყენებისას, ექსპორტიორი ეკონომიკური სუბიექტი, გადასცემს რა საკუთრების უფლებას თავის საქონელზე იმპორტიორს, აღარ ასახავს ამ საქონელს თავის ანგარიშებში და აფიქსირებს მის ექსპორტს. თუმცა, ექსპორტიორი ეკონომიკური სუბიექტის მიერ აღნიშნული ოპერაციის განხორციელება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საწინააღმდეგო ოპერაცია დაუყოვნებლივ და იმავდროულად განხორციელდება იმპორტიორი ეკონომიკური სუბიექტის მხრიდან. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, შეიძლება საბაჟო ფორმალობების, ან სხვა აუცილებლობის გამო, ადგილი ჰქონდეს მოცემული ტვირტის საბაჟო სათავსოებში (ექსპორტიორი, ან იმპორტიორი ქვეყნის ტერიტორიაზე) გაჩერებას; მეორე, შესაძლებელია ტვირტი, სანამ ის იმპორტიორამდე მიაღწევს, დაიკარგოს, განადგურდეს, ან განიცადოს სხვა რაიმე ცვლილება. ამდენად, სანამ საქონელი გზაშია, ტვირტი, რომელიც აისახა

ექსპორტიორი ეკონომიკური სუბიექტის მიერ პირდაპირ ანგარიშგებაში, არ აისახება იმპორტიორის მიერ, როგორც იმპორტი და, მაშასადამე, არ ხვდება იმპორტიორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში.

თუ ქვეყანა იყენებს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგად მეთოდს, ე.ი. საგარეო სავაჭრო ოპერაციებს აფიქსირებს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მიხედვით, ანუ ტვირთის მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, გარკვეული დროის განმავლობაში მოცემული ტვირთი კვლავ მიეკუთვნება კატეგორიას “საქონელი გზაში” და, ამდენად, იმპორტიორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში იმავდროულად მოხვედრის შანსი ასევე ნაკლებია. ამდენად, პარტნიორი ქვეყნების მიერ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციის დაფიქსირების დროში თანხვედრის ალბათობა დიდი არ არის.

მეთოდოლოგიურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კონტრაგენტი ქვეყნის განსაზღვრისადმი მიდგომა, რაც ასევე განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. საერთაშორისო სტატისტიკაში ექსპორტ-იმპორტის შემთხვევაში არსებობს კონტრაგენტი ქვეყნის განსაზღვრის სამი ძირითადი მეთოდი: პირველი, წარმოშობის ქვეყანა და დანიშნულების ქვეყანა, მეორე, შეძენის ქვეყანა და გაყიდვის ქვეყანა, მესამე, გადმოტვირთვის ქვეყანა და მიწოდების ქვეყანა.

უფრო ხშირად, საქონლის უმრავლესობის ექსპორტი ხდება იმ ქვეყნიდან, სადაც იგი იწარმოება, თუმცა საერთაშორისო ვაჭრობაში არის შემთხვევები, როდესაც საქონლის წარმოება, მიწოდება და შეძენა სხვადასხვა ქვეყანაში ხორციელდება, რაც აძნელებს საგარეო სავაჭრო ნაკადების გეოგრაფიის განსაზღვრას. ზოგიერთი ქვეყანა იმპორტის დროს კონტრაგენტ ქვეყნად მიიჩნევს საქონლის წარმოშობის ქვეყანას, ხოლო ზოგიერთი კი - იმ ქვეყანას, რომელთანაც ფაქტიურად ხდება გარიგება (მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში იმპორტის აღრიცხვისას სწორედ ეს უკანასკნელი მეთოდი გამოიყენება). საქონლის ექსპორტის დროს კონტრაგენტ ქვეყნად მიიჩნევენ საქონლის დანიშნულების ქვეყანას, მაგრამ გამორიცხული არ არის სხვა შემთხვევებიც. უფრო მეტიც: შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როცა ექსპორტიორი ქვეყანა იმპორტიორად აღრიცხავს იმ ქვეყანას, სადაც ეს ტვირთი პირველად გაივლის, ხოლო ეს უკანასკნელი მოცემულ ტვირთს არ აღრიცხავს თავის იმპორტში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ტვირთი ამ ქვეყნის ტერიტორიას გაივლის ტრანზიტით და მოხვდება მესამე ქვეყანაში.

პარტნიორი ქვეყნების მიერ საგარეო ვაჭრობის მონაცემთა კლასიფიკაციის საკითხთა შორის პრობლემატურია აგრეთვე რეექსპორტის შემთხვევები. მაგალითად, ვთქვათ, იმპორტიორი ქვეყანა A, სრულიად დასაბუთებულად, ასახავს თავის იმპორტს B ქვეყნიდან. თუ ამ უკანასკნელის მიერ მოცემული საქონელი იმპორტირებული იყო C ქვეყნიდან მისი შემდგომი ექსპორტირების მიზნით, მაშინ B ქვეყნისათვის აღნიშნული ოპერაცია წარმოადგენს რეექსპორტს და შეიძლება არ რთავდეს A ქვეყანაში თავის ექსპორტის მონაცემებში. მაგალითად, ბანანის იმპორტი საქართველოში დანიიდან.

პარტნიორი ქვეყნების საგარეო სავაჭრო მონაცემებზე არანაკლებ გავლენას ახდენს კლასიფიკაციებთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში

იყო სასაქონლო ნომენკლატურების უნიფიცირების საკითხები, დღეისათვის საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში რამდენიმე კლასიფიკატორი გამოიყენება. მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნები იყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სტანდარტულ სავაჭრო კლასიფიკატორს (SITC), ევროგაერთიანების ქვეყნებში უმეტესად საქონლის აღწერისა და კოდირების კომბინირებული ნომენკლატურა (KN) გამოიყენება, ხოლო რიგ ქვეყნებში, ისევე როგორც საქართველოში, გამოიყენება საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა (HS). სხვადასხვა ქვეყნების მიერ საქონლის აღწერისა და კოდირების სხვადასხვა კლასიფიკატორების გამოყენებისას სასაქონლო ნაკადების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემუშავებულია და გამოიყენება ე.წ. შესადარი ცხრილები, რომლებიც საშუალებას იძლევა ერთი მოცემული ნომენკლატურის მიხედვით კლასიფიცირებული სასაქონლო ნაკადები (ექსპორტი ან იმპორტი) გადაიყვანოს სასურველ მეორე ნომენკლატურაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პარტნიორი ქვეყნების საგარეო სავაჭრო მონაცემებში ნომენკლატურული განსხვავებების არსებობა გამორიცხული მაინც არ არის.

აღრიცხვის მეთოდოლოგიით გამოწვეულ განსხვავებებს მიეკუთვნება ზოგიერთი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში გამოყენებული ე.წ. სტატისტიკური დაკვირვების ზღვარის არსებობა. ეს საგარეო სავაჭრო ნაკადების ღირებულების, ტონაჟის, ან სხვა მაჩვენებლის ისეთი ზღვრული სიდიდეა, რომელზე ნაკლები მოცულობა, ან რაოდენობა ასეთი ნაკადებისა საბაჟო სტატისტიკაში არ აღირიცხება. სხვადასხვა ქვეყანაში სტატისტიკური დაკვირვების ზღვარი საგარეო ვაჭრობაში სრულიად განსხვავებულია და ამ ქვეყნების სათანადო სამსახურების შეხედულებისამებრ განისაზღვრება. მაგალითად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით საქართველოში კომერციული მიზნით შემოტანად (იმპორტად) განიხილება ფიზიკური პირის მიერ 100 კილოგრამზე მეტი ტვირთის, ან ერთგვაროვანი საქონლის 20 კილოგრამზე მეტი ოდენობით შემოტანა. ამდენად, ამ კატეგორიის ტვირთი ექვემდებარება სტატისტიკურ დაკვირვებას და აღირიცხება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში. სხვა ქვეყნებში ასეთი ზღვარი გაცილებით მაღალია.

პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა შორის განსხვავების მეორე ჯგუფის მიზეზებს მიეკუთვნება შეფასებითი ხასიათის განსხვავებები. როგორც წესი, უმეტესად საქონლის ექსპორტის შეფასება ხდება “FOB” ფასებში, ხოლო იმპორტის - “CIF” ფასებში. ე.ი. თუ შევადარებთ ორი პარტნიორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემებს რაიმე საქონლის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, ექსპორტიორი ქვეყნის მიერ აღრიცხული ამ საქონლის ღირებულება ნაკლები იქნება იმპორტიორის მიერ აღრიცხული ამავე საქონლის ღირებულებაზე საერთაშორისო ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯების თანხით. როგორც საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული, საერთაშორისო ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯები საქონლის “CIF” ღირებულების დაახლოებით 5-10 პროცენტს შეადგენს. ამდენად, ორი პარტნიორი ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის მონაცემების შედარებისას მათ შორის 5-10 პროცენტის ფარგლებში განსხვავება სავსებით დასაშვებია.

შეფასებითი ხასიათის განსხვავებებს მიეკუთვნება აგრეთვე განსხვავებები, რომლებიც წარმოიშობა ვალუტების კურსების გამო მონაცემთა ერთიან ვალუტაში გადაანგარიშებისას.

საგარეო სავაჭრო ოპერაციის განხორციელების მომენტში, ჩვენს ქვეყანაში მოქმედი საბაჟო პრაქტიკის მიხედვით, საქონლის ღირებულება აღირიცხება რამდენიმე სახის ღირებულებაში. ჯერ-ერთი, იგი უნდა აღირიცხოს საკონტრაქტო ღირებულებაში, რომელიც შეიძლება იყოს მოცემული ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში, ან პარტნიორი ქვეყნის ვალუტაში, ან რომელიმე მესამე ქვეყნის ვალუტაში (მაგ. აშშ დოლარებში); მეორე, იგივე საქონელი უნდა აღირიცხოს მოცემული ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში, ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კურსით; მესამე - ერთიან ვალუტაში, როგორც წესი, აშშ დოლარებში, ასევე ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კურსით. ამასთან, “სარკისებური” შედარებებისას ხშირად პარტნიორი ქვეყნის ანალოგიური მონაცემები საქართველოსთან საგარეო ვაჭრობის შესახებ ხელმისაწვდომია მხოლოდ ამ ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში. ამდენად, ამ მონაცემთა შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, მისი გადაანგარიშება აშშ დოლარებში ხდება ამ უკანასკნელის საშუალო წლიური კურსით, რაც ასევე იწვევს გარკვეულ ცდომილებებს მონაცემებს შორის.

პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა შორის განსხვავების მესამე ჯგუფის მიზეზებს მიეკუთვნება შეცდომები სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების შევსებისას. ასეთი შეცდომები შეიძლება იყოს, როგორც შემთხვევითი, ისე წინასწარგანზრახული და იგი მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ნებისმიერი ქვეყნის საბაჟო სტატისტიკისათვის. თუმცა, ასეთი შეცდომები უფრო ადვილად ექვემდებარება კონტროლსა და კორექტირებას და ამის შესანიშნავ საშუალებას იძლევა თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები. კერძოდ, ასეთი კონტროლის დროს უნდა მოხდეს საშუალო ფასების რეალობის დადგენა, საქონლის დასახელებისა და კოდის, ქვეყნების დასახელებისა და კოდების და ზოგიერთი სხვა პარამეტრების შესაბამისობის დადგენა.

ამრიგად, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა სისწორის დასადგენად და პარტნიორი ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებისას საჭიროა მთელი რიგი ინფორმაციის ფლობა.

ჯერ-ერთი, საჭიროა პარტნიორი ქვეყნების საქართველოსთან საგარეო ვაჭრობის მონაცემების მოპოვება, რაც არც ისე ადვილი საქმეა, რადგანაც საქართველოს საგარეო სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 100-ს აჭარბებს და თუნდაც ზოგიერთი მათგანისაგან ინფორმაციის ოპერატიული მიღება საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული.

მეორე, აუცილებელია პარტნიორი ქვეყნების სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებული საგარეო ვაჭრობის აღრიცხვისა და შეფასების მეთოდოლოგიის ცოდნა. ეს ინფორმაცია პერიოდულად ქვეყნდება საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცემებში, თუმცა იგი ნაკლებად სრული და ოპერატიულია “სარკისებური სტატისტიკის” მეთოდის გამოყენების მიზნებისათვის.

ეროვნული სტატისტიკური სამსახურებისათვის “სარკისებური” შედარებების განხორციელებაში ხელშეწყობის საკითხებზე მუშაობენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ევროკავშირის სტატისტიკური ორგანოები, თუმცა მათი მონაცემები ოპერატიული გამოყენებისათვის ხელმისაწვდომი არ არის და უფრო მეტად

მოსახერხებელია საგარეო ვაჭრობის სფეროში უკვე არსებული დინამიკური მწკრივების გადასინჯვისათვის.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ პარტნიორი ქვეყნების ერთმანეთთან საგარეო ვაჭრობის მონაცემების ზუსტად დამთხვევა სავალდებულო სრულიადაც არ არის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პრაქტიკაში ადგილი აქვს ამ მონაცემთა აღრიცხვისა და შეფასებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომების გამოყენებას (რაც თვით ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სფეროში არსებული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის მოთხოვნებია და მათი გადასაწყვეტი საკითხია) და ამდენად შეიძლება ხშირად განსხვავება სრულიად ობიექტური იყოს. მთავარია მოიძებნოს დასაბუთებული ახსნა და არგუმენტები ამ განსხვავებების არსებობის მიზეზების შესახებ. ამ პრობლემების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მომხმარებელთათვის სათანადო მონაცემების საიმედოობის ხარისხის შეფასების თვალსაზრისით.

### საგარეო ვაჭრობის ანალიზი

საგადასახდელი ბალანსის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა საგარეო ვაჭრობა, კერძოდ კი, საქონლისა და მომსახურების ექსპორტი. იმის შესწავლას, თუ რამდენად შედეგიანია ქვეყნისთვის საგარეო ვაჭრობა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობას შეისწავლიან მაჩვენებლით, რომელსაც *ვაჭრობის პირობებს* უწოდებენ.

როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მოცულობის ცვლილება დამოკიდებულია ორი ცვლადის ცვლილებაზე. ეს ცვლადებია საქონლისა და მომსახურების რაოდენობა (Q) და ფასი (P).

თუ მაგალითად, ექსპორტს აღვნიშნავთ X-ით, მაშინ მისი მოცულობის ცვლილება ორ პერიოდს შორის გამოითვლება ფორმულით:

$$\frac{X_t}{X_{t-1}} = \frac{Q_t * P_t}{Q_{t-1} * P_{t-1}}$$

რაც ნიშნავს, რომ ექსპორტის პროცენტული ცვლილება ტოლია მისი რაოდენობისა და ფასის პროცენტული ცვლილების ნამრავლსა, ე.ი.:

$$\% \Delta Value = \left[ \left( 1 + \frac{\% \Delta Q}{100} \right) * \left( 1 + \frac{\% \Delta P}{100} \right) - 1 \right] * 100.$$

შესაბამისად, ექსპორტის რაოდენობრივი ცვლილება ტოლია მისი ღირებულების ცვლილების შეფარდებისა ფასების ცვლილებასთან:

$$\% \Delta Q = \left[ \left( 1 + \frac{\% \Delta Value}{100} \right) / \left( 1 + \frac{\% \Delta P}{100} \right) - 1 \right] * 100.$$

ამ მაჩვენებლების გაანგარიშებით და მათ დინამიკაზე დაკვირვებით, ჩვენ შეგვიძლია გავანალიზოთ ექსპორტის (იმპორტის) ქცევა შესასწავლი პერიოდის განმავლობაში, რაც საშუალებას მოგვცემს ამ ქცევის კორექტირებისა, თუ ამას მოითხოვს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა.

ამდენად, საჭიროა გაანალიზდეს ექსპორტი-იმპორტის ფასების ინდექსები, ისევე როგორც რაოდენობის ინდექსები და ვაჭრობის პირობები, ანუ ექსპორტის ფასების შეფარდება იმპორტის ფასებთან. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რა გავლენა აქვს ექსპორტ-იმპორტზე ფასების ცვლილებას ქვეყნის ეკონომიკაზე.

$$\text{ვაჭრობის პირობები} = \frac{\text{ექსპორტის ფასების ინდექსი}}{\text{იმპორტის ფასების ინდექსი}} * 100.$$

აღნიშნული ინდექსები წარმოადგენს ექსპორტის (იმპორტის) ფასების საშუალო ცვლილებას მოცემული პერიოდის განმავლობაში და გამოსახულია პროცენტებში.

მაგალითად, თუ მოცემულ პერიოდში ექსპორტის ფასები გაიზარდა 10 პროცენტით (110%), ხოლო იმპორტის ფასები - 5 პროცენტით (105%), მაშინ ვაჭრობის პირობები გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$110 * 100 / 105 = 104.8,$$

რაც ნიშნავს, რომ ვაჭრობის პირობები გაუმჯობესდა 4.8 პროცენტით. ამდენად, თუ ვაჭრობის პირობები მეტია 100, ეს ნიშნავს მის გაუმჯობესებას, ხოლო თუ ნაკლებია 100-ზე - გაუარესებას.

მეორე მხრივ, თუ ვაჭრობის პირობები უმჯობესდება, ეს ნიშნავს, რომ ექსპორტის ერთეულიდან მიღებული შემოსავლით შესაძლებელია უფრო მეტი იმპორტის განხორციელება. ხოლო, თუ ვაჭრობის პირობები უარესდება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას სჭირდება სულ უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების ექსპორტირება, რომ შეძლოს საჭირო საქონლისა და მომსახურების იმპორტის დაფინანსება. შესაბამისად, უარესდება ცხოვრების სტანდარტები, რადგანაც იმპორტი ხარჯიანი ხდება.


ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება ასევე იმის მიმანიშნებელია, რომ იმპორტის ფასები მცირდება, ექსპორტის ფასებთან შედარებით, რაც დადებითად აისახება ინფლაციის მაჩვენებელზე.

ექსპორტის და იმპორტის ფასებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გაცვლითი კურსის ეფექტი. როცა ადგილობრივი ვალუტა მყარდება უცხოური ვალუტების მიმართ, ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი ვალუტის ერთეულით ჩვენ შეგვიძლია ვიყიდოთ მეტი უცხოური ვალუტა და შევიძინოთ მეტი უცხოური საქონელი. მეორე მხრივ, იმპორტის გაიაფება კარგი ამბავია




ადგილობრივი მწარმოებლებისათვის, რადგანაც მათ შეეძლება იყიდონ უფრო მეტი უცხოური ნედლეული, მაგალითად, რათა გამოუმზან ესა თუ ის პროდუქცია, რაც უფრო იაფი დაუჯდებათ, ვიდრე მანამდე და მიიღებენ მეტ მოგებას.

დიაგრამა 4.1. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაში ქვეყნების წვლილი, 2018



იმპორტის გაიაფება შეამცირებს ინფლაციას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. შესაბამისად, ადგილობრივ მწარმოებლებსაც მოუწევთ ფასების შემცირება თავის პროდუქციაზე, რათა გაუძლონ კონკურენციას უცხოური საქონლის მხრიდან. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელს მოუწევს გაცილებით ნაკლები დახარჯოს იმავე რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, ვიდრე მანამდე.

დიაგრამა 4.2. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში ქვეყნების წვლილი, 2018



თუმცა, ადგილობრივი ვალუტის გამყარების შედეგად იმპორტის გაიფხება და მისი მოცულობის ზრდა აუარესებს საგარეო სავაჭრო ბალანსს.

მყარი ადგილობრივი ვალუტა აძვირებს ექსპორტს. ეს ხდება იმიტომ, რომ იმპორტიორს სჭირდება მეტი საკუთარი ვალუტა იმ მიზნით, რომ იყიდოს ექსპორტიორის ვალუტა და გადაუხადოს საქონლის საფასური. აქედან გამომდინარე, ისინი იძენენ ნაკლებ საქონელს ექსპორტიორისაგან და შესაბამისად მოცემული ქვეყნის ექსპორტის მოცულობა მცირდება.

ამდენად, მყარი ადგილობრივი ვალუტა აუარესებს საგარეო სავაჭრო ბალანსს. პირიქით ხდება, ადგილობრივი ვალუტის დასუსტების შემთხვევაში.

საგარეო ვაჭრობის ანალიზისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნების შედარებითი უპირატესობა და მისი ანალიზი.

სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებული ბუნებრივი თუ სხვა პირობები აქვთ წარმოებისა და მომსახურების განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, ისინი უპირატესობას ანიჭებენ იმ დარგების განვითარებას, რომელთა მიხედვითაც მათ ყველაზე ხელსაყრელი პირობები აქვთ. ადამ სმიტმა (1723-1790), თავის ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და



მიზეზების შესახებ“, განავითარა აზრი იმის თაობაზე, რომ საგარეო ვაჭრობა ამა თუ იმ ქვეყანას აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ იგი დასპეციალდეს იმ საქონლის წარმოებაში, რომლის მიხედვითაც მას გააჩნია კონკურენტული უპირატესობა, როგორც ბუნებრივი, ისე შექმნილი: ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ინტელექტუალური პოტენციალი, მოწინავე ტექნოლოგია და ა.შ. ამდენად, გამომდინარე თავისი ბუნებრივი, თუ შექმნილი უპირატესობებიდან, ერთ ქვეყანას აქვს აბსოლუტური უპირატესობა მეორე ქვეყანასთან შედარებით და მისთვის უფრო მომგებიანია ამა თუ იმ საქონლის წარმოება.

ინგლისელმა ეკონომისტმა დ.რიკარდომ (1772-1823), განავითარა რა საგარეო ვაჭრობის აბსოლუტური უპირატესობის თეორია, თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“, შეიმუშავა შედარებითი უპირატესობის თეორია. ამ თეორიის თანახმად, ქვეყნებს გარდა (ან ნაცვლად) აბსოლუტური უპირატესობისა, აქვთ შედარებითი უპირატესობაც ამა თუ იმ საქონლის წარმოებაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ კონკრეტული საქონლის წარმოების ალტერნატიული ღირებულება მოცემულ ქვეყანაში უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. უფრო მოგვიანებით, ეს თეორია შედარებითი უპირატესობის კანონის სახელით დამკვიდრდა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც ესა თუ ის ქვეყანა უშვებს პროდუქციას, რომლის წარმოებაც მას სხვა ქვეყნებზე ნაკლები დანახარჯებით შეუძლია, ეს მომგებიანია ყველა ქვეყნისათვის, რადგანაც ნაკლები რესურსით უფრო მეტი საქონლის წარმოება შესაძლებელი<sup>23</sup>.

დ.რიკარდოს ვაჭრობის თეორია საფუძვლად დაედო შედარებითი უპირატესობის ინდექსის გაანგარიშებას. მიჩნეულია, რომ ქვეყანას აქვს შედარებითი უპირატესობა მოცემული პროდუქტის წარმოების მიხედვით, თუ ამ პროდუქტის ექსპორტის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში აჭარბებს ანალოგიურ მაჩვენებელს მსოფლიო მასშტაბით. ანუ:

$$\frac{\text{მომცემული პროდუქტის ექსპორტის წილი ქვეყნის ექსპორტის საერთო მოცულობაში}}{\text{მომცემული პროდუქტის მსოფლიო ექსპორტის წილი მსოფლიო ექსპორტის საერთო მოცულობაში}} \geq 1$$


*შედარებითი უპირატესობის ინდექსი*

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია 1995 წლიდან აქვეყნებს ქვეყნების მიხედვით შედარებითი უპირატესობის ინდექსებს პროდუქციის სახეობების მიხედვით (SITC კლასიფიკაციის 1 და 3 თანრიგიანი ჯგუფების მიხედვით).

ქვემოთ მოტანილია საქართველოს შედარებითი უპირატესობის ინდექსების ამსახველი გრაფიკული გამოსახულება, პროდუქტების ჯგუფების მიხედვით (გრაფიკზე ასახულია ის ინდექსები, რომელთა მნიშვნელობა აჭარბებს 1-ს).

<sup>23</sup> ნ.ასლამაზიშვილი. საგარეო ვაჭრობა. 2003. თბილისი.

დიაგრამა 4.3. საქართველოს შედარებითი უპირატესობის ინდექსების მნიშვნელობები პროდუქტების ჯგუფების მიხედვით, 2017<sup>24</sup>



2017 წლის მონაცემებით, შედარებითი უპირატესობის ინდექსი საქართველოსთვის ყველაზე მაღალი იყო ისეთი პროდუქტების მიხედვით, როგორებიცაა: თუჯი და ფოლადი (54.70), სპილენძი და კონცენტრატები (45.71), არაალკოჰოლური სასმელები (30.33), ალკოჰოლური სასმელები (23.64), ცოცხალი ცხოველები (12.30), ცხოველური ცხიმები (9.5), სასუქი (9.26), თამბაქო (8.93)<sup>25</sup>.

<sup>24</sup> [unctadstat.unctad.org/EN/RcaRadar.html](http://unctadstat.unctad.org/EN/RcaRadar.html) (ნანახია 01.10.2019)

<sup>25</sup> [unctadstat.unctad.org/wds/TableViewer/tableview.aspx](http://unctadstat.unctad.org/wds/TableViewer/tableview.aspx) (ნანახია 01.10.2019)



## ინდივიდუალური სამუშაო

### დავალება 1.

ეწვიეთ [unctadat.unctad.org](http://unctadat.unctad.org) გვერდს. გააანალიზეთ საგარეო ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსები ქვეყნების მიხედვით; გააკეთეთ შედარებითი ანალიზი. დააკავშირეთ საქართველოს შედარებითი უპირატესობის ინდექსები ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოტენციალთან და გააკეთეთ დასკვნები. რამდენად სრულად არის გამოყენებული საქართველოს შედარებითი უპირატესობები საგარეო ვაჭრობაში? როგორია თქვენი რეკომენდაციები მისი გამოყენების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით? იცნობთ თუ არა დარგებს/პროდუქციას/რესურსებს, სადაც შესაძლოა საქართველოს ჰქონდეს შედარებითი უპირატესობა? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.



## ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის

### ტესტი 1

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში საქონელი არის:

1. ნებისმიერ გადაადგილებადი ღირებულება, ანუ მოძრავი ქონება, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის, ან სხვა ფორმით გასხვისების საგანს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ ერთეულებს შორის.
2. ნებისმიერ გადაადგილებადი ღირებულება, რომელიც მიმოქცევაშია ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე
3. საქონელი და მომსახურება, რომელიც არის ვაჭრობადი
4. არცერთი პასუხი არ შეესაბამება საქონლის განმარტებას საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში

### ტესტი 2

საქონლის ექსპორტს/იმპორტს აქვს ადგილი, როცა:

1. საქონელი გადაკვეთს ქვეყნის საბაჟო საზღვარს
2. როცა საქონელი ერთი ეკონომიკური ერთეულის მფლობელობიდან გადადის მეორე ეკონომიკური ერთეულის მფლობელობაში
3. როცა საქონელი იცვლის მფლობელს რეზიდენტობის თვალსაზრისით
4. როცა საქონელი დატოვებს მწარმოებლის საზღვარს

### ტესტი 3

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ აღირიცხება საგარეო ვაჭრობაში, როგორც საქონელი (ერთზე მეტი პასუხი):

1. ტრანზიტული ტვირთი
2. საქონელი, რომელიც რეზიდენტი მფლობელიდან გადავიდა არარეზიდენტი მფლობელის საკუთრებაში
3. მიგრანტების პირადი ნივთები
4. საელჩოებისათვის განკუთვნილი საქონელი

## ტესტი 4

რამდენად სწორია დებულება:

საგარეო ვაჭრობის კონტექსტში საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა რეზიდენტიდან არარეზიდენტზე, ან პირიქით, ყოველთვის დაკავშირებულია ამ საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთასთან.

1. სწორია
2. არასწორია

## ტესტი 5

განსხვავებებს პარტნიორი ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის მონაცემებში იწვევს (ერთზე მეტი პასუხი):

1. მეთოდოლოგიური ხასიათის განსხვავებები საგარეო ვაჭრობის აღრიცხვისას
2. შემთხვევითი შეცდომები სატვირთო საბაჟო დეკლარაციების შევსებისას
3. წინასწარგანზრახული დამახინჯებები სატვირთო საბაჟო დეკლარაციების შევსებისას
4. განსხვავებული საგარეო-სავაჭრო კლასიფიკატორების გამოყენება პარტნიორი ქვეყნების მიერ

## ტესტი 6

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ხარისხის ამაღლების მიზნით ქვეყნები მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს. ეს მეთოდებია;

1. „ზოგადი ვაჭრობის“ მეთოდი
2. „სპეციალური ვაჭრობის“ მეთოდი
3. „სარკისებური შედარების“ მეთოდი
4. „ერთდროული შედარების“ მეთოდი

## ტესტი 7

მოცემული ქვეყნის მიერ საგარეო ვაჭრობაში „ზოგადი ვაჭრობის“ მეთოდის გამოყენება ნიშნავს, რომ ექსპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა საქონელი:

1. დატოვებს მწარმოებლის საწყობს
2. გადაკვეთს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარს
3. გადაკვეთს ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარს
4. დანიშნულების ქვეყნის საბაჟო სათავსოდან მოხვედება იმპორტიორი ინსტიტუციურ ერთეულის საწყობში

## ტესტი 8

მოცემული ქვეყნის მიერ საგარეო ვაჭრობაში „ზოგადი ვაჭრობის“ მეთოდის გამოყენება ნიშნავს, რომ იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა საქონელი (ერთზე მეტი პასუხი):

1. გადაკვეთს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარს და განთავსდება საბაჟო სათავსოში
2. გადაკვეთს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარს და მოხვდება იმპორტიორი ინსტიტუციურ ერთეულის საწყობში
3. დატოვებს ექსპორტიორი ინსტიტუციური ერთეულის საბაჟო სათავსოს
4. გადაკვეთს ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარს

## ტესტი 9

მოცემული ქვეყნის მიერ საგარეო ვაჭრობაში „სპეციალური ვაჭრობის“ მეთოდის გამოყენება ნიშნავს, რომ იმპორტს ადგილი აქვს მაშინ, როცა საქონელი:

1. მოხვდება იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო სათავსოში ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრის დატოვების შემდეგ
2. მოხვდება ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო სათავსოში
3. მოხვდება იმპორტიორი ინსტიტუციური ერთეულის საწყობში
4. დატოვებს ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარს, თუმცა ჯერ არ მიუღწევია იმპორტიორ ქვეყანამდე

## ტესტი 10

ქვემოთ მოტანილ ტექსტში შეავსეთ გამოტოვებული ადგილები სათანადო სიტყვებით:

საგარეო ვაჭრობის აღრიცხვაში „სპეციალური ვაჭრობის“ მეთოდის გამოყენებისას, საქონელი აღრიცხება როგორც (1) \_\_\_\_\_, როცა იგი ტოვებს (2) \_\_\_\_\_ სათავსოს, და აღრიცხება როგორც (3) \_\_\_\_\_, როცა იგი მოხვდება (4) \_\_\_\_\_ სათავსოში.

1. ექსპორტი/იმპორტი
2. ექსპორტიორი მწარმოებლის/იმპორტიორი მწარმოებლის/საბაჟო
3. ექსპორტი/იმპორტი
4. ექსპორტიორის/იმპორტიორის

## ტესტი 11

ქვემოთ მოტანილ ტექსტში შეავსეთ გამოტოვებული ადგილები სათანადო სიტყვებით:

საგარეო ვაჭრობის აღრიცხვაში „ზოგადი ვაჭრობის“ მეთოდის გამოყენებისას, (1) \_\_\_\_\_ აქვს ადგილი როცა საქონელი გადაკვეთს (2) \_\_\_\_\_ ქვეყნის საბაჟო საზღვარს, ხოლო (3) \_\_\_\_\_ გვაქვს საქმე, როცა საქონელი გადაკვეთს (4) \_\_\_\_\_

ქვეყნის საბაჟო საზღვარს, მიუხედავად იმისა, თუ როდის დატოვა მან უშუალო ექსპორტიორი/იმპორტიორი ეკონომიკური ერთეულის სათავესო.

1. ექსპორტს/იმპორტს
2. ექსპორტიორი/იმპორტიორი
3. ექსპორტთან/იმპორტთან
4. ექსპორტიორი/იმპორტიორი

## ტესტი 12

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მუხლი არ შედის ტურისტულ მომსახურებაში:

1. ტურისტის მიერ შეძენილი საქონელი პირადი მოხმარებისათვის
2. ტურისტის მიერ შეძენილი საქონელი შემდგომი გაყიდვის მიზნით
3. ადგილობრივი ტრანსპორტის მომსახურება
4. სასტუმროების მომსახურება

## ტესტი 13

რას ნიშნავს ტერმინი „ვაჭრობის პირობები“?

1. საგარეო ვაჭრობაში ჩართული ორი ქვეყნის ურთიერთობებს
2. სავაჭრო ბარიერების გაუქმებას
3. დამოკიდებულებას, თუ რა შემოსავლები აქვს ქვეყანას ექსპორტიდან და რას ხარჯავს იგი იმპორტზე
4. ორმხრივი ხელშეკრულების პირობებს ორ პარტნიორ ქვეყანას შორის

## ტესტი 14

ქვემოთ ჩამოთვლილი გამოთქმებიდან, რომელი ასახავს მდგომარეობას, როცა იმპორტის ფასების ზრდა აჭარბებს ექსპორტის ფასების ზრდას:

1. სავაჭრო პირობები არ იცვლება
2. სავაჭრო პირობები უმჯობესდება
3. სავაჭრო პირობები ნეგატიურად ვითარდება
4. სავაჭრო პირობები უბრუნდება წონასწორობას

## ტესტი 15

თუ ექსპორტის ფასები გაიზრდება უფრო მეტად, ვიდრე იმპორტის ფასები, მაშინ საგარეო ვაჭრობის პირობები:

1. იგივე დარჩება
2. გაუმჯობესდება
3. გაუარესდება
4. საკმარისი ინფორმაცია არ არის

## ტესტი 16

საგარეო ვაჭრობის პირობების გაუარესება ნიშნავს:

1. იმპორტი ხდება მომგებიანი
2. იმპორტი ხდება ხარჯიანი
3. იმპორტი არ ხორციელდება
4. საგარეო სავაჭრო ბალანსი უდრის 0-ს

## ტესტი 17

თუ საგარეო ვაჭრობის პირობები მეტია 100-ზე, ეს ნიშნავს მის:

1. გაუმჯობესებას
2. გაუარესებას
3. არცერთი პასუხი არ არის სწორი

## ტესტი 18

თუ საგარეო ვაჭრობის პირობები ნაკლებია 100-ზე, ეს ნიშნავს მის:

1. გაუმჯობესებას
2. გაუარესებას
3. არცერთი პასუხი არ არის სწორი

## ტესტი 19

შეარჩიეთ სწორი პასუხი ტექსტში გამოტოვებული სიტყვების შესავსებად:

„თუ ვაჭრობის პირობები უმჯობესდება, ეს ნიშნავს, რომ \_\_\_\_\_ ერთეულიდან მიღებული შემოსავლით შესაძლებელია უფრო მეტი \_\_\_\_\_ განხორციელება“

1. ექსპორტის - იმპორტის
2. იმპორტის - ექსპორტის
3. მშპ-ს - იმპორტის
4. მშპ-ს - ექსპორტის

## ტესტი 20

შეარჩიეთ სწორი პასუხი ტექსტში გამოტოვებული სიტყვების შესავსებად:

„თუ ვაჭრობის პირობები \_\_\_\_\_, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას სჭირდება სულ უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების \_\_\_\_\_, რომ შეძლოს საჭირო საქონლისა და მომსახურების \_\_\_\_\_ დაფინანსება“

1. უმჯობესდება - იმპორტირება - ექსპორტის



2. უარესდება - ექსპორტირება - იმპორტის
3. 100-ის ტოლია - გამოშვება - მოხმარების

### ტესტი 21

მოცემულია, რომ:

ექსპორტის ფასები გაიზარდა	10%
იმპორტის ფასები გაიზარდა	5%
<b>გაიანგარიშეთ:</b>	
როგორ შეიცვალა საგარეო ვაჭრობის პირობები	

### ტესტი 22

მოცემულია, რომ:

ექსპორტის მოცულობა ღირებულებით გამოსახულებაში გაიზარდა (+)/შემცირდა (-)	30%
ექსპორტის მოცულობა რაოდენობრივ გამოსახულებაში გაიზარდა (+)/შემცირდა (-)	10%
<b>გაიანგარიშეთ:</b>	
როგორ შეიცვალა ექსპორტის ფასები	

### ტესტი 23

შეარჩიე სწორი პასუხი შემდეგი წინადადებისთვის:

\_\_\_\_\_ არის საქონელი, რომელიც იწარმოება სხვა ქვეყანაში და იყიდება მოცემულ ქვეყანაში.

1. ექსპორტი
2. უცხოური ვალუტა
3. იმპორტი
4. ვაჭრობა

### ტესტი 24

ერთი წყვილი ფეხსაცმლის შესაძენად, რომლის ფასებიც მოცემულია ქვემოთ სხვადასხვა ვალუტაში, რომელი გარიგება იქნება უფრო მომგებიანი, თუ გვაქვს შემდეგი გაცვლითი კურსები სხვადასხვა ვალუტების მიხედვით:

1. 1\$ = 2.30 ლ

2. 1€ = 2.60 ლ
3. 1£ = 3.20 ლ
4. 1¥ = 0.02 ლ

შეარჩიეთ სწორი პასუხი 1 წყვილი იდენტური ფეხსაცმლის შემდეგი ფასებიდან:

1. 50 აშშ დოლარი
2. 104 ევრო
3. 60 ფუნტი სტერლინგი
4. 1700 იაპონური იენი

### ტესტი 25

რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიაზე მოახდენს უფრო მეტ გავლენას ადგილობრივი ვალუტის გამყარება უცხოური ვალუტების მიმართ

1. იმპორტზე
2. ექსპორტზე
3. სავაჭრო დეფიციტზე
4. არცერთზე არ მოახდენს გავლენას

### ტესტი 26

დ.რიკარდოს ვაჭრობის თეორია საფუძვლად დაედო

1. საგარეო ვაჭრობაში აბსოლუტური უპირატესობის ინდექსის შემოღებას
2. საგარეო ვაჭრობაში შედარებითი უპირატესობის ინდექსის შემოღებას
3. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის შემოღებას
4. ადამიანური განვითარების ინდექსის შემოღებას

### ტესტი 27

შედარებითი უპირატესობის კანონის არსი მდგომარეობს იმაში, რომ

1. ზოგიერთ ქვეყანას კონკრეტული საქონლის წარმოება უფრო ნაკლებ დანახარჯებით შეუძლია, ვიდრე სხვა ქვეყნებს
2. ზოგიერთ ქვეყანას კონკრეტული საქონლის წარმოება უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე სხვა ქვეყნებს
3. ზოგიერთი ქვეყანა კონკრეტული საქონლის ერთადერთი მწარმოებელია
4. ზოგიერთ ქვეყანას გამორჩეულად უპირატესი ადგილი უკავია საერთაშორისო ბაზარზე და შესაბამისად მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ საქონლის მსოფლიო ფასებზე

## ტესტი 28

ქვეყანას აქვს შედარებითი უპირატესობა საგარეო ვაჭრობაში ამა თუ იმ პროდუქტის მიხედვით, თუ:

1. ამ პროდუქტის ექსპორტის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტთან მიმართებაში ნაკლებია ამავე პროდუქტის მსოფლიო ექსპორტის წილზე მთლიან მსოფლიო ექსპორტში
2. ამ პროდუქტის ექსპორტის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტთან მიმართებაში მეტია ამავე პროდუქტის მსოფლიო ექსპორტის წილზე მთლიან მსოფლიო ექსპორტში
3. ამ პროდუქტის იმპორტის წილი ქვეყნის მთლიან იმპორტთან მიმართებაში მეტია ამავე პროდუქტის მსოფლიო იმპორტის წილზე მთლიან მსოფლიო იმპორტში
4. ამ პროდუქტის იმპორტის წილი ქვეყნის მთლიან იმპორტთან მიმართებაში ნაკლებია ამავე პროდუქტის მსოფლიო იმპორტის წილზე მთლიან მსოფლიო იმპორტში

## 4.2. საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა

საგადასახდელო ბალანსისაგან განსხვავებით, რომელიც ასახავს რეზიდენტების არარეზიდენტებთან ურთიერთობის ოპერაციებს მოცემული პერიოდის განმავლობაში, საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი ასახავს მოცემული ქვეყნის უცხოური ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობას მოცემული კონკრეტული თარიღისათვის. აღნიშნული ბალანსის ცვლილება ერთი თარიღიდან მეორემდე ასახავს უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს შორის სხვაობას ორი პერიოდის მიხედვით. ეს სხვაობა გამოწვეულია საგარეო ფინანსური ოპერაციებით, ასევე ფინანსური აქტივების ღირებულებითი ცვლილებებით და სხვა ცვლილებებით.

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი, პირველ რიგში იყოფა ორ მსხვილ კატეგორიად. ესენია უცხოური აქტივები და ვალდებულებები.

**საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის უცხოურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა ახასიათებს ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას.**

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი მოიცავს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთაც აქვთ საერთაშორისო ხასიათი. ამას განაპირობებს ის, რომ ამ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები ხორციელდება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსისა და საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლების კლასიფიკაციები ერთნაირია. კერძოდ, მათში გამოყენებული კლასიფიკაციები შემდეგია:

- ფუნქციონალური კატეგორიები - პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები და სარეზერვო აქტივები;
- ფინანსური ინსტრუმენტები;
- რეზიდენტების ინსტიტუციური სექტორები;
- ვადიანობა - გრძელვადიანი, მოკლევადიანი;
- ვალუტა - ეროვნული და უცხოური;
- საპროცენტო განაკვეთის სტრუქტურა - ფიქსირებული და ცვალებადპროცენტიაანი.

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის აქტივები/ვალდებულებები იყოფა შემდეგ ფუნქციონალურ კატეგორიებად:

- პირდაპირი ინვესტიციები;
- პორტფელის ინვესტიციები;
- ფინანსური წარმოებულები;
- სხვა ინვესტიციები;

- სარეზერვო აქტივები (მხოლოდ აქტივების მხარეს).

ცხრილი 4.2. საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის ზოგადი სქემა

	პერიოდის დასაწყისისთვის	ფინანსური	ლირებულების ცვლილება აქტივების ფასისა და გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად	სხვა ცვლილებები	პერიოდის ბოლოსათვის
		ანგარიში			
	ოპერაციები				
აქტივები					
<i>ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით</i>					
პირდაპირი ინვესტიციები					
პორტფელის ინვესტიციები					
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომლებთან ოფციონები აქციებზე					
სხვა ინვესტიციები					
სარეზერვო აქტივები					
<i>ინსტრუმენტების მიხედვით</i>					
სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები					
სავალო ინსტრუმენტები					
სესხის სპეციალური უფლებები					
ვალუტა და დეპოზიტები					
სავალო ფასიანი ქაღალდები					
სესხები					
სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები					
სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშები					
სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები					
მონეტარული ოქრო					
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომლებთან ოფციონები აქციებზე					
ვალდებულებები					
<i>ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით</i>					
პირდაპირი ინვესტიციები					
პორტფელის ინვესტიციები					

ფინანსური წარმოებულები და თანამშრომლებთა ოფციონები აქციებზე					
სხვა ინვესტიციები					
<i>ინსტრუმენტების მიხედვით</i>					
სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები					
სავალო ინსტრუმენტები					
სესხის სპეციალური უფლებები					
ვალუტა და დეპოზიტები					
სავალო ფასიანი ქაღალდები					
სესხები					
სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები					
სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშები					
სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები					
მონეტარული ოქრო					
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომლებთა ოფციონები აქციებზე					
<i>წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა</i>					

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის წარმოდგენის ეს ფორმა მკაფიოდ ასახავს საგადასახდლო ბალანსის ფინანსურ ანგარიშთან მის კავშირს (სვეტი - ოპერაციები), რომელსაც ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

ეკონომიკური ანალიზის მიზნებისათვის, საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის წარმოდგენის სხვადასხვა ფორმა არსებობს. გარდა ზემოთ წარმოდგენილისა, ანალიტიკოსები იყენებენ აგრეთვე საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის წარმოდგენის ფორმას, რომელიც ფოკუსირებულია ინსტიტუციურ სექტორებსა და აქტივების/ვალდებულებების ფუნქციონალურ კატეგორიებზე.

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის წარმოდგენის ეს ფორმა ძალზედ მოხერხებულია იმისათვის, რომ დავადგინოთ ინვესტორის განწყობები და დამოკიდებულებები განხორციელებული ინვესტიციების სტრუქტურის მიმართ: ანიჭებს ის უპირატესობას ვალწარმომქმნელ თუ არა-ვალწარმომქმნელ ინვესტიციებს. ამ დამოკიდებულების შესასწავლად გამოიყენება მაჩვენებელი, რომელიც გაიანგარიშება, როგორც სავალო ინსტრუმენტების წილი პირდაპირი ინვესტიციების საერთო მოცულობაში, ანუ

$$\text{სავალო კაპიტალი პირდაპირ ინვესტიციებში} = \frac{FDI_D}{FDI}$$

სადაც  $FDI_D$  ვალწარმომქმნელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია.

საერთაშორისო შედარებების პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებული მაჩვენებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე.

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ მოკლევადიანი კაპიტალის ქცევას. როგორც ცნობილია ამ ტიპის ინვესტიციები სარისკოა მისი უნართან მოკლე პერიოდში „გაიქცეს“ ქვეყნიდან არასახარბიელო შიდა ან გარე ფაქტორების ზემოქმედებით. ამ პროცესების მონიტორინგის მიზნებისათვის გამოიყენება მაჩვენებელი, რომელიც ასახავს, თუ რამდენად ფარავს საერთაშორისო რეზერვები მოკლევადიან კაპიტალს;

ანუ

$$\text{ანუ } A_{IR(STC)} = \frac{IR}{PI+D+OI_S}, \text{ სადაც}$$

PI არის პორტფელის ინვესტიციების ვალდებულებები,

D - წარმოებულების ვალდებულებები,

OI<sub>S</sub> - სხვა ინვესტიციების ვალდებულებები: მოკლევადიანი.

ამდენად, საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა გვიჩვენებს საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობას კონკრეტული თარიღისათვის, პერიოდის დასაწყისისა და პერიოდის ბოლოსათვის. თუმცა, ამ ორი პერიოდის მონაცემებს შორის სხვაობა თითქმის არასდროს არ არის ტოლი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციებისა (რაც საგადასახდელო ბალანსის ფინანსურ ანგარიშშია ასახული). მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იცვლება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების როგორც ფასი, ასევე გაცვლითი კურსი იმ ვალუტებისა, რომლებშიც შესაძლოა დენომინირებული იყოს ეს აქტივები და ვალდებულებები. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესაძლოა გარკვეული სტიქიური კატასტროფების, ომების და სხვა მიზეზების გამო მოხდეს აქტივებისა და ვალდებულებების განადგურება. აქედან გამომდინარე, ორ თარიღს შორის პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებას, განხორციელებულ ოპერაციებთან ერთად, განაპირობებს აღნიშნული ცვლილებებიც. შესაბამისად, მართებულია შემდეგი ტოლობა:

$$OS + TR + VC + OCVA = CS,$$

სადაც:

OS არის ნაშთი პერიოდის დასაწყისისთვის;

TR - ოპერაციები;

VC - ღირებულების ცვლილებები;

OCVA - აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებები;

CS - ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის.

ამდენად, რომელი კომპონენტები განსაზღვრავენ გარკვეული  $t$  დროისათვის უცხოური აქტივების/ვალდებულებების ღირებულებას?

ესენია ამ აქტივების/ვალდებულებების რაოდენობა ( $Q_t$ ), საბაზრო ფასი ( $P_t$ ) და გაცვლითი კურსი ( $e_t$ ):

$$A_t/L_t = Q_t * P_t * e_t.$$

რა ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს უცხოური აქტივების/ვალდებულებების ღირებულების ცვლილება  $t+1$  პერიოდისათვის? ეს შეიძლება იყოს რაოდენობის ცვლილება, რომელიც უმთავრესად დაკავშირებულია ოპერაციებთან. თუმცა, შესაძლოა რაოდენობის ცვლილება გამოიწვიოს ისეთმა მოვლენებმა, რომლებიც დაკავშირებულია არა ოპერაციებთან, არამედ სხვა ცვლილებებთან. მაგალითად, როცა მსესხებელი ვედარ იხდის ვალს, ან იგი (მსესხებელი) საერთოდ აღარ არსებობს; ან შესაძლოა სხვა ცვლილებები გამოიწვიოს აქტივების/ვალდებულებების ერთი კლასიფიკაციიდან მეორეში გადასვლამ (გადაკლასიფიცირებამ), მეთოდოლოგიური ან სხვა მოსაზრებებით, ან სხვა ცვლილებებმა.

უცხოური აქტივების/ვალდებულებების ღირებულების ცვლილება  $t+1$  პერიოდისათვის შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე საბაზრო ფასის ცვლილებამ და გაცვლითი კურსის ცვლილებამ. ამდენად,

$$A_{t+1}/L_{t+1} = \Delta Q_{t+1} * \Delta P_{t+1} * \Delta e_{t+1}.$$

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა, რომელსაც წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა ეწოდება, გვიჩვენებს ქვეყანა უცხოეთთან მიმართებაში არის წმინდა გამსესხებელი („+“ ; კრედიტორი) თუ მსესხებელი („-“ ; დებიტორი). ანუ წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა -

$$NIIP_t = A_t - L_t.$$

თუ  $NIIP_t > 0$ , ეს ნიშნავს, რომ აქტივები მეტია ვალდებულებებზე -  $A_t > L_t$  და ქვეყანა წმინდა კრედიტორია, ხოლო თუ  $NIIP_t < 0$ , ეს ნიშნავს, რომ ვალდებულებები მეტია აქტივებზე  $L_t > A_t$  და ქვეყანა წმინდა დებიტორია.

ორ პერიოდს შორის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ცვლილება უდრის სხვაობას აქტივების ღირებულების ცვლილებასა და ვალდებულებების ღირებულების ცვლილებას შორის:

$$\Delta NIIP_{t+1} = \Delta A_{t+1} - \Delta L_{t+1},$$

სადაც:  $\Delta A_{t+1} = A_{t+1} - A_t$  და  $\Delta L_{t+1} = L_{t+1} - L_t$ .



ამასთან,  $\Delta A_{t+1}$  წარმოადგენს უცხოურ აქტივებთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ანუ აქტივების წმინდა შეძენას (*NAA*), რაც საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის კომპონენტია, ხოლო  $\Delta L_{t+1}$  უცხოურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციებია, რაც ასევე საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის კატეგორიაა და იწოდება ვალდებულებების წმინდა წარმოქმნად (*NIL*).

ამდენად, ზემოთ აღნიშნული მიუთითებს კავშირზე საგადასახდელო ბალანსსა და საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას შორის, რაც შემდეგ იგივეობით გამოისახება:

$$\Delta NIIP_{t+1} = NAA - NIL + VC_{t+1} + OCVA_{t+1} = FAB_{t+1} + VC_{t+1} + OCVA_{t+1}.$$

ეს ტოლობა წარმოადგენს საგადასახდელო ბალანსსა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსს შორის დამოკიდებულების ამსახველ მთავარ იგივეობას.

თუმცა ანალიტიკური თვალსაზრისით, საგადასახდელო ბალანსსა და საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას შორის უფრო ღრმა მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობები არსებობს, რასაც მომდევნო თავში განვიხილავთ.

წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის დასახასიათებლად და სხვა ქვეყნებთან შედარების მიზნით გამოიყენებენ ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. ჩვენს ქვეყანაში ამ მაჩვენებლის ცვლილების ტენდენცია შემდეგნაირია:

**ცხრილი 4.3. საქართველო: წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან, 2010-2017 წწ. (%)**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა მშპ-სთან (%)	-102.8	-96.2	-101.1	-101.7	-108.4	-132.5	-139.9	-149.8

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო წლებში წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის უარყოფითი სალდოს შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან საკმაოდ სწრაფად იზრდება. 2017 წლის ბოლოსათვის ამ მაჩვენებელმა -149.8 პროცენტს მიაღწია, რაც საკმაოდ არასახარბიელო მაჩვენებელია.

შედარებისათვის ქვემოთ მოცემულია საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან ზოგიერთი ქვეყნის მიხედვით:

ცხრილი 4.4. წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან<sup>26</sup> ზოგიერთი ქვეყნის მიხედვით, 2016 წელი, მლნ ევრო

ქვეყანა	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა	პროცენტულად მთლიან შიდა პროდუქტთან (%)
ბელგია	2 176.7	1 960.1	216.6	51.2
ბულგარეთი	46.3	68.9	-22.6	-47.0
ჩეხეთი	199.7	243.2	-43.5	-24.6
დანია	929.4	777.1	152.3	54.9
გერმანია	8 215.2	6 506.4	1 708.9	54.4
ესტონეთი	29.7	37.5	-7.8	-37.1
ირლანდია	4 934.8	5 440.2	-485.5	-176.2
საბერძნეთი	230.3	473.0	-242.6	-139.3
ესპანეთი	1 771.8	2 710.3	-938.4	-83.9
საფრანგეთი	6 687.7	7 038.7	-351.0	-15.7
ხორვატია	31.0	63.3	-32.3	-69.7
იტალია	2 554.0	2 719.0	-165.1	-9.8
კვიპროსი	261.4	284.5	-23.2	-127.8
ლატვია	33.8	48.4	-14.7	-58.9
ლიტვა	29.4	46.1	-16.7	-43.2
ლუქსემბურგი	10 563.9	10 545.5	18.4	34.7
უნგრეთი	317.3	391.6	-74.3	-65.3
მალტა	226.6	222.0	4.6	46.5
ნიდერლანდები	8 397.5	7 922.0	475.5	67.7
ავსტრია	852.1	832.1	20.0	5.7
პოლონეთი	234.8	490.7	-256.0	-60.1
პორტუგალია	339.0	532.9	-193.9	-104.7
რუმინეთი	61.2	145.0	-83.8	-49.4
სლოვენია	42.6	57.5	-14.9	-36.9
სლოვაკეთი	60.9	111.5	-50.6	-62.4
ფინეთი	693.5	698.5	-5.1	-2.3
შვედეთი	1 368.6	1 320.0	48.6	10.4
გაერთიანებული სამეფო	12 807.7	12 908.4	-100.7	-4.2
ისლანდია	32.8	32.1	0.8	4.2

<sup>26</sup> [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:International investment position by country, total, 2014 \(EUR 1 000 million, percentage of GDP\) V2.png](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:International_investment_position_by_country_total_2014_(EUR_1_000_million_percent_of_GDP)_V2.png)


ნორვეგია	1 455.4	757.9	697.5	207.9
შვეიცარია	4 234.8	3 505.8	729.0	120.6
მაკედონია	5.2	10.7	-5.6	-57.3
ალბანეთი	7.0	11.8	-4.8	-45.0
სერბეთი	20.7	56.2	-35.6	-102.8
კოსოვო	2.4	2.5	-0.1	-2.4

თუ კარგად დავუკვირდებით საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის ვრცელ ვერსიას (ცხ.25), დავინახავთ, რომ როგორც აქტივები, ისე ვალდებულებები კლასიფიცირებულია აგრეთვე სავალო ინსტრუმენტებად და კაპიტალის ინსტრუმენტებად. საერთაშორისო ვალდებულებების სავალო ინსტრუმენტები განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო ვალს, რომელსაც ცალკე თავში განვიხილავთ.

### კავშირი საგადასახდლო ბალანსთან

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო ინვესტიციური ბალანსის მუხლები და საგადასახდლო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლები ერთმანეთს ემთხვევა. თუმცა, თუ პირველი მათგანი ასახავს შესაბამისი აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობას გარკვეული თარიღისათვის, მეორე მათგანი ასახავს ოპერაციებს, განხორციელებულს დროის გარკვეულ მოწაკვეთში.

კავშირი საგადასახდლო ბალანსსა და საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას შორის კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილ სქემაზე:



საგადასახდელო ბალანსსა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსს შორის კავშირურთიერთობებს ნათლად დავინახავთ, თუ წარმოვიდგენთ რა ხდება მათ შორის ჩვეულებრივ რეალობაში. კერძოდ:

1. ნებისმიერ ქვეყანას გააჩნია უცხოური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უნდა აისახოს საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსში;
2. ეს აქტივები და ვალდებულებები განაპირობებს შემოსავლებსა (კრედიტი) და გადასახდელებს (დებეტი) საგადასახდელო ბალანსის პირველადი შემოსავლების ბალანსში; თუ წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა დადებითია, ე.ი.  $P_t > 0$ , ეს ნიშნავს, რომ აქტივებზე შემოსავლები სჭარბობს ვალდებულებებთან დაკავშირებულ გადასახდელებს, რაც დადებითად აისახება საგადასახდელო ბალანსის როგორც პირველადი შემოსავლების ბალანსზე, ისე მთლიანად მიმდინარე ანგარიშზე. და პირიქით: თუ  $P_t < 0$ , ქვეყანას უწევს მეტის გადახდა მის მიერ აღებულ ვალდებულებებზე, რაც უარყოფითად აისახება პირველადი შემოსავლების ბალანსსა და შესაბამისად - მიმდინარე ანგარიშზე.
3. პირველადი შემოსავლების ბალანსი საქონლისა და მომსახურების ბალანსთან და მეორადი შემოსავლების ბალანსთან ერთად აყალიბებს მიმდინარე ანგარიშს, რომელიც კაპიტალის ანგარიშთან ერთად, განაპირობებს ფინანსურ ანგარიშს;
4. ფინანსური ანგარიში, მასში ასახული ოპერაციების სახით, განსაზღვრავს საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებას  $t$ -დან  $t+1$  პერიოდში და შესაბამისად წმინდა საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მიმდინარე ანგარიშის პირველადი შემოსავლების ბალანსის შემოსავლებსა და ხარჯებს და ა.შ.

აღწერილი პროცესები ციკლური ხასიათისაა და მათი უკეთ გაგება გვეხმარება ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უკეთ შესწავლაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ოპერაციების ხასიათი და მოცულობა განსაზღვრავს საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ცვლილებას პერიოდის განმავლობაში. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ამ ცვლილებების ევოლუცია დამოკიდებულია საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის დაფინანსების მოცულობაზე, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია თანაფარდობაზე, ერთი მხრივ, საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან შემოსულობებსა და იმპორტთან და საგარეო ვალდებულებების (ვალის ძირითადი თანხის და პროცენტის) გასტუმრებასთან დაკავშირებულ გადასახდელებს შორის.

რა ინსტრუმენტებით უნდა მოხდეს ზემოაღნიშნულ ფენომენებს შორის ურთიერთდამოკიდებულების პოზიტიური განვითარების ხელშეწყობა?

ამის დასადგენად, პირველ რიგში შესწავლილ უნდა იქნას, თუ რამდენად დიდია ქვეყნის საგარეო ვალდებულებების მოცულობა და რამდენად სტაბილურია მათი დაფინანსების წყაროები;

საკმარისი არის თუ არა ქვეყნის ლიკვიდური რესურსები საგარეო ვალდებულებების დასაფინანსებლად და არის თუ არა რესურსების ოპტიმიზაციის შესაძლებლობა. ამ და მსგავს კითხვებზე უარყოფითი პასუხის არსებობის შემთხვევაში დიდია რისკები, რაც საგარეო სექტორს შეუძლია წარმოშვას მოცემულ ქვეყანასთან მიმართებაში. ერთ-ერთი ასეთი რისკია ზემოქმედება გაცვლით კურსზე.

უცხოეთის მიმართ მოცემული ქვეყნის ვალდებულებების საზომია წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. ეს მაჩვენებელი ახასიათებს აგრეთვე ქვეყნის უცხოური ვალდებულებების ზომას ეკონომიკის სიდიდესთან მიმართებაში.

საგარეო სექტორის ანგარიშების ანალიზისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო მდგრადობის მაჩვენებლების ანალიზს. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელია მიმდინარე ანგარიშის შეფარდება არავალწარმოქმნილი კაპიტალის მოცულობასთან, ანუ:

$$CA_S = \frac{\Delta CA}{\Delta FDI_{ND} + \Delta PI_{ND}}, \text{ სადა } \Delta$$

$\Delta CA$  არის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი;

$\Delta FDI_{ND}$  - პირდაპირი ინვესტიციები: სააქციო კაპიტალი და წმინდა რეინვესტირებული შემოსავლები;

$\Delta PI_{ND}$  - პორტფელის ინვესტიციები: წმინდა ფასიანი ქაღალდები.

ანალოგიურად შეიძლება დავითვალოთ წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის მდგრადობა (საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსიდან):

$$NIIP_S = \frac{NIIP}{FDI_{ND} + PI_{ND}}, \text{ სადა } \Delta$$

$NIIP$  არის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა;

$FDI_{ND}$  - პირდაპირი ინვესტიციები: სააქციო კაპიტალი და წმინდა რეინვესტირებული შემოსავლები;

$PI_{ND}$  - პორტფელის ინვესტიციები: წმინდა ფასიანი ქაღალდები.

საგარეო სექტორის ანგარიშების ანალიზის პრობლემატიკა ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული საგარეო ვალთან. ამ უკანასკნელთან დაკავშირებული სტატისტიკური ინდიკატორების ანალიზი მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ:

- რამდენად ხარჯიანია ქვეყნისათვის საგარეო დავალიანება;

- რა მიზეზები აქვს ვალის წარმოშობას და რამდენად ძლიერია სავალო კრიზისების რისკები;
- როგორ აიხსნება სავალო კრიზისების მექანიზმები და სხვ.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სტატისტიკა იყენებს საგარეო სტაბილურობის მაჩვენებლებს, როგორებიცაა:

- წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა მშპ-თან;
- საგარეო ვალის ნაშთი მშპ-თან და ექსპორტთან;
- საგარეო ვალის მომსახურება მშპ-თან და ექსპორტთან.

ამდენად, საგარეო სექტორის ანგარიშების მაჩვენებლების ანალიზი ემსახურება ქვეყნის შესაძლებლობების ანალიზს, მის საგარეო მდგრადობისა და სტაბილურობის შესწავლას, სავალო კრიზისების მექანიზმებისა და რისკების შეფასებას, ინვესტორებისათვის მიმზიდველობის ხარისხის დადგენას და სხვა.



## ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის

### ტესტი 1

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაკადებს.

1. სწორია
2. არასწორია

### ტესტი 2

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების იმავე მუხლებს, რაც ასახულია საგადასახდელო ბალანსის ფინანსურ ანგარიშში.

1. სწორია
2. არასწორია

### ტესტი 3

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა წარმოადგენს უცხოურ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობას.

1. სწორია
2. არასწორია

### ტესტი 4

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

თუ ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა დადებითია, მაშინ ეს ქვეყანა არის:

1. წმინდა კრედიტორი დანარჩენი სამყაროს მიმართ

2. წმინდა დებიტორი დანარჩენი სამყაროს მიმართ
3. არცერთი პასუხი არ არის სწორი

### ტესტი 5

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსში აისახება:

1. გარკვეული თარიღისათვის არსებულ ფასებში
2. იმ ფასებში, როცა მოხდა მათი შექმნა/წარმოქმნა
3. დროის გარკვეულ მონაკვეთში არსებულ საშუალო ფასებში

### ტესტი 6

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის დადებითი ბალანსი ყოველთვის იწვევს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1. სწორია
2. არასწორია

### ტესტი 7

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშების დეფიციტი ყოველთვის იწვევს წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის გაუარესებას.

1. სწორია
2. არასწორია

### ტესტი 8

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი ასახავს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს.

1. სწორია
2. არასწორია



## ტესტი 9

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსი ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების იმავე მუხლებს, რაც ასახულია საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში.

1. სწორია
2. არასწორია

## ტესტი 10

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა წარმოადგენს სხვაობას უცხოურ ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის.

1. სწორია
2. არასწორია

## ტესტი 11

მონიშნეთ სწორი პასუხი შემდეგი დებულების მართებულობის თაობაზე:

თუ ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა უარყოფითია, მაშინ ეს ქვეყანა არის:

1. წმინდა კრედიტორი დანარჩენი სამყაროს მიმართ
2. წმინდა დებიტორი დანარჩენი სამყაროს მიმართ
3. არცერთი პასუხი არ არის სწორი

## ტესტი 12

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა მოიცავს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთაც აქვთ საერთაშორისო ხასიათი, რადგანაც:

1. ისინი საერთაშორისო ბაზრებზე ივაჭრება
2. ისინი წარმოადგენენ უცხოურ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რაც ნიშნავს, რომ ისინი ასახავენ ფინანსურ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის
3. ისინი განსაზღვრავენ გაცვლითი კურსის ცვალებადობას

### ტესტი 13

მონიშნეთ მაჩვენებელი, რომელიც შეისწავლის პირდაპირი ინვესტორის დამოკიდებულებას ვალწარმომქმნელი და არავალწარმომქმნელი ინვესტიციების მიმართ:

1. პირდაპირი ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე
2. სავალო კაპიტალის შეფარდება პირდაპირ ინვესტიციებთან
3. საერთაშორისო რეზერვები მოკლევადიან კაპიტალთან
4. არცერთი მაჩვენებელი არ შეესაბამება დასმულ კითხვას

### ტესტი 14

საგადასახდელი ბალანსის ფინანსური ანგარიში, მასში ასახული ოპერაციების სახით, განსაზღვრავს საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებას  $t$ -დან  $t+1$  პერიოდში და შესაბამისად წმინდა საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას. კიდევ რომელი ფაქტორები მოქმედებს საერთაშორისო ინვესტიციური ბალანსის ცვლილებაზე აღნიშნულ პერიოდში (ერთზე მეტი პასუხი)

1. გაცვლითი კურსის ცვლილება
2. ფასების ცვლილება საერთაშორისო აქტივებზე
3. აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებები, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს ბუნებრივი და სხვა უბედურებებითა და კატაკლიზმებით
4. მთავრობის საშინაო დავალიანების ცვლილება

### ტესტი 15

საგადასახდელი ბალანსის ფინანსური ანგარიში, მასში ასახული ოპერაციების სახით, განსაზღვრავს საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებას  $t$ -დან  $t+1$  პერიოდში და შესაბამისად წმინდა საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას. რა გავლენას ახდენს საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ცვლილება საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშზე

1. მოქმედებს მიმდინარე ანგარიშის მეორადი შემოსავლების ბალანსის შემოსავლებზე
2. მოქმედებს მიმდინარე ანგარიშის პირველადი შემოსავლების ბალანსის შემოსავლებისა და ხარჯების სიდიდეზე
3. მოქმედებს მიმდინარე ანგარიშის მეორადი შემოსავლების ბალანსის მხოლოდ ხარჯებზე
4. მოქმედებს მხოლოდ ფინანსურ ანგარიშზე

### ტესტი 16

რა შემთხვევაშია ქვეყანა დანარჩენი სამყაროს მიმართ წმინდა კრედიტორი

1. როცა სხვაობა ქვეყნის საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის დადებითია
2. როცა ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა დადებითია

3. პასუხები 1-ის და 2-ის შემთხვევაში
4. არცერთ შემთხვევაში

### ტესტი 17

რა შემთხვევაშია ქვეყანა დანარჩენი სამყაროს მიმართ წმინდა კრედიტორი

1. როცა სხვაობა ქვეყნის საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის დადებითია
2. როცა ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა უარყოფითია
3. პასუხები 1-ის და 2-ის შემთხვევაში
4. არცერთ შემთხვევაში

### ტესტი 18

რა შემთხვევაშია ქვეყანა დანარჩენი სამყაროს მიმართ წმინდა დებიტორი

1. როცა სხვაობა ქვეყნის საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ბალანსის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის დადებითია
2. როცა ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა უარყოფითია
3. პასუხები 1-ის და 2-ის შემთხვევაში
4. არცერთ შემთხვევაში

### ტესტი 19

საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა გვიჩვენებს საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობას კონკრეტული თარიღისათვის, პერიოდის დასაწყისისა და პერიოდის ბოლოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე რომელი დებულებაა სწორი

1. ამ ორი პერიოდის მონაცემებს შორის სხვაობა ყოველთვის ტოლია პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციებისა საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების მიხედვით
2. ამ ორი პერიოდის მონაცემებს შორის სხვაობა ყოველთვის ტოლია საგადასახდლო ბალანსის ფინანსურ ანგარიშშია ასახული ოპერაციებისა
3. ამ ორი პერიოდის მონაცემებს შორის სხვაობა, როგორც წესი, არასდროს არ არის ტოლი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციებისა საერთაშორისო აქტივებისა და ვალდებულებების მიხედვით
4. არცერთი

### ტესტი 20

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო სტაბილურობის მაჩვენებლების მდგომარეობას შეუძლია თუ არა მოახდინოს გავლენა უცხოელ ინვესტორთა საინვესტიციო ქცევაზე მოცემული ქვეყნის მიმართ

1. შეუძლია და ამ მაჩვენებლების მდგომარეობა არის ერთადერთი და გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს უცხოელ ინვესტორთა საინვესტიციო ქცევას მოცემული ქვეყნის მიმართ

2. შეუძლია, თუმცა ამ მაჩვენებლების მდგომარეობა არ არის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს უცხოელ ინვესტორთა საინვესტიციო ქცევას მოცემული ქვეყნის მიმართ
3. საგარეო სტაბილურობის მაჩვენებლების მდგომარეობა არის გადამწყვეტი, თუმცა არა ერთადერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს უცხოელ ინვესტორთა საინვესტიციო ქცევას მოცემული ქვეყნის მიმართ
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

## თემა 5. ინოვაციების როლი თანამედროვე ბიზნესში და სტატისტიკის ამოცანები

### 5.1. ინოვაციები თანამედროვე ბიზნესში და მათი სტატისტიკური შესწავლა

თანამედროვე ბიზნესში ინოვაციების როლი არნახული ტემპებით იზრდება. იგი გულისხმობს ახალი იდეის არსებობას, რომელზე დაყრდნობითაც იქმნება ახალი პროდუქტი, მომსახურება ან სისტემა. ინოვაცია ხშირად ახალ ტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული, აგრეთვე იგი შეიძლება იყოს მართვის განსხვავებული სტილის დანერგვა, რეალიზდებოდეს განსხვავებულ ბიზნეს-პროცესებში, მომსახურების ახალ სახეობებში და სხვა.

განასხვავებენ ინოვაციის რამდენიმე სახეს. ასეთები შეიძლება იყოს:

- *ინოვაციური პროდუქტი*, რომელიც გულისხმობს ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის ან მომსახურების დანერგვას;
- *ინოვაციური პროცესი* - ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული წარმოებისა და მიწოდების მეთოდების დანერგვა;
- *ინოვაციური მიწოდების ქსელი* - საწარმოო რესურსების პროდუქტებად გარდაქმნის და მომხმარებლისთვის მიწოდების ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროცესი;
- *ინოვაციური მარკეტინგი* - მარკეტინგის ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მეთოდების (პროდუქტის დიზაინი და შეფუთვა, გაყიდვების კამპანია, ფასდადება და სხვ.) დანერგვა.

ინოვაცია კომპანიებს მრავალ უპირატესობას უქმნის, იქნება ეს კონკურენტული უპირატესობის მოპოვება, თუ ბაზრებზე მოწინავე პოზიციების დაკავება. მას შეუძლია წარმოებისა და შრომის კულტურის მნიშვნელოვნად ამაღლება და მწარმოებლურობის ზრდის ხელშეწყობა. გარდა წარმოებისა, თანამედროვე საზოგადოებაც მნიშვნელოვნად მომთხოვნია ინოვაციების მიმართ და შესაბამისად, ეს უკანასკნელი სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს საზოგადოების ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში.

სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების ინოვაციურობის დონეს სწავლობენ ყოველწლიურად *გლობალური ინოვაციების ინდექსის* საფუძველზე, რომელიც კორნელის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლა (INSEAD)-ისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO)-ს ერთობლივი კვლევებისა და გაანგარიშებების შედეგია.

გლობალური ინოვაციების ინდექსის დანიშნულებაა მოიცვას ინოვაციების მრავალწახნაგოვანი ასპექტები და შექმნას ინსტრუმენტები, რომლებიც გამოყენებული იქნება წარმოების გრძელვადიანი ზრდის, აგრეთვე მწარმოებლურობისა და სამუშაო ადგილების ზრდის

დასაბუთებული პოლიტიკის შემუშავებისათვის. მისი მაჩვენებელთა სისტემა ხელს უწყობს ინოვაციური ფაქტორების პერმანენტულ შეფასებას.

გლობალური ინოვაციების ინდექსი წარმოადგენს კრებსით ინდექსს, რომელიც აგრეგირებულია ორი სუბინდექსის საფუძველზე. ესენია ინოვაციებზე დანახარჯების ამსახველი სუბინდექსი და ინოვაციური პროდუქტების სუბინდექსი.

პირველი სუბინდექსი მიიღება შემდეგი 5 მაჩვენებლისაგან. ესენია:

1. ინსტიტუციები (პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი გარემო, ბიზნეს გარემო);
2. ადამიანური კაპიტალი და კვლევა (ზოგადი განათლება, უმაღლესი განათლება, კვლევა და განვითარება);
3. ინფრასტრუქტურა (ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ზოგადი ინფრასტრუქტურა, ეკოლოგიური მდგრადობა);
4. ბაზრის სრულყოფილების ხარისხი (კრედიტები, ინვესტიციები, ვაჭრობა, კონკურენცია და ბაზრის მასშტაბი);
5. ბიზნესის სრულყოფილების ხარისხი (დასაქმებულთა ცოდნის დონე, ინოვაციებისათვის საჭირი კავშირების არსებობა, ცოდნის მიღების შესაძლებლობა).

მეორე სუბინდექსის გაანგარიშება ემყარება ინოვაციების ფაქტორივი შედეგების ამსახველ ორ ძირითად მაჩვენებელს. ესენია:

1. ცოდნისა და ტექნოლოგიების შედეგები (ცოდნის შექმნა, ცოდნის გავლენა ინოვაციების შექმნის პროცესში, ცოდნის გავრცელება) და
2. შემოქმედებითობის შედეგები (არამატერიალური აქტივები, შემოქმედებითი პროდუქტი და მომსახურება, ონლაინ/ელექტრონული შემოქმედებითობა).

ამ მაჩვენებლების გაანგარიშება ემყარება ქვეინდიკატორებს, რომლებიც მთლიანობაში 80-ია (2019 წლის მონაცემებით), ხოლო ეს ქვეინდიკატორები მიიღება როგორც ინდივიდუალური ინდიკატორების საშუალო შეწონილი მაჩვენებლები.

ამდენად, გლობალური ინოვაციების ინდექსის გაანგარიშება უამრავ მაჩვენებელს მოიცავს, რომელთა წყაროები 30-ს აჭარბებს.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის შედეგების მიხედვით, საქართველო მოხვდა (პირველად) ინოვაციური ეკონომიკების პირველ სამეულში შემოსავლების ჯგუფების ჭრილში რანჟირების მიხედვით, ხოლო მთლიან რეიტინგებში 48-ე ადგილი დაიკავა 129 ქვეყანას<sup>27</sup> შორის, რაც 11 საფეხურით გაუმჯობესებული პოზიციია 2018 წელთან შედარებით.

---

<sup>27</sup> ამ 129 ქვეყანაზე მოდის მსოფლიო მოსახლეობის 91.8 პროცენტი და მსოფლიო მშპ-ს 96.8 პროცენტი.  
<https://www.globalinnovationindex.org/userfiles/file/reportpdf/gii-full-report-2019.pdf>

**ცხრილი 5.1. ინოვაციური ეკონომიკების პირველი სამეულები, 2019**

	მაღალ შემოსავლიანი		საშუალოზე მაღალ შემოსავლიანი		საშუალოზე დაბალ შემოსავლიანი		დაბალ შემოსავლიანი
1	შვეიცარია	1	ჩინეთი	1	ვიეტნამი	1	რუანდა
2	შვედეთი	2	მალაიზია	2	უკრაინა	2	სენეგალი
3	აშშ	3	ბულგარეთი	3	საქართველო	3	ტანზანია

ინოვაციური ეკონომიკების პირველი სამეულები რეგიონების მიხედვით კი შემდეგნაირად გამოიყურება.

**ცხრილი 5.2. ინოვაციური ეკონომიკების პირველი სამეულები რეგიონების მიხედვით**

	ჩრდილოეთი ამერიკა		ევროპა		ჩრდ.აფრიკა და დასავლეთი აზია		სამხრეთ აღმოსავლეთი აზია, აღმოსავლეთი აზია და ოკეანეთი
1	აშშ	1	შვეიცარია	1	ისრაელი	1	სინგაპური
2	კანადა	2	შვედეთი	2	კვიპროსი	2	კორეის რესპ.
		3	ნიდერლანდები	3	არაბთა გაერთ.საამიროები	3	ჰონგ კონგი
	ლათინური ამერიკა და კარიბები		საჰარის სამხრეთი აფრიკა		ცენტრალური და სამხრეთი აზია		
1	ჩილე	1	სამხრეთი აფრიკა	1	ინდოეთი		
2	კოსტა რიკა	2	კენია	2	ირანი		
3	მაქსიკა	3	მავრიტანია	3	ყაზახეთი		

2019 წლის მონაცემებით, ყველაზე ინოვაციური ქვეყნების პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:

**ცხრილი 5.3. გლობალური ინოვაციების ინდექსი: ქვეყნების პირველი ათეული**

ადგილი	ქვეყანა	ქულა (0-100)	ადგილი	ქვეყანა	ქულა (0-100)
1	შვეიცარია	67.24	6	ფინეთი	59.83
2	შვედეთი	63.65	7	დანია	58.44
3	აშშ	61.73	8	სინგაპური	58.37
4	ნიდერლანდები	61.44	9	გერმანია	58.19
5	გაერთ. სამეფო	61.30	10	ისრაელი	57.43

თუ განვიხილავთ კომპონენტების მიხედვით, გლობალური ინოვაციების ინდექსის 2019 წლის რეიტინგის შედეგებს, საქართველოს ძლიერი და სუსტი მხარეები შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება.

ინოვაციებზე გაწეული დანახარჯების ამსახველი სუბინდექსით საქართველო 48.19 ქულით 44-ე ადგილზეა (მაქსიმალური ქულა: 72.15 - სინგაპური), ხოლო ინოვაციური პროდუქტების სუბინდექსით - 25.76 ქულით მე-60 ადგილზე (მაქსიმალური ქულა: 63.45 - შვეიცარია), რაც ცხადია, არ არის საუკეთესო თანაფარდობა. მაგალითისათვის, ამ მხრივ საუკეთესო თანაფარდობა აქვს შვეიცარიას, რომელიც ინოვაციებზე გაწეული დანახარჯების სუბინდექსით მსოფლიო რეიტინგში იკავებს მეორე ადგილს 71.02 ქულით (მე-2 ადგილი) და ინოვაციური პროდუქტების სუბინდექსით - 63.45 ქულა (პირველი ადგილი).

გლობალური ინოვაციების საერთო ინდექსმა საქართველოსათვის 2019 წელს შეადგინა 36.98 ქულა (მაქსიმალური ქულა 67.24 - შვეიცარია). რა განაპირობებს საერთო ინდექსის აღნიშნულ დონეს?

გლობალური ინოვაციების ინდექსის 2019 წლის ანგარიშში გამოქვეყნებულია შემადგენელი 80-ვე მაჩვენებლის სიდიდე თითოეული მონაწილე ქვეყნის მიხედვით. საქართველოსათვის ეს მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

**ცხრილი 5.4. საქართველო: გლობალური ინოვაციების ინდექსის კომპონენტები**

მაჩვენებლები	ქულა (0-100)	ადგილი
ინსტიტუციები	74.3	36
ადამიანური კაპიტალი და კვლევა	30.5	63
ინფრასტრუქტურა	44.7	72
ბაზრის სრულყოფილების ხარისხი	62.1	15
ბიზნესის სრულყოფილების ხარისხი	29.5	70
ცოდნისა და ტექნოლოგიების შედეგები	22.5	62
შემოქმედებითობის შედეგები	29.1	58

ამდენად, ზომოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ აღნიშნული ინდექსის ფორმირებაზე დადებითი გავლენა აქვს ინსტიტუციების სიძლიერისა და ბაზრის სრულყოფილების ხარისხს; აგრეთვე, მაგრამ უფრო ნაკლები დოზით - ინფრასტრუქტურას (ელექტროენერჯის წარმოება, ლოჯისტიკის მდგომარეობა და ძირითადი კაპიტალის ფორმირება).

ინსტიტუციების კომპონენტის დასახასიათებლად გლობალური ინოვაციების ინდექსი შემდეგ ინდიკატორებს იყენებს:

- პოლიტიკური გარემო
  - პოლიტიკური და ოპერაციული სტაბილურობა
  - მთავრობის ეფექტიანობა



- მარეგულირებელი გარემო
  - რეგულირების ხარისხი
  - კანონმდებლობა
  - სამსახურიდან განთავისუფლების ხარჯები
- ბიზნეს გარემო
  - ბიზნესის დაწყების სიმარტივე
  - გადახდის უუნარობის მოგვარების სიმარტივე.

ბაზრის სრულყოფილების ხარისხის კომპონენტის დასახასიათებლად გლობალური ინოვაციების ინდექსი იყენებს შემდეგ ინდიკატორებს:

- კრედიტი
  - კრედიტის მიღების სიმარტივე
  - ადგილობრივი კრედიტი კერძო სექტორისათვის მშპ-თან
  - მიკროსაფინანსოების მთლიანი ვალი მშპ-თან
- ინვესტიციები
  - ინვესტორების უმცირესობების დაცვის სიმარტივე
  - ბაზრის კაპიტალიზაცია მშპ-თან
  - ვენჩურული გარიგებები მშპ-თან
- ვაჭრობა, კონკურენცია და ბაზრის მასშტაბი
  - სატარიფო განაკვეთები, შეწონილი საშუალო
  - ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა
  - ადგილობრივი ბაზრის მასშტაბი

ინფრასტრუქტურის კომპონენტს შემდეგი მაჩვენებლებით ახასიათებენ:

- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
  - წვდომა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე
  - ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება
  - მთავრობის ონლაინ სერვისები
  - ელექტრონული მონაწილეობა
- ზოგადი ინფრასტრუქტურა
  - ელექტროენერჯის წარმოება
  - ლოჯისტიკის მდგომარეობა
  - ძირითადი კაპიტალის ფორმირება მშპ-თან
- ეკოლოგიური მდგრადობა
  - მშპ-ს ერთეული გამოყენებულ ენერჯიაზე
  - გარემოს მდგომარეობა
  - ISO 14001 გარემოს სერთიფიკატი (მლრდ) მშპ-თან

არასახარბიელოა დანარჩენი ფაქტორების გავლენა გლობალური ინოვაციების ინდექსზე. კერძოდ, კრიტიკას ვერ უძლებს ადამიანური კაპიტალისა და კვლევის მაჩვენებელი, ბიზნესის განვითარების ხარისხი. შესაბამისად, დაბალია ცოდნისა და ტექნოლოგიებისა და შემოქმედებითობის შედეგები, რაც თვალსაჩინოდ ჩანს დიაგრამაზე.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გლობალური ინოვაციების ინდექსი კარგი მაჩვენებელია იმისათვის, რომ დავაკვირდეთ, რამდენად კომპლექსურად და ჰარმონიზებულად მიმდინარეობს ინოვაციური საქმიანობა ამა თუ იმ ეკონომიკაში; რამდენად არის მიღებული შედეგები ადეკვატური ინოვაციებზე გაწეული დანახარჯებისა; რომელი ფაქტორები განაპირობებს ჩამორჩენას ამა თუ იმ მიმართულებით; როგორია სხვა ქვეყნების გამოცდილება ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით და რა შეიძლება ვისწავლოთ და გავიზიაროთ მათგან და ა.შ.

## 5.2. ინოვაციების სტატისტიკური შესწავლის ევროპული გამოცდილება: მიდგომები და სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემები

თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის კონტექსტში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ინოვაციების სტატისტიკური შესწავლა და შესაბამისი პროცესების მონიტორინგი. სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკური სისტემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძირითად მეთოდოლოგიურ მიმართულებებს ამ სფეროში განსაზღვრავენ ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორებიცაა ევროკავშირის ქვეყნების სტატისტიკის სამსახური (EUROSTAT) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD). ამ ორგანიზაციების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკაში წარმოადგენენ საფუძველს EU-ის (ევროკავშირი) და OECD-ის წევრი ქვეყნების ეროვნული სტატისტიკური სისტემების მიერ სტატისტიკის შესაბამისი მიმართულებების ორგანიზებისათვის. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ეროვნული სტატისტიკური სისტემების ჰარმონიზებას ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემთა შესადარისობას და, მეორე მხრივ, საშუალებას იძლევა ცალკეულ ქვეყანაში მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროს მდგომარეობის შეფასება განხორციელდეს ობიექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. უფრო მეტიც, ის ქვეყნებიც კი, რომლებიც ამჟამად არ არიან EU-ის და OECD-ის წევრები, მაგრამ პრეტენზია აქვთ მაღალტექნოლოგიური და ეფექტიანი ეკონომიკის განვითარებაზე, ცდილობენ თავიანთ პრაქტიკაში დანერგონ ამ საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდოლოგიური მიდგომები, რათა უზრუნველყონ მეცნიერებისა და ინოვაციების საკუთარი სტატისტიკური სისტემების ობიექტურობა და, შესაბამისად, მათი ეფექტიანი გამოყენება სათანადო სფეროებში პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

ამ პარაგრაფში წარმოდგენილია იმ ძირითადი პრინციპების მიმოხილვა, რომლებსაც ეფუძნება EUROSTAT-ის და OECD-ის მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკური სისტემა. აღნიშნული სტატისტიკური სისტემა მოიცავს ექვს ძირითად ბლოკს, რომლებიც შემდეგნაირად არიან სტრუქტურირებული:

1. კვლევები და განვითარება;
2. ინოვაციების გამოკვლევა საწარმოებში;
3. მაღალტექნოლოგიური წარმოება და ცოდნის ინტენსიური მომსახურების სექტორები;

4. საპატენტო სტატისტიკა;
5. ადამიანური რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში;
6. საინფორმაციო საზოგადოების პოლიტიკის ინდიკატორები.

თითოეული ეს ბლოკი მოიცავს ქვებლოკებად გაერთიანებულ მაჩვენებელთა ერთობლიობას.

ინოვაციური პროცესების მონიტორინგისათვის დიდი გამოყენება აქვს ე.წ. ტაბლოებს (Scoreboard). მათი პოპულარობა განპირობებულია მათი კონცეპტუალური გამჭვირვალობით და შედარებით ადვილად აღქმადობით. ცნობილია ევროპის ინოვაციური, ევროპის რეგიონალური ინოვაციური და ევროპის დარგობრივი ინოვაციური ტაბლოები.

თავისი შინაარსით ევროპის ინოვაციური ტაბლოები წარმოადგენს მეცნიერებისა და ინოვაციების საბაზო სტატისტიკური მონაცემებისა და სპეციალური კვლევების შედეგად მოპოვებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ პირველად ინდიკატორთა ერთობლიობას, რომლებიც შემდგომში აგრეგირდება გარკვეულ სუბინდიკატორებსა და კრებსით ინდიკატორში. გარკვეული კონცეპტუალური სქემის ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორების, სუბინდიკატორებისა და კრებსითი ინდიკატორის მიმართ არის მოლოდინი, რომ მათი მეშვეობით ადეკვატურად აისახება მეცნიერებისა და ინოვაციური პროცესების რთული ბუნება.

კრებსითი ინდიკატორი იძლევა ერთ რიცხვში გამოხატულ აგრეგირებულ მაჩვენებელს ინოვაციური პროცესების დასახასიათებლად ამა თუ იმ კონტექსტში, რომელიც ინდიკატორთა საწყისი ერთობლიობით განისაზღვრება. ჩაღრმავებული ანალიზის მიზნებისთვის გამოიყენება აგრეთვე შესაბამისი სუბინდიკატორები და თვით პირველადი ინდიკატორებიც.

**ევროპის ინოვაციური ტაბლოს** მიზანია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ინოვაციების სფეროში წამყვანი ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისათვის ინოვაციების შედარებითი მაჩვენებლების წარმოებისა და მათი მონიტორინგის ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

ევროპის ინოვაციური ტაბლოს სტატისტიკური ინდიკატორებია:

1. ადამიანური რესურსების ნაწილში:
  - 1.1. განათლების მესამე დონის პირველი საფეხურის კურსდამთავრებულები 20-29 წლის 1000 მოსახლეზე;
  - 1.2. დოქტორის ხარისხის მფლობელნი 25-34 წლის 1000 მოსახლეზე;
  - 1.3. განათლების მესამე დონის პირველი საფეხურის მქონენი 25-64 წლის 100 მოსახლეზე;
  - 1.4. უწყვეტ განათლებაში მონაწილენი 25-64 წლის 100 მოსახლეზე;
  - 1.5. განათლების მიღწეული დონე.
2. ფინანსებისა და მხარდაჭერის ნაწილში:
  - 2.1. საზოგადოებრივი ხარჯები კვლევებსა და განვითარებაში (%-მშპ-სთან);
  - 2.2. სარისკო კაპიტალი (%-მშპ-სთან);
  - 2.3. კერძო კრედიტები (%-მშპ-სთან);
  - 2.4. მაღალსიხშირული კავშირის ხელმისაწვდომობა (%-ფირმების რაოდენობასთან).
3. საწარმოთა ინვესტიციების ნაწილში:

- 3.1. საწარმოთა ხარჯები კვლევებსა და განვითარებაზე (%-მშპ-სთან);
- 3.2. საწარმოთა ხარჯები საინფორმაციო ტექნოლოგიებში (%-მშპ-სთან);
- 3.3. საწარმოთა სხვა ინვესტიციები (%-ბრუნვასთან);
4. ურთიერთკავშირებისა და მეწარმეობის ნაწილში:
  - 4.1. თვითინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოები (%-მცირე და საშუალო საწარმოებში);
  - 4.2. სხვებთან მოთანამშრომლე მცირე და საშუალო საწარმოები (%-მცირე და საშუალო საწარმოებში);
  - 4.3. თანაავტორობით განხორციელებული პუბლიკაციები 100 000 მცხოვრებზე.
5. შედეგების ნაწილში:
  - 5.1. ტექნოლოგიური ინოვაციური საწარმოები (%-მცირე და საშუალო საწარმოებში);
  - 5.2. არატექნოლოგიური ინოვაციური საწარმოები (%-მცირე და საშუალო საწარმოებში);
  - 5.3. რესურსულად ეფექტიანი ინოვაციური საწარმოები (%-მცირე და საშუალო საწარმოებში);
  - 5.4. დასაქმებულები საშუალო და მაღალტექნოლოგიურ მრეწველობაში (%-სამუშაო ძალასთან);
  - 5.5. დასაქმებულები ცოდნის ინტენსიური გამოყენების მომსახურებაში (%-სამუშაო ძალასთან);
  - 5.6. საშუალო და მაღალტექნოლოგიური ექსპორტი (%-ექსპორტთან);
  - 5.7. ცოდნის ინტენსიური გამოყენების მომსახურების ექსპორტში (%-მომსახურების ექსპორტთან);
  - 5.8. ბაზრისთვის ახალი გაყიდვები (%-ბრუნვასთან);
  - 5.9. საწარმოსათვის ახალი გაყიდვები (%-ბრუნვასთან).

ამდენად, ევროპის ინოვაციური ტაბლოს ფარგლებში ინოვაციურობის მახასიათებლების შეფასება ხორციელდება ინდიკატორთა გარკვეული ერთობლიობით, რომლებიც ცალკეული წევრი ქვეყნების დონეზე ასახავენ, ერთი მხრივ, საინოვაციო რესურსებს – ეკონომიკურ გარემოს, ცოდნის წარმოებასა და საწარმოთა ინოვაციურობის დონეს, მეორე მხრივ კი ინოვაციური პროცესების შედეგებს – ახალი პროდუქციის/მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების წარმოქმნას, აგრეთვე ინოვაციური პროცესის ცალკეულ კომპონენტებს შორის არსებულ კავშირებს. ევროპის ინოვაციური ტაბლოს მაჩვენებლები საშუალებას იძლევა ქვეყნები დაჯგუფდეს ინოვაციების განვითარების დონის მიხედვით როგორც ინოვაციური ლიდერები, ინოვაციური მიმდევრები, ზომიერი ინოვატორები და ინოვაციების გადმომტანები.

- ევროპის ინოვაციური ტაბლოს 2008 წლის რედაქციის მიხედვით ქვეყნების დაჯგუფება ინოვაციური შესაძლებლობების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:
- ინოვაციური ლიდერები: დანია, ფინეთი, გერმანია, შვედეთი, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო;
- ინოვაციური მიმდევრები: ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები;

- ზომიერი ინოვატორები: კვიპროსი, ესტონეთი, სლოვენია, ჩეხეთი, საბერძნეთი, იტალია, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი;
- ინოვაციების გადმომტანები: ბულგარეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკია.

2002 წლიდან დაიწყო ევროპის რეგიონალური ინოვაციური ტაბლოს პროექტის განხორციელება. მისი მიზანია წარმოაჩინოს ევროპის რეგიონების ინოვაციური პოტენციალი და განახორციელოს მისი მონიტორინგი. ამისათვის რეგიონალური ინოვაციური ტაბლო იყენებს 7 ინდიკატორს და მოიცავს 208 რეგიონს. ეს ინდიკატორებია:

1. ადამიანური რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში (იმ პირთა წილი მთლიან მოსახლეობაში, რომლებსაც აქვთ შესაბამისი მესამე საფეხურის განათლება და დასაქმებულები არიან მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში);
2. მონაწილეობა უწყვეტ განათლებაში (იმ პირთა წილი 25-64 წლის მოსახლეობაში, რომლებიც ჩართულნი არიან უწყვეტ განათლებაში);
3. საზოგადოებრივი ხარჯები კვლევებსა და განვითარებაში (კვლევებსა და განვითარებაში საზოგადოებრივი ხარჯების წილი მშპ-ში);
4. საწარმოთა ხარჯები კვლევებსა და განვითარებაში (კვლევებსა და განვითარებაში საწარმოთა ხარჯების წილი მშპ-ში);
5. დასაქმებულები საშუალო და მაღალტექნოლოგიურ მრეწველობაში (საშუალო და მაღალტექნოლოგიურ მრეწველობაში დასაქმებულების წილი მრეწველობასა და მომსახურებაში დასაქმებულებთან);
6. დასაქმებულები მაღალტექნოლოგიურ მომსახურებაში (მაღალტექნოლოგიურ მომსახურებაში დასაქმებულთა წილი მრეწველობასა და მომსახურებაში დასაქმებულებთან);
7. პატენტები (EPO-ში წარდგენილი საპატენტო განაცხადები 1 მლნ მცხოვრებზე).

ევროპის დარგობრივი ინოვაციური ტაბლო განეკუთვნება ინოვაციური ტაბლოების თემატურ სერიას და მისი მიზანია წარმოაჩინოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების ინოვაციური პოტენციალი. მონაცემთა ხელმისაწვდომობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ევროპის დარგობრივი ინოვაციური ტაბლო შემოიფარგლება შემდეგი ქვეყნების შესწავლით: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, იტალია, ისლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია და შვედეთი. ცალკეული დარგების დასახასიათებლად იგი იყენებს შემდეგ 12 ინდიკატორს:

1. უმაღლესი განათლების მქონეთა წილი დასაქმებულებში;
2. ფირმების წილი, რომლებიც იყენებენ მაღალსიხშირულ კავშირს;
3. ხარჯები კვლევებსა და განვითარებაზე (%-დამატებულ ღირებულებასთან);
4. ფირმების წილი, რომლებიც იღებენ საინოვაციო სუბსიდიებს;
5. თვითინოვატორული ფირმების წილი;
6. სხვებთან მოთანამშრომლე მცირე და საშუალო საწარმოების წილი;
7. საინოვაციო ხარჯები (%-ბრუნვასთან);

8. ბაზრისთვის ახალი გაყიდვები (%-ბრუნვასთან);
9. ფირმისთვის ახალი, მაგრამ არა ბაზრისთვის ახალი გაყიდვები (%-ბრუნვასთან);
10. ფირმების წილი, რომლებიც პატენტდებიან;
11. ფირმების წილი, რომლებიც იყენებენ სავაჭრო ნიშნებს;
12. ფირმების წილი, რომლებიც იყენებენ დიზაინის რეგისტრაციას.

საქართველოში ინოვაციური საქმიანობის სტატისტიკის წარმოებას ახორციელებს საქსტატი. თუმცა, სტატისტიკის ამ დარგის ისტორია, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, მოიცავს ბოლო რამდენიმე წელს (მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba>).

### 5.3. ფინანსური ინოვაციები: ევროპული გამოცდილება და სტატისტიკის ამოცანები

ინოვაციები დროის მოთხოვნაა. იგი შეუქცევადი პროცესია და საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს, განურჩევლად ტერიტორიული კუთვნილებისა. სტატისტიკის ამოცანაა ხელი შეუწყოს ბიზნესებს, აკადემიურ წრეებს, სამთავრობო სტრუქტურებს და ა.შ. ჰქონდეთ რაოდენობრივი შეფასებები აღნიშნულის შესახებ, რათა შეძლონ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება თავიანთი მიმდინარე და სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით.

ეკონომიკური ერთეულები, თავიანთი საქმიანობის პროცესში, მუდმივად საჭიროებენ ფინანსური მომსახურების მიღებას. რაც უფრო ვითარდება ბიზნესი, ხდება მისი მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში ინტეგრირება, მით მეტი მოთხოვნილება ჩნდება ახალ ფინანსურ პროდუქტებზე, რათა უკვე მოძველებული ფინანსური შეთავაზებები არ იქცეს ბარიერად მისი წინსვლისათვის.

მსოფლიოში ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვისა და განვითარების არაერთი კარგი მაგალითი არსებობს. თუ ქვეყნის ფინანსური სექტორის ამოცანაა ამ გამოცდილების შესწავლა და ადაპტირება, სტატისტიკის ამოცანა მდგომარეობს დროულად დანერგოს ახალი ფინანსური პროდუქტების რაოდენობრივი შესწავლის გზები და უზრუნველყოს სტატისტიკის მომხმარებელი ადეკვატური და ობიექტური ინფორმაციით.

თუ მსოფლიო პრაქტიკას გადავხედავთ, ფინანსური ინოვაციები განსაკუთრებით ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. მართლაც, მცირე და საშუალო ბიზნესი ევროკავშირის ქვეყნების ბიზნესის 99 პროცენტს შეადგენს<sup>28</sup>. ეს შთამბეჭდავი რიცხვი უდაოდ მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობის ფენომენთან ასოცირდება ბიზნესის ეს სეგმენტი. ანალოგიურის თქმა შეიძლება ამერიკისა და აზიის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებზეც.

<sup>28</sup> <[http://ec.europa.eu/growth/access-to-finance/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/growth/access-to-finance/index_en.htm)>.

თუმცა, მცირე ბიზნესი იმიტომაც არის მცირე, რომ მას არ გააჩნია სათანადო რესურსები, უნარები და ფინანსები, რათა გაუმკლავდეს იმ დიდ გამოწვევებს, რომლებსაც საზოგადოების განვითარება წარმოშობს. არაერთი გამოკვლევა ცხადყოფს, რომ წარმოების განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობაში უმთავრესი პრობლემაა, რაც ხელს უშლის მათ სხვა რესურსების მობილიზებასა და განვითარებაში.

მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, ჩვენ ქვეყანაში ბიზნესის დაფინანსების, ისე როგორც ინოვაციების სტატისტიკა სამწუხაროდ სტატისტიკური საქმიანობის პრიორიტეტულ სფეროთა კატეგორიაში ჯერ კიდევ არ ფიგურირებს. თუმცა, ასეთი სტატისტიკა ერთნაირად სჭირდება მცირე ბიზნესს, რათა შეძლოს სწორი პრიორიტეტების განსაზღვრა თავის საქმიანობაში, ფინანსურ შუამავლებს, რათა შეძლონ ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზება ბიზნესისათვის, და პოლიტიკის მკეთებლებს, რათა უკეთ დაინახონ ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის მცირე ბიზნესის, განსაკუთრებით კი ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებას ქვეყანაში.

### დაფინანსების სიმწირე - ბიზნესის განვითარების მთავარი ბარიერი

ევროპა, ხარჯავს რა 0.8 პროცენტით ნაკლებს თავისი მთლიანი შიდა პროდუქტისა კვლევებსა და ინოვაციებზე, ვიდრე აშშ და 1.5 პროცენტით ნაკლებს, ვიდრე იაპონია, აღიარებს, რომ შესაძლოა იგი სულ უფრო ნაკლებად მიმზიდველი გახდეს საუკეთესო მკვლევარებისა და ნოვატორებისათვის. აქედან გამომდინარე, 2014-2020 წლების საბიუჯეტო პერიოდი შთამბეჭდავი პროგრამებითა და დაფინანსებით არის აღსანიშნავი. გათვალისწინებულია, რომ 2014-2020 წლების საბიუჯეტო პერიოდის თანხამ, ეროვნული სტრუქტურებისა და სხვა კერძო ინვესტიციების თანხების ჩათვლით, 450 მლრდ ევრო უნდა შეადგინოს<sup>29</sup>.

პრობლემის უკეთ გაანალიზებისა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, 2008 წლიდან ევროკომისია და ევროპის ცენტრალური ბანკი ყოველწლიურად ატარებენ ფინანსებზე წვდომის გამოკვლევას, რომელიც საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას იძლევა ამ საკითხში საწარმოების მდგომარეობისა და მათი მისდამი დამოკიდებულების შესახებ. 2014 წლის გამოკვლევის შედეგად, ევროკავშირის მასშტაბით გამოკვლეული საწარმოები საკუთარი ბიზნესისათვის ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის მეხუთე ადგილზე ფინანსებზე წვდომის არასაკმარისობას (13 პროცენტი) ასახელებენ (იხ. გარფიკი 1<sup>30</sup>). თუმცა, არანაკლები პრობლემა მომხმარებლის პოვნა, დასაქმებულთა/მენეჯერთა არასაკმარისი კვალიფიკაცია, რეგულაციები, კონკურენცია და სხვ.

<sup>29</sup> <[http://ec.europa.eu/regional\\_policy/en/funding/available-budget/](http://ec.europa.eu/regional_policy/en/funding/available-budget/)>.

<sup>30</sup> [http://ec.europa.eu/enterprise/policies/finance/data/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/policies/finance/data/index_en.htm).

ამასთან, ფინანსებზე წვდომის პრობლემა უფრო მწვავეა ევროპის ცალკეული ქვეყნის მიხედვით (იხ. გრაფიკი 2<sup>31</sup>).



საქართველოში ანალოგიური პრობლემის კვლევა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ ტარდება. თუმცა, მსოფლიო ბანკის ეგიდით 3-4 წელიწადში ერთხელ ტარდება მცირე, საშუალო და დიდი საწარმოების შერჩევითი გამოკვლევა, რომლის მონაცემები კარგად უჩვენებს, თუ რამდენად მწვავეა ფინანსებზე წვდომის პრობლემა ამ საწარმოებში, რამდენად ხშირად სარგებლობენ საწარმოები ბანკის სესხებით, რა უშლით მათ ხელს დაფინანსების ამ წყაროს გამოყენებაში და ა.შ. (იხ. დიაგრამები 3-6<sup>32</sup>).

---


<sup>31</sup> <[http://ec.europa.eu/enterprise/policies/finance/data/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/policies/finance/data/index_en.htm)>

<sup>32</sup> <<http://www.enterprisesurveys.org/>>







გრაფიკი 3. საქართველო: ბიზნესისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები (360 საწარმოს მენეჯერთა გამოკითხვის შედეგებით), 2013, %




გრაფიკი 4. საქართველო: ბანკის სესხებით სარგებლობა, %



გრაფიკი 5. საქართველო: საჭირო უზრუნველყოფის მოცულობის წილი სესხის მოცულობის მიმართ, %



გრაფიკი 6. საჭირო უზრუნველყოფის მოცულობის წილი სესხის მოცულობის მიმართ, %



## 2014-2020: ევროკავშირის სამოქმედო პროგრამები და ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები

ევროკავშირის საქმიანობის უმთავრესი მიმართულება მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაა, რასაც იგი ახორციელებს მთელი რიგი პროგრამების მეშვეობით. ყოველწლიურად მის მიერ დაფინანსებული ბიზნესების რაოდენობა 200 ათასს აჭარბებს.

დღეისათვის ევროკავშირის ყველაზე მასშტაბური პროგრამებია:

- პერსპექტივა 2020 (Horizon 2020)
- ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები (ESIF), და
- საწარმეობისა და მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობა (COSME).

თავისი პროგრამების დაფინანსებისა და ხელშეწყობისათვის ევროკავშირის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ახალი არ არის, თუმცა ყოველი მომდევნო საბიუჯეტო პერიოდი ხასიათდება არა მარტო განვითარების ახალი მიმართულებების (იქნება ეს ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსების განვითარება, კლიმატის ცვლილება თუ გარემოს დაცვა) მრავალფეროვნებით, არამედ ბენეფიციარების მხარდამჭერი ფინანსური ინსტრუმენტების ნაირსახეობებითა და მათი გამოყენების მექანიზმების სრულყოფით.


აღსანიშნავია, რომ 2014-2020 წლების საბიუჯეტო პერიოდი გამორჩეულია ახალი თაობის ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტებით შეთავაზების თვალსაზრისით. ფოკუსირებულია რა ინოვაციებზე, მდგრად განვითარებაზე და სამუშაო ადგილების შექმნაზე, წინა საბიუჯეტო პერიოდთან შედარებით ფინანსური ინსტრუმენტები:

- გამარტივდა და დაიხვეწა;
- უფრო გაადვილდა მათზე წვდომა;
- უფრო მოქნილია დამატებითი ფინანსების მოზიდვის თვალსაზრისით კერძო და სახელმწიფო სექტორებიდან;
- მინიმუმამდე დავიდა გრანტებზე დამოკიდებულება.

როგორც წესი, ევროკავშირის პრაქტიკაში ბიზნესის პირდაპირი დაფინანსება არ ხდება. ეს ხორციელდება ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ ორგანოებთან თანამშრომლობითა და ფინანსური შუამავლების მეშვეობით, რომლებიც სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ახდენენ ბიზნესის დაფინანსებას. თუმცა, თუ საქმე ეხება ევროკავშირის სპეციალური პროგრამების დანერგვასა და პოლიტიკის განხორციელებას, ასეთი პროექტების დაფინანსებას ევროკავშირი პირდაპირი წესით ახორციელებს (იხ. სქემა 1).

გადაწყვეტილებას ევროკავშირის ფინანსების გამოყენებაზე ბიზნესის დასაფინანსებლად იღებენ ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები. ასეთები, წვერი ქვეყნების მასშტაბით, ამჟამად ათასამდეა. მათ ასევე შეუძლიათ, ევროკავშირის გარანტიით, მობილიზება გაუკეთონ და გამოყონ დამატებითი სახსრები იგივე მიზნებისათვის. დაფინანსების პირობებს - თანხის მოცულობას, ხანგრძლივობას, საპროცენტო განაკვეთებსა თუ საკომისიოს ასევე ფინანსური ინსტიტუტები განსაზღვრავენ.

სქემა 5.1. წვდომა ევროგაერთიანების ფინანსებზე: განხორციელების მექანიზმი



ამდენად, ევროკავშირის ფინანსებზე წვდომის მექანიზმი მკაფიოდაა განსაზღვრული და მოიცავს:

- **ინსტიტუციურ ასპექტს**, ევროპის საინვესტიციო ბანკისა (EIB) და ევროპის საინვესტიციო ფონდის (EIF) სახით, რომელთაც ეკუთვნით ცენტრალური როლი ახალი ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებაში ბიზნესის მხარდასაჭერად, და
- **თანამშრომლობას**, რაც გულისხმობს ევროპის საინვესტიციო ბანკისა (EIB) და ევროპის საინვესტიციო ფონდის (EIF) მიერ ინოვაციებისა და მეწარმეობის დაფინანსების განხორციელებას ეროვნულ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

რა შინაარსის მატარებელია ევროკავშირის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები? ეს შინაარსი მრავალმხრივია. კერძოდ:

- ითვალისწინებს გადახდას (უკან დაბრუნებას);
- არის განმეორებადი (განახლებადი), რაც იმას ნიშნავს, რომ დაბრუნებული თანხები შესაძლებელია კვლავ იქნეს გამოყენებული იგივე სფეროებში;
- მოხერხებულია ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი პროექტებისათვის, ე.ი. პროექტებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან შემოსავალი/დანაზოგი, მიღებული მხარდაჭერის გადასახდელად;
- შექმნილია იმგვარად, რომ შეძლოს სხვა დამატებითი რესურსების მობილიზება, კერძო ინვესტიციების ჩათვლით;
- შესაძლებელია მიიღოს სესხის, გარანტიის ან კაპიტალის სახე;
- შესაძლებელია გრანტებთან ერთად კომბინირებული გამოყენება;
- ექვემდებარება მართვას ეროვნული და ადგილობრივი ბანკებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორებიცაა ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF), ასევე ფინანსური შუამავლებისა და მმართველობითი ორგანოების მხრიდან.

წინა საბიუჯეტო წლების პროგრამებისაგან განსხვავებით, 2014-2020 წლების ფინანსური ინსტრუმენტები რიგი სიახლეებითა და უპირატესობებით ხასიათდება. ეს ნიშნავს, რომ:

- ფინანსური ინსტრუმენტები არა არის გაწერილი კონკრეტულ სექტორებზე, ბენეფიციარებზე, პროექტების ტიპებსა და საქმიანობაზე. წევრ ქვეყნებს და მათ მმართველობით ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ ისინი თემატური მიზნების მიხედვით;
- ფინანსური ინსტრუმენტების ახალი მექანიზმი მოიცავს მხარდაჭერის სხვა სახეობებთან (მაგ. გრანტებთან) მათი კომბინირებული გამოყენების კარგად განსაზღვრულ წესებს;
- გათვალისწინებულია ფინანსური ინსტრუმენტების მორგება ისეთ მოსალოდნელ შეფასებებზე, როგორებიცაა ბაზრის წარუმატებლობა, ნაკლებად ოპტიმალური საინვესტიციო გარემოება, კერძო სექტორის შესაძლო მონაწილეობა და სხვ.

ფინანსური ინსტრუმენტების ასეთ დიზაინს უფრო მეტი მოქნილობა შეაქვს მათ გამოყენებაში და მეტ თავისუფლებას აძლევს წევრ ქვეყნებს თავიანთი პროგრამების შემუშავებისას.

ევროკავშირის 2014-2020 საბიუჯეტო პერიოდის ყველაზე მასშტაბური პროექტია „ჰორიზონტი 2020“ (H2020), რომელიც ამოქმედდა 2013 წლის დეკემბერში. იგი წარმოადგენს ჩარჩო პროგრამას კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერისათვის. მისი ბიუჯეტი 2014-2020 წლებისათვის 80 მლრდ ევროს შეადგენს<sup>33</sup>, გარდა იმისა, რაც მან დამატებით უნდა მოიზიდოს კერძო

<sup>33</sup> <<http://ec.europa.eu/programmes/horizon2020/en/what-horizon-2020>>;  
<<https://eu-smartcities.eu/sites/all/files/Guideline-Using%20EU%20fundings%20mechanism%20for%20smart%20cities.pdf>>

ინვესტიციების სახით. ამ პროგრამას მძლავრი პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს ევროპელი ლიდერებისა და ევროპარლამენტის წევრების მხრიდან, რომლებიც ერთხმად აღიარებენ ინოვაციების უალტერნატივობას ევროპის მომავალი განვითარებისათვის.

H2020 ღიაა ყველასათვის და მარტივია ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. იგი მოიცავს 18 თემატურ სექციას, რომელთა შორის აღსანიშნავია *მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტრუმენტი (SME ინსტრუმენტი)* და *სარისკო ფინანსებზე წვდომა*, ანუ დაფინანსება, რომელიც ხასიათდება უკუგების არმილების დიდი ალბათობით.

*SME ინსტრუმენტი* სპეციალურადაა შექმნილი მაღალი ინოვაციური პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური მხარდაჭერისათვის, რომელთაც აქვთ საერთაშორისო ამბიციები და ბაზრებზე ორიენტირებული ინოვაციური იდეები. ინსტრუმენტის მიზანია შეავსოს გარღვევა დაფინანსებაში, რაც დამახასიათებელია მაღალი რისკის ინოვაციური იდეების დანერგვისათვის და მოიცავს სრულ ინოვაციურ ციკლს იდეიდან ბაზრისთვის ახალი პროდუქციის, მომსახურების თუ პროცესის მიწოდებამდე. *SME ინსტრუმენტი* ხორციელდება სამ ეტაპად:

- პირველი ეტაპი - ბიზნეს იდეის კონცეფცია და დაგეგმვა;
- მეორე ეტაპი - ბიზნეს გეგმის განხორციელება და დასაბუთება;
- მესამე ეტაპი - კომერციალიზაცია.

*SME ინსტრუმენტის* რეალიზების სქემა შემდეგნაირია:

ეტაპი	ეტაპის შინაარსი	დაფინანსება
<b>პირველი ეტაპი</b>	ახალი იდეის მეცნიერული და ტექნიკური დასაბუთება და კომერციული პოტენციალი	გრანტი 50 ათასი ევროს ოდენობით (თითოეულ პროექტზე) და დამატებითი მხარდაჭერა დადებითი შედეგების შემთხვევაში
<b>მეორე ეტაპი</b>	ბიზნეს იდეის შემდგომი განვითარება და ბაზრისთვის გამზადებული პროდუქტისა და მომსახურების წარდგენა	გრანტი 500 ათასიდან 2.5 მლნ ევრომდე
<b>მესამე ეტაპი</b>	ბაზარზე შესვლა	ევროკავშირის დამატებითი მხარდაჭერა (არა გრანტი)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, H2020-ის ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების კიდევ ერთი ინსტრუმენტია *სარისკო ფინანსებზე წვდომა*, ანუ დაფინანსება, რომელიც ხასიათდება უკუგების არმილების დიდი ალბათობით. მისი მიზანია დაეხმაროს საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით სესხების, გარანტიების კაპიტალის დაფინანსების მეშვეობით. ამ უკანასკნელის მიღების მექანიზმში ჩართული არიან ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), რომელიც გამოყოფს ფინანსებს, და ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF), რომელიც აცხადებს დაფინანსების პირობებს და შერჩევს კრიტერიუმებს.



სარისკო ფინანსებზე წვდომის მიმართულების რეალიზაცია შემდეგი ინსტრუმენტებით ხორციელდება:

1. სესხები კვლევებისა და ინოვაციებისათვის

ინსტრუმენტი	სესხები კვლევებისა და ინოვაციებისათვის
მიზანი	სარისკო კაპიტალზე წვდომა კვლევითი და ინოვაციური პროექტებისათვის
მონაწილეები	დიდი ფირმები და საშუალო და დიდი კაპიტალიზაციის საწარმოები <sup>34</sup> , უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები
დაფინანსების მოცულობა	საშუალო და დიდი კაპიტალიზაციის საწარმოებისათვის - 7.5 მლნ ევროდან 25.0 მლნ ევრომდე; დიდი ფირმებისათვის - 25.0 მლნ ევროდან 300.0 მლნ ევრომდე
განმახორციელებლები	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF)
ბიუჯეტი	2014 წ. – 107.70 მლნ ევრო 2015წ. – 92.5 მლნ ევრო

2. მცირე და საშუალო ბიზნესისა და მცირე კაპიტალიზაციის საწარმოების სესხები კვლევებისა და ინოვაციებისათვის (საგარანტიო საშუალებები)

ინსტრუმენტი	მცირე და საშუალო ბიზნესისა და მცირე კაპიტალიზაციის საწარმოების სესხები კვლევებისა და ინოვაციებისათვის
მიზანი	კვლევითი და ინოვაციური პროექტების ხელშეწყობა
მონაწილეები	მცირე და საშუალო ბიზნესი და მცირე კაპიტალიზაციის საწარმოები <sup>35</sup>
დაფინანსების მოცულობა	250 ათასი ევროდან 7.5 მლნ ევრომდე
განმახორციელებლები	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF)
ბიუჯეტი	2014 წ. – 77.75 მლნ ევრო 2015 წ. – 72.70 მლნ ევრო

<sup>34</sup> საშუალო და დიდი კაპიტალიზაციის საწარმოები გულისხმობს საწარმოებს 500-დან 3000 დასაქმებულამდე. Horizon 2020. Working Programme 2014-2015. Access to Risk Finance. Part 6. P.3.

<sup>35</sup> მცირე კაპიტალიზაციის საწარმოები გულისხმობს საწარმოებს 250-დან 499 დასაქმებულამდე. Horizon 2020. Working Programme 2014-2015. Access to Risk Finance. Part 6. P.3.

3. კაპიტალის მხარდაჭერა კვლევებისა და ინოვაციებისათვის (პირობითი სახელწოდება)

ინსტრუმენტი	კაპიტალის დაფინანსება კვლევებისა და ინოვაციებისათვის; გამოიყენება COSME პროგრამასთან ერთად კომბინაციაში
მიზანი	საწარმოების ზრდისა და კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა
მონაწილეები	მცირე და საშუალო ბიზნესი და მცირე კაპიტალიზაციის საწარმოები
დაფინანსების მოცულობა	ითვალისწინებს ინვესტიციებს კაპიტალში, უმთავრესად საწყის ეტაპზე
განმახორციელებლები	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF)
ბიუჯეტი	2014 წ. – 40.0 მლნ ევრო 2015 წ. – 36.0 მლნ ევრო

4. ტექნოლოგიების გადაცემის დაფინანსება

ინსტრუმენტი	ტექნოლოგიების გადაცემის დაფინანსება
მიზანი	არსებული ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ცოდნის ახალი კომპანიებისათვის გადაცემის მხარდაჭერა
მონაწილეები	ეკონომიკური ერთეულები წევრ და ასოცირებულ ქვეყნებში
დაფინანსების მოცულობა	ითვალისწინებს დაფინანსებას ტექნოლოგიების გადაცემის პროცესების განვითარებისა და კომერციალიზაციის ადრეული სტადიისთვის
განმახორციელებლები	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF)
ბიუჯეტი	2015 წ. – 60.0 მლნ ევრო

ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების პროგრამათა შორის მნიშვნელოვანია ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები (ESIF)<sup>36</sup>. მისი თანადაფინანსებით შექმნილი ფინანსური ინსტრუმენტები ეფექტიანი გზაა ადამიანებისა და ბიზნესის ზრდისა და განვითარების დაფინანსებისათვის ევროკავშირის ფარგლებში. ეს ისეთი ფინანსური პროდუქტებია, როგორებიცაა სესხები, გარანტიები, კაპიტალი და სხვადასხვა რისკების მატარებელი პროექტების დაფინანსება.

ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები (ESIF) ემსახურება დაფინანსების მიღებას ევროკავშირის 5 წყაროდან. ეს წყაროებია:

<sup>36</sup> <<https://www.fi-compass.eu/esif/european-structural-and-investment-funds-esif>>;  
<<http://www.eib.org/products/blending/esif/fis-in-2014-2020/index.htm>>.



- ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი (ERDF),
- ერთიანი ფონდი (CF),
- ევროპის აგრარული და სოფლის განვითარების ფონდი (EAFRD),
- ევროპის საზღვაო და მეთევზეობის ფონდი (EMFF),
- ევროპის სოციალური ფონდი (ESF).

2014-2020 წლების ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდების (ESIF) ფინანსური ინსტრუმენტების მექანიზმში პირველად იქნა ჩართული ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი (EIB და EIF) ისეთი საქმიანობით, როგორებიცაა:

- ფინანსური ინსტრუმენტების ტექნიკური დახმარების პლატფორმა,
- ორმხრივი პროგნოზებზე დაფუძნებული დახმარება და საკონსულტაციო მომსახურება,
- შერეული აქტივობა,
- ფონდების მართვა.


გათვალისწინებულია, რომ ფინანსური ინსტრუმენტებისათვის განკუთვნილმა თანხებმა ESIF-იდან 2014-2020 წლებში უნდა შეადგინოს 30-35 მლრდ ევრო (ნაცვლად 12 მლრდ ევროსი 2007-2013 წლებში).

ფინანსური ინსტრუმენტების მართვა აქაც ევროკავშირის ფინანსებზე წვდომის ზოგადი მექანიზმის ანალოგიურია: ESIF-დან გამოყოფილ ფონდებს აკონტროლებს ეროვნული ორგანო, რომელიც მათ მიმართავს ფონდების ფონდში ან პირდაპირ ფინანსურ შუამავლებში, რომლებიც უშუალოდ აფინანსებენ ბენეფიციარებს<sup>37</sup> (იხ. სქემა 2).

---

<sup>37</sup> <<http://www.eib.org/products/blending/esif/index.htm>>.

სქემა 5.2. ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდების (ESIF) ფინანსებზე წვდომის მექანიზმი



ფინანსური ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობაზე ზრუნვა ევროკავშირში მხოლოდ პროგრამების დაფინანსებით არ შემოიფარგლება. ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდებისა (ESIF) და დასაქმებისა და სოციალური ინოვაციების პროგრამის (EaSI) ფარგლებში ფუნქციონირებს **Fi-compass** - ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ საკონსულტაციო მომსახურების უნიკალური პლატფორმა<sup>38</sup>. იგი დაინტერესებულ მხარეებს სპეციფიკურ რჩევებს სთავაზობს სხვადასხვა ფონდების - ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდის (ERDF), ერთიანი ფონდის (CF), ევროპის სოციალური ფონდის (ESF), ევროპის სოფლის განვითარების აგრარული ფონდის (EAFRD) და ევროპის საზღვაო და მეთევზეობის ფონდის (EMFF) ფინანსური ინსტრუმენტებს გამოყენების შესახებ, აგრეთვე სწავლების სხვადასხვა ფორმებსა (სემინარები, e-სწავლება და ა.შ) და მეთოდებს ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ.

**Fi-compass**-ი თვალისწინებს:

- ე.წ. ჰორიზონტალურ დახმარებას, რაც გულისხმობს საუკეთესო გამოცდილების გაცნობას, ტრენინგებს, ერთიან პოლიტიკასთან დაკავშირებულ მარეგულირებელ ასპექტებს და ა.შ. ყველა წევრი ქვეყნისა და ყველა ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, და

<sup>38</sup> <<https://www.fi-compass.eu/>>

- მულტირეგიონალურ დახმარებას, რაც გათვალისწინებულია მინიმუმ ორი წევრი ქვეყნის მონაწილეობით განხორციელებული სპეციფიკური სფეროს პროექტის დაფინანსების ხელშეწყობისათვის ESIF ფინანსური ინსტრუმენტების ფარგლებში.

ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების ფორმებსა და მიდგომებზე მსჯელობისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ევროკომისიის ორგანიზებით რეგულარულად ტარდება *ფინანსების ხელმისაწვდომობის დღეები* მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. მასში მონაწილეობა უფასოა, თუმცა სპეციალური მიწვევით.

2014-2020 წლების ევროკავშირის კიდევ ერთი მასშტაბური პროექტია **COSME - საწარმოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამა**. ეს პროგრამა ემსახურება იმას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს გაუადვილოს წვდომა სესხებზე და საკუთარი კაპიტალის დაფინანსებაზე.

COSME გულისხმობს:

- გარანტიების დაფინანსებას ფინანსური შუამავლებისათვის, რათა მათ შეძლონ რაც შეიძლება მეტი სესხი გასცენ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის;
- საკუთარი კაპიტალის დაფინანსებას ზრდისა და გაფართოების ეტაპზე.

COSME-ს ფარგლებში მოქმედი ფინანსური ინსტრუმენტებია<sup>39</sup>:

- *სესხების გარანტიის საშუალებები* (LGF-The Loan Guarantee Facilities), რომელიც ითვალისწინებს ფინანსური შუამავლებისათვის გარანტიების მიცემას, რათა მათ შეძლონ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება; გათვლები მიმართულია იმისკენ, რომ გარანტიებზე გაცემული 1 ევრო 30 ევროს მოცულობის სესხის გაცემის შესაძლებლობას იძლეოდეს. ეს ინსტრუმენტი გათვლილია 330 ათასი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე 21 მლრდ ევროს ფარგლებში.
- *საკუთარი კაპიტალის დაფინანსება ზრდის მიზნებისათვის* (EFG-The Equity Facilities for Growth); დაფინანსება გათვალისწინებულია დიდი ზრდის პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო ბიზნესის, განსაკუთრებით ინოვაციებზე ორიენტირებული ფირმების დაფინანსებისათვის და უნდა მოიცვას 500 მცირე და საშუალო საწარმო, დაფინანსებით 4 მლრდ ევროს ფარგლებში, აგრეთვე სახელმწიფო და კერძო წყაროებიდან დამატებითი ფინანსების მოზილიზების პერსპექტივით.

ამდენად, ერთი რამ ნათელია, რომ ევროკავშირი წლიდან წლამდე განვითარებასა და ინოვაციებზე ხარჯავს სულ უფრო მეტს, აუმჯობესებს ფინანსური ინსტრუმენტების ხარისხს და სულ უფრო აიოლებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მექანიზმებს. აღნიშნულ სფეროში

<sup>39</sup> <[http://ec.europa.eu/growth/access-to-finance/cosme-financial-instruments/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/growth/access-to-finance/cosme-financial-instruments/index_en.htm)>


ევროპაში დაგროვილი გამოცდილების გამოყენება საუკეთესო საშუალება უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისათვის განვითარებისა და ინოვაციების ხელშეწყობისკენ მიმავალ გზაზე.

### მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების სტატისტიკა: სიახლე ეროვნული ბანკის სტატისტიკურ საქმიანობაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, ჩვენ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემاتيკა სტატისტიკის პრიორიტეტულ მიმართულებათა რიგში ჯერ-ჯერობით არ მოიაზრება. თუმცა, ეროვნული ბანკის სტატისტიკამ, თავისი რეფორმების ფარგლებში, ამ სფეროს სათანადო ადგილი დაუთმო ფინანსებზე წვდომისა და ფინანსური სიჯანსაღის მაჩვენებელთა მონიტორინგის განხორციელების ინსტრუმენტის შექმნის თვალსაზრისით. კერძოდ, აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის - სეხსტატის სივრცეში, რაც გამოიხატება მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების შესწავლაში:

- საქმიანობის სახეების მიხედვით;
- დენომინაციის ვალუტების მიხედვით;
- სესხის უზრუნველყოფის სახეების მიხედვით;
- სესხის პროცენტის სიდიდისა და სახეობის მიხედვით (ცვალებადპროცენტიანი, ფიქსირებულპროცენტიანი);
- სასესხო ვალდებულების კატეგორიების მიხედვით (სტანდარტული, საყურადღებო, არასტანდარტული,საექვო, უიმედო) და ა.შ. (იხ.სქემა 3):


სქემა 5.3. მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების სტატისტიკა:  
ეროვნული ბანკის ახალი ინიციატივა



აღნიშნული სიახლის ფარგლებში უკვე შესაძლებელია შესაბამის შედეგებზე ყოველთვიური დაკვირვება და მონაცემთა გაანალიზება. ამის საშუალებას ეროვნული ბანკის ინტერაქტიული სტატისტიკა იძლევა<sup>40</sup>.

<sup>40</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=715>

დიაგრამა 5.8. საქართველოს ეკონომიკაზე გაცემული სესხების სტრუქტურა, 2017-2019 წწ.




სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2019 წლის 1 აგვისტოსათვის მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხის მოცულობამ 6.7 მლრდ ლარი შეადგენდა, რაც ეკონომიკაზე გაცემული სესხების 22.7 პროცენტია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ამ სექტორზე გაცემული სესხების მოცულობა მნიშვნელოვანი ზრდით არ ხასიათდება.

სტატისტიკა უჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების 6.9 პროცენტი მოკლევადიანია, ხოლო 93.1 პროცენტი - გრძელვადიანი; დაახლოებით 288 ათასი მცირე და საშუალო საწარმოდან 32 ათასი (11.1 პროცენტი) სარგებლობს ცვალებადპროცენტის სესხებით (საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხებით). თუმცა, სესხის მოცულობაში ასეთი პროცენტის სესხის მოცულობა 25 პროცენტს შეადგენს.

დიდი ალბათობით, უახლოეს მომავალში სეზონის ბაზაზე მიღებული ზემოაღნიშნული და სხვა მონაცემების ანალიზის შედეგები მნიშვნელოვანი საფუძველი შეიძლება გახდეს წარმოების ამ სფეროს დაფინანსების წყაროებისა და მიმართულებების სწორად განსაზღვრისათვის, როგორც ფინანსური ინსტიტუტებისათვის, ისე პოლიტიკის მკეთებელთათვის და ბიზნესის წარმომადგენლებისათვის. იგი ასევე დიდად დაეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევარებს.

დიაგრამა 5.9. მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების ვადიანობის სტრუქტურა, 2017-2019 წწ.



ამდენად, სწორი პრიორიტეტები და მათი მიღწევის სწორი საშუალებები და მექანიზმები - ეს არის ევროკავშირის ქვეყნებში განვითარებისა და ინოვაციების სფეროებში წარმატების მიღწევის გასაღები, ხოლო შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება - ის გზაა, რომლის გაზიარებაც უდაოდ დაეხმარება ჩვენ ქვეყანას ანალოგიური განვითარების მიღწევაში.



## ინდივიდუალური სამუშაო

### დავალება 1

გამოიყენეთ ინტერნეტრესურსები და შეისწავლეთ ინოვაციების ძირითადი სახეები და მიმართულებები სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების თქვენს მიერ შერჩეული დარგების მიხედვით; განახორციელეთ შედარებითი ანალიზი საქართველოს ეკონომიკასთან; შეარჩიეთ კარგი პრაქტიკის მაგალითები და ისაუბრეთ მათ დადებით მხარეებზე; როგორი იქნება თქვენი რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის თქვენს მიერ შესწავლილი ინოვაციური მიმართულებების მიხედვით?

### დავალება 2

გამოიყენეთ ინტერნეტრესურსები და შეისწავლეთ ინოვაციების სტატისტიკის მაჩვენებლები საქართველოში და დანარჩენ ქვეყნებში; განახორციელეთ მაჩვენებელთა სისტემების შედარებითი ანალიზი და იმსჯელეთ მათ ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე; ჩამოაყალიბეთ თქვენი წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებსაც შესთავაზებდით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ქვეყანაში ინოვაციების სტატისტიკის განვითარებისათვის.

### დავალება 3

გამოიყენეთ ინტერნეტრესურსები და გააანალიზეთ საქართველოში ბიზნესის სახეობების მიხედვით საკრედიტო დაბანდებების დინამიკა, მისი თავისებურებები და ნაკლოვანებები; შეადარეთ მსგავსი ეკონომიკების მიხედვით ანალოგიურ მონაცემებს; გააკეთეთ დასკვნები.





## ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის

### ტესტი 1

ინოვაციების რომელი სახეებია ცნობილი დღეისათვის

1. ინოვაციური პროდუქტი, ინოვაციური ბიზნესი, ინოვაციური მიწოდების ქსელი, ინოვაციური მარკეტინგი
2. ინოვაციური პროდუქტი, ინოვაციური პროცესი, ინოვაციური კომერცია, ინოვაციური მარკეტინგი
3. ინოვაციური პროდუქტი, ინოვაციური პროცესი, ინოვაციური მიწოდების ქსელი, ინოვაციური მარკეტინგი
4. ინოვაციური პროდუქტი, ინოვაციური განათლება, ინოვაციური მიწოდების ქსელი, ინოვაციური კონერცია

### ტესტი 2

მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკების ინოვაციურობის დონის შესწავლისათვის გამოიყენება

1. მსოფლიო ინოვაციების ინდექსი
2. გლობალური ინოვაციების ინდექსი
3. მაღალგანვითარებული ინოვაციების ინდექსი
4. გლობალური ინოვაციური ბიზნეს პროცესების ინდექსი

### ტესტი 3

რომელი საერთაშორისო ინსტიტუტები განსაზღვრავენ ინოვაციური საქმიანობის ამსახველი სტატისტიკის ძირითად მეთოდოლოგიურ მიმართულებებს

1. ევროსტატი
2. საერთაშორისო სავალუტო ფონდი
3. მსოფლიო ბანკი
4. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

## ტესტი 4

რა ინსტრუმენტები გამოიყენება ინოვაციური პროცესების შესწავლისა და მონიტორინგისათვის ევროპაში

1. ინოვაციური ტაბულები
2. ინოვაციური ტაბლოები
3. ინოვაციური კრებულები
4. ინოვაციური ტექნოლოგიები

## ტესტი 5

მაჩვენებელთა რამდენ ბლოკს მოიცავს EUROSTAT-ის და OECD-ის მეცნიერებისა და ინოვაციების სტატისტიკური სისტემა

1. 2 ბლოკს
2. 4 ბლოკს
3. 6 ბლოკს
4. 8 ბლოკს.

## ტესტი 6

ცნობილია, რომ ინოვაციური პროცესების მონიტორინგისათვის ევროპაში დიდი გამოყენება აქვს ე.წ. ტაბლოებს (Scoreboard). ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება აღნიშნული ტაბლოების ოჯახს

1. ევროპის კლასტერული ინოვაციური ტაბლო
2. ევროპის ინოვაციური ტაბლო
3. ევროპის რეგიონალური ინოვაციური ტაბლო
4. ევროპის დარგობრივი ინოვაციური ტაბლო

## ტესტი 7

ევროპის ინოვაციური ტაბლოები გულისხმობს

1. მეცნიერების განვითარებისა და ინოვაციების ბიუჯეტების ხარჯვის მონიტორინგს
2. მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში გარკვეული ინდიკატორების, სუბინდიკატორებისა და კრებსითი ინდიკატორის ერთობლიობის წარმოებას ინოვაციების შედარებითი მაჩვენებლების წარმოებისა და მათი მონიტორინგისათვის
3. ინოვაციური ლიდერი ქვეყნების მიერ დახმარების გაწევას დანარჩენი ქვეყნებისათვის
4. ჩამოთვლილთაგან არცერთს

## ტესტი 8

რაში მდგომარეობს ევროპის ინოვაციური ტაბლოების მიზანი

1. ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ინოვაციების სფეროში წამყვანი ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისათვის ინოვაციების შედარებითი მაჩვენებლების წარმოებისა და მათი მონიტორინგის პროცესების ხელშეწყობა
2. მსოფლიოს მასშტაბით ინოვაციების შედარებითი მაჩვენებლების წარმოებისა და მათი მონიტორინგის ხელშეწყობა
3. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ინოვაციური საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა
4. ჩამოთვლილთაგან არცერთი

## ტესტი 9

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ევროპის ინოვაციური ტაბლოს მიერ ინოვაციების განვითარების დონის მიხედვით განსაზღვრული ქვეყნების ჯგუფებს:

1. ინოვაციური ლიდერები
2. ინოვაციური მიმდევრები
3. ზომიერი ინოვატორები
4. ზომიერი მიმდევრები

## ტესტი 10

ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს ევროპის ინოვაციური ტაბლოს ფუნქციონირების მიზანს

1. ქვეყნების ინოვაციური რესურსების შეფასება
2. ინოვაციური პროცესების შედეგების გამოვლენა
3. ინოვაციური პროცესების ცალკეული კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირების გამოვლენა
4. სხვადასხვა დარგების ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენა

## ტესტი 11

ევროპაში მოქმედი ინოვაციური ტაბლოებიდან რომლის მიზანია ურთიერთკავშირების შესწავლა ინოვაციური პროცესების სხვადასხვა ელემენტებს შორის

1. ევროპის ინოვაციური ტაბლოს
2. ევროპის რეგიონალური ინოვაციური ტაბლოს
3. ევროპის დარგობრივი ინოვაციური ტაბლოს
4. არცერთის

## ტესტი 12

რა ინსტრუმენტები გამოიყენება ევროპაში ინოვაციური პროცესების მონიტორინგისათვის

1. ინოვაციური სისტემები
2. ინოვაციური ტაბლოები

3. ინოვაციური პლატფორმები
4. ინოვაციური ტაქსონომიები

### ტესტი 13

რას წარმოადგენს ინოვაციური ტაბლოები თავისი შინაარსის მიხედვით (ერთზე მეტი პასუხი)

1. პირველად ინდიკატორთა ერთობლიობას
2. გარკვეული სუბინდიკატორებისა და კრებსითი ინდიკატორების ერთობლიობას, რომლებიც მიიღება პირველად ინდიკატორთა საფუძველზე
3. მეცნიერებისა და ინოვაციების შესახებ საბაზო სტატისტიკური მონაცემებისა და სპეციალური კვლევების შედეგად მოპოვებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ პირველად ინდიკატორთა, სუბინდიკატორთა და კრებსით ინდიკატორთა ერთობლიობას
4. ნაერთი მაჩვენებლების ერთობლიობას, რომლებიც გროვდება ევროპის რეგიონებისა და დარგების ჭრილში

### ტესტი 14

რომელი სახელმწიფო უწყებაა პასუხისმგებელი საქართველოში ინოვაციების სტატისტიკის წარმოებაზე

1. საქსტატი
2. ეროვნული ბანკი
3. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
4. ფინანსთა სამინისტრო

### ტესტი 15

ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები სასარგებლოა

1. მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის
2. მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის
3. ბაზრის მონაწილე ყველა მხარისათვის
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

### ტესტი 16

მართებულია, თუ არა, რომ ევროკავშირის 2014-2020 საბიუჯეტო პერიოდის ყველაზე მასშტაბური პროექტია „ჰორიზონტი 2020“ (H2020), რომელიც წარმოადგენს ჩარჩო პროგრამას კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის სფეროში

1. დიახ
2. არა

## ტესტი 17

რა არის ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვის მიზანი

1. საბანკო სისტემის ფინანსური სიჯანსაღის უზრუნველყოფა
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა
3. მხოლოდ მსხვილი ბიზნესის დაფინანსება
4. ჩამოთვლილთაგან არცერთი

## ტესტი 18

რამდენად მართებულია დებულება, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ევროკავშირის ქვეყნების ბიზნესის 99 პროცენტს შეადგენს და თითქმის ამდენი პროცენტი უკავია საკრედიტო პორტფელში ამ სეგმენტს

1. სწორია
2. არასწორია

## თემა 6. გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის განვითარების ტენდენციები

### 6.1. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიები და მათი როლი სტატისტიკის ახალი მიმართულებების განვითარებაში

საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა წარმოადგენს ეკონომიკური სტატისტიკის დარგს, რომლის მიზანია, საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებით, რაოდენობრივად აღწეროს ამა თუ იმ ქვეყნის, თუ ეკონომიკური რეგიონის ბიზნეს გარემო, ანალიზი გაუკეთოს იქ მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებს, პროცესებსა და მათ ტენდენციებს, რათა დაადგინოს, თუ რამდენად ხელსაყრელია იქ არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ამა თუ იმ ბიზნესის განვითარებისათვის და შესაბამისი ინვესტიციების განხორციელებისათვის.

ნებისმიერი ბიზნესის წარმოება მეტად მრავალმხრივი პროცესია და წინასწარ სათანადო გათვლების განხორციელებას საჭიროებს. თუმცა, ამ უკანასკნელისათვის მრავალმხრივი სტატისტიკური ინფორმაცია საჭირო, რათა გაკეთდეს ყოვლისმომცველი ანალიზი შესაბამისი ბიზნესის წამოწყების დასაბუთებისათვის, მისი განვითარების გზების დასახვისა და შესაბამისი ბიზნეს-პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფისათვის.

საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის ამოცანაა დაეხმაროს ბიზნეს წრეებს გაეცნონ და ანალიზი გაუკეთონ მსოფლიო ბიზნესში მიმდინარე მოვლენებს, შეაფასონ მათი მომავალი განვითარების ტენდენციები, წინასწარ განჭვრიტონ მოსალოდნელი საფრთხეები, რაც შეიძლება შეექმნას მათ ბიზნესს მსოფლიოში, თუ ამა თუ იმ, მათი ინტერესის სფეროში არსებულ ქვეყანასა თუ რეგიონში, განვითარებული მოვლენების გამო.

სტატისტიკური ინფორმაცია თანამედროვე საქმიანი ადამიანისათვის მისი ბიზნესისაგან განუყოფელი ნაწილია. იგი აუცილებელია ბიზნესის დასაწყებად, განვითარების გეგმების შესამუშავებლად, ბიზნეს-პარტნიორების მოსაძებნად, წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ბაზრისათვის შესათავაზებლად, მომხმარებლის მოთხოვნების შესწავლისა და ბიზნესის გასაფართოვებლად, ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ მონაცემების მოპოვებისა და დანერგვის მიზანშეწონილობის დასაბუთებისათვის, საქონლის, ფინანსურ და სავალუტო ბაზრებზე განვითარებული მოვლენებისა და ტენდენციების შესწავლისა და მათი გავლენის შედეგების შეფასებისათვის და ა.შ. თუმცა, სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გარეშე თანამედროვე ინფორმაციულ ნაკადებში ორიენტირება და სწორი გადაწყვეტილების მიღება არც ისე იოლია.

საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის წარმოშობას, მისი განვითარების აქტუალობის ზრდას ხელი შეუწყო სახელმწიფოთაშორისი კავშირების დამყარებამ და მათი გაფართოების არნახულმა ტემპებმა. დღეისათვის მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის განუზომელი მასშტაბები კვლავ დიდ მოთხოვნებს აყენებს სტატისტიკის წინაშე. საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის შესწავლას ბევრი უპირატესობა აქვს. იგი ეხმარება ამ დისციპლინით დაინტერესებულ ადამიანებს შეისწავლონ არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური და ბიზნეს კლიმატი, არამედ მათი კულტურა, საზოგადოება, მათ წინაშე არსებული გამოწვევები. ეს ცოდნა და გამოცდილება კი უაღრესად ღირებული ხდება თანამედროვე გლობალიზაციის გაღრმავების კვალობაზე.

საერთაშორისო სამიზნე სისტემების მიხედვით, დღეისათვის საერთაშორისო ბიზნესის ონლაინ რესურსების სფეროში წამყვან პოზიციაზეა მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ინტერაქტიური ვებგვერდი globalEDGE (<http://globalEDGE.msu.edu>), სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია უამრავი (200-მდე ქვეყნის 5000-მდე მაჩვენებელი) სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება ქვეყნების მიხედვით, წარმოების სახეების მიხედვით, რესურსების, რეგულაციების და ა.შ. სფეროების მიხედვით; აქვე შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნების შედარება სხვადასხვა ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა პარამეტრების მიხედვით.

## 6.2. გლობალიზაციის ინდექსი: არსი და გაანგარიშების მეთოდოლოგია

გლობალიზაციის მასშტაბების შესწავლის მიზნით ანგარიშობენ გლობალიზაციის ინდექსს. ამ ინდექსის ბოლო გაანგარიშება განხორციელდა 2013 წლის შედეგების მიხედვით და გამოქვეყნდა 2016 წელს. შესაბამის კვლევაში მონაწილეობდა 187 ქვეყანა, ხოლო ცვლადების რაოდენობა თითოეული მათგანის მიხედვით იყო 23. გლობალიზაციის ინდექსი მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კომპონენტებს და აფასებს გლობალიზაციის დონეს 1-დან 100-მდე მასშტაბით.

ქვეყნების ეკონომიკური გლობალიზაცია უკავშირდება ისეთ მაჩვენებელებს, როგორებიცაა ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა, ინვესტიციები და შემოსავლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, ასევე სავაჭრო და კაპიტალურ ოპერაციებთან დაკავშირებული აკრძალვები.

ქვეყნების სოციალური გლობალიზაციის შეფასება ხდება სამი კომპონენტის მიხედვით:

- პირველი, ტრანსსასაზღვრო პირადი კონტაქტები, სატელეფონო ზარების, მიმოწერის და ტურისტული ნაკადების რაოდენობით;
- მეორე, ტრანსსასაზღვრო ინფორმაციული ნაკადების მიხედვით, როგორებიცაა ინტერნეტზე წვდომა, ტელევიზია და უცხოური პრესის პროდუქტები;

- მესამე, კულტურული სიახლოვე ისეთი მიმართულებების მიხედვით, როგორცაა მაკდონალდსის და იკეას ფილიალების რაოდენობა ქვეყანაში.

პოლიტიკურ გლობალიზაციას შეისწავლიან ისეთი მაჩვენებლებით, როგორებიცაა:

- უცხოეთის ქვეყნების საელჩოების რიცხვი ქვეყანაში;
- საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთა წევრიც არის მოცემული ქვეყანა;
- გაეროს სამშვიდობო მისიების რიცხვი, რომლებშიც ჩართულია მოცემული ქვეყანა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა საფუძველზე, რომლებიც მიღწეულ იქნა 1945 წლის შემდეგ.

2016 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე გლობალიზებული ეკონომიკების პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:

**ცხრილი 6.1. მსოფლიოს ყველაზე გლობალიზებული ეკონომიკების პირველი ათეული<sup>41</sup>**

N	ქვეყანა	გლობალიზაციის ინდექსი	N	ქვეყანა	გლობალიზაციის ინდექსი
1	ნიდერლანდები	91.70	6	სინგაპური	86.93
2	ირლანდია	91.64	7	დანია	86.44
3	ბელგია	90.51	8	შვედეთი	85.92
4	ავსტრია	89.83	9	უნგრეთი	85.78
5	შვეიცარია	87.01	10	კანადა	85.67

საქართველოსათვის გლობალიზაციის ინდექსი, 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, 64.27-ს შეადგენს, რომლის მიხედვითაც იგი 207 ქვეყანას შორის 64-ე ადგილს იკავებს. ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსით საქართველო მე-16 ადგილს იკავებს (82.56), სოციალური გლობალიზაციის ინდექსით - 74-ეს (57.39), ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსით - 143-ეს (49.92). აღნიშნული სამი ინდექსის მიხედვით ლიდერის პოზიციებს სინგაპური (96.06), ავსტრია (91.30) და იტალია (97.53) იკავებენ, შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ინდექსების გაანგარიშებაში მონაწილე მაჩვენებლების ჩამონათვალი და მათი წონები მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

<sup>41</sup> [http://globalization.kof.ethz.ch/media/filer\\_public/2016/03/03/rankings\\_2016.pdf](http://globalization.kof.ethz.ch/media/filer_public/2016/03/03/rankings_2016.pdf)



**ცხრილი 6.2. გლობალიზაციის ინდექსი: ინდექსები და ცვლადები<sup>42</sup>**

	ინდექსები და ცვლადები	წონები, %		ინდექსები და ცვლადები	წონები, %
<b>1</b>	<b>ეკონომიკური გლობალიზაცია</b>	<b>36</b>	2.1.3	საერთაშორისო ტურიზმი	26
1.1	ფაქტობრივი ნაკადები	50	2.1.4	უცხოელი მოსახლეობა (პროცენტულად მთელ მოსახლეობასთან)	21
1.1.1	ვაჭრობა (პროცენტულად მშპ-სთან)	22	2.1.5	საერთაშორისო წერილები (ერთ სულ მოსახლეზე)	25
1.1.2	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ნაშთი (პროცენტულად მშპ-სთან)	27	2.2	ინფორმაციული ნაკადები	35
1.1.3	პორტფელის ინვესტიციები (პროცენტულად მშპ-სთან)	24	2.1.1	ინტერნეტის მომხმარებლები (1000 ადამიანზე)	36
1.1.4	შემოსავლების გადახდა უცხოელებისათვის (პროცენტულად მშპ-სთან)	27	2.1.2	ტელევიზია (1000 ადამიანზე)	38
1.2	აკრძალვები	50	2.1.3	უცხოური პრესა (პროცენტულად მშპ-სთან)	26
1.2.1	დაფარული ბარიერები იმპორტზე	23	2.3	კულტურული სიახლოვე	32
1.2.2	საშუალო სატარიფო განაკვეთი	28	2.3.1	მაკდონალდსის ფილიალების რაოდენობა (ერთ სულ მოსახლეზე)	46
1.2.3	გადასახადები საერთაშორისო ვაჭრობაზე (პროცენტულად მიმდინარე შემოსავლებთან)	26	2.3.2	იკეას ფილიალების რაოდენობა (ერთ სულ მოსახლეზე)	46
1.2.4	კაპიტალის ანგარიშის შეზღუდვები	23	2.3.3	წიგნებით ვაჭრობა (პროცენტულად მშპ-სთან)	7
<b>2</b>	<b>სოციალური გლობალიზაცია</b>	<b>37</b>	3	<b>პოლიტიკური გლობალიზაცია</b>	27
2.1	პერსონალური კონტაქტები	33	3.1	საელჩოების რაოდენობა ქვეყანაში	25
2.1.1	სატელეფონო ნაკადები	26	3.2	საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა	27
2.1.2	ტრანსფერები (პროცენტულად მშპ-სთან)	2	3.3	გაეროს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა	22
			3.4	საერთაშორისო შეთანხმებები	26

<sup>42</sup> [http://globalization.kof.ethz.ch/media/filer\\_public/2016/03/03/variables\\_2016.pdf](http://globalization.kof.ethz.ch/media/filer_public/2016/03/03/variables_2016.pdf)

### 6.3. გლობალური ბაზარი და მისი შესწავლის სტატისტიკური მაჩვენებლები

დღეისათვის გლობალური ბაზარი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ხოლო მისი ზრდის ტენდენციები არნახულ მასშტაბებს აღწევს. შესაბამისად მნიშვნელოვანია მისი სტატისტიკური შესწავლა.

მიჩიგანის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ცენტრი დაინტერესდა ბაზრების შესაძლებლობების კვლევით, რათა დახმარებოდა ბიზნესებს საერთაშორისო ბაზრების შესწავლაში. ამ მიზნით, შერჩეულ იქნა რვა მაჩვენებელი, რომლებიც შეფასებულ იქნა მთელი რიგი დაკავშირებული ინდიკატორებით, რომელთა შეწონვის საფუძველზე გაანგარიშებულ იქნა **ბაზრის შესაძლებლობის ინდექსი**.

1996 წლიდან გაანგარიშებაში მონაწილეობდა 26 განვითარებადი ქვეყანა, თუმცა მოგვიანებით გადაწყდა ქვეყნების რიცხვი 87-მდე გაზრდილიყო. ქვეყნების შერჩევას საფუძველად დაედო სამი კრიტერიუმი, კერძოდ შერჩევაში მოხვდნენ ისეთი ქვეყნები:

- რომლებიც შშპ-ს სიდიდით არიან პირველ ასეულში;
- რომელთა მოსახლეობა 1 მილიონს აღემატება, და
- რომლების მიხედვითაც ბაზრის შესაძლებლობის ინდექსის გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემების დიდი უმრავლესობა ხელმისაწვდომია.

ქვემოთ ჩამოთვლილია აღნიშნული რვა მაჩვენებელი, მათ გაანგარიშებისათვის გამოყენებული ინდიკატორები და წონები ბაზრის შესაძლებლობის ინდექსში<sup>43</sup>:

მაჩვენებლები	წონები	გამოყენებული საზომი
ბაზრის სიდიდე	25/100	<ul style="list-style-type: none"> <li>• ელექტროენერჯის მოხმარება</li> <li>• ქალაქის მოსახლეობა</li> </ul>
ბაზრის ინტენსივობა	15/100	<ul style="list-style-type: none"> <li>• მთლიანი ეროვნული შემოსავალი 1 სულ მოსახლეზე (გაანგარიშებული</li> </ul>

<sup>43</sup> ამ მაჩვენებლების გაანგარიშების წყაროებია:

მსოფლიო ბანკი, [World Development Indicators](#); , [Logistics Performance Index](#)  
 აშშ-ს ენერჯის ინფორმაციის ადმინისტრაცია, [International Energy Annual](#)  
 საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი, [ICT Indicators](#)  
 საერთაშორისო ევრომონიტორი, [Global Market Information Database](#)  
 მემკვიდრეობის ფონდი, [The Index of Economic Freedom](#)  
 ფრიდომ ჰაუზი, [Survey of Freedom in the World](#)  
 ცენტრის ბიუროს საგარეო ვაჭრობის განყოფილება, [Country Trade Data](#)  
 შვეიცარიის ექსპორტის რისკების დაზღვევა, [Country Risk Survey](#)  
 Coface, [Country Risk Survey](#)  
 Credimundi, [Country Risk Survey](#)  
 მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, [Global Competitiveness Report](#)

		<p>მსყიდველუნარიანობის პარიტეტის ბაზაზე)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>კერძო მოხმარება პროცენტულად მშპ-სთან</li> </ul>
ბაზრის ზრდის ტემპი	12.5/100	<ul style="list-style-type: none"> <li>პირველადი ენერჯის მოხმარების რთული წლიური ზრდის ტემპი</li> <li>მშპ-ს რთული წლიური ზრდის ტემპი</li> </ul>
ბაზრის მოხმარების შესაძლებლობა	12.5/100	<ul style="list-style-type: none"> <li>მოხმარების ხარჯები</li> <li>საშუალო კლასის შემოსავლების წილი</li> <li>საშუალო კლასის შინამეურნეობების წლიური განკარგვადი შემოსავალი</li> </ul>
კომერციული ინფრასტრუქტურა	10/100	<ul style="list-style-type: none"> <li>ფიჭური ტელეფონების ხელმომწერთა რიცხვი</li> <li>ინტერნეტზე წვდომის მქონე შინამეურნეობების რიცხვი</li> <li>საერთაშორისო ინტერნეტის სიგნალები</li> <li>პერსონალური კომპიუტერების რაოდენობა</li> <li>საფარიანი გზის სიმჭიდროვე</li> <li>მოსახლეობის რიცხვი ერთ საცალო სავაჭრო წერტილზე</li> <li>ავიახაზებზე დასაჯდომი ადგილების რაოდენობა</li> <li>ლოჯისტიკის მდგომარეობის ინდექსი</li> </ul>
ბაზრის აღქმადობა	10/100	<ul style="list-style-type: none"> <li>იმპორტი აშშ-დან 1 მოსახლეზე</li> <li>ვაჭრობა პროცენტულად მშპ-სთან</li> </ul>
ეკონომიკური თავისუფლება	7.5/100	<ul style="list-style-type: none"> <li>ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი</li> <li>პოლიტიკური თავისუფლების ინდექსი</li> </ul>
ქვეყნის რისკი	7.5/100	<ul style="list-style-type: none"> <li>ბიზნესის რისკის რეიტინგი</li> <li>ქვეყნის რისკის რეიტინგი</li> <li>პოლიტიკური რისკის რეიტინგი</li> </ul>

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: <http://globaledge.msu.edu/mpi>

## 6.4. გლობალური კონკურენტუნარიანობა: არსი და შესწავლის სტატისტიკური ასპექტები

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ერთ-ერთია იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ხელმისაწვდომს ხდიან საზოგადოებისათვის საერთაშორისო შედარებებისათვის აუცილებელ ინფორმაციას. სამ ათეულ წელზე მეტია იგი ყოველწლიურად აქვეყნებს გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშს, შეისწავლის რა ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის დონეს<sup>44</sup>. ამ საქმიანობის თავდაპირველი მიზანი იყო დახმარებოდა ქვეყნებს იმ წინააღმდეგობების დაძლევაში, რაც ხელს უშლის მათ სტაბილური წინსვლისა და განვითარების სწორი სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებაში. დროთა განმავლობაში აღნიშნული საქმიანობის მიზნად კვლავ რჩებოდა და რჩება ეროვნული ეკონომიკების სტრუქტურული საფუძვლების მნიშვნელობის წინ წამოწევა მდგრადი განვითარების ტენდენციების მისაღწევად.

2005 წლიდან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის ანალიზი ემყარება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს, როგორც ეროვნული კონკურენტუნარიანობის მიკრო და მაკრო საფუძვლების შემსწავლელ ყოვლისმომცველ ინსტრუმენტს. კერძოდ, იგი ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მეშვეობით ხორციელდება იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შექმნაში და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით.

კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება, როგორც ინსტიტუციების, პოლიტიკისა და ქვეყნის მწარმოებლურობის დონის განმსაზღვრელი ფაქტორების ერთობლიობა. კონკურენტუნარიანობის დონეს განსაზღვრავს სტაბილური ზრდისაკენ ქვეყნის მიდრეკილების ხარისხი.

რეიტინგი ეყრდნობა ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელი პირების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს.

რა ინსტრუმენტებს ეფუძნება შესაბამისი შეფასებები?

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გაანგარიშება ეფუძნება 12 ძირითად მახასიათებელს, რომელთაგან თითოეული მთელი რიგი მაჩვენებლის საფუძველზე


---

<sup>44</sup> <http://www.weforum.org/>

იანგარიშება<sup>45</sup>. სულ, გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის გაანგარიშებაში 120-მდე მაჩვენებელი მონაწილეობს.

2018 წლამდე აღნიშნული 12 მაჩვენებელი 3 ჯგუფად იყო წარმოდგენილი და შესაბამის ქვეინდექსებს აყალიბებდა (იხ. სქემა; ფრჩხილებში მოცემული ციფრები მიუთითებს, თუ რამდენი მაჩვენებლის საფუძველზე იანგარიშება მოცემული ინდიკატორი):

სქემა 6.1. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის კომპონენტები




სქემაზე მოცემულ მაჩვენებელთა სიმრავლე მიუთითებს, თუ რამდენად კომპლექსური ფენომენია ამა თუ იმ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა. ყველა ქვეყანას თითოეული მახასიათებლის მიხედვით ენიჭება კონკრეტული ქულა და ამის საფუძველზე იანგარიშება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი.

<sup>45</sup> The Global Competitiveness Report 2015-2016. World Economic Forum. Geneva, 2016. P.4. [http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global\\_Competitiveness\\_Report\\_2015-2016.pdf](http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global_Competitiveness_Report_2015-2016.pdf)

2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. რეიტინგის გაანგარიშებიდან ამიღებულ ზოგიერთი არსებული მაჩვენებელი, რომლებიც ჩანაცვლდა ახალი მაჩვენებლებით. გარდა ამისა, შეიცვალა ქვეყნების შეფასების შკალა და მაქსიმალური 7 ქულიანი შეფასებიდან გადავიდა 100 ქულიან შეფასებაზე.

ამჟამად (2018 წლის ანგარიშიდან) რეიტინგში შემავალი ქვეყნების შეფასება ხდება 4 მიმართულების მიხედვით, რომელიც აერთიანებს 12 მაჩვენებლს, რომლებიც თავის მხრივ 98 მაჩვენებლიდან ყალიბდება (იხ. სქემა):


სქემა 6.2. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის შეფასების მიმართულებები




2019 წლის ანგარიშის მიხედვით, გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო 74-ე ადგილზე იმყოფებოდა 141 ქვეყანას შორის 60.6 ქულით, რაც გაუარესებაა 0.3 პუნქტით და 8 საფეხურით წინა წელთან შედარებით<sup>46</sup>.

<sup>46</sup> The Global Competitiveness Report 2019. World Economic Forum.

დიაგრამა. საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი 2012-2018 წლებში



დიაგრამა 6.2. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი შერჩეული ქვეყნების მიხედვით, 2018



### 6.5. მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის საქმიანობის ფარგლებში გამოქვეყნებულ ინდექსებს შორის მნიშვნელოვანია მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი<sup>47</sup>. ეს ინდექსი აერთიანებს მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც ასახავს იმ ფაქტორებისა და პოლიტიკის მიმართულებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურობის გაძლიერებასა და

<sup>47</sup> [http://www3.weforum.org/docs/WEF\\_TTCR\\_2019.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_TTCR_2019.pdf)



ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას აღნიშნული სფეროში. ინდექსი ქვეყნდება 2 წელიწადში ერთხელ, 140 ქვეყნის მონაცემებზე დაყრდნობით.

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი იანგარიშება 4 ქვეინდექსის საფუძველზე, რომელთა გაანგარიშებაში, თავის მხრივ, მონაწილეობს 14 მაჩვენებელი. ამ 14 მაჩვენებლის გაანგარიშება ეყრდნობა 90 მაჩვენებელს, რომლებიც მოგზაურობისა და ტურიზმის კვლევების შედეგად მიიღება, რომლის მიხედვითაც რესპონდენტებმა უნდა შეაფასონ დასმული კითხვები 1-დან 7 ქულის ჩათვლით დიაპაზონში (1 - ყველაზე ცუდი, 7 - ყველაზე კარგი).

**სქემა 6.3. მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის მაჩვენებელთა სისტემა**

გარემოს ხელსაყრელობა (წონა 25%)	მოგზაურობისა და ტურიზმის პოლიტიკა და პირობების ხელსაყრელობა	ინფრასტრუქტურა	ბუნებრივი და კულტურული რესურსები (წონა 25%)
<ul style="list-style-type: none"> <li>• ბიზნესგარემო (12 ინდიკატორი; 5%)</li> <li>• დაცულობა და უსაფრთხოება (5 და 5%)</li> <li>• ჯანმრთელოდა და ჰიგიენა (6 და 5%)</li> <li>• ადამიანური რესურსები და შრომის ბაზარი (9 და 5%)</li> <li>• საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მზაობა (8 და 5%)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტულობა (6 და 6.25%)</li> <li>• საერთაშორისო განხილვობა (3 და 6.25%)</li> <li>• ფასების კონკურენტუნარიანობა (4 და 6.25%)</li> <li>• გარემოს მდგრადობა (10 და 6.25%)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საჰაერო სატრანსპორტი ინფრასტრუქტურა (6 და 8.33%)</li> <li>• სახმელეთო და საპორტო ინფრასტრუქტურა (7 და 8.33%)</li> <li>• ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურა (4 და 8.33%)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბუნებრივი რესურსები (5 და 12.5%)</li> <li>• კულტურული რესურსები და საქმიანი ტურიზმი (5 და 12.5%)</li> </ul>

2019 წლის შედეგების მიხედვით, მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის მსოფლიო რეიტინგის მიხედვით საქართველო 68-ე ადგილზე აღმოჩნდა (3.9 ქულით), 140 ქვეყანას შორის, და 2 პუნქტით გაიუმჯობესა პოზიცია 2017 წლის შედეგებთან შედარებით.

ქვემოთ მოტანილ გრაფიკზე, რომელიც აგებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემების საფუძველზე, ილუსტრირებულია მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის კომპონენტების მიხედვით საქართველოს პოზიციონირება ევროპა-დევრაზიის (რომელ რეგიონშიც შედის საქართველო) ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, მისი ნაკლოვანებები და უპირატესობები.





ეს მონაცემები ბევრი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა (თუმცა აღნიშნული კვლევა მოიცავს სხვა უამრავ დეტალურ ინფორმაციასაც). როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბიზნესგარემო, დაცულობა და უსაფრთხოება, დარგის პრიორიტეტულობა, ფასების კონკურენტუნარიანობა საქართველოსათვის შედარებით ძლიერი მხარეებია ამ სფეროში რეგიონის ანალოგიურ საშუალო მონაცემებთან შედარებით, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ ინდიკატორებზე. ურიგო არ არის ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. თუმცა, სახარბიელოდ არ გამოიყურება სახმელეთო, საპორტო და საჰაერო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსები და შრომის ბაზარი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მზაობის დონე. ამ და მასთან დაკავშირებული დეტალური მონაცემების სიღრმისეული კვლევა და ანალიზი სასარგებლოა არა მარტო პოლიტიკის გამტარებლებისთვის, არამედ ინვესტორებისთვისაც, რომელთაც შეუძლიათ შეხედონ ამ მონაცემებს საინვესტიციო პოტენციალის თვალსაზრისით, საერთაშორისო ბიზნესის განვითარების პრიზმაში და ა.შ.

## 6.6. ეკონომიკური თავისუფლება

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ გაანგარიშებულ რეიტინგებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. ეს უკანასკნელი ახდენს იმის შეფასებას, თუ რამდენად შესაძლებელია ამა თუ იმ ქვეყანაში ბიზნესის დაწყება, ფუნქციონირება და დახურვა, თუ ასეთი საჭირო გახდა. ერთი სიტყვით, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ზომავს ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს.

### რას გულისხმობს ეკონომიკური თავისუფლება?

ეკონომიკური თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა განკარგოს თავისი სამუშაო ძალა და საკუთრება; ეკონომიკურად თავისუფალ საზოგადოებაში ადამიანს აქვს უფლება იმუშაოს, აწარმოოს, მოიხმაროს, განახორციელოს ინვესტიცია. ამისათვის, ნებადართულია სამუშაო ძალის, კაპიტალისა და საქონლის თავისუფლად გადაადგილება და ამას იცავს და უზრუნველყოფს სახელმწიფო.

ეკონომიკური თავისუფლების მიზანია საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა. შესაბამისად, ეს ინდექსი ზომავს, თუ რამდენად არის პირობები ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით, რათა მიღწეულ იქნას ეკონომიკური ზრდა, საზოგადოების სიჯანსაღე, გარემოს დაცვა, დემოკრატია, ადამიანთა განვითარება და სიღარიბის შემცირება.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გაიანგარიშება 12 მაჩვენებლის საფუძველზე, რომლებიც ოთხ ჯგუფადაა წარმოდგენილი:


- კანონის უზენაესობა
  - საკუთრების უფლება;
  - სასამართლოს ეფექტიანობა;
  - მთავრობის სამართლიანობა.
- მთავრობის მოცულობა:
  - გადასახადების ტვირთი;
  - მთავრობის დანახარჯები;
  - ფისკალური სიჯანსაღე.
- რეგულაციების ეფექტიანობა:
  - ბიზნესის თავისუფლება;
  - შრომის თავისუფლება;
  - მონეტარული თავისუფლება.
- ღია ბაზარი:
  - ვაჭრობის თავისუფლება;
  - საინვესტიციო გარემოს თავისუფლება;

- ფინანსური თავისუფლება.

აღნიშნული 12 მაჩვენებლის შეფასება ხდება 100-ბალიანი სისტემით, ხოლო ქვეყნის მთლიანი ქულა ითვლება, როგორც 12 მაჩვენებლის საშუალო შეწონილი მაჩვენებელი.

2019 წლის მონაცემებით, ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში 180 ქვეყანა მონაწილეობდა, რომელთა შორის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველომ მე-16 ადგილი დაიკავა 75.9 ქულით:

დიაგრამა 6.4. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი: რეიტინგი შერჩეული ქვეყნების მიხედვით



აღნიშნული ქულით (75.9) საქართველო იმყოფება უშეტესად თავისუფალი ქვეყნების კატეგორიაში.

### გამოყენება

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს ფართო გამოყენება აქვს საზოგადოების სხვადასხვა წრეებში, სხვადასხვა მიმართულებით. ესენია:

- პოპულარიზაცია;
- საჯარო პოლიტიკის ანალიზი;
- განათლება;
- ბაზრების ანალიზი;
- ინვესტიციების წახალისება;
- მეწარმეების ხელშეწყობა;
- აკადემიური კვლევა.

**პოპულარიზაცია.** გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოებას აინტერესებს რა ხდება მის გარშემო და რა პერსპექტივებია ქვეყანაში განვითარების თვალსაზრისით. ინფორმაცია ეკონომიკური რეფორმების შესახებ, სამართლიანობისა და დაცულობის ხარისხის შესახებ, რეგულაციებისა და ბაზრების განვითარების შესახებ საჭირო და აუცილებელია არა მარტო ბიზნეს საქმიანობის განსახორციელებლად, არამედ ზოგადად ქვეყნის განვითარების მდგომარეობისა და მისი პერსპექტივების შესახებ ცოდნის თვალსაზრისით. ამ აზრით, ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგების გაცნობა, მსჯელობა, ცოდნის გადაცემა და გაზიარება ამ საკითხზე როგორც ზოგადი თვალსაწიერის, ისე ღრმა დისკუსიებისათვის და დასკვნების გასაკეთებლად მთავრობის საქმიანობის შესახებ, რეკომენდებულია.

**საჯარო პოლიტიკის ანალიზი.** პოლიტიკის მკეთებლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, თუ რა შედეგები აქვს მათ მიერ გატარებულ პოლიტიკას, კანონშემოქმედებას და რეფორმებს. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი უჩვენებს, თუ რომელი პოლიტიკაა წარმატებული და რომელი – ნაკლებად. იგი საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ, თუ ეკონომიკური თავისუფლების რომელ მდგენელში მოიკოჭლებს ესა თუ ის ქვეყანა და განვსაზღვროთ როგორი დღის წესრიგია საჭირო ნაკლოვანებების გამოსწორებას.

**განათლება.** ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი კომპლექსური მაჩვენებელია, რომელიც სხვადასხვა რაკურსით ასახავს ეკონომიკის განვითარების ფაქტორებს. იგი ყველწლიურად ქვეყნდება და, შესაბამისად, მისი დინამიკის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია ეკონომიკური თავისუფლებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა. ამ ინდექსის ამ კონტექსტში დანახვა და სტუდენტებისათვის ეკონომიკის სწავლებისას შეთავაზება მეტად სასარგებლოს და საგნობრივს გახდის სწავლების პროცესს.

ზოგიერთ ავტორს (Olson R. 2014) შემოთავაზებული აქვს ეკონომიკური თავისუფლების სასწავლო კურსის სავარაუდო და ამასთან საინტერესო თემატიკაც:

- ლექცია 1: ეკონომიკური თავისუფლების საფუძვლები (ადამ სმიტის, ფრიდრიხ ჰაიეკის და მილტონ ფრიდმანის შეხედულებები);
- ლექცია 2: კანონის უზენაესობა (საზოგადოების საკუთრებულ უფლებების დაცვის მნიშვნელობა და კორუფციის გავლენა ბაზრების ეფექტიანობაზე);
- ლექცია 3. მთავრობის ზომა (გადასახადებისა და მთავრობის ხარჯების გავლენა ადანიანებსა და მეწარმეობაზე);
- ლექცია 4: რეგულაციების ეფექტიანობა (მთავრობის რეგულაციების გავლენა ბაზრების ფუნქციონირებაზე);
- ლექცია 5: ბაზრების გახსნილობა (ვაჭრობის სარგებლიანობა, შეფარდებითი უპირატესობა, ტარიფების გავლენა);
- ლექცია 6: ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნების მიხედვით;
- ლექცია 7: ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების შედარებითი ანალიზი.

**ბაზრების ანალიზი.** გლობალიზაცია ახალ გამოწვევებს ქმნის ბიზნესისთვის ახალი რესურსების ძიების პროცესში. ამ მიმართებით, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტია. კერძოდ იგი:

- დროულ და ობიექტურ ინფორმაციას აწვდის ბაზრის მონაწილეებს პოლიტიკური რისკების შეფასებისათვის ამა თუ იმ ეკონომიკის მიხედვით;
- ეხმარება ეკონომიკური რეფორმების შედეგებში ორიენტაციის თვალსაზრისით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესების განვითარებისათვის;
- ხელს უწყობს რეგიონების მიხედვით კონკურენტუნარიანობის შეფასებაში ბაზრების ხელსაყრელობის თვალსაზრისით.

**ინვესტიციების წახალისება.** ინვესტიციები ეკონომიკების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტიმულატორია. ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში ქვეყნების უკეთესი მდგომარეობა და მითუმეტეს, წლიდან წლამდე ამ მდგომარეობის გაუმჯობესება კარგი რეკლამაა ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ქვეყნაში ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის პროგრესის პოპულარიზაცია, ამ თვალსაზრისით ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გამოცემებთან, ვებგვერდებთან თანამშრომლობა, სოციალური ქსელების, სხვადასხვა აუდიტორიებისა და ტრიბუნების გამოყენება კარგი საშუალებაა ინვესტიციების დაინტერესებისათვის.

**მეწარმეობის ხელშეწყობა.** მეწარმეობა მუდმივად რისკებთან დაკავშირებული საქმიანობაა. ამიტომ შესაძლო რისკების მონიტორინგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ადვილი საქმე არ არის, მოითხოვს დიდ ცოდნასა და გამოცდილებას და რაც მთავარია - სტატისტიკურ წიგნიერებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს სტატისტიკური მონაცემების გაგებისა და არგუმენტირების უნარების ფლობას. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, თავისი გამჭვირვალობით და აღქმადობით, კარგი ინსტრუმენტია აღმოვაჩინოთ ის საფრთხეები, რომელიც შესაძლოა დაემუქროს ბიზნესს ამა თუ იმ ეკონომიკაში, რეგიონში და ა.შ. მაგალითად, მაღალი გადასახადების, რეგისტრაციის ბარიერების, საკუთრების უფლებების შელახვის, სამეწარმეო საქმიანობაში ჩარევის და ა.შ. თვალსაზრისით.


**აკადემიური კვლევა.** ეკონომიკური თავისუფლების გავლენა ეკონომიკასა და საზოგადოებაზე - აი მთავარი თემა, რომელიც უნდა იყოს ეკონომიკის მკვლევარების საჯილდაო ქვა. კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი საშუალებას იძლევა სხვადასხვა კუთხით შევხედოთ ეკონომიკურ პრობლემებს, გამოვიკვლიოთ, შევაფასოთ, შევადაროთ და გავაკეთოთ დასკვნები.

2019 წლის მონაცემებით, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშებაში 180-მა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, რომლებიც რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

- ევროპა - 45 ქვეყანა;

- აზიისა და წყნარი ოკეანის აუზი - 43 ქვეყანა;
- ჩრდილოეთი ამერიკა - 3 ქვეყანა;
- სამხრეთი და ცენტრალური ამერიკა - 29 ქვეყანა;
- ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა: 18 ქვეყანა;
- აფრიკა - 48 ქვეყანა.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ყოველწლიურად ქვეყნდება მემკვიდრეობის ფონდის (The Heritage Foundation) ვაშინგტონის ანალიტიკური ცენტრის მიერ.



N	მაჩვენებლები	მახასიათებლები
1	მთავრობის ზომა	<ul style="list-style-type: none"> <li>• მთავრობის ხარჯები</li> <li>• ტრანსფერები და სუბსიდიები</li> <li>• სახელმწიფო საწარმოები და ინვესტიციები</li> <li>• ზღვრული საგადასახადო განაკვეთი</li> </ul>
2	სამართლებრივი სტრუქტურა და საკუთრების უფლების დაცვა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასამართლოს დამოუკიდებლობა</li> <li>• მიუკერძოებელი სასამართლო</li> <li>• საკუთრების უფლების დაცვა</li> <li>• პოლიტიკისა და კანონის უზენაესობაში სამხედრო ჩარევა</li> <li>• კონტრაქტების სამართლებრივად ძალაში შესვლა</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• მარეგულირებელი შეზღუდვები საკუთრების გაყიდვაზე</li> <li>• პოლიციის საიმედოობა</li> <li>• ბიზნესის ხარჯები სამართალდარღვევებზე</li> </ul>
3	მყარი ვალუტა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფულის რაოდენობის ზრდა</li> <li>• ინფლაციის სტანდარტული გადახრა</li> <li>• ინფლაცია უკანასკნელ წელს</li> <li>• უცხოური ვალუტის ფლობის თავისუფლება</li> </ul>
4	საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტარიფები</li> <li>• რეგულირების ბარიერები ვაჭრობაში</li> <li>• გაცვლითი კურსები შავ ბაზარზე</li> <li>• კაპიტალისა და ხალხის მოძრაობის კონტროლი</li> </ul>
5	რეგულაციები	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკრედიტო ბაზრის რეგულირება</li> <li>• შრომის ბაზრის რეგულირება</li> <li>• ბიზნესის რეგულირება</li> </ul>

## 6.7. ბიზნესის კეთება

საერთაშორისო რეიტინგებში ერთ-ერთი პოპულარულია მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ წარმოებული ბიზნესის კეთების რეიტინგი. ბიზნესის კეთების პირველი ანგარიში გამოქვეყნდა 2003 წელს და მას შემდეგ იგი ყოველწლიურად ქვეყნდება. ბიზნესის კეთების 2020-ის ანგარიშში 190 ქვეყანა მოხვდა, რომლებიც რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

- აფრიკა - 48 ქვეყანა;
- ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები - 32 ქვეყანა;
- ევროპა და ცენტრალური აზია - 23 ქვეყანა;
- აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნები - 25 ქვეყანა;
- შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა - 20 ქვეყანა;
- სამხრეთი აზია - 8 ქვეყანა;
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები - 34 ქვეყანა.

ბიზნესის კეთების 2020-ის რეიტინგში საქართველომ მე-7 ადგილი დაიკავა (წინა წლის რეიტინგით მე-ადგილზე იყო).

**ცხრილი 6.1. ბიზნესის კეთების სიიოლე 2020-ის რეიტინგის პირველი ათეული**

რეიტინგი	ქვეყანა	ქულა
1	ახალი ზელანდია	86.8
2	სინგაპური	86.2
3	ჰონგ კონგი	85.3
4	დანია	85.3
5	კორეის რესპუბლიკა	84.0
6	აშშ	84.0
7	საქართველო	83.7
8	გაერთიანებული სამეფო	83.5
9	ნორვეგია	82.6
10	შვედეთი	82.0

რას ზომავს ბიზნესის კეთების ინდექსი და რომელი ეკონომიკური აქტივობების შეფასებას იძლევა იგი? ეს ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენად წახალისებული და მხარდაჭერილია ქვეყნებში ბიზნესის წარმოების თავისუფლება და ეფექტიანობა.

ბიზნესის სიიოლის ინდექსი მიუთითებს მთავრობის 3 ძირითადი აქტივობის ხარისხზე:

- პირველი, როდის მიმართავს მთავრობა რეფორმებს, რათა განავითაროს კერძო სექტორი;
- მეორე, რა მახასიათებლებით გამოირჩევა რეფორმატორული მთავრობა;
- მესამე, რა გავლენა აქვს რეგულირებების ცვლილებებს ეკონომიკურ და საინვესტიციო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტზე.

ამ კითხვებზე პასუხები საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ ქვეყანაში მიმდინარე განვითარების პროცესების მიზეზ-შედეგობრივ ასპექტებში.

ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხების ძიების მიზნით, ბიზნესის კეთების სიიოლის ინდექსის კომპონენტები შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლებით აფასებენ/ზომავენ ბიზნესის დაწყებასთან, მშენებლობის ნებართვების მიღებასთან, ელექტროენერჯის ჩართვასთან, ქონების გადაცემასთან, სესხის მიღებასთან, ინვესტირების უმცირესობების დაცვასთან, გადასახადების გადახდასთან, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობასთან, კონტრაქტების დაჩქარებასთან, გადახდისუნარიანობის საკითხების მოგვარებასთან, დასაქმებასთან დაკავშირებულ პროცესებს. კვლევები ადასტურებს კავშირს ბიზნესის კეთების სიიოლესა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის: განვითარებულ ქვეყნებში გაცილებით დაბალია ბიზნესის დაწყების დრო და ხარჯები, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, 2020 წლის მონაცემებით:

- დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ბიზნესის დაწყებაზე იხარჯება ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების 50 პროცენტი, მაშინ, როცა მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 4 პროცენტია;



- დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ბიზნესის დაწყებაზე იხარჯება საშუალოდ 6-ჯერ მეტი დრო, ვიდრე მაღალშემოსავლიან ქვეყნებში;

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 15 წლის მანძილზე შეინიშნება განვითარებად ქვეყნებში ბიზნესის დაწყების ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება.

ბიზნესის კეთების ინდექსი ბიზნესის რეგულირების 12 სფეროს მოიცავს. აქედან 10 - ჩართულია ბიზნესის სიიოლის რეიტინგის გაანგარიშებაში; ორი მაჩვენებელი - შრომის ბაზრის რეგულირება და სამთავრობო კონტრაქტები, არ მონაწილეობს ბიზნესის სიიოლის ინდექსში.

ამდენად, ბიზნესის სიიოლის ინდექსის გაანგარიშებაში მონაწილეობს რეგულირების 10 სფეროს მიხედვით გაანგარიშებული 46 მაჩვენებელი:

	ბიზნესის რეგულირების სფეროები	კომპონენტები
1	ბიზნესის დაწყება	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროცედურები (რაოდენობა)</li> <li>• დრო (დღე)</li> <li>• დანახარჯები (% შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე)</li> <li>• მინიმალური კაპიტალი (% შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე)</li> </ul>
2	მშენებლობის ნებართვა	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროცედურები (რაოდენობა)</li> <li>• დრო (დღე)</li> <li>• დანახარჯები (საწყობის ღირებულების %)</li> <li>• მშენებლობის ხარისხის ინდექსი (0-15)</li> </ul>
3	ელექტროენერჯის ქსელთან მიერთება	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროცედურები (რაოდენობა)</li> <li>• დრო (დღე)</li> <li>• დანახარჯები (% შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე)</li> <li>• მიწოდების საიმედოობა და ტარიფის გამჭვირვალობის ინდექსი</li> </ul>
4	ქონების რეგისტრაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროცედურები (რაოდენობა)</li> <li>• დრო (დღე)</li> <li>• დანახარჯები (ქონების ღირებულების %)</li> <li>• მიწის ადმინისტრირების ხარისხის ინდექსი (0-30)</li> </ul>
5	კრედიტის მიღება	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლებრივი უფლებების სიძლიერის ინდექსი (0-12)</li> <li>• საკრედიტო ინფორმაციის სიღრმის ინდექსი (0-8)</li> <li>• საკრედიტო რეესტრი (% მოზრდილების)</li> <li>• საკრედიტო ბიურო (% მოზრდილების)</li> </ul>
6	მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა	<ul style="list-style-type: none"> <li>• გახსნილობა (0-10)</li> <li>• დირექტიული ვალდებულებების ინდექსი (0-10)</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• აქციონერების გასაჩივრების ინდექსი (0-10)</li> <li>• აქციონერების უფლებების ინდექსი (0-6)</li> <li>• საკუთრებისა და კონტროლის ინდექსი (0-7)</li> <li>• კორპორაციების გამჭვირვალობის ხარისხის ინდექსი (0-7)</li> </ul>
7	გადასახადების გადახდა	<ul style="list-style-type: none"> <li>• გადასახადები (რაოდენობა წელიწადში)</li> <li>• საათები (რაოდენობა წელიწადში)</li> <li>• მთლიანი საგადასახადო განაკვეთი (მოგების %)</li> <li>• დღგ-ის დეკლარაციების წარსადგენად გამოყენებული ონლაინ სისტემა</li> </ul>
8	ვაჭრობა საზღვრებს მიღმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ექსპორტისათვის საჭირო სასაზღვრო პროცედურების დრო (საათი)</li> <li>• ექსპორტთან დაკავშირებული დანახარჯები სასაზღვრო მოთხოვნების შესაბამისად (აშშ დოლარი)</li> <li>• ექსპორტისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადების დრო (საათი)</li> <li>• ექსპორტისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადების დანახარჯები (აშშ დოლარი)</li> <li>• იმპორტისათვის საჭირო სასაზღვრო პროცედურების დრო (საათი)</li> <li>• იმპორტთან დაკავშირებული დანახარჯები სასაზღვრო მოთხოვნების შესაბამისად (აშშ დოლარი)</li> <li>• იმპორტისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადების დრო (საათი)</li> <li>• იმპორტისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადების დანახარჯები (აშშ დოლარი)</li> </ul>
9	კონტრაქტის აღსრულება	<ul style="list-style-type: none"> <li>• დრო (დღე)</li> <li>• დანახარჯი (% მოთხოვნებში)</li> <li>• სასამართლო პროცესის ხარისხის ინდექსი (0-18)</li> </ul>
10	გადახდისუუნარობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• დრო (წელი)</li> <li>• დანახარჯი (ქონების %)</li> <li>• ამოღების კოეფიციენტი (ცენტი დოლარზე)</li> <li>• შედეგი (ქონების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა)</li> <li>• გადახდისუუნარობის სისტემის სიმლიერე (0-16)</li> </ul>

ბიზნესის კეთების 2020 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ 48 ათას პროფესიონალზე მეტი მსოფლიოს 190 ქვეყნიდან იყო ჩართული შესაბამისი მონაცემების წარდგენაში ბიზნესის კეთების ტეიტინგების მოსამზადებლად<sup>48</sup>. ეს ინფორმაცია ნათლად მეტყველებს შესაბამისი სამუშაოების მასშტაბებზე და მნიშვნელობაზე.



## ინდივიდუალური სამუშაო

### დავალება 1

გაანალიზეთ გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლების ანგარიშის მიხედვით. განიხილეთ მისი ძირითადი ტენდენციები. ჩამოაყალიბეთ მოსაზრებები ქვეყნების პირველი ხუთეულის და ბოლო ხუთეულის შედეგების განმპირობებელი ფაქტორების თაობაზე.

გაანალიზეთ საქართველოს მიღწევები/წარუმატებლობები გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში. ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრებები იმ პირველი რიგის ამოცანებზე, რაზედაც თქვენი აზრით უნდა გამახვილდეს ყურადღება ამა თუ იმ სფეროში არსებული ჩამორჩენების აღმოსაფხვრელად.

შეადარეთ საქართველოს და მისი მსგავსი ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის მონაცემები. გააკეთეთ დასკვნები.

### დავალება 2

ეწვიეთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გვერდს და გაეცანით მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსს და მის კომპონენტებს, ქვეყნების, რეგიონების ჭრილში და მსოფლიო მასშტაბით; გაანალიზეთ საქართველოს ადგილი და როლი ამ თვალსაზრისით; გამოიკვლიეთ საქართველოს სუსტი მხარეები საერთაშორისო მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების სფეროში; ჩამოაყალიბეთ რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობდა მდგომარეობის გამოსწორებას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენებას; გაეცანით სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკებს ამ მიმართებით და გაანალიზეთ, თუ რამდენად მისაღები და ადაპტირებადია ისინი ჩვენი ქვეყნის ტურიზმის სფეროს პრაქტიკაში.

<sup>48</sup> <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/32436/9781464814402.pdf>

## თემა 7. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გლობალური სტატისტიკური სისტემის ჩამოყალიბებაში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) სტატისტიკური კომისიის შექმნამ 1946 წელს საფუძველი ჩაუყარა არა მარტო ახალ ერას საერთაშორისო სტატისტიკის განვითარებაში, არამედ გლობალური სტატისტიკური სისტემის ჩამოყალიბებასაც.


რას წარმოადგენს გლობალური სტატისტიკური სისტემა?

ქვემოთ მოტანილია გლობალური სტატისტიკური სისტემისა და მასში შემავალი ორგანიზაციების სტრუქტურების სქემები:


### სქემა 7.1. გლობალური სტატისტიკური სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა



სქემა 7.2. გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებების სტატისტიკური სამსახურები



სქემა 7.3. სახელმწიფოთაშორისი სტატისტიკური ორგანიზაციები




სქემა 7.4. სამთავრობო-თავმოვლის განვითარების ბანკების სტატისტიკური სამსახურები



სქემა 7.5. სამთავრობო-თავმოვლის ცენტრალური ბანკების სტატისტიკური სამსახურები



## სქემა 7.6. გაეროს რეგიონალური სტატისტიკური სამსახურები



გლობალური სტატისტიკური სისტემის ნაწილია ასევე რეგიონალური სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების სტატისტიკური სამსახურები, ისეთების, როგორებიცაა: აფრიკის გაერთიანება, აღმოსავლეთ აფრიკის საზოგადოება, კარიბების საზოგადოება, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, არაბული სახელმწიფოების ლიგა და ა.შ.

ამდენად, გლობალურ სტატისტიკურ სისტემაში თანასწორთა შორის პირველის სტატუსი გაეროს სტატისტიკური კომისიას ეკუთვნის. უდიდესი როლი სტატისტიკის განვითარებაში ეკუთვნის მისი სპეციალიზირებული დაწესებულებების სტატისტიკურ სამსახურებს.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდი**, რომელიც დაფუძნდა 1944 წელს ფინანსების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის, საერთაშორისო მონეტარული სისტემის სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, დღეისათვის საერთაშორისო სტატისტიკური ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. მის სტრუქტურაში არსებული სტატისტიკური დეპარტამენტის მეშვეობით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოიპოვებს მთელ რიგ მაჩვენებლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და თავს უყრის მათ სპეციალურ პუბლიკაციებში. გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდს დიდი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების განვითარებასა და დანერგვაში სტატისტიკის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

- ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (გაეროსთან, ევროსტატთან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასა და მსოფლიო ბანკთან ერთად),
- საგადასახდელო ბალანსი და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა,
- საგარეო ვალი,
- სამთავრობო ფინანსების სტატისტიკა,
- მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა,
- ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები,
- ფულადი გზავნილები (ევროსტატთან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასა და მსოფლიო ბანკთან ერთად) და სხვ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ამავე დროს, ტექნიკურ დახმარებას უწევს დაბალგანვითარებულ ქვეყნებს თავიანთი სტატისტიკური სისტემების განვითარებაში.

2014 წლის იანვრიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ამოქმედა თავისუფლად ხელმისაწვდომი (უფასოდ) მონაცემების ახალი პლატფორმა, რომლის დანიშნულებაც სტატისტიკურ მონაცემთა გლობალური მასშტაბით გავრცელების უზრუნველყოფაა. ეს პლატფორმა მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს გადმოტვირთოს ზღვა ინფორმაცია და, ამასთან, ისარგებლოს ვიზუალიზაციის მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით, თავისი ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე<sup>49</sup>. აღნიშნული მონაცემთა ბაზა მოიცავს:

- საერთაშორისო ფინანსურ სტატისტიკას;
- საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკას;
- სამთავრობო ფინანსების სტატისტიკას;
- ვაჭრობის სტატისტიკის მიმართულებებს.

*საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკა* საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი ფუნდამენტური სტატისტიკური გამოცემაა. იგი გამოიცემა 1948 წლიდან. მასში ქვეყნდება ფონდის წევრი ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები რეალური, საგარეო და ფინანსური სექტორების შესახებ. ესენია მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი კომპონენტები, სამთავრობო სტატისტიკის, საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის, საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემები, აგრეთვე საერთაშორისო რეზერვების, ფასების, საპროცენტო განაკვეთების, დასაქმების, მოსახლეობის სტატისტიკა. კრებული გამოიცემა ყოველთვიური და წლიური პერიოდულობით.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://data.imf.org/?sk=5dabaff2-c5ad-4d27-a175-1253419c02d1>.

**მსოფლიო ბანკი**, რომელიც 1944 დაფუძნდა, მოწოდებულია სიღარიბესთან ბრძოლისა და განვითარებად ქვეყნებში ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის. დღეისათვის ეს არის 189 წევრი ქვეყნის, სხვადასხვა ქვეყნებში 130 ოფისისა და მათში

<sup>49</sup> <http://data.imf.org/?sk=388DFA60-1D26-4ADE-B505-A05A558D9A42>



დასაქმებული 170 ქვეყნის წარმომადგენლის უნიკალური პარტნიორობა, რაც ემსახურება განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის დაძლევის პროგრამების განხორციელებას. სტატისტიკის სფეროში მას, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეთოდოლოგიური სტანდარტების გაუმჯობესების თვალსაზრისით. სხვადასხვა კრედიტების სახით იგი ფუნდამენტურ როლს ასრულებს ღარიბი ქვეყნების სტატისტიკური სისტემების განვითარების დაფინანსებაში. მსოფლიო ბანკის სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა მოიცავს უამრავ ინფორმაციას მთლიანი შიდა პროდუქტის, სიღარიბის, მიგრაციის, საგარეო ვალის, გენდერული სტატისტიკის და სხვა მრავალი მიმართულებით, რომელზედაც წვდომა არის უსასყიდლო და თავისუფალი.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://data.worldbank.org/>

**გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია** შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1964 წელს, როგორც მუდმივმოქმედი სამთავრობოთაშორისო ორგანო; არის გაეროს სამდივნოს ნაწილი. იგი აერთიანებს 194 ქვეყანას. გაეროს სხვა ორგანიზაციებთან ერთად საქმიანობს მდგრადი განვითარების მიღწევის სფეროში. სტატისტიკა მისი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და თავს უყრის, ამუშავებს და აქვეყნებს უამრავ ინფორმაციას ფინანსების, ტექნოლოგიების, ინვესტიციების, მდგრადი განვითარების სფეროებში. აქვეყნებს აგრეთვე სტატისტიკურ კლასიფიკაციებს, რომლებსაც ანახლებს წელიწადში ერთხელ.

ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ერთ-ერთი ბოლო (2016 წლის) სტატისტიკური გამოცემაა *სტატისტიკის ცნობარი*: [http://unctad.org/en/PublicationsLibrary/tdstat41\\_en.pdf](http://unctad.org/en/PublicationsLibrary/tdstat41_en.pdf), რომელშიც გამოქვეყნებულია დიდძალი სტატისტიკური ინფორმაცია საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის შესახებ ქვეყნების, ქვეყნების ჯგუფებისა და რეგიონების მიხედვით, აგრეთვე შერჩეული საქონლის საბაზრო ფასების შესახებ; მონაცემები საგადასახდელი ბალანსის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების შესახებ, აგრეთვე მთლიანი შიდა პროდუქტისა და მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://unctad.org/en/Pages/statistics.aspx>

**გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია** შეიქმნა 1947 წელს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) რეკომენდაციით. იგი არის გაეროს 5 რეგიონალური კომისიიდან ერთ-ერთი. დანარჩენები არიან:

- აფრიკის ეკონომიკური კომისია (ECA);
- აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისია (ESCAP);
- ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ეკონომიკური კომისია (ECLAC);
- დასავლეთ აზიის ეკონომიკური და სოციალური კომისია (ESCWA).

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიზანია ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის წახალისება. მასში გაერთიანებულია ევროპის, აზიისა და ამერიკის 56 ქვეყანა. თუმცა, მის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია გაეროს წევრ ყველა ქვეყანას. მისი პუბლიკაციები უმეტესი ნაწილი სტატისტიკის სფეროში მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო ხასიათისაა

(მაგალითად, „ოფიციალური სტატისტიკის ზოგადი კანონი“, ან „ადამიანური კაპიტალის შეფასების გზამკვლევი“ და სხვა).

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://www.unece.org/statistics/publications.html>.

**გაეროს ვაჭრობისა და ტურიზმის სტატისტიკის ქვედანაყოფი**<sup>50</sup> პასუხისმგებელია საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის<sup>51</sup> (IMTS), ასევე მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის<sup>52</sup> (SITS), ტურიზმის სტატისტიკის<sup>53</sup> და სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის საკითხების განვითარებაზე.

გაეროს აღნიშნული ქვედანაყოფის ძირითადი სტატისტიკური პუბლიკაციაა საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წელიწადეული (The International Trade Statistics Yearbook). მასში ქვეყნდება საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ტენდენციები ქვეყნების, რეგიონებისა და მსოფლიოს მასშტაბით და განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე სტატისტიკის რიგით მომხმარებელთათვის. წელიწადეულში წარმოდგენილი მონაცემები უაღრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა პოლიტიკის გამტარებელთათვის, სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, ჟურნალისტებისათვის, აკადემიური და ბიზნეს წრეებისათვის.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://unstats.un.org/unsd/trade/default.asp>.

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის** სლოგანი - „უკეთესი პოლიტიკა უკეთესი ცხოვრებისათვის“ ხაზს უსვამს ამ ორგანიზაციის დამოკიდებულებას სტატისტიკისადმი, რადგანაც ზოგადად პოლიტიკა, მითუმეტეს - უკეთესი, სტატისტიკის გარეშე წარმოუდგენელია. ორგანიზაციის საქმიანობის პრინციპიც ამ მიმართულებით უაღრესად თვალსაჩინოდ ჩანს მის ვებ-გვერდზე განთავსებულ გრაფიკულ გამოსახულებაში:

---

<sup>50</sup> <http://unstats.un.org/unsd/trade/default.asp>

<sup>51</sup> <http://unstats.un.org/unsd/trade/methodology%20IMTS.htm>

<sup>52</sup> <http://unstats.un.org/unsd/tradeserv/msitsintro.htm>

<sup>53</sup> <http://unstats.un.org/unsd/tradeserv/tourism/Methodology.htm>

## OECD's way of working



თემები, რომლებიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კვლევის ინტერესში შედის, მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს: წარმოებას, სოფლის მეურნეობას, განათლებას, ჯანდაცვას, დასაქმებას, გარემოს დაცვას, ინოვაციებს, გადასახადებს, მექრთამეობას და ა.შ.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://www.oecd.org/>.

**ევროსტატი** ევროკავშირის სტატისტიკური ორგანოა. იგი დაარსდა 1953 წელს, როგორც ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოების სტატისტიკური განყოფილება. დროთა განმავლობაში მისი ფუნქციები ფართოვდებოდა და 1958 წელს, ევროპის საბჭოს დაფუძნების შემდეგ, გარდაიქმნა ევროპის კომისიის ზოგად დირექტორატად. ევროსტატი, დღევანდელი სახელწოდებით, საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა 1959 წელს, როგორც ევროპის თანამეგობრობის სტატისტიკური სამსახური. დღეისათვის მისი უმთავრესი ფუნქციაა ევროსტრუქტურების უზრუნველყოფა სტატისტიკური ინფორმაციით.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://ec.europa.eu/eurostat/about/overview>

ზემოაღნიშნული ორგანიზაციების გარდა სტატისტიკა კიდევ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ინტერესების სფეროშია. თუმცა, ყველა მათგანის ჩამოთვლა ჩვენი მიზანი არ არის. ჩვენი მიზანია ძირითადი მინიშნებები გავაკეთოთ იმ ორგანიზაციებსა და წყაროებზე, რომლებიც გამორჩეულად იღწვიან სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებისათვის და სტატისტიკურ მონაცემთა ბაზების შექმნასა და განვითარებაზე.



## ინდივიდუალური სამუშაო

### დავალება 1

გამოიყენეთ ინტერნეტრესურსები და შეისწავლეთ თქვენს მიერ შერჩეული საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკური სამსახურის ამოცანები, სტრუქტურა, მისი კომპეტენციის ქვეშ არსებული სტატისტიკის მიმართულებები, ძირითადი პუბლიკაციები და მონაცემთა ბაზები; იმსჯელეთ თქვენი კვლევის შედეგებზე ჯგუფში; რა რეკომენდაციებს მისცემდით თქვენს მეგობრებს თქვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ბიზნესის რომელი მიმართულებებისათვისაა რეკომენდებული თქვენს მიერ შერჩეული საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკური სამსახურის მონაცემების გამოყენება, ამომწურავია ისინი, თუ საჭიროებენ შევსებას სხვა ორგანიზაციების მონაცემებით; კონკრეტულად რომელი ორგანიზაციების მონაცემებით შეავსებდით მათ უფრო დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად?

## თემა 8. მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტები

### 8.1. წინაპირობები

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვეყნებს შორის გლობალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებამ მრავალი ურთიერთგადაჯაჭვული პრობლემა წარმოშვა, რაც, შესაბამისად, ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების მწვავე მსჯელობის საგნად იქცა. ფინანსური ურთიერთობებისა და სავაჭრო კავშირების გაფართოების კვალობაზე სხვადასხვა ეკონომიკების ერთმანეთზე ზემოქმედების ხარისხი იმდენად გაიზარდა, რომ თითოეული ქვეყანა სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესების პირდაპირი თუ ირიბი მონაწილე გახდა. ფინანსური ნაკადების ინტენსივობამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ რომელიმე ქვეყნის ფინანსურმა თუ სავალუტო რყევებმა ინფექციის მსგავსად იწყო გავრცელება სხვა ქვეყნებში. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ლათინური ამერიკის 1994-1995 წლების კრიზისი, რომელიც “ტეკილას კრიზისის” სახელით არის ცნობილი, ინდონეზიის, კორეის, მალაიზიის, ფილიპინებისა და ტაილანდის კრიზისები 1997-1998 წლებში, აგრეთვე რუსეთის 1998 წლისა და თურქეთის 2000-2001 წლების კრიზისები. ამდენად, პრობლემის გარდუვალობამ დღის წესრიგში დააყენა აღნიშნული “ინფექციის კერების” დროულად აღმოჩენისა და გავრცელების თავიდან აცილების აქამდე უცნობი ინსტრუმენტების გამონახვა და ამოქმედება.

1994-1995 წლების საერთაშორისო ფინანსური კრიზისის ფონზე (რაც დაიწყო მექსიკის პესოს კრიზისით) ნათელი გახდა, რომ ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების ნაკლებ საჯაროობა შეუძლებელს ხდის მაკროეკონომიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და რეალიზაციას, რასაც უკიდურესად მწვავე შედეგები მოსდევს არა მარტო ერთი მოცემული ქვეყნისათვის. აღნიშნული კრიზისისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების ანალიზის ფონზე გაცნობიერებულ იქნა, რომ სტატისტიკური სისტემების დამუშავებისას აუცილებელია გლობალიზაციის ფაქტორის გათვალისწინება. ქვეყნები სულ უფრო მეტ ინტერესს უნდა იჩენდნენ (და იჩენენ კიდევ) სხვა ქვეყნების სტატისტიკური მონაცემების გაცნობისადმი, რათა დროულად შეაფასონ მოსალოდნელი ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკაში და განსაზღვრონ თავიანთი მთავრობების მოქმედების სქემები ექსტრემალურ სიტუაციაში.

საერთაშორისო ფინანსური კრიზისების საერთო დამახასიათებელი ნიშნების კვლევისას სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კრიზისების თავისებურებები იმდენად განსხვავებულია, რომ იმ საერთო ნიშნების აღმოჩენა, რომლებიც კრიზისების პროგნოზირებას შეუწყობდა ხელს თითქმის შეუძლებელია. თუმცა, სპეციალისტების

მოსაზრება ერთიანი აღმოჩნდა იმ საკითხში, რომ სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური მონაცემების ფართო სპექტრის საჯაროობის გარეშე აღნიშნული პრობლემატიკის კვლევა, ანალიზი და პროგნოზირება შეუძლებელია. XX საუკუნის 90-იანი წლების კრიზისების სწრაფი გავრცელება სხვადასხვა ქვეყანაში სწორედ ინფორმაციის ნაკლებობამ და მათი დროული გაანალიზების შეუძლებლობამ გამოიწვია. განსაკუთრებული სირთულეები შეინიშნებოდა საერთაშორისო რეზერვების სტატისტიკის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ ასეთი სტატისტიკა მეტად მწირი იყო, მისთვის დამახასიათებელი იყო სერიოზული მეთოდოლოგიური განსხვავებები ქვეყნების მიხედვით, რის გამოც შეუძლებელი იყო ამ მონაცემების ურთიერთშედარება. არასაკმარისი იყო და ხშირად საერთოდ არ იყო ხელმისაწვდომი ინფორმაცია მოკლევადიანი ვალდებულებების შესახებ უცხოური ვალუტით, რომელიც ძალზედ მგრძობიარეა საგარეო შოკებისადმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალისტები ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბდნენ მონაცემთა საერთაშორისო ბაზების შექმნის აუცილებლობის საკითხში.

## 8.2. მონაცემთა გავრცელების სტანდარტების შემოღება

1994-1995 წლების კრიზისისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების გაანალიზების შედეგად საერთაშორისო ეკონომიკური წრეებისათვის ნათელი გახდა, რომ ეროვნული სტატისტიკური სისტემების ფუნქციონირებისას აუცილებელია თანამედროვე გლობალიზაციის ფაქტორის გათვალისწინება. ქვეყნებს უნდა მიეცეთ საშუალება მეტი წვდომა ჰქონდეთ სხვა ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებზე, რათა დროულად შეაფასონ მოსალოდნელი ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკაში და განსაზღვრონ თავიანთი მთავრობების მოქმედების სქემები ექსტრემალურ გარემოებებში. სწორედ სტატისტიკურ ინფორმაციაზე ნაკლებმა ხელმისაწვდომობამ და, შესაბამისად, მოსალოდნელი საფრთხის განჭვრეტის ინსტრუმენტების უქონლობამ განაპირობა XX საუკუნის 90-იანი წლების კრიზისების ესკალაცია. აღნიშნული პრობლემის გაცნობიერების ფონზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (შემდგომში – სსფ) მმართველთა საბჭოს დროებითმა კომიტეტმა (შემდგომში – დროებითი კომიტეტი) 1995 წლის აპრილში დაავალა ფონდის აღმასრულებელ საბჭოს შეემუშავებინა სტატისტიკური მაჩვენებლების გავრცელების საერთაშორისო სტანდარტი, წვერი სახელმწიფოების მიერ გამოსაყენებლად. 1995 წლის ოქტომბერში დროებითმა კომიტეტმა მოიწონა ასეთი საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც გულისხმობს ორ დონეს: სპეციალურს – მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტს (SDDS), იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ისწრაფვიან კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებში მონაწილეობისაკენ და ზოგადს – მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემას (GDSS) დანარჩენი წვერი ქვეყნებისათვის

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი სსფ-ს აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა 1996 წლის 29 მარტს, ხოლო 1997 წლის 19 დეკემბერს მანვე დაამტკიცა მონაცემთა გავრცელების

ზოგადი სისტემა, როგორც სახელმძღვანელო ფონდის წევრი ქვეყნებისათვის მონაცემთა გავრცელების სფეროში.

მონაცემთა გავრცელების სტანდარტები ოთხი ძირითადი კრიტერიუმით ხასიათდება. ესენია:

- მონაცემთა მოცვა,
- პერიოდულობა,
- დროულობა,
- გავრცელების პრაქტიკა.

მონაცემთა მოცვა გულისხმობს გამოსაქვეყნებელ მაჩვენებელთა წრეს, მათი დეტალიზაციის ხარისხს, აგრეთვე ამ მაჩვენებელთა გეოგრაფიულ და ინსტიტუციურ მოცვას.

პერიოდულობა გულისხმობს მონაცემთა შეგროვების სიხშირეს. ეს შეიძლება იყოს ყოველდღიური (უმეტესად, საპროცენტო განაკვეთები, გაცვლითი კურსი), ყოველთვიური (სარეზერვო აქტივები, ინფლაცია და ა.შ.), კვარტალური (მშპ, საგადასახდელო ბალანსი და სხვ.) და წლიური (მაგალითად, მოსახლეობა).

დროულობა გულისხმობს იმ დროის შუალედს, რამდენიც განსაზღვრულია მონაცემთა გამოქვეყნებისათვის საანგარიშო პერიოდის დამთავრების შემდეგ. ასეთი შუალედი მნიშვნელოვნად განსხვავებულია მაჩვენებლების მიხედვით. მაგალითად, მშპ-ს გამოსაქვეყნებლად საჭიროა დაახლოებით 3-დან 6 თვემდე პერიოდი საანგარიშო კვარტლის დამთავრების შემდეგ; გაცვლითი კურსები ქვეყნდება დაუყოვნებლივ, კურსის დადგენისთანავე.

გავრცელების პრაქტიკაში იგულისხმება გამოცდილება, თუ როგორ და როდის ხდება ინფორმაცია საჯარო, რა ფორმით, ელექტრონულად, ბეჭდური სახით, გაზეთებით, თუ რა გზით.

მონაცემთა ხარისხის შეფასების კრიტერიუმად გამოდის, ჯერ ერთი, მონაცემთა წყაროებისა და გაანგარიშების მეთოდების შესახებ დეტალური დოკუმენტაციის გამოქვეყნება; მეორე, დაწვრილებითი ცნობების გამოქვეყნება მაჩვენებელების შემადგენელი კომპონენტების შესახებ, მათი პირველად მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ, რამაც უნდა უზრუნველყოს ე.წ. ჯვარედინი შედარებები და დამაჯერებელი დასაბუთება. ინფორმაციის ასეთი დეტალური სისტემატიზაცია ნათლად წარმოაჩენს ხარვეზებს, თუ მათ ადგილი აქვთ ამა თუ იმ ქვეყნის სტატისტიკურ პრაქტიკაში და ამის საფუძველზე მონაცემთა გავრცელების ზოგადი სტანდარტი რეკომენდაციას იძლევა შედგეს სტატისტიკურ მონაცემთა სრულყოფის გეგმები (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი) არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

საიმედოობას უზრუნველყოფს, უპირველეს ყოვლისა, სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების მეთოდებისა და პროცედურების, ე.წ. მეტამონაცემების გამჭვირვალობა. სტატისტიკური მონაცემების საიმედოობა, საბოლოო ანგარიშში, ვლინდება საზოგადოების მხრიდან იმ უწყებისადმი ნდობაში, რომელიც პასუხისმგებელია ამა თუ იმ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებასა და გამოქვეყნებაზე. ამიტომაც, ჯერ ერთი, ინფორმაციის გამოქვეყნებამდე იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ თანამდებობის პირთათვის, რომლებსაც ევალებათ ამ მონაცემთა



კომენტირება; მეორე, მონაცემებთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს ცნობები ამ მონაცემთა მომზადების პირობების შესახებ, რაც გულისხმობს კონფიდენციალობის საკითხებსაც; მესამე, თუ ხდება ადრე გამოქვეყნებული მონაცემების ცვლილება, ასეთ შემთხვევაში ნათლად უნდა იყოს აღწერილი ცვლილებების მიზეზები.

საჯაროობა აუცილებელი მოთხოვნაა სტატისტიკური ინფორმაციისადმი. ამასთან, იგი გულისხმობს, ჯერ ერთი, სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების გრაფიკების დროულად გავრცელებას და მეორე, ყველა მომხმარებლისათვის ინფორმაციის ერთდროულად მიწოდებას. ამასთან, რეკომენდებულია სტატისტიკური გამოცემების დიზაინის ერთგვაროვნების დაცვა, ამა თუ იმ გამოცემისათვის დამახასიათებელი ემბლემის, გარეკანის ფერის და სხვა გარეგნული ნიშნების გათვალისწინება, რაც მომხმარებლის ყურადღებას უნდა იქცევდეს.

ამდენად, თუ ერთი მხრივ, მონაცემთა გავრცელების სტანდარტების დანიშნულებაა პოლიტიკის მკეთებელთა, მთავრობების, ბიზნესების, საზოგადოების, პრესისა და აკადემიური წრეების მომარაგება მათთვის საჭირო ინფორმაციით, მეორე მხრივ, იგი ემსახურება სტატისტიკური მონაცემებისადმი სისტემური მიდგომის დანერგვისა და განვითარების პროცესების ხელშეწყობას.

### 8.3. მეტაინფორმაციული სისტემა და მისი დანიშნულება

მონაცემების გავრცელებისადმი სისტემური მიდგომის დანერგვა და განვითარება, პირველ რიგში, გულისხმობს მეტაინფორმაციული სისტემის განვითარებას - სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად მეტამონაცემების შემუშავებას, გამოქვეყნებას და მათი ხარისხის სისტემატურ სრულყოფას.

მეტამონაცემები წარმოადგენს მონაცემებს, რომლებიც აღწერს სხვა მონაცემებს. მისი დანიშნულებაა ახსნას მოცემული ინფორმაცია სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით, როგორებიცაა ინფორმაციის წყარო, წარმოების პერიოდულობა, სტატისტიკური კონცეფციები და განმარტებები, გამოყენებული მეთოდოლოგია და ა.შ. არსებობს სავალდებულო მეტამონაცემები, პირობითი და დამატებითი (არასავალდებულო) მეტამონაცემები.

**სავალდებულო მეტამონაცემები**, რომლებიც აუცილებელია ახლდეს სტატისტიკურ ცხრილებს, გრაფიკებს, დიაგრამებს, რუკებს, შემდეგია:

- სათაური;
- სტატისტიკური ერთეული: ერთეული, რომლის მიხედვითაც არის შედგენილი სტატისტიკა (მაგ.: ფიზიკური პირები, შინამეურნეობები, საწარმოები და ა.შ.);
- დაკვირვების არეალი: ქვეყანა ან გეოგრაფიული არეალი, რომელსაც მოიცავს წარმოდგენილი მონაცემები;



- დაკვირვების პერიოდი: დროის მონაკვეთი, რომელსაც მოიცავს წარმოდგენილი მონაცემები (კონკრეტული თვე, კვარტალი, წელი);
- ზომის ერთეული: ერთეული, რომელშიც არის გაზომილი მოცემული მონაცემები;
- მონაცემების წყარო: ორგანიზაცია, რომელიც არის მოცემული მონაცემების მწარმოებელი;
- სტატისტიკური კონცეფციები და განმარტებები: მონაცემების მნიშვნელობის აღწერა. სტატისტიკის მწარმოებლის განმარტებების ცოდნას ამა თუ იმ მონაცემთან დაკავშირებით გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლის მიერ მის ხელთ არსებული ინფორმაციის სწორი ინტერპრეტაციისათვის.

**პირობითი მეტამონაცემები**, რომლებიც შენიშვნის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი, ხსნის გარკვეულ მონაცემებს შორის განსხვავების მიზეზებს. ასეთი მონაცემები შეიძლება იყოს:

- გეოგრაფიული: სხვადასხვა გეოგრაფიული არეალების მონაცემებს შორის განსხვავებების ასახსნელად;
- დროითი: სხვადასხვა პერიოდების მონაცემებს შორის განსხვავებების ასახსნელად;
- მონაცემების პირველადი წყარო: აღწერს იმ პირველად წყაროს, რასაც ეყრდნობა სტატისტიკური აგრეგატების გაანგარიშება. მაგალითად, პირველადი წყარო შესაძლებელია იყოს გამოკვლევა, ადმინისტრაციული წყარო და ა.შ. შესაბამისი მეტამონაცემები კი აღწერს მათთან დაკავშირებულ პროცედურებს, მიდგომებსა და მეთოდებს (მაგალითად, შერჩევის ზომა, შერჩევის არეალი და სხვ.).
- სიმბოლოები და აბრევიატურები: ნებისმიერი სიმბოლო, აბრევიატურა და ა.შ. რომლებიც გამოყენებულია მონაცემების წარმოდგენისას, უნდა იყოს ახსნილი.

**დამატებითი (არასავალდებულო) მეტამონაცემები** ემსახურება მომხმარებელთა უკეთეს გაგნობიერებას წარმოდგენილი მონაცემების სპეციფიკაში, რაც სასარგებლოა მონაცემთა ადეკვატური ინტერპრეტაციისთვის. ასეთ მეტამონაცემებს მიეკუთვნება:

- მონაცემთა სიზუსტის შესახებ ინფორმაცია (მონაცემთა შეფასების მეთოდები, მოცვა, შერჩევა, გამოუპასუხებლობის დონე და ა.შ.);
- საკონტაქტო ინფორმაცია;
- დამატებითი ინფორმაცია: ბმულები წარმოდგენილი მონაცემების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, დაკავშირებული ანალიტიკური მასალები, ზოგადი ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს წარმოდგენილი მონაცემების უკეთეს გაგებას და ა.შ.

მეტამონაცემები ორი ტიპისაა: სტრუქტურული და საცნობარო.

**სტრუქტურული მეტამონაცემები** აღწერს მონაცემებს, მაგალითად, სვეტებისა და სტრიქონების დასახელების მიხედვით, მონაცემთა ბაზებში მსაზღვრელების დასახელების მეშვეობით და ა.შ.


**საცნობარო მეტამონაცემები** აღწერს სტატისტიკური მონაცემების კონცეფციებს, მეთოდებსა და ხარისხს.

**კონცეპტუალური მეტამონაცემები** აღწერს მონაცემთა წარმოებისას გამოყენებულ კონცეფციებს, რომლებიც მომხმარებლებს აცნობს რა მონაცემებთან გვაქვს საქმე, როგორ გამოვიყენოთ ისინი და ა.შ.

**მეთოდოლოგიური მეტამონაცემები** გვამცნობს მონაცემთა ფორმირების მეთოდების შესახებ, როგორებიცაა შერჩევის მეთოდები, მოპოვების მეთოდები, კორექტირების პროცედურები და ა.შ.

**ხარისხთან დაკავშირებული მეტამონაცემები** აღწერს სხვადასხვა ხარისხობრივ განსაზღვრებებს მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, როგორებიცაა დროულობა, სიზუსტე და ა.შ.

**სქემა 8.1. სტატისტიკური მეტამონაცემების სტრუქტურა**



მეტამონაცემებში გარკვევა მომხმარებელს ეხმარება მის ხელთ არსებული მონაცემების სწორ ინტერპრეტაციაში. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რამდენად სწორად გვესმის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების შინაარსი, მათი განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები, მარტო ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ არ არის საკმარისი. როგორც მომხმარებლებმა, უნდა დავსვათ კითხვები და შევეცადოთ ვიპოვოთ პასუხები მათზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მზად ვართ შევეცადოთ გამოვთქვათ მოსაზრებები ამ მონაცემებთან დაკავშირებით, ე.ი. გავაკეთოთ მონაცემთა სწორი ინტერპრეტაცია.

კითხვების სიმრავლე დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გამჭრიახობაზე. თუმცა, პირველ რიგში გასარკვევია რამდენიმე აუცილებელი საკითხი. კერძოდ:


1. ინფორმაციის ავტორის ვინაობა (წყარო);
2. ინფორმაციის წყარო პირველადია (ანუ თვითონ აგროვებს წყარო მონაცემებს), თუ მეორადი (სხვის მოპოვებულ ინფორმაციას ხომ არ აქვეყნებს);

3. ინფორმაციის პირველად წყაროს ხომ არა აქვს მონაცემების დამახინჯების მიზეზი (მოტივი);
4. თუ ინფორმაცია მეორადი წყაროდან მოდის, შესაძლებელია თუ არა რომ მონაცემები რაიმე მიზეზით იყოს დამახინჯებული;
5. რამდენად აუცილებელია მონაცემების შეგროვების მეთოდების, შერჩევის ტექნიკის, გამოპასუხების კოეფიციენტის შესახებ ინფორმაციის გაცნობა;
6. თუ ინფორმაცია მიღებულია შერჩევითი გამოკვლევის შედეგად, რამდენად ადეკვატურია შერჩევის ზომა;
7. რამდენად ადვილი იყო გასაგებად გამოკვლევის კითხვარი;
8. რამდენად გასაგები იყო გამოკვლევის კითხვარში მოცემული ცვლადების განმარტებები;
9. რამდენად არის შესაბამისობაში კითხვარის ცვლადები და მათი განმარტებები ერთმანეთთან.

ამდენად, მონაცემთა სწორი ინტერპრეტაცია მოითხოვს მათ შესახებ რაც შეიძლება დეტალური მეტამონაცემების მოპოვებას და მათში საფუძვლიანად გარკვევას.

#### 8.4. მონაცემთა გავრცელების სტანდარტები და მათი მახასიათებლები

დღეისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სტანდარტები მოიცავს სამი დონის სტანდარტს. ესენია e-GDDS, SDDS და SDDS PLUS.



მონაცემთა გავრცელების საწყისი სტანდარტი ეს არის მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის (GDDS) გაფართოებული ვერსია e-GDDS. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა

გავრცელების სტანდარტების ინიციატივების მე-9 განახლების განხილვისას 2015 წლის მაისში, ფონდის აღმასრულებელმა დირექტორებმა წამოაყენეს წინადადება მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის GDDS-ის ჩანაცვლების თაობაზე გაფართოებული მონაცემთა გავრცელების სისტემით - e-GDDS-ით, რაც მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა ფონდის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2015 წლის 1 ივლისს. ამ ნაბიჯით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანი იყო წევრი ქვეყნების მონაცემთა გამჭვირვალობისა და ღიაობის ხელშეწყობა.

e-GDDS-ის მიზანია:

- მონაწილე ქვეყნების წახალისება თავიანთი სტატისტიკური სისტემების გაუმჯობესების მიზნით;
- მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის განვითარების ჩარჩოს შეთავაზება;
- წევრი ქვეყნების დახმარება ყოვლისმომცველი, დროული, ხელმისაწვდომი ეკონომიკური, ფინანსური და სოციალ-დემოგრაფიული მონაცემების გავრცელების საქმეში.

e-GDDS-ის მონაწილე ქვეყნებს მოეთხოვებათ e-GDDS-ის ჩარჩოს გამოყენების ვალდებულების აღება, ქვეყნის კოორდინატორის დანიშვნა და მეტამონაცემების მომზადება, სადაც აღწერილი უნდა იყოს ქვეყანაში სტატისტიკის წარმოების მიმდინარე პრაქტიკა და მისი გაუმჯობესების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ამოცანები.

e-GDDS-ის დაფუძნების შემდეგ, ყველა ქვეყანა, რომელიც იყო GDDS-ის წევრი, ავტომატურად გახდა e-GDDS-ის წევრი 2015 წლიდან.

განსხვავებით GDDS-ისაგან, e-GDDS-ის მოთხოვნაა ქვეყნების მიერ 15 კატეგორიის არსებითი მონაცემების გამოქვეყნება მაკროეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისათვის. ეს კატეგორიებია:

- 1. მონაცემთა სასურველი კატეგორიები**
  - **რეალური სექტორის სტატისტიკა**
    - ეროვნული ანგარიშები (მშპ)
    - სამომხმარებლო ფასების ინდექსი
  - **ფისკალური სექტორის სტატისტიკა**
    - მთავრობის ოპერაციები
    - ცენტრალური მთავრობის ოპერაციები
    - ცენტრალური მთავრობის ვალი
  - **ფინანსური სექტორის სტატისტიკა**
    - დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
    - ცენტრალური ბანკის მიმოხილვა
    - საპროცენტო განაკვეთები
    - საფონდო ბაზარი
  - **საგარეო სექტორის სტატისტიკა**
    - საგადასახდელი ბალანსის სტატისტიკა

- საგარეო ვალი
- ოფიციალური სარეზერვო აქტივები
- საგარეო ვაჭრობა
- საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია
- გაცვლითი კურსი

## **2. მონაცემთა დამატებითი კატეგორიები**

- წარმოების ინდექსი
- შრომის ბაზარი
- მწარმოებელთა ფასების ინდექსი
- ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები

## **3. დემოგრაფიული და ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორები**

- მოსახლეობა
- სოციალ-დემოგრაფიული ინდიკატორები

e-GDDS ქვეყნებს სთავაზობს სტატისტიკის გავრცელების სტანდარტების ჩარჩოს და სტანდარტიზებულ პლატფორმას მონაცემთა გამოქვეყნებისათვის. ბევრი ქვეყანა იყენებს e-GDDS-ს მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტზე (SDDS) წარმატებით გადასვლისათვის. ამ სტანდარტში მონაწილეობა გარკვეულწილად ნიშნავს იმისა, რომ მონაწილე ქვეყანას აქვს სერიოზული განზრახვა განავითაროს და სრულყოს თავისი სტატისტიკური სისტემა, რამდენადაც სტანდარტის მოთხოვნების ანალიზი ხელს უწყობს იმის წარმოჩენას. თუ სად რა ნაკლოვანებები აქვს სტატისტიკას მოცემულ ქვეყანაში.

ესა თუ ის ქვეყანა ნებაყოფლობით იღებს გადაწყვეტილებას მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემაში მონაწილეობის შესახებ. მთავარია, რომ ქვეყანამ გააკეთოს განაცხადი, აიღოს ზემოაღნიშნული 15 კატეგორიის მაჩვენებლიდან უმეტესობის გამოქვეყნების ვალდებულება და გამოაქვეყნოს მეტამონაცემები. დღეისათვის e-GDDS სტანდარტის მონაწილეები არიან უმეტესად განვითარებადი და საშუალო-შემოსავლიანი ქვეყნები. 2017 წლის ნოემბრის მდგომარეობით e-GDDS-ის წევრია 111 ქვეყანა (მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს <http://dsbb.imf.org/Pages/GDDS/Home.aspx>).

**მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი (SDDS)** შეიქმნა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ოპერირებენ საერთაშორისო ფინანსურ და კაპიტალის ბაზრებზე, ან აქვთ განზრახვა გახდნენ ასეთი ბაზრების მოთამაშეები. ამ სტანდარტის მონაწილეებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ უფრო ფართო სპექტრი ისეთი მაჩვენებლებისა, რომლებიც აღწერენ მათი ეკონომიკების სტაბილურობისა და სხვადასხვა რისკებისადმი მათ მედეგობის ხარისხს და ამით ხელი შეუწყონ ფინანსური ბაზრების ნორმალურ ფუნქციონირებას. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის მონაწილე ქვეყნები ისეთი დიდი ეკონომიკებია, როგორებიცაა ბრაზილია, ჩინეთი და ინდოეთი, აგრეთვე განვითარებული ეკონომიკების ისეთი წარმომადგენლები, როგორებიცაა ავსტრალია, ბელგია, ფინეთი, ირლანდია.

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტით გამოსაქვეყნებელი მონაცემების კატეგორიებია:

- **რეალური სექტორის სტატისტიკა**
  - ეროვნული ანგარიშები
  - წარმოების ინდექსი
  - წინმსწრები ინდიკატორები
  - შრომის ბაზარი: დასაქმება
  - შრომის ბაზარი: უმუშევრობა
  - შრომის ბაზარი: ხელფასი
  - ფასების ინდექსი: მწარმოებელთა ფასები
  - ფასების ინდექსი: სამომხმარებლო ფასები
- **ფისკალური სექტორის სტატისტიკა**
  - მთავრობის ოპერაციები
  - მთავრობის მთლიანი ვალი
  - ცენტრალური მთავრობის ოპერაციები
  - ცენტრალური მთავრობის ვალი
  - მთავრობის ვალი
- **ფინანსური სექტორის სტატისტიკა**
  - დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
  - ცენტრალური ბანკის მიმოხილვა
  - საპროცენტო განაკვეთები
  - ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები
  - საფონდო ბაზარი: აქციების ფასების ინდექსი
- **საგარეო სექტორის სტატისტიკა**
  - საგადასახდელი ბალანსის სტატისტიკა
  - საერთაშორისო რეზერვები და უცხოური ვალუტის ლიკვიდობა
  - საგარეო ვაჭრობა
  - საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია
  - საგარეო ვალი
  - გაცვლითი კურსი
- **სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები**
  - a. მოსახლეობა

2012 წლის ოქტომბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სტანდარტებს შეემატა ახალი, უფრო მაღალი დონის ინიციატივა - *მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი პლუსი (SDDS Plus)*, რომლის მიზანია იმ ინფორმაციული ნაკლოვანებების დაძლევა, რაც კრიტიკული აღმოჩნდა 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის დროს. აღნიშნული სტანდარტის მონაწილეები არიან ისეთი ეკონომიკები, რომლებიც წამყვან როლს თამაშობენ კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე და გააჩნიათ სისტემურად მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორი. ამასთან, ეს ახალი ინიციატივა მიმართულია სწორედ იმ

ქვეყნების სტატისტიკური სისტემების შემდგომი გაძლიერებისაკენ, რომლებსაც გააჩნიათ სისტემატურად მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორი. იგი გულისხმობს მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის მოთხოვნების გაძლიერებას ფინანსური სექტორის სხვა დამატებითი მაჩვენებლებით.

2017 წლის ნოემბრის მდგომარეობით SDDS Plus-ის წევრია 14 ქვეყანა (მეტი ინფორმაციის-თვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://dsbb.imf.org/Pages/SDDS/CountryList.aspx?sp=y>). ეს ქვეყნებია, აშშ, იაპონია და დასავლეთ ევროპის არაერთი ქვეყანა, აგრეთვე ბულგარეთი და ჩეხეთი.


მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი პლუსის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ დამატებით 9 კატეგორიის მონაცემები.

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი პლუსის ფარგლებში გამოსაქვეყნებელი მაჩვენებლების კატეგორიებია:

- **რეალური სექტორის სტატისტიკა**
  - ეროვნული ანგარიშები
  - წარმოების ინდექსი
  - წინმსწრები ინდიკატორები
  - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სექტორული ნაშთები
  - შრომის ბაზარი: დასაქმება
  - შრომის ბაზარი: უმუშევრობა
  - შრომის ბაზარი: ხელფასი
  - ფასების ინდექსი: სამომხმარებლო ფასები
  - ფასების ინდექსი: მწარმოებელთა ფასები
- **ფისკალური სექტორის სტატისტიკა**
  - მთავრობის ოპერაციები
  - მთავრობის მთლიანი ვალი
  - ცენტრალური მთავრობის ოპერაციები
  - ცენტრალური მთავრობის ვალი
- **ფინანსური სექტორის სტატისტიკა**
  - დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა
  - ცენტრალური ბანკის მიმოხილვა
  - სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვა
  - საპროცენტო განაკვეთები
  - ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები
    - საზედამხედველო პირველადი კაპიტალი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან
    - საზედამხედველო პირველადი კაპიტალი აქტივებთან
    - წმინდა უმოქმედო სესხები კაპიტალთან
    - უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან
    - უკუგება აქტივებზე

- ლიკვიდური აქტივები მოკლევადიან ვალდებულებებთან
  - საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასები
- სავალო ფასიანი ქაღალდები
- საფონდო ბაზარი: აქციების ფასების ინდექსი
- **საგარეო სექტორის სტატისტიკა**
  - საგადასახდელი ბალანსის სტატისტიკა
  - საერთაშორისო რეზერვები და უცხოური ვალუტის ლიკვიდობა
  - საგარეო ვაჭრობა
  - საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია
  - კოორდინირებული პორტფელის ინვესტიციების მიმოხილვა
  - კოორდინირებული პირდაპირი ინვესტიციების მიმოხილვა
  - საგარეო ვალი
  - გაცვლითი კურსი
  - ოფიციალური უცხოური ვალუტის რეზერვების სავალუტო შემადგენლობა
- **სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები**
  - a. მოსახლეობა

დიაგრამა 8.1. მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებში მონაწილე ქვეყნების გეოგრაფია





მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელოვანი ატრიბუტია **ერთიან მონაცემთა ეროვნული გვერდი (NSDP)**.

ერთიან მონაცემთა ეროვნული გვერდი წარმოადგენს სპეციალურ პორტალს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სტანდარტებში. იგი მომხმარებელს სთავაზობს მონაცემებს, მეტამონაცემებს და აგრეთვე ბმულებს მონაცემთა მწკრივებზე წვდომისათვის. მისი ერთიანი ფორმატი მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს ადვილად შეადაროს ერთმანეთს მისთვის საინტერესო ქვეყნების მონაცემები; მომხმარებელს საშუალება აქვს დააკვირდეს სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკას მონაცემთა გავრცელების სფეროში, მათ მიერ გამოქვეყნებული წინასწარი კალენდრის დაცვის გამოცდილებას და ა.შ.

ერთიან მონაცემთა ეროვნული გვერდის სტანდარტიზებული ფორმატი აიოლებს ქვეყნების სტატისტიკური მაჩვენებლების შედარების პროცედურებს, მოსახერხებელია მონაცემთა გავრცელების მონიტორინგისათვის და მოხერხებულია მონაცემებზე ადვილად წვდომისათვის

**მონაცემთა გამოქვეყნების წინასწარი კალენდარი (ARC)** მონაცემთა გავრცელების სტანდარტების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი იძლევა ინფორმაციას, თუ როდის გახდება მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი. მასში რამდენიმე გზავნილი იკითხება:

- იგი უზრუნველყოფს იმას, რომ საზოგადოებისთვის მონაცემები ხელმისაწვდომი ხდება ერთდროულად, რომ არავის, არცერთ ბაზარზე არ მიუწვდება მონაცემებზე ხელი წინასწარ;
- იგი ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ მონაცემთა გავრცელება სავალდებულოა;
- მისი დაცვის მონიტორინგს ახორციელებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
- მისი ხშირად დარღვევის მიზეზები ექვემდებარება კვლევას და შესაძლოა ტექნიკური დახმარების მოთხოვნის საბაზი გახდეს.

სტატისტიკურ მონაცემთა მომხმარებლების ერთნაირ პირობებში ჩაყენება მონაცემებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც საფონდო ბირჟებია, რადგანაც მათი მონაწილეთა ნაწილისთვის ამ პრივილეგიის მიცემა, დიდი ალბათობით, მეორე ნაწილის დაზარალებას გამოიწვევს.

წინასწარი კალენდრის გამოქვეყნება სტატისტიკის მწარმოებელს მეტად ორგანიზებულს ხდის მონაცემთა განრიგის მიხედვით გამოქვეყნების მიმართ, რითაც იგი მეტ ნდობას და კეთილგანწყობას იმსახურებს მომხმარებლის მხრიდან. მონაცემთა გავრცელების კალენდარი, როგორც წესი, ხელმისაწვდომია 4 თვით ადრე მონაცემთა გამოქვეყნებამდე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, როგორც მონაცემთა გავრცელების სტანდარტების შემოღების ინიციატორი, ყოველთვიურ მონიტორინგს ახორციელებს, თუ როგორ იცავენ ქვეყნები მონაცემთა გავრცელების სტანდარტებს, ხომ არ აქვს ადგილი ვადების დარღვევას, ანუ წინასწარი კალენდრით განსაზღვრულ ვადებზე გვიან ან ადრე გამოქვეყნებას. მონიტორინგის შედეგების გაანალიზება ხდება ყოველთვიურ ანგარიშებში, რაც ეგზავნება ამა თუ იმ ქვეყანაში

სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების წინასწარი კალენდრის დარღვევა უარყოფითი სიგნალია როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ისე სხვა ფინანსური ორგანიზაციებისა და დონორებისათვის ქვეყანაში სტატისტიკისადმი გულგრილი დამოკიდებულების შესახებ.

## 8.5. საქართველოს მონაწილეობა მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებში

მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემაში მონაწილეობის სურვილი საქართველომ ჯერ კიდევ 2002 წელს გამოთქვა. ამავე წლის ივლისში საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამკვირიანმა მისიამ შეაფასა საქართველოში სტატისტიკის განვითარების, კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტებისა და წესების დაცვის მდგომარეობა და შესაბამისი ანგარიში (Georgia: Report on Observance of Standards and Codes (ROSC) – Data Module) 2003 წლის 27 მაისს გამოაქვეყნა თავის ინტერნეტ-გვერდზე. ანგარიშში ნათქვამია, რომ სტატისტიკის მთელ რიგ სფეროებში საქართველოში კარგი პროგრესია მიღწეული, თუმცა არის ნაკლოვანებებიც, რომელთა გამოსწორებაც დამატებით რესურსებს მოითხოვს. ეს ანგარიში, გარდა იმისა, რომ ხაზს უსვამს სტატისტიკის მნიშვნელობას საერთოდ და მათ შორის საქართველოში, აგრეთვე წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს საქართველოს სტატისტიკური მონაცემებით დაინტერესებული მომხმარებლისათვის, იმ აზრით, რომ მასში აღწერილია, თუ რამდენად დაცულია საქართველოს სტატისტიკურ პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტები, რამდენად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია შესაბამისი მონაცემები მომხმარებლისათვის, როგორია მონაცემთა გამოქვეყნების ვადები და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს სტატისტიკაში საერთაშორისო სტანდარტებისა და წესების დაცვის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის სტატისტიკის ისტორიაში, რომელმაც გარკვეული წინაპირობა შექმნა იმისათვის, რომ საქართველოს გამოეხატა მზადყოფნა მიერთებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კიდევ ერთ ინიციატივას – მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემას (GDDS). აღნიშნულის თაობაზე წევრ ქვეყნებს (რომლებიც არ იყვნენ მიერთებული GDDS-ს) და მათ შორის საქართველოს, ფონდმა შესთავაზა 2001 წლის წლიურ შეხვედრაზე, ხოლო ოფიციალური მოლაპარაკებები ამ თემაზე დაიწყო 2002 წელს. მცირე პაუზის შემდეგ, 2005 წლიდან მოლაპარაკებები კვლავ განახლდა და გადაიდგა კიდევ სათანადო ნაბიჯები მეტამონაცემების პროექტების მომზადების თვალსაზრისით სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურში და ოფიციალურ სტატისტიკაზე პასუხისმგებელ სხვა სახელმწიფო ორგანოებში, კერძოდ, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროში. ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა აღნიშნული მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2006 წლის 8-22 ნოემბრის მისიის სამუშაო პროგრამის ფარგლებში.

2006 წლის 15 დეკემბრიდან საქართველომ დაიწყო მონაწილეობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემაში, რაც სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია

ქვეყნის სტატისტიკური სისტემის განვითარების თვალსაზრისით და გულისხმობს საქართველოში სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების პრაქტიკის შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაციის გამოქვეყნებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სტანდარტების ბიულეტენის სტენდზე (DDBB).

2010 წლის 17 მაისიდან საქართველო მიუერთდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტს (SDDS).

## 8.6. რა უპირატესობა აქვს მონაცემთა გავრცელების სტანდარტებში მონაწილეობას?

მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტში მონაწილეობას დიდ ყურადღებას აქცევენ ინვესტორები, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის ამაღლებისთვის და ზოგადად, ქვეყნის მიმართ ნდობის დამკვიდრებისთვის. საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციები (S&P, Fitch, Moody's), ქვეყნების შეფასებისას ყურადღებას აქცევენ SDDS-ში მათ მონაწილეობას.

SDDS-ში მონაწილეობა არსებითად ამცირებს საპროცენტო განაკვეთებს სასესხო ვალდებულებების გამოშვებისას. სტანდარტების გამოყენება ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის ნომინალური კურსის სტაბილურობას. გარდა ამისა, საგარეო ვალის რესტრუქტურირებისას პარიზის კლუბის წევრი ქვეყნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტში დებიტორი ქვეყნის მონაწილეობას.

მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტში მონაწილეობა სასარგებლოა როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ისე მის განხორციელებაში უშუალოდ ჩაბმული უწყებებისთვის.

სტანდარტის მოთხოვნების დაცვა დადებით გავლენას ახდენს ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის შემდგომ სრულყოფაზე და რაც მთავარია, პოზიტიური სიგნალია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინვესტორებისათვის.

გარდა მონაცემთა გავრცელების სტანდარტებისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოთავეა არაერთი ინიციატივისა, რომლებშიც მონაწილეობაც ეხმარება წევრ ქვეყნებს აამაღლონ თავიანთი სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და საიმედოობა. ერთ-ერთ ასეთ ინიციატივას მოეკუთვნება მონაცემთა ხარისხის შეფასების საფუძველი (DQAF; 1997). იგი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც საფუძველს აძლევს ქვეყნებს შეაფასონ ეროვნული სტატისტიკური სისტემების ძლიერი და სუსტი მხარეები და განახორციელონ სტატისტიკური პოტენციალის განვითარების პროცესის მონიტორინგი. მონაცემთა ხარისხის შეფასების საფუძველი ემყარება გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს და მონაცემთა გავრცელების სტანდარტებს.

მონაცემთა ხარისხის შეფასების საფუძველი ყოვლისმომცველი ინსტრუმენტია, რომელიც აერთიანებს რა სტატისტიკის სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, უზრუნველყოფს მონაცემთა ხარისხის შეფასებისადმი სისტემურ და თანმიმდევრულ მიდგომას.

სტატისტიკურ მონაცემთა გავრცელების სტანდარტებთან მჭიდრო კავშირშია სტატისტიკური მონაცემების და მეტამონაცემების გაცვლის ინიციატივა (SDMX). ეს არის მონაცემთა გაცვლის ფორმატი, რომელიც თავდაპირველად ემსახურებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლას, თუმცა ახლა მისი მიზანია მასში აქტიურად ჩაერთონ ქვეყნებიც. მონაცემთა გაცვლის აღნიშნული ფორმატის დანერგვის მიზანია შეამციროს წევრი ქვეყნების ტვირთი, რაც დაკავშირებულია მონაცემთა მიწოდებასთან, უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემებსა და მეტამონაცემებზე წვდომა და აამაღლოს მათი დროულობა.

თუ ქვეყანა არღვევს მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის მოთხოვნებს, ეს შესაძლოა გახდეს მიზეზი, რომ დაიწყოს სტანდარტების დარღვევის პროცედურები და საბოლოოდ ქვეყანას შეუჩერდეს მონაცემთა გავრცელების აღნიშნული სტანდარტის წევრობა. მიუხედავად ამისა, დღემდე არცერთი ქვეყანა არ მისულა ასეთ გართულებამდე.

ასეთი დიდი ყურადღება მონაცემთა გავრცელების სტანდარტებისადმი და მათი მოთხოვნების დაცვისადმი გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ ინიციატივას განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს სტატისტიკურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. პოლიტიკის გამტარებლებს, მთავრობებს, ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებს, აკადემიურ წრეებს, ინვესტორებს, დონორებს და რა თქმა უნდა შინამეურნეობებს სჭირდებათ ინფორმაცია, რათა გამოიყენონ თავიანთ საკანონმდებლო, მარეგულირებელ, კვლევით, ანალიტიკურ საქმიანობაში, შეაფასონ ბიზნეს გარემო ინვესტიციების განსახორციელებლად, დაეხმარონ ადამიანებს სიღარიბის დაძლევაში, მიიღონ გადაწყვეტილებები სად, როდის და რა ზომით მოიხმარონ მათთვის საჭირო საქონელი და მომსახურება და ა.შ. მეორე მხრივ, მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებში მონაწილეობა ეხმარება მონაწილე ქვეყნების სტატისტიკურ სისტემებს განვითარდნენ, აღმოაჩინონ ნაკლოვანებები თავიანთ საქმიანობაში, გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება, დანერგონ ახალი სტატისტიკური პროდუქტები და გააუმჯობესონ სტატისტიკის წარმოების თავიანთი ბიზნეს პროცესები.

## 8.7. საერთაშორისო სტატისტიკური გამოცემებისა და წყაროების მიმოხილვა

სტატისტიკური საქმიანობა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მათი მრავალფეროვანი გამოცემები მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი სტატისტიკურ მონაცემთა ბაზების ერთ-ერთი სოლიდური მფლობელია. მისი გამოცემები მოიცავს საერთაშორისო ფინანსებს, საგადასახდელო ბალანსს, საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას, მონეტარულ სტატისტიკას, სამთავრობო სტატისტიკას, საპროცენტო განაკვეთებს, გაცვლით კურსებს და მრავალ სხვა მიმართულებას.

*საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკა* საერთაშორისო სავალუტო ფონდი უმნიშვნელოვანესი გამოცემაა. მისი ბეჭდური ვერსია გამოიცემა 1948 წლის იანვრიდან ყოველთვიურად. მონაცემთა

ბაზა მოიცავს 200 ქვეყნისა და ტერიტორიის მონაცემებს, აგრეგირებულ მონაცემებს შერჩეული რეგიონების მიხედვით, აგრეთვე ჯამურ მონაცემებს მსოფლიო ეკონომიკის მიხედვით; მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა:

1. სამომხმარებლო ფასები, მწარმოებელთა ფასები, დასაქმება;
2. გაცვლითი კურსი, ეფექტური გაცვლითი კურსის ჩათვლით;
3. საგარეო სექტორის მონაცემები და საქონლით საგარეო ვაჭრობა;
4. მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი კომპონენტები;
5. სამთავრობო ფინანსები;
6. საპროცენტო განაკვეთები;
7. საერთაშორისო ლიკვიდობა;
8. მონეტარული მაჩვენებლები იმ ქვეყნების მიხედვით, რომლებიც არ აწარმოებენ სტანდარტიზებულ ფორმებს (არა-SRF ქვეყნები);
9. მონეტარული მაჩვენებლები იმ ქვეყნების მიხედვით, რომლებიც აწარმოებენ სტანდარტიზებულ ფორმებს (SRF ქვეყნები);
10. მოსახლეობა.

*საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის* ინტერნეტ-ვერსია უკავშირდება ისეთ მონაცემთა ბაზებს, როგორებიცაა საგადასახდელი ბალანსი და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა და მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა.


*საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის* ელექტრონული ბაზა<sup>54</sup> მოიცავს როგორც საგადასახდელი ბალანსებს (ანალიტიკურ წარმოდგენას), ისე საერთაშორისო ინვესტიციურ მდგომარეობას ქვეყნების მიხედვით, აგრეთვე მსოფლიოსა და რეგიონების მიხედვით; განმაზოგადებელ მაჩვენებლებს მშპ-თან მიმართებაში, მეტამონაცემებს და ბევრ საინტერესო მასალას. მაგალითად, მსოფლიო ქვეყნების მიმდინარე ანგარიშისა და წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის ინტერაქტიურ რუკებს, ქვეყნების პირველ ათეულებს სხვადასხვა განმაზოგადებელი მაჩვენებლის მიხედვით და სხვ.

## დიაგრამა 8.2. მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობა, 2018


---

<sup>54</sup> <https://data.imf.org/?sk=7A51304B-6426-40C0-83DD-CA473CA1FD52>






დიაგრამა 8.3. წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა, 2018



**მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის<sup>55</sup>** ელექტრონული ბაზა მოიცავს მონეტარულ მიმოხილვებს: ცენტრალური ბანკის, სხვა დეპოზიტური კორპორაციების, სხვა ფინანსური კორპორაციების; აგრეთვე ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორების მწკრივებს, როგორებიცაა საბაზისო ფული, ფართო ფული, სესხებს, უცხოურ აქტივებსა და ვალდებულებებს.

ამავე განყოფილებაში ქვეყნდება დეტალური მონეტარული სტატისტიკა, რომელიც ეფუძნება სტანდარტიზებულ საანგარიშგებო ფორმებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შედარებით ახალია მონეტარულ სტატისტიკაში, ქვეყნების რიცხვი, რომლებიც აწარმოებენ სტანდარტიზებულ საანგარიშგებო ფორმებს, საკმაოდ მასშტაბურია.

**დიაგრამა 8.4. მონეტარული სტატისტიკის წარმოების გავრცელების რუკა**




საერთაშორისო სავალუტო ფონდის გამოცემა ასევე **სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის წელიწადი (Government Finance Statistics Yearbook)**. იგი სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის სფეროში ძირითად გამოცემას წარმოადგენს. მასში გამოქვეყნებული დროითი მწკრივები ასახავს 40 წლიან პერიოდს და მოიცავს 140 ქვეყანას.

აღნიშნულ წელიწადულში სამთავრობო ფინანსების სტატისტიკურ მონაცემთა სტრუქტურას თვალსაჩინოდ ასახავს სქემა, რომელიც ქვემოთ არის მოცემული.

<sup>55</sup> <https://data.imf.org/?sk=B83F71E8-61E3-4CF1-8CF3-6D7FE04D0930>

სქემა 8.2. სამთავრობო ფინანსების სტატისტიკის წელიწდეულში გამოქვეყნებულ მონაცემთა სტრუქტურა





*მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა*<sup>56</sup> (World Economic Outlook) მოიცავს შერჩეულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს მსოფლიო მასშტაბით, ქვეყნების ჯგუფებისა და ცალკეული ქვეყნების მიხედვით. მონაცემთა ბაზები მოიცავს ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლებს, ინფლაციას, უმუშევრობის დონეს, საგადასახდლო ბალანსის მაჩვენებლებს, ფისკალურ ინდიკატორებს, საგარეო ვაჭრობას, საქონლის ფასებს. აღნიშნული მონაცემები 1980 წლიდან არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, ამ გამოცემაში ქვეყნდება ასევე მომავალი ორი წლის პროგნოზები აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით.

*ინვესტიციების მსოფლიო ანგარიში*<sup>57</sup> (World Investment Report) გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (United Nations Conference on Trade and Development) მიერ გამოცემული ერთ-ერთი ფუნდამენტური პუბლიკაციაა; გამოიცემა ყოველწლიურად 1991 წლიდან. მასში ქვეყნდება მსოფლიოს მასშტაბით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი მიმართულებები და ხდება ამ პროცესებთან დაკავშირებული ერთი რომელიმე თემის სიღრმისეული ანალიზი.

ინვესტიციების მსოფლიო ანგარიში ეხმარება პოლიტიკის გამტარებლებს თვალი ადევნონ გლობალურ და რეგიონალურ დონეზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქცევებს და საინვესტიციო პოლიტიკის განვითარების ტენდენციებს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის კიდევ ერთი ფუნდამენტური გამოცემაა *ვაჭრობისა და განვითარების ანგარიში*<sup>58</sup>, რომელიც 1981 წლიდან ყოველწლიურად გამოიცემა. ეს ანგარიში ანალიზებს ძირითად ეკონომიკურ ტენდენციებს ამ სფეროში და შეიმუშავებს სასარგებლო წინადადებებს.

*გაერთიანებული ერების ორგანიზაციის* სტატისტიკური სამსახური სტატისტიკური გამოცემების ლიდერთა შორისაა. მისი სხვადასხვა ქვედანაყოფი აქტიურ სტატისტიკურ საქმიანობას ეწევა.

*გაეროს ვაჭრობისა და ტურიზმის სტატისტიკის ქვედანაყოფი*<sup>59</sup> პასუხისმგებელია საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის<sup>60</sup> (IMTS), ასევე მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის<sup>61</sup> (SITS), ტურიზმის სტატისტიკის<sup>62</sup> და სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის საკითხების განვითარებაზე.

გაეროს აღნიშნული ქვედანაყოფის ძირითადი სტატისტიკური პუბლიკაციაა *საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წელიწდეული*<sup>63</sup> (The International Trade Statistics Yearbook). მასში ქვეყნდება საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ტენდენციები ქვეყნების, რეგიონებისა და

<sup>56</sup> <https://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2019/01/weodata/index.aspx>

<sup>57</sup> [https://unctad.org/en/Pages/DIAE/World%20Investment%20Report/World Investment Report.aspx](https://unctad.org/en/Pages/DIAE/World%20Investment%20Report/World%20Investment%20Report.aspx)

<sup>58</sup> <https://unctad.org/en/Pages/Publications/TradeandDevelopmentReport.aspx>

<sup>59</sup> <http://unstats.un.org/unsd/trade/default.asp>

<sup>60</sup> <http://unstats.un.org/unsd/trade/methodology%20IMTS.htm>

<sup>61</sup> <http://unstats.un.org/unsd/tradeserv/msitsintro.htm>

<sup>62</sup> <http://unstats.un.org/unsd/tradeserv/tourism/Methodology.htm>

<sup>63</sup> <https://comtrade.un.org/pb/>

მსოფლიოს მასშტაბით და განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე სტატისტიკის რიგით მომხმარებელთათვის. წელიწდეულში წარმოდგენილი მონაცემები უაღრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა პოლიტიკის გამტარებელთათვის, სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, ჟურნალისტებისათვის, აკადემიური და ბიზნეს წრეებისათვის.

ვინაიდან ყველა სტატისტიკური პუბლიკაციის აქ განხილვა შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ ძირითად მათგანზე. აღნიშნულის მიზანია საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის მომხმარებელი გათვითცნობიერებული იყოს საჭირო პუბლიკაციების ძირითად შინაარსსა და მიმართულებებში.



## ტესტები ცოდნის განმტკიცებისთვის

### ტესტი 1

საერთაშორისო სტატისტიკაში მაკოორდინებელი როლი ეკუთვნის:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკურ კომისიას
2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას
3. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას
4. ევროსტატს

### ტესტი 2

რომელი მოვლენა მიიჩნევა ეკონომიკური სტატისტიკისადმი საერთაშორისო ინტერესის ოფიციალური გამოვლენის დასაწყისად:

1. ერთა ლიგის მიერ მოწვეული საერთაშორისო კონფერენცია 1928 წელს
2. საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის შექმნა 1885 წელს
3. აშშ-ს შრომის ფედერალური ბიუროს (ამჟამად, შრომის სტატისტიკის ბიურო) შექმნა 1884 წელს
4. ამერიკის სტატისტიკური საზოგადოების შექმნა 1839 წელს

### ტესტი 3

რომელ წელს შეიქმნა გაეროს სტატისტიკური კომისია

1. 1946 წელს
2. 1919 წელს
3. 1920 წელს
4. 1928 წელს

### ტესტი 4

რომელ საერთაშორისო სტატისტიკურ ორგანოს აქვს „თანასწორთა შორის პირველის“ სტატუსი

1. გაეროს სტატისტიკურ კომისიას
2. გაეროს დარგობრივ სტატისტიკურ ქვედანაყოფებსა და სპეციალურ დაწესებულებებს
3. სახელმწიფოთაშორის სტატისტიკურ სამსახურებს
4. რეგიონალურ სტატისტიკურ სამსახურებს

## ტესტი 5

მონიშნეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის დამტკიცების თარიღი:

1. 28 მარტი, 1996
2. 19 დეკემბერი, 1997
3. 19 დეკემბერი, 1996
4. 29 მარტი, 1996

## ტესტი 6

მონიშნეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის დამტკიცების თარიღი:

1. 29 მარტი, 1996
2. 19 დეკემბერი, 1997
3. 19 დეკემბერი, 1996
4. 28 მარტი, 1996

## ტესტი 7

მონაცემთა დამუშავებისა და გავრცელების ხარისხობრივი მეთოდების რომელი პარამეტრების დაცვის უზრუნველყოფას გულისხმობს მონაცემთა გავრცელების სტანდარტები (ერთზე მეტი პასუხი):

1. მონაცემთა მოცვას
2. პერიოდულობას
3. დროულობას
4. გავრცელების პრაქტიკას

## ტესტი 8

რა მიზნებს ემსახურება მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემა:

1. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებას მონაცემთა გავრცელების კალენდრის შესაბამისად;

2. სტატისტიკური მონაცემებისადმი სისტემური მიდგომის დანერგვისა და განვითარების პროცესების ხელშეწყობას;
3. სტატისტიკური მონაცემების წარდგენას საერთაშორისო ორგანიზაციებში;
4. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებას შეძლებისდაგვარად.

## ტესტი 9

მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის დანიშნულებაა:

1. სტატისტიკური მონაცემების უმოკლეს ვადაში გამოქვეყნება
2. სტატისტიკური მონაცემებისადმი სისტემური მიდგომის დანერგვისა და განვითარების პროცესების ხელშეწყობა
3. მკაცრი წესებისა და ვადების დაცვა სტატისტიკური მონაცემებისა და მეტამონაცემების გამოქვეყნებისას
4. სტატისტიკური მონაცემების გავრცელების კალენდრის წელიწადში ერთხელ გამოქვეყნება

## ტესტი 10

სტატისტიკური მონაცემებისადმი საჯაროობის მოთხოვნა გულისხმობს (ერთზე მეტი პასუხი):

1. მონაცემთა გავრცელების კალენდრის დროულად გამოქვეყნებას;
2. ყველა მომხმარებლისათვის ინფორმაციის ერთდროულად მიწოდებას;
3. ინფორმაციის გავრცელებას მომხმარებელთა პრიორიტეტულობის მიხედვით;
4. ინფორმაციის გავრცელებას მონაცემთა პრიორიტეტულობის მიხედვით.

## ტესტი 11

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის მოთხოვნაა (ერთზე მეტი პასუხი):

1. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება მკაცრად შეთანხმებული ფორმატითა და ვადებში
2. სტატისტიკური მეტამონაცემების განახლება წელიწადში ერთხელ
3. სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების 4 თვის კალენდრის წინასწარ განახლება
4. სტატისტიკური მონაცემების წინასწარ გადაცემა დაინტერესებული პირებისთვის

## ტესტი 12

რომელ წელს მოხდა საქართველოს სტატისტიკური სისტემის მიერთება მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტთან?

1. 2010 წელს
2. 2006 წელს
3. 1997 წელს
4. 1996 წელს

### ტესტი 13

რომელ წლებში იყო საქართველოს სტატისტიკური სისტემა მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის წევრი?

1. 2001-2006
2. 2005-2006
3. 2005-2007
4. 2006-2010

### ტესტი 14

მონაცემებზე წვდომის ერთდროულობა ყველა მომხმარებლისათვის არის:

1. მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის აუცილებელი პირობა
2. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა
3. მონაცემებზე წვდომის ერთდროულობის დაცვა არ არის სავალდებულო მონაცემთა გავრცელებისას
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

### ტესტი 15

მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა არის:

1. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა
2. გამოქვეყნებული მონაცემები არ ექვემდებარება გადასინჯვას
3. მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის აუცილებელი პირობა
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

### ტესტი 16

საზოგადოების რომელი სფეროებისთვის არის სასარგებლო ამა თუ იმ ქვეყნის მონაცემთა გავრცელების საერთაშორისო სტანდარტებში მონაწილეობა

1. ქვეყნის მთავრობისთვის
2. პოლიტიკის გამტარებლებისთვის
3. შინამეურნეობებისთვის
4. ბიზნეს-წრეებისთვის
5. არარეზიდენტებისთვის

6. ყველა ზემოთ ჩამოთვლილისთვის

### ტესტი 17

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი განსაზღვრავს სტატისტიკური მონაცემების საიმედოობას

1. დიდი რაოდენობით მონაცემების გამოქვეყნება
2. მონაცემთა დამუშავების მეთოდებისა და პროცედურების გამჭვირვალობა
3. მონაცემების ერთსა და იმავე რიცხვში გამოქვეყნება
4. მონაცემების ხშირად გამოქვეყნება

### ტესტი 18

მონაცემთა გავრცელების რომელი სტანდარტები მოქმედებს მსოფლიოში 2015 წლიდან

1. GDDS, SDDS და SDDS PLUS
2. e-GDDS, SDDS და SDDS PLUS
3. e-GDDS და SDDS PLUS
4. GDDS და SDDS

### ტესტი 19

მონაცემთა გავრცელების რომელი სტანდარტია გამიზნული საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების მონაწილე ან ასეთი ბაზრების მამიებელი ქვეყნების სტატისტიკური სისტემებისთვის

1. GDDS
2. SDDS
3. SDDS PLUS
4. არცერთი

### ტესტი 20

მონაცემთა გავრცელების რომელი სტანდარტია გამიზნული სისტემურად მნიშვნელოვანი ფინანსური ცენტრების მქონე წევრი ქვეყნების სტატისტიკური სისტემებისთვის

1. SDDS
2. e-GDDS
3. SDDS PLUS
4. არცერთი

### ტესტი 21

რას წარმოადგენს მეტამონაცემები

1. აგრეგირებულ მონაცემებს
2. კონსოლიდირებულ მონაცემებს
3. გადასინჯულ მონაცემებს

4. მონაცემებს მონაცემების შესახებ
5. ყველა ზემოთ ჩამოთვლილს

## ტესტი 22

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ არის სწორი:

მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა არის:

1. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის ერთადერთი აუცილებელი პირობა
2. მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა
3. გამოქვეყნებული მონაცემები გადასინჯვის შესახებ პოლიტიკა დადგენილია წინასწარ
4. გამოქვეყნებული მონაცემები გადასინჯვის შესახებ პოლიტიკა დადგენილი და გამოქვეყნებულია წინასწარ

## ტესტი 23

გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მეთოდოლოგიური ცვლილებების შესახებ ინფორმაცია:

1. ცნობილი უნდა იყოს მხოლოდ განსაზღვრული ტიპის მომხმარებლისათვის
2. არ არის საჭირო იყოს საჯარო
3. უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

## ტესტი 24

რისთვისაა გამოიზნული ერთიან მონაცემთა ეროვნული გვერდის (NSDP) პორტალი

1. მონაცემთა მწკრივების გამოსაქვეყნებლად დიდი პერიოდის მიხედვით
2. მონაცემთა გავრცელების სტანდარტების მონაწილე ქვეყნების მიერ ამ სტანდარტებით გათვალისწინებული მონაცემების გამოსაქვეყნებლად
3. მხოლოდ და მხოლოდ მეტამონაცემების გამოსაქვეყნებლად
4. საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემების საერთაშორისო შედარებებისათვის

## ტესტი 25

სტატისტიკური ორგანოები ვალდებული არიან მონაცემთა გავრცელების კალენდარი გამოაქვეყნონ:

1. ერთი წლით ადრე
2. 6 თვით ადრე
3. 4 თვით ადრე
4. მონაცემთა გავრცელების კალენდრის წინასწარი გამოქვეყნება სავალდებულო არ არის



## ტესტი 26

მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტი პლუსის ინიციატივა განსაზღვრულია იმ ქვეყნებისათვის:

1. რომლებსაც გააჩნიათ სისტემურად მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორი
2. რომლებიც ფლობენ ძლიერ კაპიტალის ბაზრებს
3. რომლებიც ახლა იწყებენ თავიანთი ფინანსური ბაზრების განვითარებას
4. რომლებსაც აქვთ მისწრაფება განავითარონ თავიანთი სტატისტიკური სისტემები

## ტესტი 27

სლოვანი: „უკეთესი პოლიტიკა უკეთესი ცხოვრებისთვის“ ეკუთვნის:

1. მსოფლიო ბანკს
2. საერთაშორისო სავალუტო ფონდს
3. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას
4. ევროსტატს

## ტესტი 28

ევროპის ყოფილი ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოების სტატისტიკური სამსახურის სამართალმემკვიდრე არის:

1. ევროპის ცენტრალური ბანკი
2. ევროსტატი
3. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
4. ზემოთ ჩამოთვლილთაგან არცერთი

## ტესტი 29

რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკური სამსახურის ფუნდამენტური გამოცემაა საერთაშორისო ფინანსების სტატისტიკა

1. ევროსტატის
2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის
3. მსოფლიო ბანკის
4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის

## დანართები

### დანართი 1. ქვეყნების რეიტინგი წარმოებული მშპ-ს მიხედვით, 2018 (PPP)

	ქვეყანა	მილიონი
1	ჩინეთი	25 361 744
2	აშშ	20 494 100
3	ინდოეთი	10 498 468
4	იაპონია	5 414 680
5	გერმანია	4 456 149
6	რუსეთი	4 050 786
7	ინდონეზია	3 494 762
8	ბრაზილია	3 365 757
9	საფრანგეთი	3 037 362
10	გაერთიანებული სამეფო	3 024 525
11	იტალია	2 515 781
12	მექსიკა	2 509 673
13	თურქეთი	2 296 104
14	კორეა, რესპუბლიკა	2 071 182
15	ესპანეთი	1 865 000
16	საუდის არაბეთი	1 857 538
17	კანადა	1 782 786
18	ირანი. ისლამური რესპუბლიკა	1 695 064
19	ტაილანდი	1 320 373
20	ავსტრალია	1 289 651
21	ეგვიპტე	1 219 510
22	პოლონეთი	1 190 361
23	პაკისტანი	1 176 498
24	ნიგერია	1 171 387
25	მალაიზია	999 405
26	ნიდერლანდები	970 605
27	ფილიპინები	952 967
28	არგენტინა	915 132
29	სამხრეთ აფრიკა	789 349
30	კოლუმბია	744 703
31	არაბთა გაერთიანებული საამიროები	721 770
32	ვიეტნამი	710 312
33	ბანგლადეში	704 165
34	ერაყი	672 979
35	ალჟირი	659 687
36	შვეიცარია	579 941
37	ბელგია	575 292
38	სინგაპური	571 494
39	რუმინეთი	549 289
40	შვედეთი	536 910
41	ყაზახეთი	508 646
42	ავსტრია	491 095
43	ჰონგ კონგი	480 497
44	ჩილე	472 397
45	პერუ	460 436
46	ჩეხეთი	422 303

47	ირლანდია	403 828
48	უკრაინა	390 283
49	მიანმარი	357 819
50	ისრაელი	353 775
51	ყატარი	352 154
52	ნორვეგია	348 614
53	პორტუგალია	339 722
54	დანია	319 468
55	საბერძნეთი	317 455
56	მაროკო	314 241
57	კუვეიტი	304 939
58	უნგრეთი	299 639
59	შრილანკა	291 459
60	ფინეთი	264 481
61	უზბეკეთი	231 358
62	ეთიოპია	220 478
63	ახალი ზელანდია	200 431
64	ეკვადორი	200 121
65	ომანი	200 108
66	სუდანი	198 945
67	ანგოლა	198 445
68	ბელარუსი	189 324
69	დომინიკის რესპუბლიკა	189 151
70	სლოვაკეთი	184 747
71	აზერბაიჯანი	179 084
72	კენია	177 894
73	ტანზანია	176 412
74	ბულგარეთი	154 254
75	გვატემალა	145 700
76	ტუნისი	144 374
77	განა	141 046
78	ლიბია	138 287
79	პუერტო რიკა	126 115
80	სერბეთი	121 518
81	თურქმენეთი	112 747
82	ხორვატია	112 478
83	პანამა	106 546
84	კოტ დიუვარი	105 282
85	ლიტვა	98 592
86	კამერუნი	95 092
87	პარაგვაი	94 400
88	იორდანია	93 068
89	ლიბანი	89 434
90	ბოლოვია	89 228
91	კოსტა რიკა	88 216
92	უგანდა	86 868
93	ნეპალი	86 074
94	ურუგვაი	81 164
95	სლოვენია	78 992
96	კონგო, რესპუბლიკა	78 228

97	მაკაო	77 334
98	ბაჰრეინი	74 109
99	იემენი	73 258
100	ზამბია	73 163
101	ავღანეთი	72 544
102	კამბოჯა	70 753
103	ლუქსემბურგი	67 520
104	სენეგალი	59 864
105	ლატვია	59 130
106	ელ სალვადორი	53 401
107	ლაოსი	52 547
108	ჰონდურასი	49 181
109	ბოსნია და ჰერცეგოვინა	47 692
110	ესტონეთი	46 826
111	ტრინიდადი და ტობაგო	44 792
112	მალი	44 118
113	ზიმბაბვე	43 670
114	მონღოლეთი	43 544
115	მადაგასკარი	42 917
116	საქართველო	42 610
117	ბოტსვანა	41 888
118	მოზამბიკი	39 168
119	ბურკინა ფასო	39 010
120	ალბანეთი	38 196
121	გაბონი	37 961
122	პაპუა ახალი გვინეა	36 996
123	ნიკარაგუა	35 714
124	ბრუნეი დარუსალამი	34 650
125	ჩრდილოეთი მაკედონია	34 074
126	კვიპროსი	32 864
127	გვინეა	32 652
128	ტაჯიკეთი	31 341
129	ეკვატორიალური გვინეა	30 725
130	სომხეთი	30 477
131	ჩადი	30 410
132	მავრიკი	29 999
133	კონგო, რესპუბლიკა	29 642
134	ბენინი	27 799
135	რუანდა	27 723
136	იამაიკა	27 291
137	ნამიბია	27 261
138	მოლდოვა	25 888
139	ყირგიზეთი	24 492
140	მალავი	23 744
141	ნიგერია	23 531
142	დასავლეთი სანაპირო და გაზა	23 524
143	კოსოვო	20 977
144	ჰაიტი	20 726
145	მალტა	20 583
146	ისლანდია	20 264

147	სამხრეთი სუდანი	19 625
148	მავრიტანია	18 450
149	ტოგო	13 894
150	მონტენეგრო	12 755
151	სიერა ლეონე	12 267
152	ესვატინი	12 182
153	ბაჰამები	12 056
154	ფიჯი	9 722
155	ტიმორ ლესტე	9 694
156	სურინამი	8 927
157	ბურუნდი	8 301
158	ბუტანი	7 933
159	მალდივები	7 897
160	ლესოტო	6 795
161	გაიანა	6 675
162	ლიბერია	6 295
163	ბარბადოსი	5 303
164	კაიმანის კუნძულები	4 602
165	კურასაო	4 425
166	არუბა	4 157
167	კაბო ვერდე	4 075
168	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	4 067
169	გამბია	3 890
170	გვინეა-ბისაუ	3 366
171	ბელიჯი	3 366
172	სეიშელები	2 952
173	ანტიგუა და ბარბუდა	2 575
174	სენტ-ლუსია	2 526
175	კომორები	2 354
176	სან მარინო	2 123
177	გრენადა	1 752
178	სენტ-კიტსი და ნევისი	1 669
179	სოლომონის კუნძულები	1 573
180	სინტ-მარტენი (ნიდერლანდების ნაწილი)	1 382
181	სენტ-ვინსენტ-გრენადინები	1 356
182	სამოა	1 344
183	ტურკსი და კაიკოსის კუნძულები	954
184	ვანუატუ	937
185	დომინიკა	763
186	საო ტომე და პრინციპე	720
187	ტონგა	661
188	მიკრონეზია	405
189	პალაუ	347
190	კირიბატი	265
191	მარშალის კუნძულები	236
192	ნაურუ	191
193	ტულავუ	47

წყარო: <http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators>

შენიშვნა: დანარჩენი ქვეყნების მიხედვით მონაცემები არ არსებობს.

**დანართი 2. ქვეყნების რანჟირება ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი  
ეროვნული პროდუქტის მიხედვით**

	<i>ქვეყანა</i>	<i>აშშ დოლარი</i>
1	შვეიცარია	83 580
2	ნორვეგია	80 790
3	მაკაო	78 320
4	ლუქსემბურგი	69 420
5	ისლანდია	67 950
6	აშშ	62 850
7	ყატარი	61 190
8	დანია	60 190
9	ირლანდია	59 770
10	სინგაპური	58 770
11	შვედეთი	55 040
12	ავსტრალია	53 190
13	ნიდერლანდები	51 260
14	ჰონგ კონგი	50 310
15	ავსტრია	49 260
16	ფინეთი	47 750
17	გერმანია	47 180
18	ბელგია	45 340
19	კანადა	44 860
20	იაპონია	41 340
21	გაერთიანებული სამეფო	41 340
22	საფრანგეთი	41 080
23	არაბთა გაერთიანებული საამიროები	41 010

24	ისრაელი	40 850
25	ახალი ზელანდია	40 820
26	კუვეიტი	33 690
27	იტალია	33 540
28	ბრუნეი დარუსალამი	31 020
29	კორეა, რესპუბლიკა	30 600
30	ბაჰამები	30 210
31	ესპანეთი	29 450
32	ტურკსი და კაიკოსის კუნძულები	26 740
33	კვიპროსი	26 300
34	მალტა	26 220
35	სლოვენია	24 840
36	არუბა	23 630
37	ბაჰრეინი	21 890
38	პორტუგალია	21 680
39	საუდის არაბეთი	21 540
40	პუერტო რიკა	21 100
41	ესტონეთი	20 940
42	ჩეხეთი	20 260
43	საბერძნეთი	19 600
44	კურასაო	19 070
45	სენტ-კიტსი და ნევისი	18 640
46	სლოვაკეთი	18 330
47	ლიტვა	17 350
48	პალაუ	16 910
49	ლატვია	16 740

50	ტრინიდადი და ტობაგო	16 240
51	ანტიგუა და ბარბუდა	15 810
52	ურუგვაი	15 650
53	სეიშელები	15 600
54	ბარბადოსი	15 240
55	ომანი	15 110
56	ჩილე	14 670
57	უნგრეთი	14 590
58	პანამა	14 370
59	პოლონეთი	14 150
60	ხორვატია	13 830
61	არგენტინა	12 370
62	მავრიკი	12 050
63	კოსტა რიკა	11 510
64	რუმინეთი	11 290
65	ნაურუ	11 240
66	მალაიზია	10 460
67	თურქეთი	10 380
68	რუსეთი	10 230
69	გრენადა	9 780
70	ჩინეთი	9 470
71	სენტ-ლუსია	9 460
72	მალდივები	9 310
73	მექსიკა	9 180
74	ბრაზილია	9 140
75	ბულგარეთი	8 860



76	მონტენეგრო	8 400
77	სენტ-ვინსენტ-გრენადინები	7 940
78	ყაზახეთი	7 830
79	ბოტსვანა	7 750
80	ლიბანი	7 690
81	დომინიკის რესპუბლიკა	7 370
82	დომინიკა	7 210
83	ეკვატორიალური გვინეა	7 050
84	გაბონი	6 800
85	თურქმენეთი	6 740
86	ტაილანდი	6 610
87	პერუ	6 530
88	სერბეთი	6 390
89	ლიბია	6 330
90	კოლუმბია	6 190
91	ეკვადორი	6 120
92	ფიჯი	5 860
93	სამხრეთ აფრიკა	5 720
94	ბოსნია და ჰერცეგოვინა	5 690
95	პარაგვაი	5 680
96	ბელარუსი	5 670
97	ირანი. ისლამური რესპუბლიკა	5 470
98	ჩრდილოეთი მაკედონია	5 450
99	ნამიბია	5 250
100	ერაყი	5 030
101	სურინამი	4 990

102	იამაიკა	4 990
103	ალბანეთი	4 860
104	გაიანა	4 760
105	მარშალის კუნძულები	4 720
106	ბელიზი	4 720
107	გვატემალა	4 410
108	ტონგა	4 300
109	კოსოვო	4 230
110	სომხეთი	4 230
111	იორდანია	4 210
112	სამოა	4 190
113	საქართველო	4 130
114	ალჟირი	4 060
115	შრილანკა	4 060
116	აზერბაიჯანი	4 050
117	ესვატინი	3 850
118	ინდონეზია	3 840
119	ფილიპინები	3 830
120	ელ სალვადორი	3 820
121	დასავლეთი სანაპირო და გაზა	3 710
122	მონღოლეთი	3 580
123	მიკრონეზია	3 580
124	ტუნისი	3 500
125	კაბო ვერდე	3 450
126	ანგოლა	3 370
127	ბოლოვია	3 370

128	კირიბატი	3 140
129	მაროკო	3 090
130	ბუტანი	3 080
131	მოლდოვა	2 990
132	ვანუატუ	2 970
133	ეგვიპტე	2 800
134	უკრაინა	2 660
135	პაპუა ახალი გვინეა	2 530
136	ლაოსი	2 460
137	ვიეტნამი	2 400
138	ჰონდურასი	2 330
139	განა	2 130
140	ნიკარაგუა	2 030
141	ინდოეთი	2 020
142	უზბეკეთი	2 020
143	სოლომონის კუნძულები	2 000
144	ნიგერია	1 960
145	ნიგერია	1 960
146	საო ტომე და პრინციპე	1 890
147	ტიმორ ლესტე	1 820
148	ზიმბაბვე	1 790
149	ბანგლადეში	1 750
150	კონგო, რესპუბლიკა	1 640
151	კენია	1 620
152	კოტ დიუვარი	1 610
153	პაკისტანი	1 580

154	სუდანი	1 560
155	კამერუნი	1 440
156	ზამბია	1 430
157	სენეგალი	1 410
158	კამბოჯა	1 380
159	ლესოტო	1 380
160	კომორები	1 320
161	მიანმარი	1 310
162	ყირგიზეთი	1 220
163	მავრიტანია	1 190
164	ტანზანია	1 020
165	ტაჯიკეთი	1 010
166	ნეპალი	960
167	იემენი	960
168	ბენინი	870
169	მალი	830
170	გვინეა	830
171	ჰაიტი	800
172	ეთიოპია	790
173	რუანდა	780
174	გვინეა-ბისაუ	750
175	გამბია	700
176	ჩადი	670
177	ბურკინა ფასო	660
178	ტოგო	650
179	უგანდა	620

180	ლიბერია	600
181	ავღანეთი	550
182	ტუვალუ	530
183	სიერა ლეონე	500
184	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	480
185	სამხრეთი სუდანი	460
186	მადაგასკარი	440
187	მოზამბიკი	440
188	მალავი	360
189	ბურუნდი	280

<http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators>

შენიშვნა: დანარჩენი ქვეყნების მიხედვით მონაცემები არ არსებობს.

### დანართი 3. ქვეყნების რანჟირება ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის მიხედვით

	<i>ქვეყანა</i>	მლნ საერთაშორისო დოლარი
1	ყატარი	124 130
2	მაკაო	112 480
3	სინგაპური	94 500
4	ბრუნეი დარუსალამი	85 790
5	კუვეიტი	83 390
6	არაბთა გაერთიანებული საამიროები	75 300
7	ლუქსემბურგი	71 420
8	შვეიცარია	68 370

9	ნორვეგია	68 310
10	ჰონგ კონგი	67 700
11	ირლანდია	65 290
12	აშშ	63 390
13	ნიდერლანდები	56 890
14	დანია	56 410
15	საუდის არაბეთი	55 650
16	ავსტრია	55 230
17	ისლანდია	55 190
18	გერმანია	54 890
19	შვედეთი	53 560
20	ბელგია	50 940
21	ავსტრალია	49 980
22	ფინეთი	47 970
23	კანადა	47 490
24	საფრანგეთი	46 360
25	გაერთიანებული სამეფო	44 930
26	ბაჰრეინი	44 620
27	იაპონია	44 420
28	იტალია	42 020
29	ომანი	41 230
30	კორეა, რესპუბლიკა	40 090
31	ესპანეთი	39 900
32	ისრაელი	39 830
33	ახალი ზელანდია	39 590
34	მალტა	38 940

35	სლოვენია	37 850
36	ჩეხეთი	37 580
37	არუბა	36 960
38	კვიპროსი	35 170
39	ესტონეთი	34 670
40	ლიტვა	34 160
41	სლოვაკეთი	33 200
42	პორტუგალია	32 200
43	ტრინიდადი და ტობაგო	32 060
44	ბაჰამები	30 920
45	მალაიზია	30 600
46	ლატვია	30 270
47	პოლონეთი	30 140
48	სენტ-კიტსი და ნევისი	30 120
49	უნგრეთი	29 500
50	საბერძნეთი	29 410
51	სეიშელები	29 070
52	კურასაო	27 820
53	რუმინეთი	27 520
54	თურქეთი	27 470
55	ხორვატია	26 840
56	პუერტო რიკა	26 560
57	რუსეთი	26 470
58	მავრიკი	26 030
59	ანტიგუა და ბარბუდა	25 160
60	ტურკსი და კაიკოსის კუნძულები	24 540

61	ყაზახეთი	24 230
62	ჩილე	24 190
63	პანამა	23 510
64	ბულგარეთი	22 300
65	ურუგვაი	21 900
66	ირანი. ისლამური რესპუბლიკა	21 050
67	ლიბია	20 990
68	მონტენეგრო	20 740
69	არგენტინა	19 820
70	ნაურუ	19 480
71	მექსიკა	19 360
72	ბელარუსი	19 200
73	პალაუ	18 820
74	თურქმენეთი	18 460
75	ეკვატორიალური გვინეა	18 170
76	ტაილანდი	18 160
77	ჩინეთი	18 140
78	ბოტსვანა	17 970
79	ბარბადოსი	17 640
80	ერაყი	17 290
81	აზერბაიჯანი	17 070
82	კოსტა რიკა	16 670
83	გაბონი	16 580
84	სერბეთი	16 510
85	ბრაზილია	15 820
86	ჩრდილოეთი მაკედონია	15 670



87	ალჟირი	15 350
88	კოლუმბია	14 490
89	ბოსნია და ჰერცეგოვინა	14 270
90	გრენადა	14 270
91	მალდივები	14 120
92	პერუ	13 810
93	სურინამი	13 420
94	ალბანეთი	13 320
95	სამხრეთ აფრიკა	13 230
96	სენტ-ვინსენტ-გრენადინები	13 210
97	პარაგვაი	13 180
98	შრილანკა	13 090
99	სენტ-ლუსია	12 970
100	ინდონეზია	12 650
101	ლიბანი	12 610
102	მონღოლეთი	12 220
103	ეგვიპტე	12 080
104	ტუნისი	12 060
105	კოსოვო	11 580
106	ეკვადორი	11 410
107	ნამიბია	10 920
108	საქართველო	10 900
109	ფილიპინები	10 720
110	დომინიკის რესპუბლიკა	10 680
111	დომინიკა	10 680
112	ესვატინი	10 680

113	სომხეთი	10 460
114	ფიჯი	10 250
115	ბუტანი	9 680
116	იორდანია	9 300
117	უკრაინა	9 020
118	იამაიკა	8 930
119	გაიანა	8 570
120	მაროკო	8 410
121	გვატემალა	8 310
122	ბელიზი	8 200
123	ელ სალვადორი	7 850
124	ინდოეთი	7 680
125	მოლდოვა	7 680
126	ბოლოვია	7 670
127	კაბო ვერდე	7 330
128	უზბეკეთი	7 230
129	ლაოსი	7 090
130	ვიეტნამი	7 030
131	ტიმორ ლესტე	6 990
132	სამოა	6 620
133	ტონგა	6 510
134	მიანმარი	6 480
135	ანგოლა	6 150
136	ტუვალუ	6 090
137	დასავლეთი სანაპირო და გაზა	5 990
138	პაკისტანი	5 840

139	ნიგერია	5 700
140	ნიგერია	5 700
141	ნიკარაგუა	5 390
142	მარშალის კუნძულები	5 290
143	კონგო, რესპუბლიკა	5 050
144	ჰონდურასი	4 780
145	განა	4 650
146	ბანგლადეში	4 560
147	სუდანი	4 420
148	კირიბატი	4 410
149	მიკრონეზია	4 160
150	მავრიტანია	4 160
151	პაპუა ახალი გვინეა	4 150
152	ზამბია	4 100
153	კამბოჯა	4 060
154	ტაჯიკეთი	4 040
97	კოტ დიუვარი	4 030
104	ყირგიზეთი	3 780
106	კამერუნი	3 700
107	სენეგალი	3 670
108	ლესოტო	3 610
109	საო ტომე და პრინციპე	3 430
125	კენია	3 430
129	ვანუატუ	3 160
130	ტანზანია	3 160
132	ნეპალი	3 090

136	ზიმბაბვე	3 010
137	კომორები	2 730
138	იემენი	2 570
140	გვინეა	2 480
147	ბენინი	2 400
149	სოლომონის კუნძულები	2 280
150	მალი	2 230
151	რუანდა	2 210
154	ეთიოპია	2 010
157	უგანდა	1 970
159	ავღანეთი	1 960
161	ჩადი	1 920
163	ბურკინა ფასო	1 920
165	ჰაიტი	1 870
168	გვინეა-ბისაუ	1 790
169	ტოგო	1 760
170	გამბია	1 680
171	მადაგასკარი	1 580
172	სამხრეთი სუდანი	1 550
173	სიერა ლეონე	1 520
174	მალავი	1 310
175	მოზამბიკი	1 300
177	ლიბერია	1 130
179	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	870
193	ბურუნდი	740

<http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators>

შენიშვნა: დანარჩენი ქვეყნების მიხედვით მონაცემები არ არსებობს.

**დანართი 4. ქვეყნების რეიტინგი შემოსავლების ყველაზე თანაბარი განაწილებით, 2002**

N	ქვეყანა	ჯინის ინდექსი	უღარიბესი 20%-ის წილი შემოსავლებში, %	უმდიდრესი 20%-ის წილი შემოსავლებში, %
1	სლოვაკეთი	19,5	11,9	31,4
2	ბელარუსი	21,7	11,4	33,3
3	უნგრეთი	24,4	10,0	34,4
4	დანია	24,7	9,6	34,5
5	იაპონია	24,9	10,6	35,7
6	შვედეთი	25,0	9,6	34,5
7	ჩეხეთი	25,4	10,3	35,9
8	ფინეთი	25,6	10,0	35,8
9	ნორვეგია	25,8	9,7	35,8
10	ბულგარეთი	26,4	10,1	36,8
11	ლუქსემბურგი	26,9	9,4	36,5
12	იტალია	27,3	8,7	36,3
13	სლოვენია	28,4	9,1	37,7
14	ბელგია	28,7	8,3	37,3
15	ეგვიპტე	28,9	9,8	39,0
16	რუანდა	28,9	9,7	39,1
17	ხორვატია	29,0	8,8	38,0
18	უკრაინა	29,0	8,8	37,8
19	გერმანია	30,0	8,2	38,5
20	ავსტრია	31,0	6,9	38,0
21	რუმინეთი	31,1	8,0	39,5
22	პაკისტანი	31,2	9,5	41,1
23	კანადა	31,5	7,5	39,3
24	სამხრეთი კორეა	31,6	7,5	39,3
25	პოლონეთი	31,6	7,8	39,7
26	ინდონეზია	31,7	9,0	41,1
27	ლატვია	32,4	7,6	40,3
28	ლიტვა	32,4	7,8	40,3
29	ესპანეთი	32,5	7,5	40,3
30	ნიდერლანდები	32,6	7,3	40,1

წყარო: <https://www.infoplease.com/world/economic-statistics/gap-between-rich-and-poor-world-income-inequality-2002>

დანართი 5. ქვეყნების რეიტინგი შემოსავლების ყველაზე არათანაბარი განაწილებით, 2002

N	ქვეყანა	ჯინის ინდექსი	ულარიბესი 20%-ის წილი შემოსავლებში, %	უმდიდრესი 20%-ის წილი შემოსავლებში, %
1	სიერა ლეონე ცენტრ. აფრიკის	62,9	1,1	63,4
2	რესპუბლიკა	61,3	2,0	65,0
3	სვაზილენდი	60,9	2,7	64,4
4	ბრაზილია	60,7	2,2	64,1
5	ნიკარაგუა	60,3	2,3	63,6
6	სამხრეთი აფრიკა	59,3	2,9	64,8
7	პარაგვაი	57,7	1,9	60,7
8	კოლუმბია	57,1	3,0	60,9
9	ჩილე	56,7	3,3	61,0
10	ჰონდურასი	56,3	2,2	59,4
11	გვინეა-ბისაუ	56,2	2,1	58,9
12	ლესოტო	56,0	2,8	60,1
13	გვატემალა	55,8	3,8	60,6
14	ბურკინა ფასო	55,1	4,6	60,4
15	მექსიკა	53,1	3,5	57,4
16	ზამბია	52,6	3,3	56,6
17	ჰონგ-კონგი	52,2	4,4	57,1
18	ელ სალვადორი	52,2	3,3	56,4
19	პაპუა ახალი გვინეა	50,9	4,5	56,5
20	ნიგერია	50,6	4,4	55,7
21	მალი	50,5	4,6	56,2
22	ნიგერი	50,5	2,6	53,3
23	გამბია	50,2	4,0	55,3
24	ზიმბაბვე	50,1	4,0	55,3
25	ვენესუელა	49,5	3,0	53,2
26	მალაიზია	49,2	4,4	54,3
27	რუსეთი	48,7	4,4	53,7
28	პანამა	48,5	3,6	52,8
29	კამერუნი	47,7	4,6	53,2
30	დომინიკას რესპუბლიკა	47,4	5,1	53,3

წყარო: <https://www.infoplease.com/world/economic-statistics/gap-between-rich-and-poor-world-income-inequality-2002>

1. ასლამაზიშვილი ნ., გელაშვილი ს. (2018). საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა: დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი.
2. ასლამაზიშვილი ნ. (2009). საერთაშორისო სტატისტიკა: თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თბილისი.
3. ასლამაზიშვილი ნ. (2003). საგარეო ვაჭრობა. თბილისი.
4. გოგოძე ი. (2013). ინოვაციური საქართველო: მიმდინარე სტატუსი. თბილისი,
5. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ. (2009). ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი. სახელმძღვანელო, თსუ.
6. მინდორაშვილი მ. (2018). ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. ლექციების კურსი ბაკალავრებისთვის. თბილისი.
7. მუჩიაშვილი მ., გელაშვილი ს., მაისურაძე ი. (2018). მაკროეკონომიკური სტატისტიკა, ლექციების კურსი - (ელ. ვერსია)  
[https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/makrstat.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/makrstat.pdf)
8. ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი. (2015)/ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ. მეორე გამოცემა. განახლებული და გაფართოებული. თარგმანი. რედაქტორები: პროფ. სიმონ გელაშვილი, პროფ. ქეთევან მარშავა. თსუ.
9. Balance of Payments and International Investment Position. (2009). Manual. 6th edition. International Monetary Fund. Washington D.C.
10. Enrico Giovannini. (2008). Understanding Economic Statistics: an OECD Perspective. OECD.
11. Neil Fantom, Umar Serajuddin. (2016). The World Bank's Classification of Countries by Income. Policy Research Working Paper 7528. World Bank Group. Development Economics. January 2016.
12. System of National Accounts (2008 SNA). (2008). European Commission, International Monetary Fund, Organization for Economic Co-Operation and Development, United Nations, World Bank.
13. Ryan Olson. (2014). Using the Index of Economic Freedom A Practical Guide for Citizens and Leaders. The Center for International Trade and Economics at The Heritage Foundation. Washington D.C.  
[http://thf\\_media.s3.amazonaws.com/2014/pdf/UsingTheIndexOfEconomicFreedomBooklet.pdf](http://thf_media.s3.amazonaws.com/2014/pdf/UsingTheIndexOfEconomicFreedomBooklet.pdf)
14. World Trade Statistical Review 2018. World Trade Organization.  
[https://wto.org/english/res\\_e/statis\\_e/wts2018\\_e/wts2018\\_e.pdf](https://wto.org/english/res_e/statis_e/wts2018_e/wts2018_e.pdf)

### გამოყენებული ინტერნეტრესურსები

1. <<http://ec.europa.eu/programmes/horizon2020/en/what-horizon-2020>>.
2. <[http://ec.europa.eu/growth/access-to-finance/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/growth/access-to-finance/index_en.htm)>.
3. <<http://www.enterprisesurveys.org/>>.
4. <[http://ec.europa.eu/regional\\_policy/en/funding/available-budget/](http://ec.europa.eu/regional_policy/en/funding/available-budget/)>.
5. <[http://ec.europa.eu/enterprise/policies/finance/data/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/policies/finance/data/index_en.htm)>.
6. <<http://ec.europa.eu/programmes/horizon2020/en/what-horizon-2020>>.
7. <<https://eu-smartcities.eu/sites/all/files/Guideline-Using%20EU%20fundings%20mechanism%20for%20smart%20cities.pdf>>
8. <<https://www.fi-compass.eu/esif/european-structural-and-investment-funds-esif>>.
9. <<http://www.eib.org/products/blending/esif/fis-in-2014-2020/index.htm>>.
10. <<http://www.eib.org/products/blending/esif/index.htm>>.

11. <<https://www.fi-compass.eu/>>.
12. <[http://ec.europa.eu/growth/access-to-finance/cosme-financial-instruments/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/growth/access-to-finance/cosme-financial-instruments/index_en.htm)>
13. <[https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitarcykorporeshenqartulad/fsi\\_geo.xls](https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitarcykorporeshenqartulad/fsi_geo.xls)>.
14. [http://www3.weforum.org/docs/WEF\\_TTCR\\_2019.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_TTCR_2019.pdf)
15. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=715>
16. [https://www.wipo.int/global\\_innovation\\_index/en/2019/](https://www.wipo.int/global_innovation_index/en/2019/)